

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**  
**„სელფი მობაილ“**  
**(საიდენტიფიკაციო ნომერი: 204450584)**

ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი

ძირითად პირობებზე საბოლოო შეთანხმება ადგენს შეთავაზების პირობებს, მისი რეგისტრირების თარიღისთვის არსებული ინფორმაციის საფუძველზე და წარმოადგენს ობლიგაციის შეთავაზების პირობებს.

აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება 65,000,000 (სამოცდახუთი მილიონი) ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების, 36 თვის ვადის ცვლადი საპროცენტო სარგებლის და „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ შესაბამისად განსაზღვრული უფლებების, მათ შორის გამოსყიდვის ოფციის უფლებების მქონე არასუბორდინირებული, უზრუნველყოფილი ობლიგაციების შეთავაზების პირობები.

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	შპს „სელფი მობაილ“ („ემიტენტი“, „კომპანია“) არასუბორდინირებული, უზრუნველყოფილი ობლიგაციები („ობლიგაციები“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „სელფი მობაილ“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204450584) მისამართი: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბაგრატიონის რიგი, N8 ელ.ფოსტა: <a href="mailto:info@cellfie.ge">info@cellfie.ge</a> ვებ-გვერდი: <a href="https://cellfie.ge/">https://cellfie.ge/</a> ტელეფონი: +995 32 2 200 611
განთავსების აგენტი 1-ის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თბილისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204929961) მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@tbccapital.ge">info@tbccapital.ge</a> ვებ-გვერდი: <a href="https://www.tbccapital.ge/ge">https://www.tbccapital.ge/ge</a> ტელ.: (+995 32) 227 27 33
განთავსების აგენტი 2-ის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 211359206) მისამართი: ქ. თბილისი 0105, პუშკინის ქუჩა N3 ელ.ფოსტა: <a href="mailto:gt@gt.ge">gt@gt.ge</a> ; <a href="mailto:sales@gt.ge">sales@gt.ge</a> ვებ-გვერდი: <a href="https://galtandtaggart.com/en">https://galtandtaggart.com/en</a> ტელეფონი: +995 322 401 111
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ტელ: (995 32) 240 6406 ფაქსი: (995 32) 240 6577 ელფოსტა: <a href="mailto:info@nbg.gov.ge">info@nbg.gov.ge</a> ვებ-გვერდი: <a href="http://www.nbg.gov.ge">www.nbg.gov.ge</a>
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	2023 წლის 21 დეკემბერი
პროსპექტის მოქმედების ვადა	კანონმდებლობის შესაბამისად, საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან 12 თვე

ISIN	GE 2700604608
ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	GE 2700604608-1-01

შეთავაზების დოკუმენტი წარმოადგენს საბოლოო პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

დამტკიცებულია ეროვნული ბანკის მიერ

\_\_\_\_\_





25 თებერვალი 2023 წ.

ბელმოწერილია შპს „სელფი მობაილის“ სახელით:  
ბელმომწერი:

სახელი: გიორგი ვერძაძე


თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბელმოწერა: 

ბელმომწერი:

სახელი: ვასილ ბერიშვილი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ბელმოწერა: 

ბელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით:  
ბელმომწერი:

სახელი: მერი ჩაჩანიძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ბელმოწერა: 

ბელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით:  
ბელმომწერი:

სახელი: ირაკლი კირტავა

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ბელმოწერა: 

## ინფორმაცია ობლიგაციების შესახებ

ობლიგაციის ძირითადი მახასიათებლები:

ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი (კუპონი)	ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან, და შეადგენს წლიურად TIBR 6M-ს + 3.50%-ს. ობლიგაციების მოქმედი საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შეიცვალოს რეიტინგის ცვლილების დადგომისას (იხილეთ პროსპექტის თავი „ობლიგაციების შეთავაზების პირობები“ - მე-5(პ) ქვეპუნქტი („საკრედიტო რეიტინგის ცვლილება“))
ობლიგაციის ამორტიზაციის პირობები	ობლიგაციების ძირითადი თანხის გადახდა სრულად მოხდება ობლიგაციების დაფარვის თარიღში.
სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა	ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდება (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება ნახევარწლიურად 27 დეკემბერს და 27 ივნისს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2024 წლის 27 ივნისს.
ობლიგაციის ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია ლარში
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები	„ობლიგაციების შეთავაზების პირობებით“ განსაზღვრულის გარდა, პროსპექტით არ არის გათვალისწინებული ობლიგაციებთან დაკავშირებული რამე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები.
ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის
გამოსყიდვის ოფცია	„ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ შესაბამისად დადგენილ შემთხვევებში, „ობლიგაციებს“ გააჩნია გამოსყიდვის ოფცია, როგორც ეს განსაზღვრულია „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ მე-7 პუნქტით („ობლიგაციების დაფარვა (განაღდება) და გამოსყიდვა“
ემიტენტის/ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგი	ემიტენტს მინიჭებული აქვს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings-ის მიერ: BB- სტაბილური პერსპექტივით. ამასთან ერთად ემიტენტმა მოიპოვა Scope Ratings-ისგან ობლიგაციების რეიტინგი BB-.
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხის და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2026 წლის 27 დეკემბერს.
რეგისტრატორის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (ს/ნ 205156374). თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ. N11; ტელ: (995 32) 2 25 15 60; ელ. ფოსტა: info@usr.ge (ემიტენტი

	<p>უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას ობლიგაციების გამოშვებამდე).</p>
სავაჭროდ დაშვება	<p>ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ან „თბილისის საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე.</p> <p>საქართველოს საფონდო ბირჟის ან თბილისის საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვება მოხდება ბირჟის ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ დებულების შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.</p> <p>საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:  <a href="https://gse.ge/upload/28.05.2020_6f4d6e87.pdf">https://gse.ge/upload/28.05.2020_6f4d6e87.pdf</a>.</p> <p>თბილისის საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:  <a href="https://tse.ge/upload/06.05.2022_6a0887b1.pdf">თსბ ს ლისტინგის დებულება 06.05.2022 6a0887b1.pdf (tse.ge)</a></p>
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	<p>ობლიგაცია წარმოადგენს „კომპანიის“ არასუბორდინირებულ, უზრუნველყოფილ ვალდებულებებს. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე.</p>
უზრუნველყოფა	<p>„ობლიგაციები“ უზრუნველყოფილია მეორე რიგის იპოთეკით და გირავნობით;</p> <p>„ემიტენტის“ საკუთრებაში არსებული ყველა და ნებისმიერი არსებული და სამომავლო მოძრავი და უძრავი ქონებით (მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე), მათ შორის, „კომპანიის“ კაპიტალში 100% წილი სრულად, როგორც განსაზღვრულია „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ შესაბამისად და დეტალურად დარეგულირებულია „იპოთეკის ხელშეკრულებაში“, „გირავნობის ხელშეკრულებაში“ და „წილების გირავნობის ხელშეკრულებაში“.</p> <p>გთხოვთ, იხილეთ დეტალურად „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ ქვეთავი „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ ქვეთავი 2.0 „უზრუნველყოფა“.</p>
დივიდენდის გაცემის პოლიტიკა	<p>გთხოვთ, გაეცნოთ კომპანიის დივიდენდის გაცემის პოლიტიკას, რომელიც აღწერილია პროსპექტის ქვეთავში „დივიდენდების პოლიტიკა“.</p>

**ინფორმაცია შეთავაზების შესახებ:**

შეთავაზება	65,000,000 (სამოცდახუთი მილიონი) ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის ვადით 2026 წლის 27 დეკემბერი.
ობლიგაციების განთავსების მინიმალური მოცულობა	1 ობლიგაცია
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	10,000 (ათი ათასი) ლარი
ობლიგაციების რაოდენობა	6,500 (ექვსი ათას ხუთასი) ცალი
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	65,000,000 (სამოცდახუთი მილიონი) ლარი
ობლიგაციების გამოშვების ფასი	ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%
ობლიგაციის გამოშვების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული იქნება 2023 წლის 27 დეკემბერს.
ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები	2023 წლის 14 ნოემბერის პატნიორთა კრების ოქმი დამოწმებული ნოტარიუს გ.ბოჭორიშვილის მიერ. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი - N231582999
ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების ფასი	ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებულ განთავსების თარიღამდე დარიცხული სარგებელი.
შეთავაზების პერიოდი	დროის მონაკვეთი საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან შეთავაზების დასრულებამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შეძენა.
შეთავაზების დასრულების თარიღი	შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება თარიღი, როდესაც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2026 წლის 27 დეკემბერს
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია ლარში

<p>ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევაში</p>	<p>გაკოტრების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების მფლობელები წარმოადგენენ „კომპანიის“ უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ კრედიტორებს, რომლებიც განთავსდებიან მეორე რიგში, „პირველი რიგის კრედიტორების“ შემდგომ. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104-ე მუხლის თანახმად, გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის მასა შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდება:</p> <p>ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს, გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას და საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოქმნილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯებს, ქონების მართვის ხარჯებს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯებს;</p> <p>ბ) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;</p> <p>გ) პრეფერენციული მოთხოვნები - მოიცავს სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 (სამი) თვის ხელფასების და შვებულების ხარჯებს (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელფასებისა და შვებულების ხარჯებისა, ასევე მათი ოჯახის წევრებისთვის), საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელ თანხებს (არაუმეტეს 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით თითოეულ კრედიტორზე);</p> <p>დ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - მოიცავს სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 (სამი) წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილ, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ არაპირდაპირ გადასახადებს;</p> <p>ე) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104(1) პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;</p> <p>ვ) არაპრივილეგირებული მოთხოვნები - მოიცავს იმ კრედიტორთა მოთხოვნებს, რომელთა არაპრივილეგირებული წესით დაკმაყოფილებაზე წინანსწარ შეთანხმდნენ მოვალე და კრედიტორი, და ზ) კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).</p>
---	---

	<p>„რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილ კრედიტორად ითვლებიან კრედიტორები, რომელთა მოთხოვნაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით. შესაბამისად, „ობლიგაციონერები“ ექვევნიან უზრუნველყოფილი კრედიტორების კატეგორიაში და მათზე გავრცელდება ზემოაღნიშნული კანონის 105-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების წესები იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციონერები“ წარმოადგენენ მეორე რიგის უზრუნველყოფილ კრედიტორებს, რომლებიც დაკმაყოფილდებიან „პირველი რიგის კრედიტორების“ შემდეგ.</p> <p>დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვრცლად „პროსპექტის“ ქვეთავში „ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები“ და „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე და 105-ე მუხლები.</p>
კალკულაციის და გადახდის აგენტი	შპს „თიბისი კაპიტალი“, ს/ნ: 204929961
დეფოლტი	<p>თუ დადგება ან გრძელდება „დეფოლტის შემთხვევა“ ობლიგაციონერებს შეუძლიათ პროსპექტით განსაზღვრული პირობებით ობლიგაციებიდან გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვონ „ემიტენტისგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალური ღირებულების) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა: (იხილეთ „ობლიგაციებისშეთავაზების პირობები“, ქვეპუნქტი 10 „დეფოლტის შემთხვევები“).</p>
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა სახსრები ნაწილობრივ მოხმარდება არსებული ვალდებულებების რეფინანსირებას, დარჩენილი ნაწილი კი გამოყენებული იქნება ზოგადი კორპორატიული მიზნებისათვის. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“).
წმინდა სახსრები	გამოშვებული ობლიგაციების სრული განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მოზიდული წმინდა სახსრები არ იქნება გამოშვებული ჯამური ნომინალური ღირებულების 98%-ზე ნაკლები.
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
იურისდიქცია	„პროსპექტიდან“ გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით, წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით.



<p>ობლიგაციების მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობები</p>	<p>ხელშეკრულება ავალდებულებს განთავსების აგენტ 1-სა და განთავსების აგენტ 2-ს (ერთად, „განთავსების აგენტები“) უზრუნველყონ ობლიგაციების განთავსება არაგარანტირებულ საფუძველზე. თითოეული განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს ემიტენტს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია-მოვალეობები და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.</p>
<p>განთავსების და სხვა საკომისიო ხარჯები</p>	<p>განთავსების საკომისიო არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 2.0%-ს. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი.</p>

## ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

## შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

ობლიგაციების განთავსების აგენტი 1 (შპს „თიბისი კაპიტალი“), ასევე კალკულაციისა და გადახდის აგენტი. იმავდროულად, არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტ 1-თან (განთავსების აგენტი 1 სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტ 1-თან და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტ 1-სა და სს „თიბისი ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი მინიმუმამდეა დაყვანილი შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- (ა) მიუხედავად იმისა, რომ შპს „თიბისი კაპიტალს“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას საერთო მენეჯმენტი მართავს, სს „თიბისი ბანკს“ არ აქვს განთავსების აგენტ 1-ის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევის ბერკეტები და ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტ 1-სა და სს „თიბისი ბანკს“ შორის მხოლოდ თეორიულია;
- (ბ) განთავსების აგენტი 1 აცხადებს და ადასტურებს, რომ სს „თიბისი ბანკს“ მოექცევა როგორც ერთ-ერთ ინვესტორს, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;
- (გ) მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე განთავსების აგენტი 1 წარმოადგენს „ობლიგაციების“ ნომინალურ მფლობელს, „ობლიგაციონერებს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ შესაბამისი ურთიერთობა განთავსების აგენტ 1-თან და „ობლიგაციებს“ ფლობდნენ სხვა ნომინალური მფლობელის ან პირდაპირ რეგისტრატორის მეშვეობით;
- (დ) „ემიტენტს“ და შპს „თიბისი კაპიტალს“ შორის არსებული/გასაფორმებელი ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ, ითვალისწინებს კალკულაციისა და გადახდის აგენტის შეცვლის შესაძლებლობას.

ემიტენტი და განთავსების აგენტი 2 (სს „გალტ & თაგარტი“), ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ



## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სელფი მობაილ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 204450584

### არასუბორდინირებული, უზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისიის პროსპექტი

65,000,000 (სამოცდახუთ მილიონ) ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების 6,500 (ექვსი ათას ხუთას) ცალამდე, 36 თვის ვადისარა-სუბორდინირებული, უზრუნველყოფილი ობლიგაციები, რომელთა კუპონის გადახდა ხდება 6 (ექვს) თვეში ერთხელ და რომლის დეტალური პირობები განისაზღვრება „საბოლოო შეთავაზების პირობების“ დოკუმენტებითა და აღნიშნული პროსპექტით.

შპს „სელფი მობაილ“ („კომპანია“, „სელფი“ ან „ემიტენტი“) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას) წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია კომპანიისთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები:

გიორგი ვერძაძე - შპს „სელფი მობაილის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ვასილ ბერიშვილი - შპს „სელფი მობაილის“ გენერალური დირექტორი

ბელმოწერილია შპს „სელფი მობაილის“ სახელით:

ბელმომწერი:

სახელი: გიორგი ვერძაძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბელმოწერა:

თარიღი:

გ.ვერძაძე  
13.12.2023

ბელმომწერი:

სახელი: ვასილ ბერიშვილი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ბელმოწერა:

თარიღი:

ბელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით:

ბელმომწერი:

სახელი: მერი ჩაჩანიძე

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ბელმოწერა:

თარიღი:

მერი ჩაჩანიძე

ბელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით:

ბელმომწერი:

სახელი: ირაკლი კირტავა

თანამდებობა: მმართველი დირექტორი

ბელმოწერა:

თარიღი:

ირაკლი კირტავა

## **მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:**

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში „პროსპექტი“) და, შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი, უპირველეს ყოვლისა, გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით), ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს პროსპექტი მიეწოდა ელექტრონული გზავნილის ფორმით, იგი ეთანხმება, რომ ელექტრონული გზავნილი (მასზე დართული პროსპექტიურად) კონფიდენციალურია და მოწოდებულია მხოლოდ ადრესატისათვის. შესაბამისად, ინვესტორი ეთანხმება, რომ არც ერთ სხვა პირს არ გაუგზავნის ან მიაწვდის ელექტრონულ გზავნილს ან/და წინამდებარე პროსპექტის ელექტრონულ ვერსიას და არ გაასაჯაროებს მას.

## **პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. N1 ზვიად გამსახურდიას სანაპირო, თბილისი 0114, საქართველო. ტელ: 2 406 406. ელ-ფოსტა: [info@nbg.gov.ge](mailto:info@nbg.gov.ge) ვებ-გვერდი: <https://nbg.gov.ge/>

## **პასუხისმგებლობის შეზღუდვა:**

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა „ემიტენტისა“, მათ შორის, „ემიტენტის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც განთავსების აგენტი, კალკულაციისა და გადახდის აგენტი, რეგისტრატორი, კომპანიის სხვა მრჩველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩვეელი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე, ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და შეთავაზებაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩველები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან მათ რაიმე სხვა განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისთვის, განთავსების და კალკულაციისა და გადახდის აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად ემიტენტისთვის, ისინი არ წარმოადგენენ არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევენ არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავიანთ კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ისინი არ არიან ვალდებული გაუწიონ ვინმეს, გარდა კომპანიისა, მომსახურება ან მისცენ რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება

წინამდებარე პროსპექტში განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან ობლიგაციებთან დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასავრცელებლად.

**ინვესტორის დადასტურება:** პროსპექტი ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს შესაბამის განთავსების აგენტ 1-ს შპს „თიბისი კაპიტალს“: (ს/ნ 204929961), მის: საქართველო, თბილისი 0102, მარჯანიშვილის N7, ტელ: (+995 32) 277-27-33; ელ-ფოსტა: [info@tbccapital.ge](mailto:info@tbccapital.ge) (შემდგომში „განთავსების აგენტი 1“), განთავსების აგენტ 2-ს სს „გალტ ენდ თაგარტს“: (ს/ნ 211359206), მის: საქართველო, თბილისი 0105, პუშკინის N3, TEL: (+995 32) 2-40-11; ელ-ფოსტა: [stl@gt.ge](mailto:stl@gt.ge) (შემდგომში „განთავსების აგენტი 2“), და ემიტენტ შპს „სელფი მობაილ“ (შემდგომში „კომპანია“ ან „ემიტენტი“), რომ ინვესტორი იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, და არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, კომპანია, განთავსების აგენტები ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირები არ იქნებიან რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით გამოწვეული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება კომპანიის მიერ გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ პროსპექტს (რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულის იდენტურია).

პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლდება.

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტებისადმი მიმართვის საფუძველზე.

**შეზღუდვა:** თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ



დამტკიცების თარიღი

21 თებერვალი 2023წ

## სარჩევი

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა .....	17
შესავალი .....	17
ინფორმაცია ემიტენტის შესახებ .....	21
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	28
მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ .....	39
რისკის ფაქტორები.....	42
1. ინდუსტრიისა და ეკონომიკის დამახასიათებელი რისკები:.....	42
2. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები:.....	56
3. შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები:.....	68
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება.....	76
სარეგისტრაციო დოკუმენტი .....	77
ძირითადი საქმიანობა.....	78
ისტორია.....	81
სეზონურობა.....	82
კომპანიის ძლიერი მხარეები .....	83
სტრატეგია და ამოცანები.....	84
ინვესტიციები.....	86
ბიზნესში გამოყენებული ტექნოლოგიების აღწერა.....	89
კომპანიის ინფრასტრუქტურა .....	91
დაზღვევა .....	94
ინდუსტრიის აღწერა .....	96
ფინანსური მიმოხილვა.....	108
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	108
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....	113
კაპიტალიზაცია და დავალიანება .....	125
მარეგულირებელი გარემო .....	131
მმართველი ორგანო და მენეჯმენტი .....	151
კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა .....	151
საერთო კრება (პარტნიორთა კრება).....	151

სამეთვალყურეო საბჭო .....	152
გენერალური დირექტორი.....	154
აღმასრულებელი მენეჯმენტი და ძირითადი მმართველი გუნდი .....	155
აუდიტის კომიტეტი .....	157
რისკებისა და კონტროლების კომიტეტი.....	157
თანამშრომლები .....	158
ანაზღაურება და ბენეფიტები .....	158
ინტერესთა კონფლიქტი .....	158
სასამართლო დავები.....	158
ძირითადი აქციონერები .....	160
ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	164
სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი .....	166
ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა.....	167
მნიშვნელოვანი ინფორმაცია .....	167
ობლიგაციების შეთავაზების პირობები.....	170



## პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

### შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	შპს „სელფი მობაილ“ („ემიტენტი“, „კომპანია“) არასუბორდინირებული, უზრუნველყოფილი ობლიგაციები („ობლიგაციები“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „სელფი მობაილ“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204450584) <b>მისამართი:</b> ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ზამზამის რიგი, №8 <b>ელ.ფოსტა:</b> <a href="mailto:info@cellfie.ge">info@cellfie.ge</a> <b>ვებ-გვერდი:</b> <a href="http://www.cellfie.ge">www.cellfie.ge</a> <b>ტელეფონი:</b> +995 597 100 104
განთავსების აგენტი 1-ის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961) <b>მისამართი:</b> ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 <b>ელ. ფოსტა:</b> <a href="mailto:info@tbccapital.ge">info@tbccapital.ge</a> <b>ვებ-გვერდი:</b> <a href="https://www.tbccapital.ge/ge">https://www.tbccapital.ge/ge</a> <b>ტელ.:</b> (+995 32) 227 27 33
განთავსების აგენტი 2-ის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „გალტ ენდ თაგარტი“ ((საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206) <b>მისამართი:</b> ქ. თბილისი 0105, პუშკინის ქუჩა N3 <b>ელ.ფოსტა:</b> <a href="mailto:gt@gt.ge">gt@gt.ge</a> ; <a href="mailto:sales@gt.ge">sales@gt.ge</a> <b>ვებ-გვერდი:</b> <a href="https://galtandtaggart.com/en">https://galtandtaggart.com/en</a> <b>ტელეფონი:</b> +995 322 401 111
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი <b>მისამართი:</b> 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 <b>ტელ:</b> (995 32) 240 6406 <b>ფაქსი:</b> (995 32) 240 6577 <b>ელფოსტა:</b> <a href="mailto:info@nbg.gov.ge">info@nbg.gov.ge</a> <b>ვებგვერდი:</b> <a href="http://www.nbg.gov.ge">www.nbg.gov.ge</a>
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	
პროსპექტის მოქმედების ვადა	კანონმდებლობის შესაბამისად, საბოლოო შეთავაზების პირობების დაოკუმენტის დამტკიცებიდან 12 თვე

### მნიშვნელოვანი მითითებები:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე.

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის რომელიმე ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტია ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან არ იძლევა ისეთ ძირითად ინფორმაციას, რაც უნდა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხის დაბრუნება და დარიცხული პროცენტის გადახდა დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. არც პროსპექტი და არც კომპანიის ან/და განთავსების აგენტების მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებისთან დაკავშირებული რისკების შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას გარემოების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე ემიტენტი მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული ობლიგაციების გაყიდვა, ან ობლიგაციების ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც კომპანია და არც განთავსების აგენტები არ აკეთებენ არანაირ განცხადებას და არ იძლევიან რაიმე გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ ობლიგაციებში ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი კომპანიის ან განთავსების აგენტების სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომპანიის ან განთავსების აგენტების მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული ობლიგაციების რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან კომპანიის საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩეველებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შექმნა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

### **გაფრთხილება**

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიასთან, ობლიგაციებთან, შემოთავაზებულ

პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. პროსპექტით გათვალისწინებული ემისია საჯაროა, ამასთან ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

- i. გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ობლიგაციების, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;
- ii. გააჩნდეს შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;
- iii. გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა (ლარი ან აშშ დოლარი) განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;
- iv. შეეძლოს ობლიგაციების შეთავაზების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;
- v. გააჩნდეს შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

აღნიშნული ჩანაწერი ატარებს მხოლოდ გამაფრთხილებელ ხასიათს და არ მოიაზრებს ემიტენტის პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

## გამოყენებული წყაროები

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- „ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის [www.reportal.ge](http://www.reportal.ge)
- "ემიტენტის" არა-აუდიტირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის ბასს 34 „შუალედური ფინანსური ანგარიშგების“ მიხედვით 2023 წლის 30 ივნისის დასრულებული ექვს თვიანი პერიოდისთვის („შუალედური ფინანსური ანგარიშგება“);
- ემიტენტის ვებ-გვერდი <https://cellfie.ge/>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
- საქართველოს ეროვნული ბანკი [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)
- კომუნიკაციების კომისიის ვებ-გვერდი <https://comcom.ge/>
- კომუნიკაციების კომისიის ანალიტიკის ვებ-გვერდი <https://analytics.comcom.ge/ka/?modal=sub>
- საკრედიტო რეიტინგის მიმოხილვა გამოქვეყნებულია Scope Rating-ის საიტზე: [Scope assigns BB-/Stable issuer rating to Cellfie Mobile LLC | Scope Ratings | European Rating Agency](https://www.scope-rating.com/Scope-assigns-BB-/Stable-issuer-rating-to-Cellfie-Mobile-LLC-|Scope-Ratings-|European-Rating-Agency)

პასუხისმგებელი პირები აცხადებენ, რომ “როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამღმავებული. ამ ინფორმაციიდან

არ არის გამოტოვებული მათთვის ცნობილი მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს. გახდიდა “

## ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

„ემიტენტი“ არის შპს „სელფი მობაილ“ („კომპანია“, „ემიტენტი“). მისამართი: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბამბის რიგი, №8 . რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. დაარსების თარიღი: 2003 წლის 19 ნოემბერი.

„ემიტენტი“, შპს „სელფი მობაილ“, მომხმარებლების რაოდენობის მიხედვით, ერთ-ერთი მოწინავე ტელეკომუნიკაციების ოპერატორია საქართველოში. „სელფი მობაილ“ ბაზარზე მრავალი წელი „ბილანის“ სახელით საქმიანობდა, ხოლო 2023 წელს განახორციელებული რებრენდინგის შემდეგ ოპერირება „სელფის“ ბრენდით დაიწყო. კომპანიის საქმიანობა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1. ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას, რაც თავის მხრივ ადგილობრივ, საერთაშორისო, საქალაქთაშორისო, მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას ფარავს და 2. სატელეკომუნიკაციო ქსელის ელემენტებით/ტექნიკური საშუალებებით გამოყენებასთან/დაშვებასთან დაკავშირებულ საბითუმო საქმიანობას. კომპანია დღეს 1.3 მილიონ მომხმარებელს უზრუნველყოფს მობილური კავშირითა და ინტერნეტით, ასაქმებს 350 ადამიანს და აერთიანებს 28 საკუთარი გაყიდვების ოფისს, 11 ფრანჩიზას და 400-მდე დილერისგან შემდგარ ქსელს ქვეყნის მასშტაბით.

„სელფი მობაილ“ ოპერირებს საქართველოს ბაზარზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის („GNCC“, „კომუნიკაციების კომისია“) მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე და მომსახურებას უწევს როგორც ფიზიკურ, ასევე კორპორატიულ სეგმენტს. კომპანიის სერვისებზე უფრო დეტალურად:

### • მობილური სატელეფონო მომსახურება

მობილური სატელეფონო მომსახურება მოიცავს მობილური ტელეფონის ან სხვა მოწყობილობის საშუალებით განხორციელებულ საუბარს, მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, მობილურ ინტერნეტს და სხვა მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას.

უფრო კონკრეტულად ამ მიმართულებებზე:

#### ○ ტრადიციული ტელეკომ პროდუქტები

მოიცავს ხმოვანი კავშირის, მობილური ინტერნეტისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) მომსახურებას. „სელფი“ მომხმარებლებს სხვადასხვა საფასო კატეგორიის პაკეტებს, სთავაზობს, მათ შორისაა: „სტარტი“, „ოპტიმუმი“, „ოპტიმუმ +“, „კლატინუმი“. ბაზარზე აღნიშნული სერვისების ფასი კონკურენტულია. 2023 წლის თებერვლის მდგომარეობით “საკუთარი მომხმარებლის მიერ მობილური ინტერნეტის მოხმარების მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც 96%-ს აღწევს, “სელფის” ბაზარზე წამყვანი პოზიცია უკავია.

#### ○ ციფრული შეთავაზებები და აპლიკაციები

შეთავაზებები მოიცავს, კლიენტებისთვის ინტერნეტისა და გარკვეული აპლიკაციების ერთ პაკეტად შეთავაზებას, მათი ინტერესებისა და ცხოვრების სტილის შესაბამისად. ასეთი აპლიკაციებია:

- i. ტელევიზიის მიმართულება - MarTV, რომლითაც შესაძლებელია მობილური მოწყობილობიდან ქართული და უცხოური არხების ყურება, გადახვევისა და დაპაუზების ფუნქციით სარგებლობა, ფავორიტი არხების შენახვა;
- ii. ფიტნესის მიმართულება - Fitness, რომლითაც შესაძლებელია სხვადასხვა ფიტნეს ვიდეოს ნახვა, სხეულის მასის ინდექსის გამოთვლა და სწორ კვებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მიღება;
- iii. სპორტის მიმართულება - Setanta Sports, რომლითაც შესაძლებელია მრავალფეროვანი სპორტული კონტენტის მიღება, მათ შორის live რეჟიმში ორი პარალელური ტრანსლაციის ყურება, მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების თვალის დევნება;
- iv. მუსიკის მიმართულება - Stringray, რომლითაც შესაძლებელია 1,000-ზე მეტი პოპულარული არხის გამოწერა.


#### ○ სხვა პროდუქტები

სადაც შედის საერთაშორისო ზარების განხორციელება; მარტივი ავტომატური როუმინგი, რაც 89 ქვეყანაშია ხელმისაწვდომი; ვირტუალური eSIM ბარათი, რაც შესაძლებლობას იძლევა ოფისში მისვლის გარეშე გააქტიურდეს და მომხმარებელმა ისარგებლოს ყველა იმ ფუნქციით, რითიც ფიზიკური სიმის შემთვევაში სარგებლობს; SMS Bulk – „სელფი“ ამუშავებს Big Data-ს იმისთვის რომ მაქსიმალური სიზუსტით გამოავლინოს კლიენტების საინტერესო სამიზნე სეგმენტი და სმს-ით მიაწოდოს მათზე მორგებული ინფორმაცია.

- **სატელეკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და ტექნიკური საშუალებებით გამოყენებასთან დაკავშირებული საბითუმო (ძირითადი ქსელი) საქმიანობები (დაშვება).**

აღნიშნული სერვისი მოიცავს განსაზღვრული პირობებით ქსელის ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესაბამისი ელემენტებითა და ტექნიკური საშუალებებით სარგებლობის უზრუნველყოფას; ადგილობრივი დაშვების ქსელის ელემენტებითა და მათი თავისუფალი რესურსებით, ანძებით და ბოძებით სარგებლობის უზრუნველყოფას; თანალოკაციის ფართობით სარგებლობის უზრუნველყოფას; მობილური საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებით, მათი თავისუფალი საოპერაციო ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით (მათ შორის, როუმინგის მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებით) სარგებლობის უზრუნველყოფას.

## ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები



## კომპანიის სტრატეგია

კომპანიის მთავარი სტრატეგიაა შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა და შექმნას/გააუმჯობესოს აბონენტის საჭიროებებზე მორგებული პროდუქტები. კონკრეტულად, კომპანია მიზანად ისახავს:

- **გაიმყაროს პოზიციები ბაზარზე და გაზარდოს ბაზრის წილი ყველა მიმართულებით**

კომპანია ახდენს თანხების ინვესტირებას და აუმჯობესებს თავის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას იმისთვის, რომ შეძლოს მომხმარებლებს მიაწოდოს ბევრად გაუმჯობესებული ხარისხის სატელეკომუნიკაციო მომსახურება და ამით შეძლოს ბაზრის წილის ზრდა. ამისთვის 2021-2022 წლებში კომპანიამ განახორციელა:

- ქსელის მოდერნიზაციის პროექტი
- ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის გამოცვლა
- პერსონალიზებული პროდუქტები/სერვისების დამატება

კომპანია აგრძელებს ინვესტიციების განხორციელებას ამ მიმართულებით და მისი სტრატეგიაა 2024 წლიდან დაეწიოს კონკურენტებს სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხარისხში.

- **შექმნას ახალი, მომხმარებელზე მორგებული, ინოვაციური და ციფრული პროდუქტები**

კომპანიის მიზანია გაუმარტივოს მომხმარებელს ცხოვრება. ამ კუთხით უკვე შექმნილია რამდენიმე ციფრული პროდუქტი, მათ შორის: 1. MyCellfie აპლიკაცია, რომლითაც მომხმარებლებს შეუძლიათ თანხის ჩარიცხვა, მომსახურებების ჩართვა, ტარიფების/ბალანსის შემოწმება, ა.შ.; 2. სელფის ვებ გვერდი, რომლითაც შესაძლებელია e-sim ის სწრაფად გააქტიურება მაღაზიაში მისვლის გარეშე, ონლაინ, 24/7-ზე; 3. Digital Touch Screen, თვითმომსახურების ციფრული აპარატი, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას, „სელფის“ მაღაზიებში ოპერატორის ჩართულობის გარეშე შეიძინოს სასურველი პროდუქტი.

„სელფი მობაილის“ სტრატეგიაა განაგრძოს მომხმარებელზე მორგებული, ციფრული პროდუქტების შექმნა და ინოვაციური სიახლეების შეთავაზება.

- **კონცენტრირდეს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე (CSR)**

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და ციფრული სტრატეგიის ფარგლებში, „სელფი მობაილ“ მრავალი წელია მხარს უჭერს პროექტებს, რომლებიც საქართველოში ციფრული სფეროს მიმართულებით ცოდნის გაზრდას და ახალი შესაძლებლობების გაჩენას ემსახურება. კომპანიის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში განათლების ხელმისაწვდომობას, წვლილი შეიტანოს ახალგაზრდებში ინოვაციებისადმი ინტერესის გაღვივებასა და ციფრული და სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებას. სწორედ ამიტომ, „სელფი მობაილმა“ მხარი დაუჭირა არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ხსენებული მიმართულებით და დაადასტურა, რომ არა მხოლოდ თავად ავითარებს ციფრულ პროდუქტებს, არამედ ხელს უწყობს საქართველოში ეკოსისტემის ჩამოყალიბებას. კომპანია წლების განმავლობაში სტაბილურად თანამშრომლობს იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ განათლების ხელმისაწვდომობისა და საქართველოში ანტრეპრენიორშიპისა და სტარტაპ კულტურის განვითარების მიმართულებით.

- **განავითაროს ციფრული ეკოსისტემა**

ემიტენტის მიზანია კომპანიის მასშტაბით განავითაროს ციფრული ეკოსისტემა. „სელფი მობაილში“ დანერგილი ღია კოდის მქონე, მონაცემების მართვის სისტემები (Hadoop, Hive, Apache Spark, Kafka, etc..) საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს მონაცემების მართვა და რთული ანალიტიკური პროცესების წარმოება. ხელმისაწვდომია მანქანური დასწავლის და სხვადასხვა AI ინტრუმენტების ინდუსტრიაში მიღებული საშუალებების უმეტესობა. აღნიშნული ინსტრუმენტები ამჟამად უკვე გამოიყენება მომხმარებელთა სეგმენტაციის, ქცევის ანალიზის



და შესაბამისი შეთავაზებების/პროდუქტების მართვაში. დამატებით, ბიზნეს პროცესების მარტივად სამართავად, და მათი ავტომატიზაციისთვის, კომპანიას დანერგილი აქვს თანამედროვე პროგრამა SAP.

## მოკლე ინფორმაცია სექტორის შესახებ

**ტელეკომუნიკაციის ბაზარი** ძირითად ოთხ სეგმენტად იყოფა: მობილური, ფიქსირებული, ინტერნეტი და მაუწყებლობის ტრანზიტი. ტელეკომუნიკაციების ჯამური ბაზარი 2016 წლიდან ყოველწლიურად სტაბილურად იზრდება საშუალოდ 8.5%-ით და 2022 წელს შეადგინა 1,2 მილიარდი ლარი.

ქართულ ტელეკომუნიკაციების სექტორში არსებული ოთხი ძირითადი სეგმენტიდან ყველაზე მაღალშემოსავლიანს **მობილური მომსახურება** წარმოადგენს. მობილური მომსახურების ბაზარი 2016 წლიდან ყოველწლიურად მზარდია საშუალოდ 9.0%-ით, გამონაკლისი იყო პანდემიური 2020 წელი, როდესაც ბაზარი 2%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით. მობილური მომსახურების შემოსავლებში ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა 2022 წელს, როდესაც მიღებული შემოსავლები 26%-ით გაიზარდა და მიაღწია დაახლოებით 700 მილიონ ლარს.

**მობილური მომსახურების აბონენტების რაოდენობა** აბონენტების ჯამური რაოდენობა უმეტესწილად სტაბილური იყო 2016 წლიდან, თუმცა 2020 წელს აბონენტების რაოდენობის 5%-იანი შემცირება დაფიქსირდა. შემოსავლის უმეტესი ნაწილი გენერირდება ფიზიკური პირების მომსახურებისგან. აღნიშნული კუთხით შემოსავლების სტრუქტურა თითქმის უცვლელია ბოლო წლების განმავლობაში და თითოეული ოპერატორისთვის ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავალი ჯამური შემოსულების 70-80%-ს შეადგენს.

საქართველოში მობილური მომსახურების მომწოდებლად წარმოდგენილია სამი ძირითადი ოპერატორი - მაგთიკომი, სილქნეტი და სელფი მობაილ. 2022 წლის მეორე ნახევარში ბაზარზე ახალი ოპერატორი - ეკლექტიკ შემოვიდა, თუმცა მისი მომხმარებლების რიცხვი ჯერ მცირეა.

2016-2022 წლებში „სელფის“ წილი მობილური მომსახურების ჯამურ ბაზარზე მერყეობდა 16%-18%-ის ფარგლებში. 2022 წლის მონაცემებით ბაზრის ლიდერი 49.3%-ით იყო მაგთიკომი (2021 წელს 46.6%), რომელსაც მოყვებოდა სიდიდით სილქნეტი - ბაზრის 34.4%-იანი წილით (2021 წელს 35.2%), ხოლო ბაზრის დანარჩენი ნაწილი - 16.3%, მოდიოდა „სელფიზე“ (2021 წელს 18.1%).

მობილური მომსახურების მთავარი კომპონენტები შემდეგია:

- **ხმოვანი მომსახურება**

ხმოვანი მომსახურებიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავლებმა 2022 წელს 134.2 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული სეგმენტი ბაზარზე კლებადი ტრენდით გამოირჩევა, კერძოდ 2016-2022 წლებში ბაზრის ჯამური შემოსავლები შემცირდა 8.0%-ით, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან კლება შეჩერდა და ბაზრის მოცულობა შემოსავლებში დასტაბილურდა ერთ ნიშნულზე. ბაზრის შემცირებას 2016-2021 წლებში ძირითადად განაპირობებდა 1 წუთზე მიღებული შემოსავლის კლება (2016-2021 წლებში -10.3%). აღსანიშნავია, რომ ფასების ზრდის ხარჯზე 2022 წელს წინა წლების საპირისპიროდ გაიზარდა 1 წუთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი 17%-ით, თუმცა 10%-ით შემცირდა მოხმარებული წუთების რაოდენობა, რამაც საერთო ჯამში ხმოვანი მომსახურების ჯამური ბაზრის შემოსავლები გაზარდა 5%-ით.

„სელფი მობაილის“ ხმოვანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები 2016 წელს 43.1 მილიონი ლარიდან 2022 წელს 14.7 მილიონ ლარამდე შემცირდა, რაც საშუალოდ წლიურ 16.4%-იანი კლებაში ითარგმნება (შესადარისად ჯამური ბაზრის კლება იგივე პერიოდში 8.0% იყო). სელფი მობაილის ბაზრის წილი ამის შესაბამისად 2016 წელს 19.5%-დან შემცირდა 2022 წელს 11.0%-მდე. ხმოვანი მოხმარების ბაზარზე 2022 წელს ლიდერი იყო მაგთიკომი 62.7%-იანი ბაზრის წილით, რომელსაც მოყვებოდა სილქნეტი 26.3%-იანი და „სელფი მობაილ“ 11.0%-იანი წილებით.

- **მობილური ინტერნეტი**

მობილურ მომსახურებაში ბოლო წლებში ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტი მობილური ინტერნეტის მიმართულებაა. ერთის მხრივ იზრდება ქართული მობილური ოპერატორების ინტერნეტის მომხმარებელი აბონენტების რაოდენობა, ხოლო მეორეს მხრივ თითო აბონენტის მიერ მოხმარებული ინტერნეტის ტრაფიკი.

მობილური ინტერნეტის ჯამური ტრაფიკი 2016-2022 წლებში იზრდებოდა საშუალოდ 56.0%-ით, ხოლო ყველაზე დიდი წლიური ზრდა კი დაფიქსირდა 2020 წელს (+119.0%). აღსანიშნავია, რომ „სელფის“ მობილური ტრაფიკის ზრდა აღემატება ჯამური ბაზრის ზრდას, რაც გამოიხატება ბოლო წლებში მისი ბაზის წილის ზრდაში.

სელფი მობაილის ბაზრის წილი (დათვლილი მობილური ინტერნეტის ტრაფიკით, მეგაბაიტებში) 2016 წელს 13.4%-დან გაიზარდა 2022 წელს 18.4%-მდე (5.0 საბაზისო პუნქტიანი ზრდა). იგივე პერიოდში შემცირდა მაგთიკომის ბაზრის წილი 56.4%-დან 51.3%-მდე, ხოლო სილქნეტის წილი კი შენარჩუნდა იგივე დონეზე 30.2%-დან 30.3%-მდე.

- **მოკლე-ტექსტური შეტყობინებები (SMS)**


გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებების რაოდენობა 2016-2020 წლებში შემცირებადი ტრენდით ხასიათდებოდა, თუმცა 2021 წელს რაოდენობა გაოთხმაგდა. აღნიშნული ზრდის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს კანონმდებლობის ცვლილება წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც რაოდენობის სტატისტიკასა და შემოსავლებში ასახულ უნდა იქნეს არასტანდარტული სახის, ე.წ. Bulk შეტყობინებებიც.

შემოსავლების მიხედვით დათვლილი მოკლე-ტექსტური შეტყობინებების ბაზრის ლიდერი 2022 წლის მიხედვით მაგთიკომი იყო 44.0%-იანი წილით, რომელსაც მოყვებოდა „სელფი მობაილ“ 35.7%-იანი წილით და სილქნეტი 20.4%-იანი წილით.

ტელეკომუნიკაციების ბაზარი რეგულირებული ინდუსტრიაა და მას არეგულირებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. კომისია დამოუკიდებელი მუდმივმოქმედი სახელმწიფო ორგანოა, რომელსაც აქვს შემდეგი ძირითადი ამოცანები და ფუნქციები:

- ლიცენზიის/უფლების გაცემა და გაუქმება;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია;
- თანაბარი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა;
- რადიოსიხშირული სპექტრის ოპტიმალური და ეფექტური განაწილება;
- „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების“ მქონე უფლებამოსილი პირების იდენტიფიცირება და მათზე კონკრეტული ვალდებულებების დაკისრება;
- მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა;

**კომპანიის ამჟამინდელი სადამფუძნებლო სტრუქტურა შემდეგია**



### ემიტენტის აქციონერები

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის ემიტენტის 71%-ის წილის მფლობელი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვოთერთრაილ ინდასტრიზ“ და 29%-ის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინვესტიკო ალიანსე“. ორივე კომპანიაში 100%-ს ფლობს შპს სილქ როუდ ჯგუფი B.V.

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის ემიტენტის საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ხვიჩა მაქაცარია (59.1%), მამუკა ტოგონიძე (38,4%), კონსტანტინ სახოკია (1,25%) და იულია დედოვა (1,25%).

კომპანიის საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა 2022 წელს. მანამდე შპს „სელფი მობაილის“ დედა კომპანიების i) შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზისა“ და ii) შპს „ინვესტიკო ალიანსეს“ მფლობელი იყო VEON Amsterdam B.V რომელიც თავის მხრივ იყო ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია Veon LTD-ს შვილობილი კომპანია. ძველი დამფუძნებელი „კომპანიის“ გაყიდვას ცდილობდა საჯარო აუქციონის გზით, რომლის შედეგადაც საბოლოოდ მფლობელი გახდა ფიზიკური პირი ხვიჩა მაქაცარია და მამუკა ტოგონიძე.

### ემიტენტის მენეჯმენტი და ძირითადი მმართველი გუნდი

#### ვასილ ბერიშვილი - გენერალური დირექტორი

ვასილი „სელფი მობაილის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე 2023 წლის მარტში დაინიშნა. გენერალურ დირექტორად დანიშვნამდე, ვასილს „სელფი მობაილის“ ფინანსური დირექტორის პოსტი ეკავა, რა დროსაც, „სელფი მობაილმა“, ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური პარამეტრების მიხედვით, ორნიშნა ზრდას მიაღწია. ასევე, ვასილის ხელმძღვანელობით კომპანიაში დაინერგა ERP-ის მოცულობითი პროექტი. 2015 წლამდე ვასილი კომპანია „ჯეოსელში“ მუშაობდა. ვასილ ბერიშვილს აქვს University of Nicosia-ს მაგისტრის ხარისხი ციფრული ვალუტის სფეროში.

#### ირაკლი ჭედია - ფინანსური დირექტორი

ირაკლი ჭეცია „სელფი მობაილს“ 2023 წელს, ფინანსური დირექტორის პოზიციაზე შემოუერთდა. „სელფი მობაილში“ გადმოსვლამდე ირაკლის სს „საქართველოს ბანკის“ კორპორატიული საკრედიტო რისკების ანალიზის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა. ირაკლის გამოცდილება ფინანსურ სექტორში ჯამში 17 წელს ითვლის და მოიცავს სხვადასხვა პოზიციას საქართველოს წამყვან ფინანსურ ინსტიტუტში. ირაკლი არის კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის მაგისტრი ფინანსების მიმართულებით.

**დიმიტრი შულღიაშვილი - ტექნოლოგიების დირექტორი**

დიმიტრი „სელფი მობაილს“ 2016 წელს შემოუერთდა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმძღვანელის პოზიციაზე. 2019 წელს კი მისი ხელმძღვანელობით კომპანიაში გაერთიანდა ინფორმაციული და ტექნიკური განყოფილებები, რის შედეგადაც შეიქმნა საერთო, ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

დიმიტრისა და მისი გუნდის მიერ განახორციელდა „სელფი მობაილს“ მომხმარებელთა მომსახურებისა და საბილინგო სისტემების ციფრული ტრანსფორმაცია ერთიან სისტემაზე, მსოფლიოში ცნობილ კომპანია „ერიქსონთან“ ერთად. ტრანსფორმაცია გულისხმობდა ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, რამდენიმე ათეული სხვადასხვა პლატფორმის მიგრაციას ერთზე, მხოლოდ 24 საათში. 2021 წლის ზაფხულში კი „სელფი მობაილმა“ გააფორმა ხელშეკრულება მობილური ქსელის ბირთვის განახლებაზე მსოფლიოში წამყვან კორპორაციასთან „ნოკია“, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა და ხმოვანი სერვისების უახლესი ტექნოლოგიებით გადაცემას, ისევე როგორც 5G სერვისებისთვის მზაობას.

*ემიტენტის კორპორატიული მართვის წყობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ სარეგისტრაციო დოკუმენტის ქვეგანყოფილება „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.*

**ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები**

მომდევნო ცხრილში შეჯამებულია „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშების ძირითადი ინდიკატორები, რომელიც ეფუძნება აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს 2021 და 2022 წლების შემთხვევაში და შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს, IFRS) შესაბამისად.

2021 და 2022 წლებისთვის მომზადებული აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის არამოდიფიცირებული. დეტალური ინფორმაციისათვის *იხილეთ - „ფინანსური მიმოხილვა“.*

შერჩეული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:<sup>1</sup>

('000, ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული	არა- აუდიტირებული	არა- აუდიტირებული
	2021	2022	2022 H1 <sup>2</sup>	2023 H1
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ამონაგები	125,802	140,658	66,653	72,545
ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	(24,349)	(30,622)	(15,962)	(14,318)

<sup>1</sup> გამოყენებულია აუდიტირებული რიცხვები, თუმცა გარკვეული ველები წარმოადგენს აუდიტირებულ რეპორტში წარმოდგენილი ველების გაერთიანებას / ჯამს

<sup>2</sup> H1 – Half I, წლის პირველი ნახევარი (იანვარიდან-ივნისამდე პერიოდი)

მომსახურების ხარჯები	(22,557)	(25,273)	(12,572)	(12,990)
თანამშრომელთა სარგებელის ხარჯი	(17,640)	(21,014)	(13,196)	(9,447)
კომუნალური ხარჯები	(7,233)	(8,099)	(3,882)	(4,657)
მოვლა-შენახვის ხარჯები	(9,234)	(8,094)	(3,728)	(3,405)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(3,278)	(4,141)	(1,911)	(1,968)
სხვა საოპერაციო ხარჯები <sup>3</sup>	(15,023)	(14,851)	(7,905)	(9,762)
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>26,488</b>	<b>28,564</b>	<b>7,497</b>	<b>15,998</b>
<b>EBITDA<sup>4</sup></b>	<b>54,115</b>	<b>63,327</b>	<b>25,370</b>	<b>32,284</b>

ფინანსური ხარჯები	(61,287)	(58,415)	(31,278)	(26,098)
ფინანსური შემოსავლები	942	968	384	542
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა, ნეტო	28,410	87,200	33,028	15,100
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	258	507	25	4,909
<b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>	<b>(5,189)</b>	<b>58,824</b>	<b>9,656</b>	<b>10,451</b>
მოგების გადასახადის ხარჯი და წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
<b>სულ წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)</b>	<b>(5,189)</b>	<b>58,824</b>	<b>9,656</b>	<b>10,451</b>

კომპანიის სრული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება იხილეთ „ფინანსური მიმოხილვის“ სექციაში.

„კომპანიას“ 2022 წელს 12%-ით გაეზარდა ამონაგები წინა წელთან შედარებით, რაც უკავშირდება როგორც მომხმარებლების რაოდენობის, ასევე თითო მომხმარებელზე მიღებული ამონაგების/შემოსავლის ზრდას. ამასთან ერთად, „ემიტენტი“ EBITDA margin-ს სტაბილურად იუმჯობესებს (2022 წელს 45% შეადგინა, 2021 წელს 43%) და შედეგად 2022 წელს წინა წელთან შედარებით EBITDA გაიზარდა 17%-ით და შეადგინა 63.3 მილიონი ლარი.

შერჩეული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:<sup>5</sup>

	აუდიტირებული			დაკავშირებული ტრანზაქციების ეფექტით*	ობლიგაციების ეფექტით**
	2021 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 30 ივნისი	2023 წლის 30 ივნისი	2023 წლის 30 ივნისი
(‘000, ლარი)					
<b>აქტივები</b>					
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>					
ძირითადი საშუალებები	76,517	86,510	84,566	84,566	92,430
აქტივის გამოყენების უფლება	19,393	23,743	23,299	23,299	23,299
სხვა გრძელვადიანი აქტივები	12,586	11,877	10,221	10,221	10,221
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>108,496</b>	<b>122,130</b>	<b>118,086</b>	<b>118,086</b>	<b>125,950</b>

<sup>3</sup> რაც შედეგადად: მარკეტინგის ხარჯებისგან, ძირითადი საშუალებების გაუფასურების და გასვლის შედეგად მიღებული წმინდა ზარალისგან, მენეჯმენტის მომსახურების საფასურისა და სხვა საოპერაციო ხარჯებისგან

<sup>4</sup> EBITDA არ წარმოადგენს აუდიტირებული რეპორტის ნაწილს. EBITDA-ს კალკულაციისთვის საოპერაციო მოგებას დამატებული აქვს ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები.

<sup>5</sup> გამოყენებულია აუდიტირებული რიცხვები, თუმცა გარკვეული ველები წარმოადგენს აუდიტირებულ რეპორტში წარმოდგენილი ველების გაერთიანებას / ჯამს

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,390	15,221	15,292	13,971	13,971
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19,517	17,422	14,212	14,212	14,212
სხვა მოკლევადიანი აქტივები	6,889	5,855	10,406	10,406	10,406
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>	<b>35,796</b>	<b>38,498</b>	<b>39,910</b>	<b>38,589</b>	<b>38,589</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>144,292</b>	<b>160,628</b>	<b>157,996</b>	<b>156,675</b>	<b>164,539</b>
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>(440,948)</b>	<b>(591,394)</b>	<b>(576,287)</b>	<b>22,399</b>	<b>22,399</b>
ნასესხები სახსრები	493,508	658,603	649,471	67,313	82,776
საიჯარო ვალდებულებები	15,553	14,909	14,049	14,049	14,049
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	2,677	1,921	1,921	1,921	1,921
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>511,738</b>	<b>675,433</b>	<b>665,441</b>	<b>83,283</b>	<b>98,746</b>
ნასესხები სახსრები	-	9,192	9,823	9,823	2,224
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	58,355	49,449	41,781	23,932	23,932
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15,147	17,948	17,238	17,238	17,238
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>	<b>73,502</b>	<b>76,589</b>	<b>68,842</b>	<b>50,993</b>	<b>43,394</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>144,292</b>	<b>160,628</b>	<b>157,996</b>	<b>156,675</b>	<b>164,539</b>

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის სრული ანგარიშგება იხილეთ "ფინანსური მიმოხილვის" სექციაში

**\*დაკავშირებული ტრანზაქციების ეფექტში** ასახულია: 1. 2023 წლის მანძილზე დედა კომპანიის (შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზის“) „ემიტენტის“ მიმართ არსებული სესხების გადაკლასიფიცირება კაპიტალად, რა ტრანზაქციაც პროსპექტის თარიღისთვის უკვე დასრულებულია, 2. დედა კომპანიის (შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზის“) მიმართ არსებული „მენეჯმენტის საკომისიოს“ ჩამოწერა გადასახდელი ვალდებულებებიდან, ვინაიდან პროსპექტის თარიღისთვის შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზის“ „სელფის“ აღნიშნული ვალი აპატია. (მეტი დეტალისთვის „მენეჯმენტის საკომისიოს“ შესახებ გთხოვთ იხილოთ „ფინანსური მიმოხილვის სექციაში“ თავი „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება“).

**\*\*ობლიგაციების ეფექტი** მოიცავს 1. 65 მილიონი ლარის ობლიგაციების ემისიას, საიდანაც დაახლოებით 53 მილიონი ლარი მოხმარდება კომერციული ბანკების სესხის ნაწილობრივ რეფინანსირებას, ხოლო დანარჩენი (დაახლოებით 12 მილიონი ლარი) კი ახალი კაპიტალური ხარჯების ფინანსირებას. აღსანიშნავია, რომ „ემიტენტს“ ობლიგაციის გარდა ბალანსზე დარჩება დაახლოებით 20 მილიონი ლარის ვალდებულებები კომერციულ ბანკებთან.

### კომენტარები ფინანსურ ინფორმაციაზე

„ემიტენტის“ ნასესხებ სახსრებში 2023 წლის ივნისის ბოლოს და 2022 წლის დეკემბრის ბოლოს შედის:

- დედა კომპანიისგან, შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზისგან“, ნასესხები სახსრები, რომლის სამართლიანი ღირებულებაც 2022 წლის ბოლოში შეადგენდა 586.0 მილიონ ლარს. აღსანიშნავია, რომ შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზის“ სესხი 2023 წლის განმავლობაში გადაკლასიფიცირდა კაპიტალად და პროსპექტის თარიღისთვის აღარ წამოადგენს „სელფი მობაილის“ სასესხო ვალდებულებას.
- თანამსესხებლობის სესხი, რომელიც 2023 წლის სექტემბრის ბოლოს მდგომარეობით 74.9 მილიონ ლარს შეადგენდა. აღნიშნული სესხი 2022 წლის დეკემბრის და 2023 წლის ივნისის მდგომარეობით გაცემული იყო არა

„ემიტენტზე“, არამედ კომპანიის ერთ-ერთ საბოლოო ბენეფიციარ ხვიჩა მაქაცარიასზე (აღნიშნული 2023 წლის 10 ივლისს ჩაანაცვლა კომპანია შპს „სილქ როუდ გრუპ ზ.ვ.“-მ) ადგილობრივი კომერციული ბანკების მხრიდან, თუმცა „ემიტენტი“ წარმოადგენდა ამ ვალდებულებებზე თანამსესხებელს. ვინაიდან „ემიტენტი“ ამ ვალდებულებაზე იყო სოლიდარული თავდები და ბანკებს უფლება ჰქონდათ სესხის გადახდა მისთვის მოეთხოვათ, IFRS სტანდარტის IAS 32 მიხედვით, ამ სესხის ასახვა მოხდა „ემიტენტის“ ბალანსზეც, მიუხედავად იმისა, რომ სესხიდან მიღებული თანხა არ მომხვდარა „ემიტენტის“ ანგარიშზე. აღსანიშნავია, რომ გაცემის დღიდან თავად „ემიტენტი“ წარმოადგენდა ამ სესხის რეალურ მომსახურების წყაროს, რასაც ფარავდა შემდეგი გზით: ემსახურებოდა „ვოთერთრაილ ინდასტრიზის“ სესხს, საიდანაც თანხა შემდეგ ხვდებოდა კომერციული ბანკების სესხების გასასტუმრებლად.

2023 წლის 8 დეკემბერს „სელფი მობაილმა“ აიღო კომერციული ბანკებისგან სესხი, რომლის მიზნობრიობაც იყო მშობელი კომპანიის მიერ ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან აღებული სესხის გასტუმრება. ნახსენები ტრანზაქციის შედეგად „კომპანიას“ აღარ გააჩნია თანამსესხებლობის სესხი და აქვს მხოლოდ საკუთარი სესხი ბანკების მიმართ.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს „კომპანიის“ დავალიანებას 2023 წლის 12 დეკემბრით და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31-დეკ-22	12-დეკ-23	ობლიგაციის გამოსვლის ეფექტი
<i>(მილიონი ლარი)</i>	<i>აუდიტირებული</i>	<i>არა-აუდიტირებული</i>	<i>არა-აუდიტირებული</i>
<b>დავალიანება</b>	<b>667,80</b>	<b>72.62</b>	<b>85.00</b>
<b>სესხების ჩაშლა:</b>	<b>667,80</b>	<b>72.62</b>	<b>85.00</b>
ვოთერთრაილ ინდასტრიზ კომერციული ბანკები**	586.00	-	0
ობლიგაცია	81.79	72.62	20.00
	-	-	65.00

მეტი დეტალისთვის, გთხოვთ, იხილოთ „კაპიტალიზაცია და დავალიანების“ სექცია.

### მიღებული სახსრების გამოყენება

„ემიტენტი“ გეგმავს 65.0 მილიონ ლარამდე ნომინალური ღირებულების ობლიგაციების გამოშვებას, საიდანაც მიღებული წმინდა სახსრები იქნება არანაკლებ მოზიდული სახსრების [98]%-ისა. შეთავაზებიდან მიღებული წმინდა სახსრებით:

ა) დაახლოებით [53] მილიონი ლარი გამოყენებული იქნება საბანკო ვალდებულებების დარეფინანსებლად „ობლიგაციების“ განთავსებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღეში.

ბ) დაახლოებით [12] მილიონი ლარი გამოყენებული იქნება ზოგადი კორპორატიული მიზნებისთვის და დაფინანსდება „ემიტენტის“ სამომავლო კაპიტალური დანახარჯები.

მეტი დეტალისთვის, გთხოვთ, იხილოთ ქვეთავი „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.

### ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

ქვემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტები 2022 და 2021 წლებზე დათვლილია აუდიტირებული რიცხვების გამოყენებით, თუმცა თავად კოეფიციენტები არ არის წარმოდგენილი ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების) შესაბამისად, არ არის აუდიტირებული და არ არის „ემიტენტის“ ოპერაციული ეფექტურობის საზომი ფასს-ის მიხედვით.

„ემიტენტი“ თვლის, რომ შემდეგი ინდიკატორები სასარგებლო ინფორმაციას აწვდის ინვესტორებს იმ მიზნით, რომ ისინი შეძლებენ „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობისა და საოპერაციო შედეგების, ასევე მისი აქტივების ხარისხისა და ბიზნესის ძირითადი ასპექტების შეფასებას. გასათვალისწინებელია, რომ ემიტენტის მიერ კოეფიციენტების დათვლის მეთოდოლოგია შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა კომპანიების მიერ ასეთი ინდიკატორების გამოყენებისა და კალკულაციისგან.

მომდევნო ცხრილში წარმოდგენილია კოეფიციენტები, რომლებიც „ემიტენტის“ შეფასებით რელევანტურია მისი ბიზნეს აქტივობის შესაფასებლად.

ცხრილში მოცემული მაჩვენებლები არა- აუდიტირებულია	2021	2022	2023 ივნისი LTM <sup>7</sup>	დაკავშ. ტრანზაქციების ეფექტით <sup>6</sup>	ობლიგაციების ეფექტით <sup>6</sup>
				2023 ივნისი LTM	2023 ივნისი LTM
<b>ა) ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები</b>					
სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	(1,17)	(1,17)	(1,19)	4,51	4,87
სესხების EBITDA-სთან შეფარდება	9,54	10,93	9,73	1,44	1,55
წმინდა სესხების EBITDA-სთან შეფარდება	9,18	10,65	9,53	1,24	1,35
კორექტირებული სესხების კორექტირებულ EBITDA-სთან შედარება („ობლიგაციის“ კოვენანტი)	11,61	13,61	11,60	1,36	1,50
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)	0,43	0,49	0,70	2,76	2,49
სესხის მომსახურების კოეფიციენტი საწყისი ფულით (DSCR including cash)	2,64	1,74	1,47	1,47	1,50
სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR)	1,62	0,87	1,12	1,12	1,14
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	3,58	4,31	4,32	0,65	0,66
<b>გ) მომგებიანობის კოეფიციენტები</b>					
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA)	-4%	39%	39%	25%	23%
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)	1%	-11%	-10%	N/A	N/A
ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი (ROCE)	0,45	0,37	0,45	0,41	0,37
EBITDA მარჟა	43%	45%	48%	48%	48%
საოპერაციო მოგების მარჟა (EBIT მარჟა)	21%	20%	25%	25%	25%

<sup>6</sup> მხოლოდ 2021 და 2022 წლების კოეფიციენტების დასათვლელად გამოყენებულია აუდიტირებული რიცხვები, ხოლო დანარჩენი ეფუძნება კომპანიის მენეჯერულ ანგარიშგებებს

<sup>7</sup> LTM – Last twelve months, ბოლო 12 თვე



წმინდა მოგების მარჯა	-4%	42%	41%	26%	24%
<b>დ) ლიკვიდურობის კოეფიციენტები</b>					
ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები	0,25	0,24	0,25	0,24	0,23
ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	0,48	0,50	0,58	0,75	0,88
საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი	0,63	0,83	0,83	0,96	1,02
მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	0,49	0,50	0,58	0,76	0,89

2023 წლის 30 ივნისის, 2022 და 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები) იყო უარყოფითი. გარდა იმისა, რომ უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი სატელეკომუნიკაციო სექტორისთვის დამახასიათებელია, „ემიტენტის“ შემთხვევაში ის ძირითადად გამოწვეულია მენეჯმენტის მომსახურეობის საფასურით, რომელიც დენომინირებულია აშშ დოლარში (2023 წლის 30 ივნისისთვის 17,8 მლნ ლარი, ხოლო 2022 წლის ბოლოს 18,4 მილიონი ლარი) - Watertrail Industries LTD (BVI)-ის მიმართ დავალიანება, რომელიც ერიცხებოდა კომპანიას გამოსყიდვამდე მენეჯმენტის მომსახურეობისათვის, ე.წ. „მენეჯმენტის საკომისიო“. პროსპექტის თარიღისთვის „სელფი მობაილს“ აღარ აქვს გადასახდელი აღნიშნული დავალიანება დედა კომპანიისთვის

**ზოგადი შენიშვნები:**

**\*დაკავშირებული ტრანზაქციების ეფექტში** ასახულია: 1. 2023 წლის მანძილზე დედა კომპანიის (შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზის“) „ემიტენტის“ მიმართ არსებული სესხების გადაკლასიფიცირება კაპიტალად, რა ტრანზაქციაც პროსპექტის თარიღისთვის უკვე დასრულებულია, 2. დედა კომპანიის (შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზის“) მიმართ არსებული „მენეჯმენტის საკომისიოს“ ჩამოწერა გადასახდელი ვალდებულებებიდან, ვინაიდან პროსპექტის თარიღისთვის შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზმა“ „სელფის“ აღნიშნული ვალი აპატია. (მეტი დეტალისთვის „მენეჯმენტის საკომისიოს“ შესახებ გთხოვთ იხილოთ „ფინანსური მიმოხილვის სექციაში“ თავი „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება“).

**\*\*ობლიგაციების ეფექტი** მოიცავს 1. 65 მილიონი ლარის ობლიგაციების ემისიას, საიდანაც დაახლოებით 53 მილიონი ლარი მოხმარდება კომერციული ბანკების სესხის ნაწილობრივ რეფინანსირებას, ხოლო დანარჩენი (დაახლოებით 12 მილიონი ლარი) კი ახალი კაპიტალური ხარჯების ფინანსირებას.

**განმარტებები:**

**EBITDA** – საოპერაციო მოგებას დამატებული ცვეთისა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი.

**ძირითადი კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:**

სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი - პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ნასესხები სახსრების, ობლიგაციებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი შეფარდებული პერიოდის ბოლოს კაპიტალზე;

სესხების EBITDA-სთან შეფარდება - პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ნასესხები სახსრების, ობლიგაციებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი შეფარდებული EBITDA-სთან (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის მაჩვენებელი);

წმინდა სესხების EBITDA-სთან შეფარდება - პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ნასესხები სახსრების, ობლიგაციებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამს გამოკლებული პერიოდის ბოლოს არსებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ოდენობა შეფარდებული EBITDA-სთან (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBITDA);

კორექტირებული სესხების კორექტირებულ EBITDA-სთან შეფარდება („ობლიგაციის“ კოვენანტი) - როგორც განმარტებულია „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ მე-5 პუნქტით (ფინანსური ვალდებულებები);

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR) – პერიოდის საოპერაციო მოგება (EBIT) გაყოფილი პერიოდის ფინანსურ ხარჯებზე (2023 წლის 30 ივნისის ფინანსური მაჩვენებლების შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის (LTM) საოპერაციო მოგება და ფინანსური ხარჯები);

სესხის მომსახურების კოეფიციენტი საწყისი ფულით (DSCR including cash) - საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ფულად ნაკადებს დაკლებული მიღებული და გადახდილი პროცენტები, დაკლებული ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვისთვის გადახდილი თანხები, დამატებული პერიოდის საწყისი ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთი გაყოფილი ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებების დასაფარად გადახდილ ძირსა და პროცენტზე. (2023 წლის შემთხვევაში ყველა მაჩვენებელი აღებულია ბოლო 12 თვის მდგომარეობით);

სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR) - საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ფულად ნაკადებს დაკლებული მიღებული და გადახდილი პროცენტები, დაკლებული ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვისთვის გადახდილი თანხები, გაყოფილი ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებების დასაფარად გადახდილ ძირსა და პროცენტზე. (2023 წლის შემთხვევაში ყველა მაჩვენებელი აღებულია ბოლო 12 თვის მდგომარეობით);

მთლიანი ვალის კოეფიციენტი - პერიოდის ბოლოს არსებული ნასესხები სახსრები, ობლიგაციები და საიჯარო ვალდებულებები შეფარდებული კომპანიის პერიოდის ბოლოს არსებულ აქტივებზე;

უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA) - პერიოდის სრული მოგება გაყოფილი პერიოდის საწყისი და საბოლოო აქტივების საშუალო მაჩვენებელზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის წმინდა მოგება);

უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE) - პერიოდის სრული მოგება გაყოფილი პერიოდის საწყისი და საბოლოო კაპიტალის საშუალო მაჩვენებელზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის წმინდა მოგება);

ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი (ROCE) - პერიოდის საოპერაციო მოგება (EBIT) გაყოფილი შემდეგი ორის ჯამზე: ა) პერიოდის საწყისი და საბოლოო კაპიტალის საშუალო, ბ) პერიოდის საწყისი და საბოლოო გრძელვადიანი ვალდებულებების საშუალო (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBIT);

EBITDA მარჟა - EBITDA გაყოფილი სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ამონაგებზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBITDA და სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ამონაგები);

EBIT მარჟა - საოპერაციო მოგება (EBIT) გაყოფილი სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ამონაგებზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის საოპერაციო მოგება და სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ამონაგები);

წმინდა მოგების მარჟა - სრული მოგება გაყოფილი სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ამონაგებზე (2023 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის სრული მოგება და სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ამონაგები);

ლიკვიდური აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები – პერიოდის ბოლოს არსებულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს დამატებული პერიოდის ბოლოს არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სხვა არაფინანსური აქტივები შეფარდებული პერიოდის ბოლოს მიმდინარე ვალდებულებებთან;

ლიკვიდური აქტივები / მთლიანი აქტივები - პერიოდის ბოლოს არსებულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს დამატებული პერიოდის ბოლოს არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სხვა არაფინანსური აქტივები შეფარდებული პერიოდის ბოლოს არსებულ აქტივებთან;

საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი - ბოლო 12 თვის განმავლობაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები შეფარდებული საშუალო მიმდინარე ვალდებულებებთან;

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი – პერიოდის ბოლოს არსებული მოკლევადიანი აქტივები შეფარდებული პერიოდის ბოლოს არსებულ მოკლევადიან ვალდებულებებთან.

### კომპანიის საკრედიტო რეიტინგი

„სელფი მობაილს“ 2023 წლის დეკემბერში საკრედიტო სარეიტინგო სააგენტო Scope Ratings-ის მიერ მიენიჭა **BB-** რეიტინგი და განისაზღვრა **სტაბილური პერსპექტივით**.

*რეიტინგის მინიჭების რაციონალი:*

- კომპანია ხასიათდება მომგებიანობის მაღალი დონით. მაგალითად, სელფი მობაილის EBITDA მარჟა (იჯარის კორექტირებით) 2022 წელს 33%-ს შეადგენდა, რაც თანხვედრაშია ევროპაში ტელეკომუნიკაციების სექტორის სტანდარტებთან. მიუხედავად ამისა, სელფი მობაილის მომგებიანობის მონაცემები ჩამორჩება იმ ტელეკომუნიკაციების სექტორის წარმომადგენლების შედეგებს, რომლებიც ოპერირებენ საქართველოში.
- ტელეკომუნიკაციების სერვისი ციკლურობის ძალიან დაბალი დონით ხასიათდება.
- როგორც სააგენტო ამბობს, კომპანიას გააჩნია დაბალი ლევერიჯი და ვარაუდობს, რომ 2023 წლის ბოლოს SaD/EBITDA მაჩვენებელი 1.3x-ს შეადგენს. (აღნიშნული დაშვება ითვალისწინებს, 2023 წლის ბოლოსთვის, 65 მილიონი ლარის ობლიგაციების, 20 მილიონი საბანკო სესხების და 27 მილიონი საიჯარო ვალდებულების არსებობას ბალანსზე)
- სააგენტოს მოსაზრებით, კომპანიას აქვს კარგი საპროცენტო დაფარვა და ვარაუდობს, რომ მომდევნო წლების განმავლობაში EBITDA/ Interest cover 4.0x-ზე მაღალი იქნება.
- სააგენტოს მოსაზრებით, ობლიგაციების პროსპექტში განსაზღვრული კოვენანტების მეშვეობით, კომპანიის მიერ თანხის გადინება საკმარისად არის შეზღუდული.
- „სელფი მობაილი“ ერთდერთი ოპერატორია საქართველოში, რომელსაც გააჩნია 5G ლიცენზია. ამჟამად კომპანია ახორციელებს კაპიტალურ პროექტებს, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ლიცენზიის პირობებთან. აქედან გამომდინარე, სააგენტოს ვარაუდობს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან შესუსტდება და FOCF/SaD მაჩვენებელი იქნება 0%-თან მიახლოებული.
- სელფი მობაილს, კონკურენტებთან შედარებით, ბაზრის მცირე წილი უკავია,

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი გაუმჯობესდება იმ შემთხვევაში, თუ:

- გაუმჯობესდება და გაიზრდება ბაზრის წილი
- გაიზრდება გეოგრაფიული დივერსიფიკაცია, ვინაიდან ახლა მხოლოდ ერთ ქვეყანაშია წარმოდგენილი

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი გაუარესდება იმ შემთხვევაში, თუ:

- SaD/EBITDA მაჩვენებელი იქნება 2x-ზე მაღალი - მომგებიანობის დაბალი დონის ან/და უფრო მაღალი კაპიტალური დანახარჯების გამო.

"ემიტენტი" Scope Ratings-ისგან "ობლიგაციების" რეიტინგის მოპოვების პროცესშია. მენეჯმენტის მოლოდინია, რომ "ობლიგაციები" Scope Ratings-ის მიერ შეფასდება BB-რეიტინგით, ისევე როგორც შეფასებულია „კომპანია“. „ობლიგაციების“ რეიტინგის გამჟღავნება სარეიტინგო სააგენტოს მიერ მოსალოდნელია განხორციელდეს შეთავაზების დაწყების თარიღშივე.

## “ემიტენტის” აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები:

ემიტენტის 2022 და 2021 ფინანსური წლების აუდიტორი: „PricewaterhouseCoopers International Limited“ ქსელის წევრი შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“. ს/ნ: 405220611, მის: King David ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის #12, მე-7 სართული, თბილისი 0171, საქართველო, ტელ: +995 (32) 250 80 50, ვებ-გვერდი: [www.pwc.com/ge](http://www.pwc.com/ge)  
ვაზუსტებთ, რომ აუდიტორი არ ყოფილა ჩართული პროსპექტის მომზადებაში.  
პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა კომპანიის ფინანსური აუდიტორის ცვლილება.

## შეთავაზებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები/მხარეები:

ემიტენტის რეგისტრატორი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (ს/ნ 205156374). თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ. N11; ტელ: (995 32) 2 25 15 60; ელ. ფოსტა: [info@usr.ge](mailto:info@usr.ge) (ემიტენტი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას ობლიგაციების გამოშვებამდე).

სარეიტინგო კომპანია: Scope Ratings GmbH, ვებ-გვერდი: [Scope Ratings | European Rating Agency](http://ScopeRatings|EuropeanRatingAgency)

“ემიტენტის” იურიდიული მრჩეველი: შპს „ელპიე“ საიდენტიფიკაციო კოდი: 204569653; მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ბესიკის ქ., №4 მიმდებარედ (ნაკვეთი №46/10).

განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961; მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; ელ. ფოსტა: [info@tbccapital.ge](mailto:info@tbccapital.ge); ტელ.: (+995 32) 227 27 33

ემიტენტის განთავსების აგენტი #1: შპს „თიბისი კაპიტალი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ. ფოსტა: [info@tbccapital.ge](mailto:info@tbccapital.ge); ტელ.: (+995 32) 227 27 33; ვებ-გვერდი: <https://tbccapital.ge/ge/>; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

ემიტენტის განთავსების აგენტი #2: სს „გალტ ენდ თაგარტი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206; იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0105, პუშკინის ქუჩა N3; ელ.ფოსტა: [gt@gt.ge](mailto:gt@gt.ge); [sales@gt.ge](mailto:sales@gt.ge); ტელეფონი: +995 322 401 111; ვებ-გვერდი: <https://galtandtaggart.com>; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა;

შპს „თიბისი კაპიტალი“ („განთავსების აგენტი 1“) და სს „გალტ ენდ თაგარტი“ („განთავსების აგენტი 2“) მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ ისინი დაეხმარებიან მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არა-გარანტირებული (Best Effort) საფუძველზე, საუკეთესო ძალისხმევით გამოყენებით.

## ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

### პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი

ობლიგაციების განთავსების აგენტი 1 (შპს „თიბისი კაპიტალი“), ასევე კალკულაციისა და გადახდის აგენტი. იმავდროულად, არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტ 1-თან (განთავსების აგენტი 1 სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტ 1-თან და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტ 1-სა და სს „თიბისი ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი მინიმუმამდეა დაყვანილი შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- (ა) მიუხედავად იმისა, რომ შპს „თიბისი კაპიტალს“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას საერთო მენეჯმენტი მართავს, სს „თიბისი ბანკს“ არ აქვს განთავსების აგენტ 1-ის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევის ბერკეტები და ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტ 1-სა და სს „თიბისი ბანკს“ შორის მხოლოდ თეორიულია;
- (ბ) განთავსების აგენტი 1 აცხადებს და ადასტურებს, რომ სს „თიბისი ბანკს“ მოექცევა როგორც ერთ-ერთ ინვესტორს, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;
- (გ) მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე განთავსების აგენტი 1 წარმოადგენს „ობლიგაციების“ ნომინალურ მფლობელს, „ობლიგაციონერებს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ შესაბამისი ურთიერთობა განთავსების აგენტ 1-თან და „ობლიგაციებს“ ფლობდნენ სხვა ნომინალური მფლობელის ან პირდაპირ რეგისტრატორის მეშვეობით; და
- (დ) „ემიტენტს“ და შპს „თიბისი კაპიტალს“ შორის არსებული/გასაფორმებელი ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ ითვალისწინებს კალკულაციისა და გადახდის აგენტი შეცვლის შესაძლებლობას.

ემიტენტი და განთავსების აგენტი 2 (სს „გალტ & თაგარტი“), ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

## მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ

### 1. ინდუსტრიისა და ეკონომიკის დამახასიათებელი რისკები:

- 1.1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა.
- 1.2. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და რეგიონულმა პოლიტიკურმა დამაბულობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.
- 1.3. „კომპანიის“ საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით.
- 1.4. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა პანდემია, ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე.
- 1.5. საქართველოში არსებულმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.
- 1.6. ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.
- 1.7. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“ და ინვესტორებზე.
- 1.8. შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.
- 1.9. საქართველოს საგადასახდო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება „კომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახდო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.
- 1.10. „კომპანიაზე“ ვრცელდება სხვადასხვა კანონი და რეგულაცია. მოქმედი კანონების და რეგულაციების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს მარეგულირებელი ზომების მიღება, რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, ოპერაციებსა და მომგებიანობაზე.
- 1.11. ცვლილებებმა კანონებსა და პოლიტიკაში, მათ შორის ელექტრონულ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიაზე.
- 1.12. „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ შეინარჩუნოს და დაიცვას მომხმარებლების და თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია.
- 1.13. საქართველოში მოქმედმა კონკურენციის მარეგულირებელმა კანონებმა შესაძლოა გაზარდოს კონკურენცია, შეამციროს ოპერირების დაწყების ბარიერები, დააწესოს შეზღუდვები და შეზღუდოს კომპანიის ზრდა და მიმართოს ანტიმონოპოლიურ და სხვა მოკვლევებს ან სამართლებრივი პროცედურებს.
- 1.14. „კომუნიკაციების კომისიამ“ შესაძლოა შემოიღოს ფასების კონტროლთან დაკავშირებული რეგულაციები, რაც რისკს შეუქმნის კომპანიის მომგებიანობას.

### 2. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები:

- 2.1. „კომპანიაზე“ ვრცელდება საქართველოში ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული რისკები.
- 2.2. „კომპანიის“ შემოსავალსა და მოგებაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის ზრდის შენელებამ.
- 2.3. ხმოვანი საუბრების წუთების კლებადმა ტენდენციამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ შემოსავალსა და მომგებიანობაზე.

- 2.4. „კომპანიის“ სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები, ნებართვები და სიხშირის გამოყოფა ექვემდებარება სასრულ ვადებს, რეგულარულ განხილვას ან/და პერიოდულ განახლებას, რომელთაგან თითოეულმა შესაძლოა გამოიწვიოს ცვლილება, ან ვადამდე შეწყვეტა, ხოლო ახალი ლიცენზიების და ნებართვების მიღების ან არსებული ლიცენზიების და ნებართვების განახლების შეუძლებლობა უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ საქმიანობაზე.
- 2.5. „კომპანიის“ საქმიანობა კაპიტალ-ინტენსიურია; „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ მოახერხოს საკმარისი კაპიტალის მოზიდვა ან გამომუშავება მომავალი კაპიტალური ხარჯების და სხვა ინვესტიციების დასაფინანსებლად.
- 2.6. „კომპანიის“ მომსახურებები დამოკიდებულია ქსელების და ტექნიკური აპარატურის მუშაობაზე და მომწოდებლებზე.
- 2.7. „კომპანიის“ შიდა სისტემების შეფერხებამ, უკმარისობამ, ან სხვა სახის გაუმართაობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიაზე“.
- 2.8. სპექტრთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ მიერ მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის უნარზე.
- 2.9. თუ „კომპანია“ დროულად ვერ შეიმუშავებს და წარადგენს ახალ პროდუქტებსა და სერვისებს, შესაძლოა დაკარგოს არსებული მომხმარებლები, ვერ მოიზიდოს ახალი მომხმარებლები, ან მოუწიოს მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა.
- 2.10. „კომპანიის“ ან საბოლოო ბენეფიციარი აქციონერების რეპუტაციის ან ცნობადობის შემცირებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე.
- 2.11. ბრენდის რეპუტაციიდან გამომდინარე რისკები.
- 2.12. „კომპანია“ შესაძლოა წააწყდეს გაზრდილ კონკურენციას ახალ მოთამაშებთან ან მოქმედ სატელეკომუნიკაციო ოპერატორებთან.
- 2.13. მოქმედი რეგულაციების თანახმად, „კომპანია“ ვალდებულია შესთავაზოს გარკვეული საბითუმო სერვისები თავის კონკურენტებს. აღნიშნულმა შესაძლოა გაზარდოს კონკურენტების უნარი მომავალში გაუწიონ „კომპანიას“ კონკურენცია.
- 2.14. „კომპანიამ“ შესაძლოა წარმატებით ვერ მართოს ბიზნესის განვითარების პროცესი.
- 2.15. თუ „კომპანია“ ვერ შეინარჩუნებს და მიიზიდავს კვალიფიციურ და გამოცდილ ხელმძღვანელ კადრებს, ინჟინრებს და სხვა კვალიფიციურ პერსონალს, ამან შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივებზე.
- 2.16. „კომპანიამ“ შესაძლოა პერიოდულად აწარმოოს დავა მარეგულირებელთან, კონკურენტებთან და სხვა მხარეებთან.
- 2.17. ჯანმრთელობის დაზიანების რეალურმა ან სავარაუდო რისკებმა ან სხვა პრობლემებმა, რომლებიც დაკავშირებულია მობილურ მოწყობილობებთან ან გადამცემ ანძებთან, შესაძლოა გამოიწვიოს სამართალწარმოება ან მობილური კომუნიკაციების შემცირება.
- 2.18. „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის შემცირებამ შესაძლოა შეზღუდოს ახალ სასესხო საშუალებებზე მოლაპარაკებების ან სასესხო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობა და გაზარდოს სესხის აღების ხარჯები ან/და უარყოფითად იმოქმედოს კრედიტორებთან ურთიერთობაზე.
- 2.19. მნიშვნელოვანმა შემთხვევამ, რომელიც არ შედის კომპანიის დაზღვევის ლიმიტში, შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალი.
- 2.20. „კომპანიის“ შესაძლებლობა, უზრუნველყოს კომერციულად მომგებიანი სატელეკომუნიკაციო სერვისები, ნაწილობრივ დამოკიდებულია მის მფლობელობაში არსებულ სხვადასხვა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებებზე და „კომპანიას“ შესაძლოა მესამე მხარეებმა წაუყენონ მოთხოვნები ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის გამო.

### 3. შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები:



- 3.1. „ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქალაქებს.
- 3.2. ობლიგაციების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის, უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს არარსებობის გამო.
- 3.3. ობლიგაციონერები წარმოადგენენ მეორე რიგის უზრუნველყოფილ კრედიტორებს და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ წინა რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.
- 3.4. თუ არ განხორციელდა იპოთეკისა და გირავნობის უფლების სათანადო წესით რეგისტრაცია, ობლიგაციონერი იქნება არაუზრუნველყოფილი კრედიტორი.
- 3.5. გარკვეული ობლიგაციონერების უზრუნველყოფაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საგადასახადო იპოთეკამ/გირავნობამ და ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნებმა.
- 3.6. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი.
- 3.7. შესაძლებელია მოხდეს „ობლიგაციის“ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება.
- 3.8. „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.
- 3.9. საკრედიტო ხელშეკრულებითა და „ობლიგაციების შეთავაზების პირობებით“ გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს.
- 3.10. „ობლიგაციების“ არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.
- 3.11. „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით.
- 3.12. „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას.
- 3.13. „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციების“ მფლობელთა უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე.
- 3.14. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ „რეგისტრატორის“ და შესაბამის შემთხვევებში - „ობლიგაციების ნომინალური მფლობელის“ პროცედურებს.
- 3.15. „ობლიგაციის“ შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
- 3.16. „ობლიგაციების“ გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს.
- 3.17. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრაზე.
- 3.18. ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის;

## რისკის ფაქტორები

ობლიგაციებში ინვესტიცია გარკვეულ რისკებს გულისხმობს. ინვესტიციაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ობლიგაციების პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ ეს პროსპექტი. პროსპექტში მოწოდებული სხვა ინფორმაციის გარდა, პოტენციურმა ინვესტორებმა, ობლიგაციებში ინვესტირებამდე, საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილ ნებისმიერ რისკს შეიძლება ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და მუშაობის შედეგებზე. თუ რომელიმე ეს რისკი მატერიალიზდება, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების საბაზრო ღირებულებაზე. გარდა ამისა, ქვემოთ მოცემულია ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს ობლიგაციებში ინვესტირებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შეიძლება წარმოიშვას დამატებითი რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც კომპანიამ არ მიიჩნია მნიშვნელოვნად ან არ იცის მათი არსებობის შესახებ და ნებისმიერმა ასეთმა რისკმა და გაურკვევლობამ შეიძლება ქვემოთ აღწერილის მსგავსი უარყოფითი გავლენა მოახდინოს. შესაბამისად, კომპანია არ აცხადებს, რომ ქვემოთ აღწერილი ობლიგაციების ფლობის რისკები ამომწურავია.

### 1. ინდუსტრიისა და ეკონომიკის დამახასიათებელი რისკები:

#### 1.1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა

ინვესტორებმა, რომლებიც ინვესტიციას ახორციელებენ ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, უნდა გაითვალისწინონ, რომ ამგვარ ბაზრებზე არსებობს უფრო მაღალი რისკები განვითარებულ ბაზრებთან შედარებით, მათ შორის, მნიშვნელოვანი სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები. აღნიშნული რისკები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ბაზარზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობის მაღალი ცვალებადობით, ამასთან, განვითარებადი ბაზრებისთვის დამახასიათებელია შეზღუდული ლიკვიდურობა, ვიწრო საექსპორტო ბაზა, მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტი და ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ სფეროში. ინვესტორებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ იმგვარი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც აქვს საქართველოს, ხშირად იცვლება და წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია შედარებით სწრაფად გახდეს მოძველებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად შეამცირა კორუფცია, საქართველოს მსგავს განვითარებად ბაზრებში მაინც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მთავრობის წარმომადგენლების კორუფციას და სახელმწიფო სახსრების არამართლზომიერ გამოყენებას.

კომპანიებზე, რომლებიც საქმიანობენ ისეთ განვითარებად ბაზრებზე, როგორც საქართველოა, შესაძლებელია გავლენა იქონიოს კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების რღვევამ და დაფინანსების ხარჯების ზრდამ ან ხელმისაწვდომობის შემცირებამ, რამაც შედეგად შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური სირთულეები ამ კომპანიებისთვის. „კომპანია“ ვერ იწინასწარმეტყველებს იმ გავლენას, რაც გლობალური ბაზრების ცვალებადობის გაგრძელებამ ან განახლებამ შეიძლება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, თავის მხრივ, „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

გარდა ამისა, კომპანიებისთვის კრედიტის ხელმისაწვდომობა განვითარებად ბაზრებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინვესტორის ნდობის ხარისხზე მთლიანად განვითარებადი ბაზრების მიმართ. საერთაშორისო ინვესტორების რეაქციას იმ მოვლენებზე, რომლებიც ხდება ერთ განვითარებად ბაზარზე, აქვს ჯაჭვური ეფექტი და ამ

შემთხვევაში მთლიანი რეგიონი ან ინვესტიციის კლასი კარგავს მიმზიდველობას ინვესტორებისთვის. ამგვარი მოვლენები მოიცავს საკრედიტო რეიტინგის შემცირებას ან სახელმწიფოს ან ცენტრალური ბანკის ჩარევას ერთ ან რამდენიმე ბაზარზე, მიუხედავად იმისა, ეს დაკავშირებულია თუ არა კონკრეტულ ქვეყანასთან ან რეგიონთან. თუ ადგილი ექნება ამგვარ „გადამდებ“ ეფექტს, შესაძლებელია საქართველოზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა სხვა ქვეყნების განვითარებად ბაზრებზე. წარსულში „გადამდებმა“ ეფექტებმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოზე, მათ შორის, რუსეთის ფინანსურმა კრიზისმა 1998 წელს და 2008-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, 2014-2016 წლებში რეგიონულმა ეკონომიკურმა სირთულეებმა და ასევე რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და ბაზრის ცვალებადობამ. არ არსებობს იმის გარანტია, რომ მსგავს მოვლენებს მომავალში არ ექნება ადგილი.

ნებისმიერი კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედებას ახდენს იმ ქვეყნის ეკონომიკური გარემო, რომელშიც ის ბიზნეს საქმიანობას ეწევა. შესაბამისად, კომპანიის შემდგომ განვითარებაზე უდიდესი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპსა და საბაზრო პირობებს. კომპანიის შემოსავლის უდიდესი წყარო მოსახლეობაში დამატებითი ფულადი სახსრების საჭიროებითა და მოთხოვნით არის განპირობებული, აქედან გამომდინარე კომპანიის შედეგები საკმაოდ სენსიტიურია ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან მიმართებაში. ქვეყნის, რეგიონის ან საერთაშორისო მასშტაბით ეკონომიკაში განვითარებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინონ კომპანიის შედეგებზე, მის უნარზე წარმატებით დაწერგოს საკუთარი სტრატეგია და მის ფინანსურსა თუ საოპერაციო შედეგებზე.

კომპანიის საქმიანობაზე, მოქმედებს არამხოლოდ შიდა ფაქტორები, არამედ ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა მართვაც კომპანიას არ ექვემდებარება. მსგავსი მაჩვენებლები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ინფლაცია თუ დეფლაცია, სავალუტო კურსის რყევები, წვდომა დაფინანსებასა თუ საპროცენტო განაკვეთების დონეები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და მოულოდნელმა ან ხშირმა ცვლილებებმა სახელმწიფოს მაკროეკონომიკასა თუ პოლიტიკაში შესაძლოა არსებითად და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია მოახერხებს აღნიშნული რისკების რეალიზების შემთხვევაში მათ წარმატებით მიტიგაციას და შესაბამისად, არ არსებობს გარანტია, რომ ამ რისკების რეალიზება უარყოფით გავლენას არ იქონიებს კომპანიის საოპერაციო თუ ფინანსურ შედეგებზე და მის სამომავლო პერსპექტივაზე.

საქართველო გარდამავალი დონის, განვითარების ეკონომიკების კატეგორიას მიეკუთვნება და საერთაშორისო სტანდარტებით, მისი სუვერენული რეიტინგი არ არის საინვესტიციო კატეგორიის. პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მიანიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (Positive Outlook ), განახლების თარიღი: 2023 წლის 27 იანვარი;
- Moody’s – Ba2 (Negative Outlook), განახლების თარიღი: 2023 წლის 9 მაისი;
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook), განახლების თარიღი: 2022 წლის 25 თებერვალი;

## **1.2. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და რეგიონულმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.**

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და ამ ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები აქვს. რეგიონში და თითოეულ მოსაზღვრე ქვეყანაში პოლიტიკურმა დაძაბულობამ შეიძლება, უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, „კომპანიაზე“. აზერბაიჯანი და სომხეთი

ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში, 2022 წელს შეადგინა 12.0% და 10.5%. რუსეთი არის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში 2022 წელს 11.7%-ს შეადგენდა. თურქეთი წარმოადგენს უდიდეს იმპორტიორს საქართველოსთვის, და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან იმპორტში შეადგენდა 17.6%-ს 2022 წელს. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია უკრაინაც, რომლის წილმაც 2021 წელს ექსპორტში - 7.2%, ხოლო იმპორტში - 4.5% შეადგინა. 2022 წელს ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 7.2%-ს და 2.0%-ს შეადგენდა. შესაბამისად რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება საგარეო შემოდინებების კუთხით საკმაოდ მაღალია. მაგალითად, 2021 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული საქონლის ღირებულებამ, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა რუსი ვიზიტორებისგან, პირდაპირმა ინვესტიციებმა რუსეთიდან და რუსეთიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა ჯამში მშპ-ს 6.7% შეადგინა, 2022 წელს კი 9.4% (თიბისი კაპიტალის მიერ ფულადი გზავნილების ორმაგი აღრიცხვისა და სხვა პრობლემების გათვალისწინებით შესწორების შემდეგ). საგარეო შემოდინებებში აღსანიშნავია ევროკავშირის ქვეყნებისა და ბრიტანეთის მნიშვნელოვანი წვლილიც, რომელთა შემთხვევაშიც ანალოგიური მაჩვენებლის მშპ-თან ფარდობა 2022 წელს 14.7% იყო, მაშინ როცა ევროკავშირის წილი საკმაოდ მაღალია საქართველოს იმპორტშიც. შესაბამისად, ნებისმიერ არასტაბილურობას ევროპაში შესაძლოა მნიშვნელოვანი გადაცემითი ეფექტი ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრა საყურადღებო რისკის წყაროს წარმოადგენს საქართველოსთვის. ამ ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა არამხოლოდ ომში ჩართული ქვეყნების ეკონომიკებს, არამედ - რეგიონსა და მსოფლიოს. ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკას ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით აზარალებს. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე გაზრდილი წნეხის პასუხად, დასავლურმა ცენტრალურმა ბანკებმა გაზარდეს საპროცენტო განაკვეთებს, რამაც გლობალური ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. საქართველო ღია ეკონომიკაა, რომელიც ჩართულია გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ პროცესებში. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია, მისი დროში გახანგრძლივება, დამატებითი სანქციები რუსეთზე, გაურკვევლობის დონის ზრდა გაამძაფრებს რეგიონში და მსოფლიოში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობას და თავისთავად, შექმნის პოლიტ-ეკონომიკურ რისკებს საქართველოსთვისაც.

ამის საპირწონედ, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გამოწვეული მიგრაციის ეფექტის მიერ 2022 წლის ეკონომიკურ ზრდაში შეტანილი მნიშვნელოვანი დადებითი კონტრიბუციის ფონზე, რაიმე მიზეზით მიგრანტების მასობრივი გადინების შემთხვევაში ქვეყანაში ბიზნეს და ეკონომიკური გარემოს გაუარესების რისკი წარმოიქმნება. თუმცა, მეორე მხრივ, კონფლიქტის სწრაფი მოგვარების შემთხვევაში, რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკური აქტივობის აღდგენას დადებითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზეც.

გარდა მიმდინარე ომისა, რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ არაერთხელ გამხდარა საქართველოს ეკონომიკისთვის და მისი ამა თუ იმ დარგისთვის გამოწვევების შემქმნელი. ამის მაგალითია 2006 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ღვინის ემბარგოს დაწესება, რამაც საშუალოვადიან პერიოდში დიდი სირთულეები შეუქმნა ღვინის ინდუსტრიას. გარდა ამისა, 2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთმა აკრძალა პირდაპირი საჰაერო ფრენები საქართველოს მიმართულებით, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზეც. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო

ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით. 2023 წლის 15 მაისიდან, რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით პირდაპირ საჰაერო ფრენებზე აკრძალვის მოხსნა მსგავსი რისკის სამომავლოდ განმეორების პერსპექტივასაც აჩენს. აღსანიშნავია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ფრენების განახლებას, ქვეყნის დასავლელი პარტნიორებისგან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, უკრაინის სახელმწიფომ კი ქართულ ავიაკომპანიას სანქციები დაუწესა.

საქართველოს ეკონომიკისთვის რისკის მატარებელია, ასევე, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა. 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ამ ორ ქვეყანას შორის გამართულმა სამომარმა მოქმედებებმა უარყოფითად იმოქმედა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და გააჩინა უარყოფითი მოლოდინები. დღეისთვის კონფლიქტის აქტიური ფაზა შეჩერებულია, თუმცა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრისა და მთიანი ყარაბაღის რაიონში დაძაბულობა გრძელდება. ამიერკავკასიაში გაყინულმა კონფლიქტებმა, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს რეგიონში, მათ შორის საქართველოში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებაზე, ტურიზმის სექტორსა და ეკონომიკის სხვა ასპექტებზე. მისმა განახლებამ შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს რეგიონში, მათ შორის საქართველოში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებასა და ტურიზმის სექტორზე და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს როგორც ენერჯის სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში;
- ცვლილება ქართველი მწარმოებლებისთვის მსოფლიო საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობაში ;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება .
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკა წარმოადგენს მცირე ზომის ღია ეკონომიკას; საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკა ხასიათდება დაბალი ტარიფებით და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით. შესაბამისად 2021 წელს საგარეო სავაჭრო გახსნილობის დონემ (საქონლისა და მომსახურების ექსპორტი + საქონლისა და მომსახურების იმპორტი)/მშპ 103.5%, 2022 წელს კი 117.3% შეადგინა. შედეგად საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მომხდარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე. მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკური პარამეტრების (ინფლაცია, მშპ-ს რეალური ზრდა, გაცვლითი კურსები და ა.შ.) გადაცემა საქართველოს ეკონომიკაზე ხდება ისეთი გზებით როგორებიცაა იმპორტი, ექსპორტი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი ინვესტიციები და ა.შ.

**1.3. “კომპანიის” საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;**

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა შეზღუდულია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2022 წელს ლარი-აშშ დოლარის და ლარი-ევროს ბაზრებზე სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობამ (მათ შორის, გაყიდვებისა და

შესყიდვების ჯამი, ეროვნული ბანკის საქმიანობის გარდა) შესაბამისად 33.7 მილიარდი აშშ დოლარი და 6.8 მილიარდი ევრო შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით მისმა ოფიციალურმა რეზერვებმა 2023 წლის 30 აპრილის მდგომარეობით 5.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ისტორიულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 34.2%-ით მეტია. ინტერვენციების შედეგად აშშ დოლარის რეზერვების მკვეთრი ზრდის საშუალება ეროვნულ ბანკს მნიშვნელოვნად გაზრდილმა სავალუტო შემოდინებებმა მისცა. რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო მნიშვნელოვნად გაუფასურდება, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე. წლების მანძილზე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. მათგან აღსანიშნავია: 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი, 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი საჭაერო ფრენები აკრძალვა, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემა (რა დროსაც გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 3.48 ლარს 1 აშშ დოლარზე, მიაღწია), რუსეთის შეჭრა უკრაინაში. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნისშიდა მაღალი აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარება დაიწყო და არაბათუ თებერვალსა და მარტში მირებული დანაკარგები აღიდგინა, არამედ 2.5-იან ნიშნულსაც კი ჩამოსცდა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ადგილობრივი ვალუტის სიმყარის შენარჩუნებას მკაცრი მონეტარული პოლიტიკითაც შეუწყო ხელი. აგრეთვე, ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქსტატის შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2018 წელს 2.6%, 2019 წელს 4.9%, 2020 წელს 5.2%, 2021 წელს 9.6% და 2022 წელს 9.8% იყო. მაღალი ინფლაციის საპასუხოდ 2022 წლის მარტში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი კიდევ 0.5 პროცენტული ერთეულით, 11%-მდე გაზარდა და მხოლოდ 2023 წლის მაისში შეამცირა 10.5%-მდე, მას შემდეგ რაც წლიური ინფლაციის დონე აპრილში 2.7%-ს გაუტოლდა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ინფლაცია გლობალური ფენომენი იყო და ძირითადად მიწოდების მხარის ფაქტორებმა გამოიწვია, მკაცრი მონეტარული პოლიტიკა ეხმარება სებ-ს ინფლაციის მიზნობრივ დონემდე შემცირებაში. ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კორპორაციული კლიენტების ბიზნესებზე. ეს, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე. გარკვეული რისკის შემცველი შეიძლება იყოს ინფლაციისა და პარალელურად სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირების მიმდინარე პროცესიც, რომელიც სამომავლოდ ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინებს შედარებით აძლიერებს. „კომპანიას“ აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი აქვს სხვადასხვა ვალუტებში. დეტალური ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით იხილეთ თავში “სავალუტო პოზიცია”.

#### **1. 4. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა პანდემია, ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე.**

მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა პანდემია, ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური მოვლენები და სხვა, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. ერთის მხრივ, ჩამოთვლილმა მოვლენებმა შესაძლოა დააზიანოს კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივები, რითიც ემიტენტს შეუჩერდება ოპერაციების განხორციელების საშუალება. ასეთ დროს, კომპანია დაკარგავს შემოსავლებსა და მოგების გენერაციის საშუალებას.

მეორეს მხრივ, მოულოდნელმა და მასობრივმა მოვლენებმა შესაძლოა მატერიალური გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის ქვეყნის მოსახლეობაზე, რომლებიც ემინენტისთვის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ისეთი მასშტაბური და მოულოდნელი უარყოფითი მოვლენების შედეგად, მაგალითად როგორც იყო COVID-19 პანდემია, ხდება სამუშაო ადგილების დაკარგვა, ეკონომიკის დაღმასვლა, რაც აღარბეზს მოსახლეობას. საქსტატის მიხედვით, 2020 წელს, რეალური მშპ-ს კლებამ 6.8% შეადგინა. ასეთ დროს, კომპანიას შესაძლოა გაუჭირდეს პორტფელის ზრდა და არსებული გაცემული სესხების ამოღება. ორივე შემთხვევას უარყოფითი ფინანსური ეფექტი ექნება ემიტენტზე.

#### **1.5. საქართველოში არსებულმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.**

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია გაიარა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაიქცა. პოლიტიკური გარემო საქართველოში მკვეთრად ცვალებადი იყო 1990-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში. 2003 წელს საქართველოში მომხდარი მშვიდობიანი რევოლუციის შემდეგ, რომელიც ცნობილია „ვარდების რევოლუციის“ სახელით, 2004 წლის იანვრიდან 2013 წლის ნოემბრამდე საქართველოს პრეზიდენტი იყო მიხეილ სააკაშვილი. 2012 წლის ოქტომბერში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. 2013 წლის მარტში პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებითაც კიდევ უფრო შეიკვცა საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციები. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი ან პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

საქართველოს წამყვან პოლიტიკურ პარტიებს, მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის, მძაფრი კონკურენციაა. კონკურენციის რთულ პოლიტიკურ დაპისპირებაში გადასვლამ, შესაძლოა, პოლიტიკური კრიზისი გააჩინოს და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო პროცესებს საქართველოში. ნებისმიერმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შეიძლება, ნეგატიური გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართა საქართველოს საპარლამენტო არჩევნები. არჩევნების შედეგებით, მმართველმა პარტიამ მოახერხა პარლამენტში უმრავლესობის მოპოვება. ოპოზიციურმა პარტიებმა ახალი მოწვევის პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადეს.

პოლიტიკური დამაბულობის განმუხტვას შეეცადა ევროკავშირი თავისი სპეციალური წარმომადგენლის, შარლ მიშელის მეშვეობით გამართული მედიაციის პროცესით. შედეგად, 2021 წლის 19 აპრილს ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის შედგა შეთანხმება რამდენიმე არსებით პუნქტზე, მათ შორის, სასამართლოს არსებით რეფორმაზე. ამასთან, შეთანხმდა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნებოდა 2022 წელს იმ შემთხვევაში, თუ 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია „ქართული ოცნება“ მიიღებდა ნამდვილი პროპორციული ხმების 43% -ზე ნაკლებს. მოგვიანებით ქართული ოცნება ამ შეთანხმებიდან გავიდა. ხელშეკრულებიდან გასვლის მთავარ მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ - ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ შეთანხმებას ხელი არ მოაწერა.

პოლიტიკური კრიზისის და ე.წ. „შარლ მიშელის შეთანხმების“ ფონზე, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა 2021 წლის 2 ოქტომბერს დანიშნულმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური მონაცემებით, არჩევნების პირველ ტურში ქართულმა ოცნებამ ხმათა 46% აიღო. რამდენიმე თვითმმართველ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ზუგდიდი) დაინიშნა არჩევნების მეორე ტური მერის ასარჩევად. ამასთან, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დააპატიმრეს ქვეყანაში დაბრუნებული მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, რამაც მისი მომხრეების პროტესტი და გარკვეული პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია მოახდინა. არჩევნების მეორე ტური ჩატარდა 2021 წლის 30 ოქტომბერს სადაც ხმათა უმრავლესობით პარტია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ხოლო დაპატიმრებულმა მიხეილ სააკაშვილმა შიმშილობა შეწყვიტა.

2023 წლის მდგომარეობით მოქმედი პარლამენტი დაკომპლექტებულია და განაგრძობს საკანონმდებლო საქმიანობას.

ნებისმიერმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

2023 წლის 5 აპრილს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა „საჯარო თანამდებობის ბოროტად გამოყენების“ და „კორუფციულ საქმიანობაში ჩართვის“ გამო სანქციები დაუწესა სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს. სანქციები ვრცელდება მათი ოჯახის წევრებზეც. აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვან რეპუტაციულ ზიანს აყენებს საქართველოს მართლმსაჯულების სისტემას და ამცირებს სანდოობას.

გარდა ამისა, საქართველოში სეპარატისტული რეგიონების, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონის, არსებობამ შესაძლოა, რისკი შეუქმნას ქვეყნის სტაბილურობას და უსაფრთხოებას. ამან კი შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „კომპანიის“ საქმიანობას. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში რუსეთმა საომარი მოქმედებები დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. ამ ომმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მის სექტორებს. ოკუპირებული ტერიტორიები კვლავ რჩება მნიშვნელოვან დაძაბულობის კერად, რადგან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები დისლოცირებულია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა რუსეთმა და ოთხმა სახელმწიფომ აღიარა

#### **1.6. ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.**

ადრეულ 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს საზოგადოებამ და ეკონომიკამ განიცადა სწრაფი ტრანსფორმაცია ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფოდან საბაზრო ეკონომიკის მქონე პლურალისტულ დემოკრატიად. აღნიშნული ტრანსფორმაციისთვის პერიოდულად დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი არასტაბილურობა, რაც იწვევდა მშპ-ს შემცირებას, ჰიპერინფლაციას, ვალუტის არამდგრადობას, სახელმწიფო ვალების მაღალ დონეს მშპ-თან მიმართებით, „შავი“ და „ნაცრისფერი“ ბაზრის ეკონომიკის არსებობას, უმუშევრობის მაღალ დონეს და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გადარიბებას.

2008 და 2009 წლებში მომხდარი ეკონომიკური ვარდნის შემდგომ, 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკა ზრდას დაუბრუნდა. აღსანიშნავია, რომ რეგიონალური კრიზისის ფონზე, საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ გამოავლინა მდგრადობა და შეინარჩუნა დადებითი ზრდის ტემპი. პანდემიის დაწყებამდე, საქართველოს საშუალო ეკონომიკური ზრდა 2017-2019 წლებში შეადგენდა 4.9%-ს (2017 წელი, 4.8%, 2018 წელი, 4.8%, 2019 წელი, 5.0%). კოვიდ-19 პანდემიამ საკმაოდ მძიმე გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. მკაცრმა და არაპროგნოზირებადმა შეზღუდვებმა დააზიანა



მრავალი სექტორი. მათ შორის მნიშვნელოვნად დაზიანდა ტურიზმი, რომლის ხვედრითი წილი საქართველოს ეკონომიკაში სტაბილურ პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.8%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. 2021 წელს მოხდა ეკონომიკის მნიშვნელოვანი აღდგენა. კერძოდ, 2020 წელთან შედარებით, რეალური მშპ გაიზარდა 10.5%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი 3.0%-ით. ზრდის მაღალი ტემპი შენარჩუნდა 2022 წელსაც და მშპ-ის წლიურმა ზრდამ 10.1% შეადგინა. რუსეთ-უკრაინის ომის თავდაპირველი უარყოფითი ეფექტების მიუხედავად, ტურიზმის მოსალოდნელზე უფრო სწრაფად აღდგენამ, შემოსული ფულადი გზავნილების ზრდამ და იმიგრაციასთან დაკავშირებულმა ნაკადებმა ხელი შეუწყო საგარეო პოზიციის გაძლიერებას და შიდა მოთხოვნის შენარჩუნებას. ზედიზედ ორწლიანი ორნიშნა ზრდის შემდეგ, 2023 წელს მოსალოდნელია ზრდის ნომალიზება დაახლოებით 7%-ის ფარგლებში<sup>8</sup>.

პანდემიის პერიოდში ასევე მოხდა მთავრობის ვალის მნიშვნელოვანი მატება. კერძოდ, 2020 წელს, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მთავრობის ვალის შეფარდებამ მშპ-თან გადააჭარბა თავისუფლების აქტით განსაზღვრულ 60%-იან ნიშნულს და შეადგინა 60.2%. 2018 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 38.9%-ს, ხოლო 2019 წელს, 40.4%-ს. თუმცა, მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ და მთავრობის ფისკალური კონსოლიდაციის პოლიტიკამ 2021 და 2022 წლებში სამთავრობო ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირება გამოიწვია 49.7% და 41.4%-მდე, შესაბამისად. იმის პარალელურად, რომ სამთავრობო ვალის მშპ-თან ფარდობის კლება უნდა გაგრძელდეს, მთავრობის ფინანსური პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენს მთლიან ვალში საგარეო ვალის წილის შემცირება და შიდა ვალის წილის ზრდა.

2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1,352.2 მილიონი აშშ დოლარი, რაც 1.4%-ით აღემატებოდა 2018 წლის მაჩვენებელს. 2020 წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საგრძნობლად შემცირდა და მაჩვენებელმა 589.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო არარეზიდენტი კომპანიიდან რეზიდენტი კომპანიისადმი საკუთრების გადაცემა. 2021 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1,241.8 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 2022 წელს ეს მაჩვენებელი 61.1%-ით გაიზარდა რეკორდულ 2 მილიარდ აშშ დოლარამდე. წლიური კლების მიუხედავად ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტორი ქვეყანა კვლავ გაერთიანებული სამეფო იყო, საიდანაც 2022 წლის განმავლობაში ჯამური ინვესტიციების 21.4% შემოვიდა. დანარჩენი ქვეყნების შეთხვევაში წინა წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 146.3%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 41.0%-ით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქსტატის მონაცემებით, 2019 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მშპ-ის 7.7% შეადგინა, 2020 წლის მონაცემებით მხოლოდ 3.7% შეადგინა, 2021 წელს 6.7%, 2022 წელს კი 8.1%. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფოს გარდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთ ძირითად წყაროს ასევე წარმოადგენს თურქეთი, რომლიდანაც ინვესტიციები 2019 წლის დონეს ჯერ არ დაბრუნებია თუმცა წლიურად მზარდია. ამ მონაცემების შესაბამისად და იმის გათვალისწინებითაც, რომ თურქეთი საქართველოს მეზობელი ქვეყანაა, აღნიშნულ ქვეყანაში ეკონომიკის შემცირებამ, ვალუტის გაუფასურებამ და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოში არსებულ ეკონომიკურ და/ან პოლიტიკურ მდგომარეობაზე და გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

ტურიზმის მხრივ 2020 წელს პანდემიის ფონზე საქართველოში 1.75 მილიონი ვიზიტორი შემოვიდა (- 81.3% წ/წ). ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს და დიდი ზეგავლენა აქვს მთლიანი ეკონომიკის ზრდაზე. 2021 წელს საქართველოში ჯამში შემოვიდა 1.88 მილიონი ვიზიტორი (7.7% წ/წ 2021/2020, -79.9% წ/წ 2021/2019). 2022 წელს ქვეყანაში 5,526,903 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, რაც 2021 წელთან შედარებით 188.5%-ით მეტია, 2019 წლის მონაცემებთან შედარებით კი საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტების

<sup>8</sup> „თიბისი ჯგუფის“ მთავარი ეკონომისტის პროგნოზის მიხედვით

აღდგენის მაჩვენებელმა 58.0% შეადგინა. 2023 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით კი საქართველოში 1.2 მილიონი ვიზიტი განხორციელდა, რაც გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 109.6%-ით მეტია, 2019 წელთან შედარებით აღდგენა კი 74.7%-ია.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ტურისტული ვიზიტების აღდგენის დინამიკა. 2022 წელს საქართველოში 4,703,945 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა. 2021 წელთან შედარებით ზრდამ 173.3% შეადგინა, 2019 წელთან შედარებით აღდგენამ კი 60.9%. 2023 წლის პირველი კვარტლის მონაცემების მიხედვით ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 1.1 მილიონს შეადგენს, რაც წლიურად 106.0%-იან ზრდას, 2019 წლის ნალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 79.9%-იან აღდგენას ნიშნავს. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მაჩვენებელმა 2019 წლის მონაცემებს უკვე 2022 წელს გადააჭარბა 7.6%-ით და 3.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. 2023 წლის პირველ კვარტალში ტურისტული შემოსავლების წლიური ზრდა 102%-ია, 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით ზრდა კი 37.5%. თუმცა ტურიზმის სტატისტიკაზე საუბრისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ 2022 წელს ქვეყანაში რუსი, ბელარუსი და უკრაინელი მიგრანტების შემოდინება, რომელთა დაახლოებით მესამედსაც საქართველოს ეროვნული ბანკი რეზიდენტებად თვლის და 2023 წლიდან ტურიზმის სტატისტიკაში აღარ ასახავს.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ვირუსიდან მომდინარე გაურკვეველმა და არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა პირობებმა, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით. ამან მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების.

2020 წლის 11 მარტს კოვიდ-19 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად გამოცხადდა და გაგრძელდა 3 წლის განმავლობაში. WHO-ს მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით აღრიცხულია 765 მილიონზე მეტი ინფიცირების შემთხვევა და კორონავირუსით გამოწვეული 7 მილიონი სიკვდილი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ 2023 წლის 5 მაისს გააუქმა COVID-19 გლობალური პანდემიის სტატუსი.

#### **1.7. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“ და ინვესტორებზე.**

საქართველო ჯერ კიდევ ავითარებს ადეკვატურ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისთვის. ძირითადი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა 1990-იან წლებში, ხოლო რამდენიმე ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტი (როგორცაა საგადასახადო კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არბიტრაჟის შესახებ კანონი და ა.შ.) რამდენჯერმე ფუნდამენტურად შეიცვალა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ეჭვები ამ საკანონმდებლო აქტების ხარისხთან და აღსრულებადობასთან მიმართებით, და ასევე გამოიწვია გაუგებრობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა და მისი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს გაუგებარი და ცვალებადი, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებელმა პირებმა და საწარმოებმა, მიუხედავად მათ მიერ მიღებული ყველა გონივრული ზომისა, მაინც ვერ დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები.

აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ჯარიმები, გაყინული საბანკო ანგარიშები და ნებართვების გაუქმება.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემამ რეფორმის რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომლის ფარგლებშიც მოხდა რეფორმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზირების მიმართულებით, შეიქცვლა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი, საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის ამოქმედება და მოხდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მიუხედავად ამისა, დღემდე არსებობს ლეგიტიმური კითხვები სასამართლოს მიუკერძოებლობას, ეფექტურობასა და კვალიფიკაციასთან მიმართებით. საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებისადმი ნდობის ნაკლებობის და სასამართლოში ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, სასამართლო პროცესები შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. როგორც წესი, სხვა დასავლურ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებს ნაკლები გამოცდილება აქვთ კომერციულ და კორპორაციულ სამართალში. სასამართლო პრეცედენტებს არ აქვს სავალდებულო ძალა შემდგომ გადაწყვეტილებებზე და კომპანიები რჩებიან საკანონმდებლო ხელისუფლების რეაგირების იმედად. გაურკვევლობამ საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლებელია ნეგატიურად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

#### **1.8. შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების საფუძველზე (DCFTA) საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით**

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“) და ამოქმედდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ემიტენტის საქმიანობის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების ჭრილში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ან შესაძლოა შევიდეს კორპორაციული სამართლისა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობებში:

- **საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“:** 2021 წლის 02 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია („ახალი მეწარმეთა კანონი“), რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 01 იანვრიდან. განახლებული კანონმდებლობა მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. განახლებული კანონის ფარგლებში ხდება კაპიტალის ტიპების გამიჯვნა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნება და ა.შ.
- **ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა:** ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ხდება ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროპის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ძალაში შევიდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც სწორედ

ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის: კანონი ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციის აკრძალვასთან და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების აკრძალვის შესახებ, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებით დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო. განისაზღვრა მოთხოვნები მათ მიერ პერიოდული თუ მიმდინარე ანგარიშგებების წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, მას შემდეგ რაც საქართველო 2000 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. მაგალითად ცვლილებები მოიცავს შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს შრომის სფეროში არსებული რეგულაციების დაახლოებას ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებთან. აღნიშნული ცვლილებები დამსაქმებლებისგან მოითხოვდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, გაზრდილ კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთიდან ორი თვის ხელფასის ოდენობით), მუშაკთა გაძლიერებულ უფლებებს დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვას მკაფიო მიზეზის გარეშე და გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

დამატებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად ან სხვა განხორციელებული, რეგულირების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებებთან შესაბამისობის დასამყარებლად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რამხელა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

**1.9. საქართველოს საგადასახდო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება „კომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახდო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.**

საქართველოში პირველი საგადასახდო კოდექსი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ამჟამად მოქმედი საგადასახდო კოდექსი 2010 წელსაა მიღებული და ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შედეგად, საქართველოს საგადასახდო კანონმდებლობის აღსრულების გაცილებით უფრო მოკლე გამოცდილება გააჩნია ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, სადაც საგადასახდო კანონმდებლობის პრაქტიკა ათწლეულების და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახდო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები ხშირად გაუგებარია და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახდო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახდო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე. წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა).

2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ცვლილებები საგადასახადო კანონში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე (რომელიც 2022 წლის ბოლოს გაგრძელდა 2026 წლის 1 იანვრამდე) საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას და არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას.

სამინისტროებსა და სამთავრობო ორგანოებში, მათ შორის, საგადასახადო ორგანოებში, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რაც ქმნის გაურკვევლობასა და გაუგებრობას მათ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსი იძლევა საგადასახადო ორგანოებისთვის მიმართვის შესაძლებლობას, გადასახადის გადამხდელების მიერ დაყენებული საგადასახადო საკითხების წინასწარ გადაწყვეტის მიზნით. „კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

## **მარეგულირებელის რისკები**

**1. 10. „კომპანიაზე“ ვრცელდება სხვადასხვა კანონი და რეგულაცია. მოქმედი კანონების და რეგულაციების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს მარეგულირებელი ზომების მიღება, რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, ოპერაციებსა და მომგებიანობაზე.**

საქართველოში კომპანიის ოპერაციები და საქმიანობა ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სექტორებში რეგულირდება დარგის სპეციფიური კანონებით და რეგულაციებით, რომლებიც ზღუდავენ და გავლენას ახდენენ „კომპანიის“ ოპერირების და საქმიანობის წესზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: „მარეგულირებელი გარემო“

„კომუნიკაციების კომისია“ ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს კომპანიის მიერ ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში კანონმდებლობისა და რეგულაციების და სალიცენზიო პირობების დაცვაზე. „კომპანიის“ მიერ კანონმდებლობისა და რეგულაციების შეუსრულებლობამ, მათ შორის კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დაკისრებული კონკრეტული ვალდებულებების დარღვევამ ან/და ელექტრონული კომუნიკაციების ან მაუწყებლობის დარგში ლიცენზი(ებ)ის პირობების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს ადმინისტრაციული სანქციების და ჯარიმების დაკისრება და ზოგიერთ შემთხვევაში კომპანიის ლიცენზი(ებ)ის ან ავტორიზაციის გაუქმება. ამასთან, სადავო საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, რომლებიც ცოტა ხნის წინ შეტანილ იქნა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, „კომუნიკაციების კომისიას“ მიენიჭა უფლებამოსილება დაუნიშნოს ოპერატორს სპეციალური მმართველი, რომელიც გადაიბარებს მართვას და განახორციელებს კონტროლს შესაბამის ოპერატორზე, რათა უზრუნველყოს კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება ოპერატორის მიერ დაშვებულ გარკვეულ დარღვევებთან დაკავშირებით. ცვლილებების მიხედვით, სპეციალური მენეჯერი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ტელეკომუნიკაციის ოპერატორის მიერ გარკვეული სახის დარღვევების შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობების დაკმაყოფილებისას.

დარგის სპეციფიური კანონების და რეგულაციების გარდა, „კომპანიის“ ოპერაციებზე ასევე ვრცელდება სხვადასხვა კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ბიზნესზე, მაგალითად დასაქმების, ჯანდაცვის და უსაფრთხოების, სამშენებლო ნებართვების, კონკურენციის, გარემოს დაცვის და პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობა. აქედან გამომდინარე, „კომპანიის“ საქმიანობაზე შესაძლოა არსებითი და უარყოფითი გავლენა იქონიოს მოქმედი კანონების ინტერპრეტაციამ და აღსრულებამ და ამ კანონებში მომავალში შეტანილმა ცვლილებებმა. აღნიშნული კანონების, წესების და რეგულაციების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სანქციები და ჯარიმები, „კომპანიაზე“ გავრცელდეს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის სააღსრულებო ზომები, რომელთაგან ნებისმიერმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ რეპუტაციაზე, ბიზნესსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

**1. 11. ცვლილებებმა კანონებსა და პოლიტიკაში, მათ შორის ელექტრონულ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიაზე“.**

საქართველო ჯერ კიდევ ამუშავებს საკანონმდებლო ბაზას რამდენიმე სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული კანონების მხრივ, რომლებიც ახლახანს შევიდა ძალაში. კანონების შედარებით ცოტა ხნის წინ მიღებამ და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია ბუნდოვანება და შეუსაბამობა მათ მოქმედებაში, მათ შორის აღსრულების კუთხით. მარეგულირებელ ნორმებსა და პოლიტიკაში ცვლილებები ხშირად არაპროგნოზირებადია. ნებისმიერი ასეთი ცვლილება „კომპანიის“ კონტროლის მიღმა და შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მის ბიზნესზე. შეცვლილ გარემოსთან ადაპტაციის პროცესმა შესაძლოა შეაფერხოს „კომპანიის“ განვითარება, შეზღუდოს ბაზარზე ახალი პროდუქტების შემოტანის შესაძლებლობა, შექმნას დამატებითი საგადასახადო ტვირთი, რაც გამოიწვევს პოტენციური მომხმარებლების ინტერესის დაკარგვას სხვადასხვა ელექტრონული საკომუნიკაციო სერვისების შექმნაში.

„კომპანიას“ არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს რაიმე შემოთავაზებული ან მომავალი ცვლილებების გავლენა გარემოზე, რომელშიც ის ოპერირებს. რეგულაციების ნებისმიერმა მომავალმა ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შემოსავლებზე და მოითხოვოს დამატებითი ხარჯები, ან სხვა ფორმით იქონიოს არსებითი უარყოფითი გავლენა „კომპანიის“ ბიზნესსა და მომგებიანობაზე. ამასთან, „კომპანიას“ შესაძლოა მოუწიოს თავისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა, რათა შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან, რაც შესაბამის ხარჯებთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, განახლებული პროცედურების მონიტორინგმა შესაძლოა წარმოქმნას დამატებითი ხარჯები და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მომგებიანობაზე.

#### **1. 12. „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ შეინარჩუნოს და დაიცვას მომხმარებლების და თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია**

„კომპანია“ ამუშავებს თავისი მომხმარებლების, საქმიანი კონტაქტების და თანამშრომლების პერსონალურ მონაცემებს, (მათ შორის ვინაობას, მისამართს, ასაკს და მესამე მხარის მეშვეობით საბანკო რეკვიზიტებს) მისი ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარედა შესაბამისად, ეს მას ავალდებულებს, რომ აკმაყოფილებდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოქმედ რეგულაციებს. საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონები და სტანდარტები „კომპანიას“ უწესებს გარკვეულ მოთხოვნებს მონაცემთა დამუშავების მხრივ, რაც მოიცავს პერსონალური მონაცემების შეგროვებას, გამოყენებას, შეცვლას, გავრცელებას, დაბლოკვას, განადგურებას და შენახვას. მონაცემთა დაცვის ეფექტური კონტროლის შეუსრულებლობამ პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლოა გამოიწვიოს ადმინისტრაციული ჯარიმები.

პარლამენტმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელ ჩარჩოში შეიტანა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს პერსონალური მონაცემთა დაცვის სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის სტანდარტებთან (რეგულაცია (EU) 2-16/67). მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის შესახებ კანონებისა და რეგულაციების აღსრულების წესი ან ინტერპრეტაცია შესაძლოა შეიცვალოს და შესაძლოა მიიღონ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ახალი კანონები და რეგულაციები, მათ შორის პერსონალური მონაცემების დამუშავების შემდგომი რეგულირების ან შეზღუდვის მიზნით. თუ კანონებისა და რეგულაციების არსებული ინტერპრეტაცია შეიცვლება ან დაწესდება ახალი რეგულაციები, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე.

ამასთან, ახალმა კანონებმა შესაძლოა გაზარდოს კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები და კანონების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს ჯარიმები. ასევე, კანონებმა შესაძლოა შეზღუდონ კომპანიის შესაძლებლობა მოახდინოს კონვერგენტული მოდელის პოპულარიზაცია, პროდუქციის ჯვარედინი რეალიზაცია მომხმარებლებზე და მოამზადოს გარკვეული ტიპის შეთავაზებები მესამე მხარეებთან ერთად. ამ ფაქტორებმა შესაძლოა თავის მხრივ არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინონ კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივაზე.

#### **1. 13. საქართველოში მოქმედმა კონკურენციის მარეგულირებელმა კანონებმა შესაძლოა გაზარდოს კონკურენცია, შეამციროს ოპერირების დაწყების ბარიერები, დააწესოს შეზღუდვები და შეზღუდოს „კომპანიის“ ზრდა და მიმართოს ანტიმონოპოლიურ და სხვა მოკვლევებს ან სამართლებრივი პროცედურებს.**

საქართველოში მოქმედმა მარეგულირებელმა პოლიტიკამ შესაძლოა შეზღუდოს „კომპანიის“ შემდგომი ადგილობრივი შესყიდვები, ქსელის გაფართოება, ან კონკრეტული პრაქტიკის ჩართვა ბიზნესის მიმართულებებში, სადაც ის არის ბაზრის წამყვანი მოთამაშე და ფლობს ბაზრის მნიშვნელოვან წილს. ამ კანონებმა და პოლიტიკამ შესაძლოა ასევე

შეზღუდოს „კომპანიის“ ზრდა, შემოსავლები ან/და მომგებიანობა. გარდა ამისა, ამ კანონებისა და პოლიტიკის დარღვევამ შესაძლოა „კომპანიას“ ადმინისტრაციული ჯარიმები და სხვა სანქციები დააკისროს.

„კომპანიას“ არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, რა გავლენას მოახდენს მის ოპერაციებზე და პერსპექტივებზე ანტიმონოპოლიური მოკვლევები ან ნებისმიერი გამოძიება საქართველოში ანტიმონოპოლიური მარეგულირებელი ორგანოების ან რომელიმე მესამე მხარის მიერ. ამასთან, ნებისმიერი ასეთი მოკვლევის შედეგად დაწესებული ჯარიმა ან სხვა სანქცია, რომელიც დაეკისრება „კომპანიას“ შესაბამისი ანტიმონოპოლიური ან კონკურენციის უწყებების მიერ, ან რაიმე აკრძალვა „კომპანიის“ მიმართ.

კონკურენციის კუთხით დარგის სპეციფიური კონკრეტული რეგულაციების გარდა, „კომპანიაზე“ ასევე ვრცელდება საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, რომელიც ვრცელდება ყველა საწარმოზე, ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მომუშავე ეკონომიკური სუბიექტების ჩათვლით და ზღუდავს მათ საქმიანობას. 2020 წლის სექტემბერში პარლამენტმა მიიღო ცვლილებები „კონკურენციის შესახებ“ კანონში, რომელიც აძლიერებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირებადი სფეროების, მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის რეგულაციების გამოყენებას და აღსრულებას. ასევე, ამ ცვლილებების თანახმად, კონკურენციის სააგენტო და კომუნიკაციების ეროვნული კომისია ერთმანეთთან ითანამშრომლებენ ეკონომიკის რეგულირებად სექტორებში კონკურენციის დარღვევების გამოძიების და პრევენციის მიზნით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებების შესაბამისად. აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კონკურენციის წესების შესრულების უფრო მკაცრი კონტროლი. მარეგულირებელ რეჟიმში ნებისმიერი ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვან ტვირთად დააწვეს კომპანიას უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ოპერაციებზე, მომგებიანობაზე და მომავალი განვითარების პერსპექტივაზე.

**1.14. „კომუნიკაციების კომისიამ“ შესაძლოა შემოიღოს ფასების კონტროლთან დაკავშირებული რეგულაციები, რაც რისკს შეუქმნის „კომპანიის“ მომგებიანობას**

2020 წელს კომისიამ ჩაატარა ბაზრის მიმოხილვა მობილური მომსახურების ბაზრის მიმართულებით და ფასის კონტროლის ვალდებულება დააკისრა სილქნეტს, მაგთიკომს და „სელფი მობაილს“, როგორც „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის“ მფლობელებს. ამასთან, აღნიშნული მობილური ქსელის ოპერატორები ვალდებულნი იყვნენ გაეწიათ მომსახურება ხარჯზე ორიენტირებული ტარიფებით და წინასწარ შეეთანხმებინათ სატარიფო გეგმების/პაკეტების ცვლილებები/გაუქმება „კომუნიკაციის კომისიასთან“. მიუხედავად იმისა, რომ „კომუნიკაციების კომისიამ“ 2021 წლის ივლისში გააუქმა ფასების კონტროლის ვალდებულება საცალო ბაზრისთვის, არსებობს შესაძლებლობა, რომ კომისიამ ხელახლა შემოიღოს ეს რეგულაცია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს „ემიტენტის“ შემოსავლის შემცირება. ამასთან, გაურკვეველია, დათანხმდება თუ არა კომპანია ფასების კონტროლის ახალ რეგულაციას, ან გამოიწვევს თუ არა ეს დავას კომისიასა და „კომპანიას“ შორის. შემოსავლების შემცირებამ ან „კომუნიკაციების კომისიასთან“ დავამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივაზე.

**2. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები:**

**2.1. „კომპანიაზე“ ვრცელდება საქართველოში ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული რისკები.**

„კომპანია“ მომხმარებელს სთავაზობს ელექტრონული კომუნიკაციის სერვისების მრავალფეროვან არჩევანს. შესაბამისად, მომავალში „კომპანიის“ შემოსავლებისა და მოგების ზრდა დამოკიდებულია საქართველოში



ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის განვითარებაზე. „კომპანიის“ შემოსავალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორები, მაგალითად ინფლაცია, გაცვლითი კურსი, უმუშევრობა, საპროცენტო განაკვეთები და სხვა.

საქართველოში ან მის ნებისმიერ რეგიონში, სადაც „კომპანიას“ მნიშვნელოვანი რაოდენობის მომხმარებელი ყავს, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, შესაძლოა შეამციროს მოთხოვნა „კომპანიის“ მომსახურებებზე. პროდუქტის განვითარების და სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრისას „კომპანია“ ცდილობს შეაფასოს სამიზნე აუდიტორიის მოთხოვნები და კონკურენტული გარემო თუმცა, მასშტაბური ეკონომიკური პრობლემების შემთხვევაში გათვლები შესაძლოა არაზუსტი აღმოჩნდეს და ასეთ დროს „კომპანია“ ვეღარ შეძლებს რეაგირებას, რამაც კონკურენტულ გარემოში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მომხმარებელთა ბაზის მოცულობასა და შემოსავალზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ რისკები: „საქართველოში არსებულმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე“ და „კომპანია შესაძლოა წააწყდეს გაზრდილ კონკურენციას ახალ მოთამაშებთან ან მოქმედ სატელეკომუნიკაციო ოპერატორებთან იმ ბაზრებზე, რომლებშიც „კომპანია“ ოპერირებს.“.

„კომპანია“ ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურებას უწევს როგორც კორპორატიულ, ასევე ინდივიდუალურ მომხმარებლებს. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადამიანების და კომპანიების შემოსავალზე, რაც თავის მხრივ შეამცირებს მომხმარებლის მიერ გადახდისუნარიანობას „კომპანიის“ მომსახურების საფასურის მიმართ. ნებისმიერმა ფაქტორმა, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ მსხვილ კორპორატიულ კლიენტებზე ან ზოგადად მოსახლეობის შემოსავალზე, შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლების მიერ საფასურის დროულად და სრულად გადახდის შეფერხება, რაც უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ ფინანსურ მაჩვენებლებზე.

## **2.2. „კომპანიის“ შემოსავალსა და მოგებაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის ზრდის შენელებამ.**

„კომპანიის“ შემოსავლების და მოგების ზრდა დამოკიდებულია სატელეკომუნიკაციო სერვისების ბაზრის განვითარებასა და საქართველოში მომხმარებლების მიერ ტელეკომუნიკაციაზე გაწეულ საშუალო ხარჯებზე. ტელეკომუნიკაციის სერვისების მოცულობა ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა „კომუნიკაციების კომისიის“ და საქსტატის მონაცემების მიხედვით, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სექტორის ზრდა ნაკლებია საქართველოს ეკონომიკის ზრდასთან შედარებით, რაც გამოიხატება ტელეკომუნიკაციები სექტორის წილის კლებით ჯამურ მშპ-ში (2016 წელს 2.0%, ხოლო 2022 წელს 1.7%. მეტი დეტალისთვის გთხოვთ, იხილოთ „ინდუსტრიის აღწერის“ სექციაში „ტელეკომუნიკაციების სექტორის მაკროეკონომიკური მიმოხილვა“). დამატებით გასათვალისწინებელია, რომ დაფარვის მასშტაბის მატებასთან ერთად „კომპანიისთვის“ შესაძლოა გართულდეს დამატებითი მობილური აბონენტების მოზიდვა და შესაბამისად, მომხმარებელთა ბაზის ზრდა. შედეგად, „კომპანიის“ მომავალი შემოსავლების ზრდა შესაძლოა დამოკიდებული იყოს ერთ აბონენტზე დანახარჯების ზრდაზე და არა მომხმარებელთა რაოდენობის ზრდაზე, ხოლო აღნიშნული ზრდა შესაძლოა არ შეესაბამებოდეს მენეჯმენტის მიერ პროგნოზირებულ ზრდას. ამის გათვალისწინებით, საქართველოს ტელეკომუნიკაციის ბაზრის ზრდის შენელებამ შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, შედეგებსა და პერსპექტივებზე.

## **2.3. ხმოვანი საუბრების წუთების კლებადმა ტენდენციამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ შემოსავალსა და მომგებიანობაზე**

შემოსავალი ხმოვანი მომსახურებიდან სელფი მობაილის ჯამური შემოსავლების 29.6%-ს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ხმოვანი საუბრების სევმენტი ბაზარზე კლებადი ტრენდით გამოირჩევა, კერძოდ, 2016-2022 წლებში ბაზრის ჯამური შემოსავლები 8.0%-ით შემცირდა. შემოსავლების კლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ისეთი ინტერნეტ-

აპლიკაციების განვითარება, რომლებიც მომხმარებელს იმავე სერვისს ხმოვან საუბრებზე უფრო იაფად სთავაზობს. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ სამომავლოდ შესაბამისი აპლიკაციები მნიშვნელოვნად ჩაანაცვლებენ აღნიშნულ სერვისს და კომპანია შემცირებული ხმოვანი ზარებით უფრო დიდ ზარალს ნახავს, ვიდრე გაზრდილი ინტერნეტის მოხმარებით - მოგებას. ხმოვანი მომსახურებიდან შემოსავლის კების მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი ამ სერვისზე ხარჯების კლება იყო, კონკრეტულად 2018 წლის 1 ივლისიდან მარეგულირებელმა ურთიერთჩართვის ტარიფი დაახლოებით 80%-ით შეამცირა, რამაც გამოიწვია ბაზარზე საცალო ტარიფების მნიშვნელოვანი შემცირება. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ - „ინდუსტრიის აღწერა“ – „მობილური სეგმენტის მომსახურების მიმოხილვა“.

მიუხედავად არსებული რისკისა, კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ობლიგაციების მოქმედების პერიოდში აღნიშნული სეგმენტის შემოსავლების მნიშვნელოვნად შემცირება არ მოხდება.

**2.4. „კომპანიის“ სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები, ნებართვები და სიხშირის გამოყოფა ექვემდებარება სასრულ ვადებს, რეგულარულ განხილვას ან/და პერიოდულ განახლებას, რომელთაგან თითოეულმა შესაძლოა გამოიწვიოს ცვლილება, ან ვადამდე შეწყვეტა, ხოლო ახალი ლიცენზიების და ნებართვების მიღების ან არსებული ლიცენზიების და ნებართვების განახლების შეუძლებლობა უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე.**

„კომპანიის“ ლიცენზიების, ნებართვებისა და სიხშირის გამოყოფის პირობები ექვემდებარება სასრულ ვადებს, რეგულარულ განხილვას ან/და პერიოდულ განახლებას და ზოგიერთ შემთხვევაში ექვემდებარება ცვლილებებს ან ვადამდე შეწყვეტას, ან შესაძლოა საჭიროებდეს განახლებას შესაბამისი სამთავრობო უწყებების მიერ. „კომპანია“ ოპერირებს ხუთი ძირითადი ლიცენზიით, რომელიც მოიცავს საქართველოს. ამ ლიცენზიების ვადა იწურება 2030-2031 წლებში, რაც მნიშვნელოვნად აღემატება „ობლიგაციების“ დაფარვის ვადას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „ლიცენზიებისა“ და „მარეგულირებელი გარემოს“ სექცია.

კომპანია არ მოელის, რომ მას დაევალება საქმიანობის შეწყვეტა ლიცენზიების ვადის ამოწურვისას ვინაიდან კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრავს ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების წესს. გარდა ლიცენზიების ვადის ამოწურვისა და განუახლებლობისა, GNCC-ის შეუძლია გარკვეულ გარემოებებში შეუწყვიტოს „კომპანიას“ ლიცენზია, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ ასრულებს ლიცენზიით ნაკისრ ვალდებულებებს. დამატებით ლიცენზიების მოქმედება შესაძლოა შეწყდეს იმ გარემოებებში, თუ ჩაითვლება, რომ ეს საზოგადოებრივ ინტერესებში შედის. ლიცენზიების პირობების ცვლილებამ შესაძლოა გაზარდოს კომპანიის მიერ საქართველოში სატელეკომუნიკაციო სერვისების მიწოდების ხარჯები ან უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის სერვისების განსახორციელებლად ხელმისაწვდომი ქსელის ხარისხზე.

GNCC გამოყოფს რადიოსიხშირულ დიაპაზონებს; ასევე შეუძლია გამოყოს რადიოსიხშირული დიაპაზონები, რომლებიც ჰარმონიზებულია ევროკომისიის შესაბამის დირექტივებთან ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემების შესახებ (იმავე დირექტივებით დადგენილი ტექნიკური სტანდარტებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად). აღნიშნულ დიაპაზონში ლიცენზიები გაიცემა ტექნოლოგიისა და მომსახურების ნეიტრალურობის პრინციპით ხოლო ლიცენზიების მოქმედების ვადა შეადგენს 15 წელს.

ლიცენზიების დამაკმაყოფილებელი პირობებით ვერმიღებამ ან არგანახლებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ - „მარეგულირებელი გარემო“ – „მარეგულირებელი ორგანო“.

## **2.5. „კომპანიის“ საქმიანობა კაპიტალ-ინტენსიურია; „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ მოახერხოს საკმარისი კაპიტალის მოზიდვა ან გამომუშავება მომავალი კაპიტალური ხარჯების და სხვა ინვესტიციების დასაფინანსებლად.**

„კომპანია“ ოპერირებს ინდუსტრიაში, რომელიც მოითხოვს დიდი მოცულობის კაპიტალისა და სხვა გრძელვადიანი დანახარჯების გაწევას, მათ შორის ახალი ქსელების განვითარებას, შექმნასა და არსებული ქსელის გაფართოებას ან გაუმჯობესებას. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადდება ტენდერი 5G სერვისის დანერგვის ლიცენზიაზე, „კომპანიას“ შესაძლოა დაჭირდეს მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯების გაწევა შესაბამისი უფლებების მოსაპოვებლად..

„კომპანიის“ კაპიტალურმა ხარჯებმა 2022 წლის განმავლობაში 35,4 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2021 წელს კი 39,1 მილიონი ლარი. კომპანია მოელის, რომ სამომავლოდ დასჭირდება კაპიტალური დანახარჯების გაწევა ქსელისა და სისტემების მუდმივი გაუმჯობესებისთვის. გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს გარანტია იმისა, რომ „კომპანია“ მომავალში პროვაიდერებისგან მიიღებს ხელსაყრელ გადახდის პირობებს. ამასთან ერთად, „კომპანიის“ შესაძლებლობა მოიზიდოს გარე დაფინანსება დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, მათ შორის „კომპანიის“ სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე, ზოგად ეკონომიკურ და კაპიტალის ბაზრის მდგომარეობაზე, საპროცენტო განაკვეთებზე, ბანკების ან სხვა კრედიტორებისგან კრედიტის ხელმისაწვდომობაზე, „კომპანიის“ მიმართ ინვესტორების ნდობაზე, საგადასახადო და ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოქმედ დებულებებსა და პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებზე საქართველოში ან სხვა ქვეყნებში.

## **2.6. „კომპანიის“ მომსახურებები დამოკიდებულია ქსელებისა და ტექნიკური აპარატურის მუშაობასა და მოწოდებლებზე.**

მომსახურების უზრუნველყოფისას, „კომპანია“ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი ქსელის გამართულ მუშაობაზე. „ემიტენტი“ ქსელის გამოყენებით უზრუნველყოფს მრავალფეროვან თანამედროვე სერვისებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მყოფი მომხმარებლებისთვის. კომპანიის ნებისმიერმა წარუმატებლობამ განაახლოს ან შეინარჩუნოს ქსელი არსებულ დონეზე შესაძლოა გავლენა იქონიოს მის მომგებიანობაზე და მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე.

ამასთან, „კომპანიის“ ტექნიკური ინფრასტრუქტურა მოწყვლადია ომის, ტერორიზმის, განზრახ დაზიანების, ადამიანური შეცდომების და მსგავსი მოვლენების მიმართ. „კომპანიის“ ობიექტებში/ფილიალებში გაუთვალისწინებელმა პრობლემებმა, სისტემის გაუმართაობამ, ტექნიკის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობამ, კომპიუტერულმა ვირუსებმა ან ჰაკერულმა თავდასხმებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ სერვისების ხარისხზე და გამოიწვიოს მომსახურების შეფერხება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ მიღებული აქვს ზომები შეფერხების შემთხვევაში მუშაობის გაგრძელების უზრუნველსაყოფად, ვერ იარსებებს გარანტია, რომ ეს ზომები საკმარისი იქნება. ნებისმიერმა ასეთმა მოვლენამ შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლის ტრაფიკისა და შემოსავლების შემცირება, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს „კომპანიის“ ოპერაციებს.

„კომპანიის“ ქსელი, მისი საინფორმაციო სისტემები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურა, გარკვეულწილად ეყრდნობა ტელეკომუნიკაციის სხვა ოპერატორების ქსელებთან ურთიერთკავშირს, რათა გაატაროს ზარები და მონაცემები მისი მომხმარებლებისგან სხვა მობილური ოპერატორების აბონენტებთან, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. „კომპანია“ ვერ იქნება დარწმუნებული, რომ შეძლებს გააგრძელოს სხვა

ოპერატორების ქსელებთან ურთიერთკავშირი, ან რომ სხვა ოპერატორების ქსელებზე, რომლებსაც მისი მომხმარებლები იყენებენ, გავლენას არ მოახდენს ისეთი მოვლენებით გამოწვეული შეფერხებები, როგორცაა აპარატურის გაუმართაობა, ქსელის პროგრამული ხარვეზები, ან გადამცემი კაბელის დაზიანება.

„კომპანიის“ ოპერაციების ან სერვისის მიწოდების ნებისმიერმა შეფერხებამ, საოპერაციომ თუ სხვა სახის, შესაძლოა შეამციროს „კომპანიის“ უნარი მოიხილოს და შეინარჩუნოს მომხმარებლები, გამოიწვიოს მომხმარებელთა მნიშვნელოვანი უკმაყოფილება და მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივებზე.

„კომპანიის“ გამართული ფუნქციონირება და მისი ფინანსური მდგომარეობა მეტწილად დამოკიდებულია გარკვეულ ტექნიკური მოწყობილობებსა და მომსახურებებზე. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული პირობები გაუარესდება, ან მომწოდებლები დროულად ვერ მიაწვდიან „კომპანიას“ საჭირო მოწყობილობებს ან მომსახურებას, ან მომწოდებლებზე გავრცელდება გარკვეული საერთაშორისო სანქციები, „კომპანიის“ საქმიანობა შესაძლოა შეწყდეს. „კომპანიის“ ტექნიკური მოწყობილობების, პროგრამული უზრუნველყოფის და სერვისების ძირითადი მომწოდებელია Nokia და Ericsson. (დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ „ძირითადი მომწოდებლების“ სექცია.) „სელფი“ ცდილობს შეინარჩუნოს ქსელის დაგეგმვის და მოწყობილობების შექმნის ალტერნატივები, რათა შეამციროს კომერციული და ტექნიკური რისკები, თუმცა, აღნიშნული მომწოდებლების ჩანაცვლება შესაძლოა რთული და შრომატევადი იყოს. ნებისმიერი ზემოაღნიშნული რისკის მატერიალიზებამ შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივებზე.

## **2.7. „კომპანიის“ შიდა სისტემების შეფერხებამ, უკმარისობამ, ან სხვა სახის გაუმართაობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე.**

„კომპანია“ შესაძლოა დადგეს კომპიუტერული და საინფორმაციო სისტემის შეფერხების რისკის წინაშე, მათ შორის ეს ეხება ტექნოლოგიურად დახვეწილ საინფორმაციო სისტემებს მაგალითად კლიენტების ბილინგის სისტემას, კომპიუტერული აპარატურის ან პროგრამული სისტემების გაუმართაობას, კომპანიის ვებსაიტის გაუმართაობას, ტელეკომუნიკაციის გაუმართაობას ან სხვა ნებისმიერ შეფერხებას. მსგავსი შეფერხება შესაძლოა დადგეს სისტემის გაუმართაობის, კომპიუტერული ვირუსების, პროგრამული უზრუნველყოფის შეცდომების, კიბერ თავდასხმების (მათ შორის „ფიშინგის“), IT აპარატურის ქურდობის, ფიზიკური დაზიანების გამო თუ სხვა მიზეზით.

„კომპანიის“ ინფორმაციის და ტექნოლოგიების სისტემები შექმნილია იმისთვის, რომ „კომპანიამ“ შეძლოს მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს ინფრასტრუქტურული რესურსები და გააკონტროლოს მისი ოპერაციების ყველა კომპონენტი. ბიზნესის ბუნებიდან გამომდინარე, „კომპანია“ ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ქსელისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან, მათ შორის ინფორმაციის მთლიანობასთან, კონფიდენციალურობასა და ხელმისაწვდომობასთან, რომელიც წარმოიქმნება მის ქსელებსა და სისტემებზე კიბერ თავდასხმის ან სხვა დაუცველობის შედეგად. ამ სისტემებში ნებისმიერმა გაუმართაობამ ან ავარიამ შესაძლოა შეაფერხოს სტანდარტული ოპერაციები და მნიშვნელოვნად შეამციროს ოპერაციული და მენეჯერული ეფექტურობა აღნიშნული გაუმართაობის ან ავარიის პერიოდში, ხოლო ხანგრძლივმა გაუმართაობამ ან ავარიამ შესაძლოა მკვეთრად იმოქმედოს „კომპანიის“ უნარზე, შესთავაზოს მომსახურება მომხმარებლებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უსაფრთხოების მექანიზმები „კომპანიის“ სისტემებისა და ინფორმაციის დასაცავად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს მექანიზმები ეფექტური იქნება ყველა ვითარებაში და შესაბამისად „კომპანიამ“ შესაძლოა ინფორმაცია დაკარგოს. თავის მხრივ, კომპიუტერული და საინფორმაციო სისტემების მუშაობის შეფერხებამ ან მონაცემების დაკარგვამ შესაძლოა შეაფერხოს სტანდარტული ბიზნეს ოპერაციები, გამოიწვიოს შემოსავლისა და აბონენტების დაკარგვა და კომპანიის ბრენდისთვის ზიანის მიყენება.

## **2.8. სპექტრთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ მიერ მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის უნარზე.**

მომხმარებელთა რაოდენობა, რომლებიც შესაძლოა განთავსდეს მობილურ ქსელში, შეზღუდულია ქსელის ოპერატორისთვის გამოყოფილი სპექტრის მიხედვით და გავლენას ახდენს მომხმარებელთა მიერ სერვისით სარგებლობის შაბლონებსა და ქსელის ინფრასტრუქტურაზე. სპექტრი სიხშირეების უწყვეტი დიაპაზონია, რომლის ფარგლებშიც ტალღებს აქვთ გარკვეული სპეციფიკური მახასიათებელი.

„კომპანიის“ მომხმარებელთა ბაზის ზრდის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და სერვისების უფრო ფართო სპექტრის შეთავაზების პარალელურად, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი სიმძლავრე მობილური მონაცემებისთვის. ამასთან, „კომუნიკაციების კომისიამ“ შესაძლოა გაზარდოს, შეამციროს, ან შეცვალოს ოპერატორებისთვის გამოყოფილი სიხშირის დიაპაზონი, თუმცა სიხშირის დიაპაზონების შემცირების ან ცვლილების შემთხვევაში, „კომუნიკაციების კომისია“ სავარაუდოდ მისცემს შესაბამის ოპერატორს საკმარის დროს, რათა მიიღოს ზომები მომსახურების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. თუ საქართველოში 5G სპექტრის ლიცენზიები აუქციონზე გავა, „კომპანია“ განიხილავს აუქციონში მონაწილეობას. იმ შემთხვევაში, თუ „კომპანიამ“ ვერ შეძლო ლიცენზიების მოპოვება რაიმე მიზეზის გამო, მაგალითად ზედმეტად მაღალი ხარჯის, ან ხელმისაწვდომი ლიცენზიების შეზღუდული რაოდენობის გამო, ის შესაძლოა აღმოჩნდეს ბაზარზე კონკურენტულად არახელსაყრელ მდგომარეობაში. 2020 წლის დეკემბერში „კომუნიკაციების კომისიამ“ გამოაქვეყნა საკონსულტაციო დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი იყო კომისიის ხედვა და გეგმები 5G ქსელის აუქციონთან დაკავშირებით (სიხშირის სპექტრის პერსპექტიული განაწილება, აუქციონის ლოტები, 5G სპექტრის ლიცენზიისთვის გამოყოფილი სარეზერვო ფასი) და პოტენციური სალიცენზიო პირობები (მათ შორის დაფარვის ვალდებულებები და ტექნიკური პირობები / სპეციფიკაციები 5G სიხშირის სპექტრის გამოყენებისთვის). „კომუნიკაციების კომისიამ“ ასევე დააფიქსირა თავისი განზრახვა შეიტანოს ცვლილებები რეგულაციებში, რათა კომისიამ შეძლოს დამატებითი ფასდაკლებების შეთავაზება 5G სპექტრის ლიცენზიებისთვის გამოყოფილი სარეზერვო ფასიდან. მომავალი 5G ქსელის აუქციონების სავარაუდო ჩატარების თარიღია 2023 წლის მე-2 ნახევარი. თუ „კომპანია“ ვერ მოიპოვებს აღნიშნულ ლიცენზიებს, ამან შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივებზე.

## **2.9. თუ „კომპანია“ დროულად ვერ შეიმუშავებს და წარადგენს ახალ პროდუქტებსა და სერვისებს, შესაძლოა დაკარგოს არსებული მომხმარებლები, ვერ მოიზიდოს ახალი მომხმარებლები, ან მოუწიოს მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა.**

მომხმარებლების მოზიდვის და შენარჩუნების მიზნით „კომპანია“ მუდმივად ავითარებს ახალ პროდუქტებს და სერვისებს. „კომპანიის“ მიერ შემოთავაზებული მრავალი პროდუქტი და სერვისი ტექნოლოგიურად „ინტენსიურია“ და შესაბამისად, შესაძლოა მოითხოვდეს ინვესტიციას ახალ ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში, იმისთვის, რომ „სელფიმ“ შეძლოს კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნება.

ამასთან, „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ შესთავაზოს მომხმარებლებს ახალი პროდუქტები და სერვისები და შეთავაზების შემთხვევაშიც კი, ისინი შესაძლოა არ აღმოჩნდეს წარმატებული. კერძოდ, მომხმარებლები შესაძლოა იყვნენ უკმაყოფილო ახალი პროდუქტებითა და სერვისებით და კომპანიამ ვერ შეძლოს უკმაყოფილების ეფექტურად მართვა.

გარდა ამისა, შესაძლოა „კომპანიის“ კონკურენტებმა უფრო ადრე შემოიტანონ ახალი მობილური კომუნიკაციის პროდუქტები და სერვისები. შედეგად, „კომპანიამ“ შესაძლოა დაკარგოს მომხმარებლები, მიიღოს ნაკლები შემოსავალი

თითო მომხმარებელზე, ვერ მოიზიდოს ახალი მომხმარებლები, ან დასჭირდეს მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა მომხმარებლის ბაზის შესანარჩუნებლად. ახალი პროდუქტებისა და სერვისების განვითარება და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირება შესაძლოა ასევე მნიშვნელოვან ხარჯებს და ადამიანურ რესურსს საჭიროებდეს. თუ „კომპანიის“ მიერ შეთავაზებული პროდუქტები და სერვისები წარუმატებელი აღმოჩნდა, შესაძლოა საჭირო გახდეს გაწეული ხარჯის ღირებულების შემცირება. ნებისმიერმა ზემოაღნიშნულმა ფაქტორმა შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე.

## **2.10. „კომპანიის“ ან საბოლოო ბენეფიციარი აქციონერების რეპუტაციის ან ცნობადობის შემცირებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე.**

„კომპანიის“ ბრენდის რეპუტაციის გაუარესებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს აბონენტების რაოდენობაზე და შეამციროს ახალი მომხმარებლების მოზიდვის პერსპექტივები, რაც უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ შემოსავლებზე. ამისთვის „სელფი“ პერიოდულად ატარებს მომხმარებელთა გამოკითხვებს და ბაზრის კვლევას, ცდილობს გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი და მომხმარებელთა მომსახურება უკუკავშირის საფუძველზე. „კომპანიის“ რეპუტაცია შესაძლოა დაზიანდეს, თუ ის ვერ შეინარჩუნებს მომსახურების ხარისხს, ვერ შესთავაზებს კონკურენტუნარიან პროდუქტებს, დროულად არ დაწერგავს ახალ ტექნოლოგიებს ან მარკეტინგულ კამპანიებს, რაც ცუდად აღიქმება საზოგადოების მხრიდან და თავის მხრივ, შესაძლოა მოახდინოს არსებითი უარყოფითი გავლენა „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე და პერსპექტივებზე.

საბოლოო ბენეფიციარი აქციონერების რეპუტაციის ნებისმიერმა გაუარესებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, შედეგებზე ან პერსპექტივაზე და, კერძოდ, „კომპანიის“ შესაძლებლობებზე თანხების მოზიდვის კუთხით.

კომპანიამ 2023 წლის აპრილის თვეში განახორციელა რებრენდინგი, ბრენდი „ბილაინის“ ნაცვლად დაიწყო „სელფის“ გამოყენება, რასაც მოჰყვება გარკვეული რისკები, მათ შორის:

- **არსებული რეპუტაციისა და ბრენდის ცნობადობის დაკარგვა:** რებრენდინგის დროს მოხდა „კომპანიის“ სახელის, ლოგოსა და ზოგადად ბრენდის იდენტობის ცვლილება. არსებობს რისკი, რომ ახალი ბრენდი არ იქნება იმდენად ცნობადი ან დადებითად აღქმული მომხმარებლებისა და სხვა სტეიკჰოლდერების მხრიდან, როგორც იყო აღქმული „ბილაინი“. ამას შესაძლოა მოჰყვეს ბრენდის ღირებულების შემცირება, მოხმარებლების ერთგულებისა და ბაზრის წილის დაკარგვა, რასაც საბოლოო ჯამში უარყოფითი ეფექტი ექნება „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე;
- **გაზრდილი ხარჯები:** რებრენდინგისას კომპანიას უწევს მნიშვნელოვანი თანხები გაილოს აქტიური მარკეტინგული და სარეკლამო აქტივობების ჩასატარებლად იმისთვის, რომ დაამკვიდროს ახალი ბრენდი ბაზარზე. არსებობს რისკი იმისა, რომ გაწეულმა ხარჯებმა გადააჭარბოს დაგეგმილს ან დახარჯული თანხებით ვერ მოხდეს ეფექტურად ახალი სავაჭრო ნიშნის დამკვიდრება.

## **2.11. ბრენდის რეპუტაციიდან გამომდინარე რისკები**

იქიდან გამომდინარე, რომ „კომპანია“ დიდი პერიოდის (15 წელი) მანძილზე ოპერირებდა რუსული ტელეკომუნიკაციების ქსელის ბრენდი „ბილაინით“, ბაზარზე „კომპანია“ შესაძლოა აღიქმებოდეს რუსეთთან დაკავშირებულად. საქართველო-რუსეთის ომისა და უკრაინა-რუსეთის ომის შემდეგ, რასაც თან ახლდა რუსული კომპანიების/პირების დასაწესრიგება ქვეყანაში გაიზარდა ანტი-რუსული დამოკიდებულება, რაც გამოიხატება რუსეთთან დაკავშირებული ბრენდების ბოიკოტში. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი დამფუძნებელთა

სტრუქტურით „სელფი მობაილ“ არის სრულად ქართული კომპანია, ასევე 2023 წელს განახორციელა რეზრენდინგი და ბაზარზე ოპერირება დაიწყო „სელფის“ სახელით, შესაძლოა „კომპანია“ მოსახლეობაში ისევე აღიქმებოდეს „ბილიანის“ ბრენდთან დაკავშირებულად და ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით არ სარგებლობდნენ მისი მომსახურებით.

## **2.12. „კომპანია“ შესაძლოა წააწყდეს გაზრდილ კონკურენციას ახალ მოთამაშეებთან ან მოქმედ სატელეკომუნიკაციო ოპერატორებთან**

„კომპანია“ დგას რეგულარული კონკურენციის საფრთხის წინაშე, როგორც ახალი მოთამაშეების მხრიდან ასევე არსებული კონკურენტებისგან. „სელფი მობაილის“ შედეგებზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კონკურენტების ქმედებებმა მრავალი ფორმით, მათ შორის (i) ფასების დაგდება ან უკეთესი ხარისხის მომსახურებისა და/ან კონტენტის შეთავაზებამ, (ii) ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტებისა და სერვისების უფრო სწრაფმა განვითარებამ და გამოყენებამ ან (iii) კონკურენტების ქსელების უფრო სწრაფმა გაუმჯობესებამ. (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „ინდუსტრიის აღწერა“). თუ „კომპანია“ არ გააგრძელებს მომხმარებელთათვის სასარგებლო და მიმზიდველი პროდუქტების და სერვისების მიწოდებას, არსებობს რისკი, რომ ბაზარზე მომგებიანობა შემცირდება. თუ „კომპანია“ სწრაფად ვერ მოახდენს რეაგირებას კონკურენტების ქმედებებზე, ან არ განახორციელებს საკმარის ინვესტირებას ახალ ტექნოლოგიებში, ან არ განავითარებს ტექნოლოგიურად დახვეწილ ან ინოვაციურ მობილურ საკომუნიკაციო სერვისებს, რომლებსაც მომხმარებლები ითხოვენ კონკურენტულ ფასებში, ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსური მდგომარეობასა და პერსპექტივებზე.

ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე არსებულმა და ახალმა ოპერატორებმა შესაძლოა მიმართონ ბიზნეს მოდელებს, რომლებიც გამოიმუშავენ შემოსავალს არა კომუნიკაციასთან დაკავშირებული, არამედ სხვა სერვისებით, როგორცაა რეკლამა, ფინანსური მომსახურება და მომხმარებელთა ქცევის მონაცემების შეგროვება და მესამე მხარეებისთვის მიყიდვა და სხვა.

ბოლო წლებში, მობილურ კავშირგაბმულობაში ინვესტიციებმა განაპირობა მოწინავე მობილური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი ზრდა ქვეყნის უმეტეს ნაწილში. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანიას არ გაეზრდება გადინების მაჩვენებელი (ე.წ. „churn rate“), რაც იზომება დეაქტივირებულ მომხმარებლებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებული მომხმარებლების შენარჩუნებისას კონკურენცია იზრდება. მომხმარებლის გადინების მაჩვენებლის გაუარესებამ შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლის შემცირება და ამავდროულად ხარჯების ზრდაც, ვინაიდან მომხმარებლების ჩასანაცვლებლად საჭირო იქნება აქტიური მარკეტინგი და შესაბამისად გაზრდილი ხარჯები. . მომხმარებლების დაკარგვის მაჩვენებლის ზრდამ ასევე შეიძლება „კომპანიას“ უბიძგოს ტარიფების შემცირებისკენ კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, რამაც, შესაბამისად, შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე და პერსპექტივებზე. „კომპანია“ მონიტორინგს უწევს საერთაშორისო ტენდენციებს სხვადასხვა ტიპის პარტნიორობით და ცდილობს განავითაროს კავშირები და ახალი სერვისები. თუმცა, „კომპანიის“ ძალისხმევა შესაძლოა არ იყოს საკმარისი სხვა ოპერატორებთან ეფექტური კონკურენციისთვის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლების და კომპანიის აბონენტების რაოდენობის შემცირება.

## **2.13. მოქმედი რეგულაციების თანახმად, „კომპანია“ ვალდებულია შესთავაზოს გარკვეული საბითუმო სერვისები თავის კონკურენტებს. აღნიშნულმა შესაძლოა გაზარდოს კონკურენტების უნარი მომავალში გაუწიონ „კომპანიას“ კონკურენცია.**

ტელეკომუნიკაციის სექტორში „კომპანიის“ საქმიანობაზე ვრცელდება კონკურენციის სპეციფიური რეგულაციები. „კომუნიკაციების კომისია“ უფლებამოსილია გამოავლინოს ოპერატორები, რომლებსაც აქვთ "მნიშვნელოვანი საბაზრო ძალა" მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებში და შემოიღოს ერთი ან რამდენიმე ვალდებულება (მათ შორის, ქსელებზე ან სერვისებზე სავალდებულო წვდომასთან ან ტარიფების კონტროლთან დაკავშირებით) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებში გამოვლენილი კონკურენციის პრობლემების გადასაწყვეტად. კონკურენციის მოსალოდნელი რეგულაციების ფარგლებში, „კომუნიკაციების კომისიამ“ განსაზღვრა „ემიტენტი“, როგორც უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალა“ მომსახურების ბაზრის გარკვეულ სეგმენტებში (მაგალითად მობილური ქსელით მომსახურების (ხმოვანი, ინტერნეტი, მოკლე ტექსტური შეტყობინებები „SMS“) საბითუმო ბაზარი, და მობილური ქსელით (ხმოვანი და ინტერნეტი) საცალო ბაზარი).

შესაბამისად, მოქმედი რეგულაციების თანახმად, „კომპანია“ ვალდებულია შესთავაზოს გარკვეული საბითუმო მომსახურება სხვა პროვაიდერებს, რომლებიც კონკურენციას უწევენ მას და შესაძლოა დაევალოს სხვა სერვისების შეთავაზებაც, რომლებსაც ამჟამად არ არეგულირებს „კომუნიკაციების კომისია“. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ცდილობს გაყიდოს საბითუმო სერვისები საბაზრო პირობებით, სადაც ეს დასაშვებია, ზოგიერთ შემთხვევაში, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. საჭიროა გაყიდოს მომსახურება რეგულირებული ტარიფებით. თუ კომუნიკაციების კომისია დააწესებს არაახელსაყრელ რეგულაციებს ზოგიერთ ზემოხსენებულ სერვისთან დაკავშირებით, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივაზე.

ამასთან, კონკურენციის რეგულირების ჩარჩოს ფარგლებში, 2019 წლის დეკემბერში, „კომუნიკაციების კომისიამ“ გამოსცა გადაწყვეტილება, რომლითაც ქვეყანაში არსებული მობილური ქსელის სამი ოპერატორი, მათ შორის „სელფი მობაილ“, გამოაცხადა „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის“ მქონედ მობილური ქსელის მომსახურებების გარკვეულ ბაზარზე (ხმოვანი, ტექსტური შეტყობინება და ინტერნეტ მომსახურება) და ავალდებულებს მათმისცენ წვდომა მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებს საკუთარ ქსელებზე. ეს გადაწყვეტილება კატეგორიულად გააკრიტიკეს მობილური ქსელის ოპერატორებმა, რადგან გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ შემოსავალზე და მომგებიანობაზე.

მობილური ქსელის ოპერატორების მიერ რეგულაციის საწინააღმდეგო არგუმენტების და მოსაზრებების განხილვის შემდეგ, „კომუნიკაციების კომისიამ“ რამდენჯერმე გადადო მობილური ქსელის ოპერატორებისთვის დაწესებული ვადები, გამოეკეცნებინათ ვირტუალური ქსელის ოპერატორებისთვის წვდომის მიცემის შეთავაზებები. 2021 წლის 18 ნოემბერს, „კომუნიკაციების კომისიამ“ გამოსცა ახალი გადაწყვეტილება, ბაზრის მუდმივი მონიტორინგის ქვეშ, მობილური ქსელის ოპერატორებისთვის მოწვევის ოფერტის გამოქვეყნების ვადის 2022 წლის ბოლომდე გახანგრძლივებაზე, ხოლო 2022 წელს აღნიშნული ვადა კომისიის მიერ გადაწეულ იქნა 2023 წლის 30 ივნისამდე, ხოლო 2023 წლის 29 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება რითაც ზემოაღნიშნული ვადა გადაწია 2024 წლის 30 ივნისამდე. „კომუნიკაციების კომისიის“ ნებისმიერმა შემდგომმა ან უფრო მკაცრმა ჩარევამ ვირტუალური ქსელების ოპერატორების მობილური კავშირის ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებით შესაძლოა კიდევ უფრო გააძლიეროს კონკურენცია და შესაბამისად, უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებსა და მომგებიანობაზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „—„კომპანია“ შესაძლოა წააწყდეს გაზრდილ კონკურენციას ახალ მოთამაშებთან ან მოქმედ სატელეკომუნიკაციო ოპერატორებთან“.

#### **2.14. „კომპანიამ“ შესაძლოა წარმატებით ვერ მართოს ბიზნესის განვითარების პროცესი**



„კომპანია“ ვერ მიცემს გარანტიას პოტენციურ ინვესტორებს, რომ შეძლებს „კომპანიის“ მდგრად განვითარებას. „კომპანიის“ შესაძლებლობა მართოს მოქმედი ბიზნესი და მისი მომავალი განვითარება დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, მათ შორის „კომპანიის“ უნარზე: (i) ეფექტიანად გაზარდოს საოპერაციო და ფინანსური სისტემებისა და კონტროლის ფარგლები, რათა მოახდინოს ადაპტირება მზარდ სირთულეებთან და გაფართოებულ საოპერაციო გეოგრაფიულ არეალთან; (ii) დაიქირაოს, მოამზადოს და შეინარჩუნოს კვალიფიციური კადრები, მზარდი ბიზნესის სამართავად; (iii) მიიღოს აუცილებელი ნებართვები, ლიცენზიები, სპექტრის განაწილება ან ნებართვები სამთავრობო უწყებებიდან; და (iv) შეისწავლოს ახალი ბაზრები და შექმნას ახალი სერვისები. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ზრდის წარმატებით მართვას, ამან შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივებზე.

**2.15. თუ „კომპანია“ ვერ შეინარჩუნებს და ვერ მიიზიდავს კვალიფიციურ და გამოცდილ ხელმძღვანელ კადრებს, ინჟინრებს და სხვა კვალიფიციურ პერსონალს, ამან შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივებზე.**

„კომპანიის“ წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებულია მის უნარზე განაგრძოს კვალიფიციური და გამოცდილი პერსონალის მოზიდვა, შენარჩუნება და მოტივირება. „კომპანია“ ეყრდნობა თავის ხელმძღვანელ რგოლს სტრატეგიის და ყოველდღიური ოპერაციების განხორციელებისას. მასთან, ტელეკომუნიკაციის ბაზარზე ტექნოლოგიური შესაძლებლობების წინსვლასთან ერთად, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი პერსონალი იყოს საკმარისად გამოცდილი ახალ ტექნოლოგიებში.

თუ „კომპანია“ ვერ შეინარჩუნებს გამოცდილ, ქმედუნარიან და სანდო პერსონალს, განსაკუთრებით მაღალი და საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციით, ან ზრდის ტემპის შესაბამისად ვერ განსაზღვრავს და დაიქირავებს საჭირო რაოდენობით კვალიფიციურ და პროფესიონალ ტექნიკურ პერსონალს, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ბიზნესზე, ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივაზე. ტელეკომუნიკაციის დარგში გამოცდილი პერსონალი კვლავ მოთხოვნადია და არსებობს ძლიერი კონკურენცია.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის პირველ ნახევარში კომპანია დატოვა უმაღლესი მენეჯმენტის ერთ-ერთმა წევრმა - გენერალურმა დირექტორმა. პროსპექტის გამოსვლის თარიღისთვის შეუძლებელია ამ ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური ეფექტების შეფასება „კომპანიის“ სამომავლო შედეგებზე.

„კომპანიის“ ხელმძღვანელი რგოლის ზოგიერთი წევრის ან საშუალო რგოლის მენეჯერების/კვალიფიციური პროფესიონალების მნიშვნელოვანი რაოდენობის დაკარგვამ შესაძლოა გამოიწვიოს: (i) ორგანიზაციული ორიენტირების დაკარგვა; (ii) ოპერაციების და კორპორატიული სტრატეგიის ცუდად განხორციელება; ან/და (iii) პოტენციური სტრატეგიული ინიციატივების იდენტიფიცირებისა და განხორციელების უნარის არქონა, მაგალითად შესაძლებლობების გაფართოების ან შესყიდვების კუთხით. აღნიშნულმა არასასურველმა შედეგებმა შესაძლოა სხვა პრობლემებთან ერთად შეამციროს პოტენციური შემოსავალი და გამოიწვიოს „კომპანიის“ პოზიციების შესუსტება ბაზრებზე, რომლებშიც კომპანია ოპერირებს, რამაც, როგორც მთლიანობაში, ასევე ინდივიდუალურად, შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე და პერსპექტივებზე.

**2.16. „კომპანიამ“ შესაძლოა პერიოდულად აწარმოოს დავა მარეგულირებელთან, კონკურენტებთან და სხვა მხარეებთან.**

„კომპანიისთვის“ სტანდარტული საქმიანობის წარმოებისას არსებობს სამართლებრივი დავების, სასამართლო წარმოების და საადრულეზო ზომების რისკი. ეს საკითხები შესაძლოა წარმოიშვას კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ კომპანიის ლიცენზიების პირობებთან და მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „სასამართლო დავების“ სექცია პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „კომპანიის“ მოსალოდნელი სასამართლო საქმეების დეტალური აღწერისთვის.

გარდა „კომპანიის“ ვალდებულებებიდან გამომდინარე რისკებისა, პერიოდულად ასევე შესაძლოა არსებობდეს სახელშეკრულებო დავა მესამე მხარეებთან, მათ შორის მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ ამჟამად არ აქვს რაიმე მნიშვნელოვანი სასამართლო საქმე და მისთვის არ არის ცნობილი რაიმე გარემოება, რამაც შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მოთხოვნების წარმოქმნა, არ არსებობს გარანტია, რომ სტანდარტული საქმიანობის პროცესში ასეთი მოთხოვნები არ წაეყენება; ასევე არ არსებობს გარანტია, რომ აღნიშნულ დავებს „კომპანია“ წარმატებით გადაწყვეტს.

„კომპანიის“ მონაწილეობა სასამართლო და მარეგულირებელ წარმოებებში შესაძლოა დიდ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული ან/და უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ რეპუტაციაზე ან სავაჭრო ურთიერთობებზე, მაშინაც კი, თუ სასამართლო ან მარეგულირებელი წარმოება „კომპანიის“ სასარგებლოდ დასრულდება. გარდა ამისა, სასამართლო და მარეგულირებელი წარმოებები (ან მათზე მორიგება) არსებითად არაპროგნოზირებადია. თუ რომელიმე მომავალი დავა „კომპანიის“ სასარგებლოდ არ დასრულდება, ან მისი რეპუტაცია დაზარალდება ნებისმიერი ასეთი დავის შედეგად, ამან შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე.

**2.17. ჯანმრთელობის დაზიანების რეალურმა ან სავარაუდო რისკებმა ან სხვა პრობლემებმა, რომლებიც დაკავშირებულია მობილურ მოწყობილობებთან ან გადამცემ ანძებთან, შესაძლოა გამოიწვიოს სამართალწარმოება ან მობილური კომუნიკაციების შემცირება.**

ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებით გამოწვეული ზიანის შედეგები იყო და კვლავ რჩება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების შეფასების საგნად, თუმცა დღემდე არ არსებობს რაიმე დამაჯერებელი სამეცნიერო მტკიცებულება ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების თაობაზე. თუმცა, „კომპანია“ ვერ იქნება დარწმუნებული, რომ მომავალში ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედება ან უკაბელო ტელეფონებიდან სხვა ემისიები არ ჩაითვლება ჯანმრთელობის რისკად.

„კომპანიის“ მობილური კომუნიკაციების ბიზნესი შესაძლოა დაზიანდეს ჯანმრთელობის აღნიშნული რისკების შედეგად. მაგალითად, ჯანმრთელობის რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება, შემცირებული გამოყენება ერთ მომხმარებელზე ან პოტენციური პასუხისმგებლობა მომხმარებელთა მიმართ. გარდა ამისა, სხვა ცვლილებებმა მარეგულირებელ სტრუქტურაში, რომელიც ეხება მობილური მოწყობილობების გამოყენებას, შესაძლოა გამოიწვიოს მობილური მოწყობილობებით სარგებლობის შემცირება, ან სხვა სახით უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიაზე“. შესაძლოა მარეგულირებლებმა დააწესონ მეტი შეზღუდვები საბაზო სადგურების ანძების ან სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ქსელის მშენებლობის დასრულება და ახალი სერვისების კომერციული ხელმისაწვდომობა და შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ინვესტიციები.

საბოლოო ჯამში, ჯანმრთელობის რისკების დადასტურების შემთხვევაში, „კომპანიას“ შესაძლოა შეექმნას სასამართლო დავების რისკები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის მომავალ შემოსავალსა და მომგებიანობაზე. „კომპანია“

წინასწარ ვერ განსაზღვრავს, თუ რა გავლენას მოახდენს საქართველოში მარეგულირებელი ორგანოების ან მესამე მხარის საჩივრები, მოკვლევები ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოძიება მის ბიზნესზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე. ამასთან, მოკვლევების შედეგად „კომპანიაზე“ დაწესებულმა ჯარიმამ, ან „კომპანიისთვის“ გარკვეული ტიპის ბიზნესის წარმოების აკრძალვამ ერთ ან რამდენიმე რეგიონში, სადაც ის ოპერირებს, შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა თუ პერსპექტივაზე.

**2.18. „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის შემცირებამ შესაძლოა შეზღუდოს ახალ სასესხო საშუალებებზე მოლაპარაკებების ან სასესხო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობა და გაზარდოს სესხის აღების ხარჯები ან/და უარყოფითად იმოქმედოს კრედიტორებთან ურთიერთობაზე.**

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგი მნიშვნელოვანი ფაქტორია „კომპანიის“ მიერ სესხების სახსრების ღირებულების განსაზღვრაში. ამ დოკუმენტის მომზადების დღისთვის, ემიტენტს Scope-ის მიერ მინიჭებული აქვს ემიტენტის გრძელვადიანი რეიტინგი BB- სტაბილური პერსპექტივა. „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგების შემდგომმა შემცირებამ ან დამატებით „უარყოფითი რეიტინგების“ კომპონენტზე განთავსებამ შესაძლოა გაზარდოს სესხის აღების ღირებულება, ან შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა მოიზიდოს კაპიტალი და არსებითად უარყოფითად იმოქმედოს მის უნარზე, განახორციელოს კაპიტალური დანახარჯების პროგრამები, რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა თუ პერსპექტივებზე.

**2.19. მნიშვნელოვანმა შემთხვევამ, რომელიც არ შედის „კომპანიის“ დაზღვევის ლიმიტში, შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალი.**

„კომპანიის“ პოლიტიკის შესაბამისად, „სელფის“ აქვს დაზღვევის პოლისები, მათ შორის ქონების ზიანის, ძირითადი პერსონალის, მესამე მხარის პასუხისმგებლობისა და სხვა. თუმცა, „კომპანიას“ ვერ ექნება გარანტია, რომ არსებული სადაზღვევო პოლისები იქნება საკმარისი დაიცვას იგი ყველა შესაბამისი ხარჯისგან, ან, რომ დაზღვევის ეს დონე მომავალში ხელმისაწვდომი იქნება კომერციულად გონივრულ ფასებში. „კომპანია“ სრულად არ აზღვევს გარკვეულ რისკებს, რამდენადაც ასეთი რისკები შესაძლოა სრულად ვერ იქნას დაზღვეული, ან შესაბამისი დაფარვა არ არის ხელმისაწვდომი მისთვის მისაღებ ფასად. თუ რომელიმე ზარალი არ არის გათვალისწინებული კომპანიის სადაზღვევო პოლისებით, ან აღმატება მასში მითითებულ დაფარვის ლიმიტებს, „კომპანია“ ვერ მიიღებს კომპენსაციას სადაზღვევო კომპანიისგან და შესაძლოა გაწიოს შესაბამისი ზიანის აღმოფხვრის ხარჯი. ამჟამად, „კომპანიის“ ქონება განთავსებულია ქვეყნის მამულებით ბევრ ლოკაციაზე (ლოკაცია არის საბაზო სადგურის ადგილმდებარეობა, საწყობის ადგილმდებარეობა, დატა ცენტრის ადგილმდებარეობა და ა.შ.), თითოეულ ლოკაციაზე დაზღვევის ოდენობა მაქსიმუმ 50 მილიონი ლარია. არც ერთ კონკრეტულ ლოკაციაზე, როგორც ცალკე აღებულზე, არ არის განთავსებული ამ ლიმიტის ღირებულების აპარატურა. შესაბამისად აღნიშნული ლიმიტი პირობითია და დაზიანებული ქონების სრულად ანაზღაურდება. ასევე, „ემიტენტს“ გააჩნია საქმიანობის შეხერხებასთან დაკავშირებული დაზღვევა, რაც მაქსიმუმ 5 მილიონი ლარით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ქონების დაზიანების მასშტაბიდან გამომდინარე, შესაძლოა დროულად ან საერთოდ ვერ მოხდეს დაზიანებული ქონების აღდგენა. „კომპანია“ არ ინახავს ცალკე სახსრებს და სხვაგვარად არ გამოყოფს რეზერვებს ამ ტიპის შემთხვევებისთვის ან სხვა სადაზღვევო ზარალისთვის. ნებისმიერმა ასეთმა ზარალმა ან მესამე მხარის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნამ, რომელიც არ არის გათვალისწინებული დაზღვევით, შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივაზე.

**2.20. „კომპანიის“ შესაძლებლობა, უზრუნველყოს კომერციულად მომგებიანი სატელეკომუნიკაციო სერვისები, ნაწილობრივ დამოკიდებულია მის მფლობელობაში არსებულ სხვადასხვა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებებზე და „კომპანიას“ შესაძლოა მესამე მხარეებმა წაუყენონ მოთხოვნები ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის გამო.**

საქმიანობის წარმოებისას „კომპანია“ ეყრდნობა მესამე მხარის ლიცენზიებს და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ფორმებს. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რომლებსაც ფლობს „კომპანია“ ან ლიცენზირებულია მასზე, შესაძლოა გასაჩივრდეს კონკურენტების ან სხვა მესამე მხარის მიერ. ამასთან, შესაბამისი ინტელექტუალური საკუთრების უფლებები შესაძლოა იყოს ძალადაკარგული, არა-აღსრულებადი, ან არ იყოს საკმარისი მასშტაბის კომპანიის ინტერესების დასაცავად, ან არ შეუქმნას მას რაიმე კონკურენტული უპირატესობა. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ჩამორთმევამ ან გაუქმებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ უნარზე გაწიოს მომსახურება და უარყოფითად იმოქმედოს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე.

### **3. შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები:**

#### **3.1. „ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს.**

„ობლიგაციების შეთავაზების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ“ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება „ობლიგაციებს“. ნებისმიერმა ამგვარმა გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს ობლიგაციების პოტენციური ამონაგები. რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ მეორადი გაყიდვის ფასზე.

#### **3.2. ობლიგაციების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის, უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს არარსებობის გამო**

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ან/და მათგან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, წინამდებარე პროსპექტის, „იპოთეკის ხელშეკრულების“, „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ შესაბამისად, ობლიგაციონერების სასარგებლოდ მეორე რიგის იპოთეკითა და გირავნობით დატვირთოს „კომპანიის“ უძრავი და მოძრავი ქონება და „კომპანიის“ კაპიტალში შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზის“ და შპს „ინვესტიკოს ალიანსის“ კუთვნილი 100%-იანი წილი (იხილეთ „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ ქვეთავი 2. „უზრუნველყოფა“. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს უზრუნველყოფილი ობლიგაციების მარეგულირებელი შესაბამისი ჩარჩო და აღნიშნულთან მიმართებით მოთხოვნები მაქსიმალურად განსაზღვრულია პროსპექტითა და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით. ამის მიუხედავად, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება და უზრუნველყოფის საშუალებათა რეგისტრაცია შესაძლოა პრაქტიკაში შეფერხდეს დადგენილი პროცესების ნაკლებად მოქნილი ფორმატის, გარიგების მონაწილე თუ სხვა არსებული ინვესტორების მხრიდან სათანადო ქმედებების განხორციელების გაჭიანურების ან განუხორციელებლობის თუ სხვა ფაქტორების გამო.

### 3.3. ობლიგაციონერები წარმოადგენენ მეორე რიგის უზრუნველყოფილ კრედიტორებს და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ წინა რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ

წინამდებარე "პროსპექტის" თარიღისათვის „კომპანიის“ უძრავ და მოძრავ ქონებას (არსებული და სამომავლო) და „კომპანიის“ კაპიტალში შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზის“ კუთვნილ 71%-იან წილზე და შპს „ინვესტიკოს ალიანსეს“ კუთვნილ 29%-იან წილზე რეგისტრირებულია პირველი რიგის იპოთეკა და გირავნობა „პირველი რიგის კრედიტორების“ სასარგებლოდ. „ემიტენტი“ და „პირველი რიგის კრედიტორები“ უზრუნველყოფენ ობლიგაციების განთავსების თარიღამდე სავალდებულო ძალის მქონე წერილობითი შეთანხმების (წერილი) გაფორმებას, რომლის ფარგლებში „პირველი რიგის კრედიტორები“ კისრულობენ ვალდებულებას, რომ მას შემდეგ, რაც „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებული ობლიგაციების განთავსებიდან მიღებული თანხით მოხდება „ემიტენტის“ მიერ „პირველი რიგის კრედიტორების“ მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების (რომელიც გამომდინარეობს „პირველი რიგის კრედიტორებთან“ გაფორმებული „არსებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან“) შემცირება 20 (ოცი) მილიონ ლარამდე, მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც „პირველი რიგის კრედიტორები“ დაიკმაყოფილებენ მოთხოვნას შესაბამისი #1231233028463 და #1231233088809 იპოთეკებისა და გირავნობების: #1231233028532 და შესაბამისი ცვლილებები, #1231233028516 და შესაბამისი ცვლილებები, #1231233028476 და შესაბამისი ცვლილებები, #1231233034176 და შესაბამისი ცვლილებები, #0011.8076934.001-1-1 და შესაბამისი ცვლილება, #0011.8076934.001-1-2 და შესაბამისი ცვლილება, ხელშეკრულებების საფუძველზე, ჯამურად განისაზღვრება 30 (ოცდაათი) მილიონი ლარით.

იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციების გამოშვების შედეგად ვერ განთავსდა სრულად 65,000,000 (სამოცდახუთი მილიონი) ლარი და განთავსდა ნაკლები, „ემიტენტი“ მიმართავს „პირველი რიგის კრედიტორების“ დავალიანების შესამცირებლად ნაკლებ თანხას. ზემოაღნიშნული შეთანხმებით/წერილით გათვალისწინებული იქნება, რომ იმ შემთხვევაში, თუ „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებული ობლიგაციების განთავსებიდან მიღებული თანხით „ემიტენტის“ მიერ „პირველი რიგის კრედიტორების“ მიმართ არსებული ზემოთ მითითებული ფულადი ვალდებულებებიდან გამომდინარე დავალიანების დაფარვის შემდეგ, „პირველი რიგის კრედიტორების“ მიმართ „არსებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე დარჩენილი დავალიანების (ნარჩენი ვალდებულება) მოცულობა იქნება 20 (ოცი) მილიონი ლარზე მეტი, მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც „პირველი რიგის კრედიტორები“ დაიკმაყოფილებენ მოთხოვნას შესაბამისი #1231233028463 და #1231233088809 იპოთეკებისა და გირავნობების: #1231233028532 და შესაბამისი ცვლილებები, #1231233028516 და შესაბამისი ცვლილებები, #1231233028476 და შესაბამისი ცვლილებები, #1231233034176 და შესაბამისი ცვლილებები, #0011.8076934.001-1-1 და შესაბამისი ცვლილება, #0011.8076934.001-1-2 და შესაბამისი ცვლილება, ხელშეკრულებების საფუძველზე, იქნება დარჩენილ დავალიანებას (ნარჩენი ვალდებულება) დამატებული 10 (ათი) მილიონი ლარი. ამ სცენარის თვალსაზრისით, იხილეთ ქვემოთ საილუსტრაციო მაგალითი.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ზემოაღნიშნული შეთანხმების/წერილით გათვალისწინებული პირობები იმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტი“ „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებული ობლიგაციების განთავსებიდან მიღებული თანხით შესაბამისი ოდენობით შეამცირებს/დაფარავს (რეფინანსირება) „ემიტენტის“ მიერ „პირველი რიგის კრედიტორების“ მიმართ არსებულ ზემოთ მითითებულ ფულად ვალდებულებას არაუგვიანეს „ობლიგაციების“ განთავსების თარიღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

საილუსტრაციო მაგალითი:

„ემიტენტმა“ „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებული ობლიგაციების განთავსებიდან მიღებული თანხით მოახდინა „პირველი რიგის კრედიტორების“ მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების (რომელიც გამომდინარეობს „არსებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან“) დაფარვა იმ ოდენობამდე, რომ „პირველი რიგის კრედიტორების“ მიმართ „არსებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ დარჩენილი დავალიანების (ნარჩენი ვალდებულება) მოცულობა დარჩა 30 (ოცდაათი) მილიონი ლარი. ასეთ შემთხვევაში, მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც „პირველი რიგის კრედიტორები“ დაიკმაყოფილებენ უზრუნველყოფილ მოთხოვნას (#1231233028463 და #1231233088809 იპოთეკისა და გირავნობების: #1231233028532 და შესაბამისი ცვლილებები, #1231233028516 და შესაბამისი ცვლილებები, #1231233028476 და შესაბამისი

ცვლილებები, #1231233034176 და შესაბამისი ცვლილებები, #0011.8076934.001-1-1 და შესაბამისი ცვლილება, #0011.8076934.001-1-2 და შესაბამისი ცვლილება, ხელშეკრულებიდან გამომდინარე) იქნება 40 (ორმოცი) მილიონი ლარის ტოლი (30 მილიონი +10 მილიონი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ან/და მათგან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, წინამდებარე „პროსპექტის“, „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ და „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ შესაბამისად, ობლიგაციონერების სასარგებლოდ მეორე რიგის იპოთეკითა და გირავნობით დატვირთოს „კომპანიის“ უძრავი და მოძრავი ქონება და „კომპანიის“ კაპიტალში შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზის“ 71%-იან წილი და შპს „ინვესტიკოს ალიანსეს“ 29%-იანი წილი (იხილეთ „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ ქვეთავი 2. „უზრუნველყოფა“).

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „სააღსრულებო კანონი“) შესაბამისად, თუ მოვალისაგან გადახდევინებული თანხა საკმარისი არ არის კრედიტორთა ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს თანხა კრედიტორებს შორის ნაწილდება ამავე კანონით დადგენილი რიგის დაცვით. ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ (ასევე იხილეთ რისკის ფაქტორები: „თუ არ განხორციელდა იპოთეკისა და გირავნობის უფლების სათანადო წესით რეგისტრაცია, ობლიგაციონერი იქნება არაუზრუნველყოფილი კრედიტორი“ და „გარკვეული ობლიგაციონერების უზრუნველყოფაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საგადასახადო იპოთეკამ/გირავნობამ და ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნებმა“). იმ შემთხვევაში კი, თუ გასანაწილებელი თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება თითოეული კრედიტორისათვის მიკუთვნებული თანხის პროპორციულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ობლიგაციონერების, როგორც მეორე რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორების, მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორების (სს „თიბისი ბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკის“) მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ. შესაბამისად, არსებობს იმის რისკი, რომ „კომპანიისგან“ გადახდევინებული თანხა არ იქნება საკმარისი კრედიტორთა ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რის გამოც ობლიგაციონერების მოთხოვნები შესაძლოა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ნაწილობრივ (თითოეული ობლიგაციონერისათვის მიკუთვნებული თანხის პროპორციულად) ან საერთოდ ვერ დაკმაყოფილდეს.

### **3.4. თუ არ განხორციელდა იპოთეკისა და გირავნობის უფლების სათანადო წესით რეგისტრაცია, ობლიგაციონერი იქნება არაუზრუნველყოფილი კრედიტორი**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იპოთეკა და გირავნობა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან. შესაბამისად, თუ ობლიგაციონერი არ უზრუნველყოფს პროსპექტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას, მათ შორის, განთავსების აგენტისთვის ნებისმიერი და ყველა საჭირო ან აუცილებელი ინფორმაციის/დოკუმენტის მიწოდებას განსაზღვრულ ვადებში, განთავსების აგენტი ვერ განახორციელებს ობლიგაციონერის სასარგებლოდ იპოთეკის ან/და გირავნობის რეგისტრაციას და, შესაბამისად, ამგვარი ობლიგაციონერის მოთხოვნა „ემიტენტის“ წინააღმდეგ იქნება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა და ამგვარი ობლიგაციონერი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაკმაყოფილდება, როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორი. „ემიტენტი“ და განთავსების აგენტი

პასუხისმგებლობას არ იღებენ იმ შემთხვევებზე, როდესაც იპოთეკის ან/და გირავნობის უფლების ობლიგაციონერის სასარგებლოდ რეგისტრაცია ვერ განხორციელდა ობლიგაციონერის მიერ განთავსების აგენტის ინსტრუქციებისა და პროცედურების, ისევე როგორც - „ობლიგაციების“ გამოშვების პირობების შესაბამისი დებულებების შეუსრულებლობის ან გაჭიანურებული შესრულების გამო.

### **3.5. გარკვეული ობლიგაციონერების უზრუნველყოფაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საგადასახადო იპოთეკამ/გირავნობამ და ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნებმა**

მართალია, „ობლიგაციები“ უზრუნველყოფილი იქნება ობლიგაციონერების სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკისა და გირავნობის უფლებით, არსებობს რისკი იმისა, რომ ამგვარ უზრუნველყოფაზე უარყოფითად აისახოს საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დაწესებული საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა.

„სააღსრულებო კანონის“ თანახმად, იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი, აღსასრულებლად წარმოდგენილი მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ - იპოთეკითა და გირავნობით უზრუნველყოფილი სხვა მოთხოვნები მათი რიგითობის მიხედვით. ამასთან, თუ აღსრულების პროცესში კრედიტორების სახით ერთდროულად მონაწილეობენ (ა) შემოსავლების სამსახური საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნით და (ბ) საქართველოში ლიცენზირებული/რეგისტრირებული კომერციული ბანკები, მიკრობანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები ან საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა გირავნობის/იპოთეკის უფლებაც წარმოიშვა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე, ამოღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილდება აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნები საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილი ვალდებულების ნაწილში, ხოლო შემდეგ - საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა.

გარდა ამისა, თუ საქართველოში ლიცენზირებული/რეგისტრირებული კომერციული ბანკების, მიკრობანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების ან საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების ფინანსური ინსტიტუტების გირავნობას/იპოთეკას, რომელიც რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე, უსწრებს სხვა პირის გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაცია, ამ პირის მოთხოვნები უპირატესად დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე ფინანსური ინსტიტუტების რეგისტრირებული, გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნების იმ ნაწილში, რომლის დაკმაყოფილების ვალდებულებაც არსებობდა რეალიზებულ ნივთზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე. ნივთის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის დანარჩენი ნაწილით დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა, ხოლო შემდეგ დაკმაყოფილდებიან დარჩენილი კრედიტორები მოთხოვნათა რიგითობის მიხედვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგადასახადო გირავნობამ/იპოთეკამ და ფინანსური ინსტიტუტების სასარგებლოდ რეგისტრირებულმა უზრუნველყოფის საშუალებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს იმ ობლიგაციონერების უზრუნველყოფაზე, რომლებიც არ წარმოდგენენ ფინანსურ ინსტიტუტებს. კერძოდ, თუ „ობლიგაციონერი“ არ არის ფინანსური ინსტიტუტი, იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით (მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება სს „თიბისი ბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ რეგისტრირებული პირველი რიგის იპოთეკიდან და გირავნობიდან გამომდინარე

მოთხოვნები) პირველ რიგში დაკმაყოფილდება იმ უზრუნველყოფილი ობლიგაციონერების მოთხოვნები, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსურ ინსტიტუტებს (საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილი ვალდებულების ნაწილში); მეორე რიგში - საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა; და შემდეგ - იმ უზრუნველყოფილი ობლიგაციონერების მოთხოვნები, რომლებიც არ წარმოადგენენ „ფინანსურ ინსტიტუტებს“.

### **3.6. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი.**

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, „კომპანია“ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან ძირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

### **3.7. შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება.**

ლარში დენომინირებული ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი არა ფიქსირებული, არამედ ცვალებადია. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის დონეზე, აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შეიცვალოს (ან გაიზარდოს, ან შემცირდეს) ინფლაციის, მოლოდინების, საქართველოს საკრედიტო რეიტინგის და სხვა საბაზრო პირობებიდან გამომდინარე. ობლიგაციაში ინვესტირება მოიცავს იმ რისკს, რომ შემდგომმა ცვლილებებმა ბაზარზე შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ობლიგაციების ღირებულებასა და გასაყიდ ფასზე. იხილეთ პირობების დოკუმენტში შემდეგი ქვეთავი - „ობლიგაციის ძირითადი მახასიათებლები“.

### **3.8. „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.**

„ობლიგაციების“ ბაზარზე გავლენას მოახდენს საქართველოში არსებული ეკონომიკური და საბაზრო პირობები და ასევე, სხვადასხვა ხარისხით, საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის გაცვლითი კურსები და ინფლაციის მაჩვენებლები სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ.). არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში განვითარდება „ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი ან, თუ განვითარდა, საქართველოში ან სხვაგან მომხდარი მოვლენები არ გამოიწვევს ბაზრის ცვალებადობას ან ამგვარი ცვალებადობა არსებითად უარყოფით გავლენას არ იქონიებს „ობლიგაციების“ ფასზე ან ლიკვიდურობაზე ან ეკონომიკურ და საბაზრო პირობებს არ ექნებათ სხვაგვარი უარყოფითი ეფექტი. თუ „ობლიგაციები“ მეორად ბაზარზე გაიყიდება, ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი პირველადი შეთავაზების ფასია; აღნიშნული დამოკიდებულია არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე, მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე. ნებისმიერმა მსგავსმა ცვალებადობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

### **3.9. საკრედიტო ხელშეკრულებითა და „ობლიგაციების შეთავაზების პირობებით“ გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს.**

„კომპანია“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია,



რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების (ე.წ. „waiver letter“) მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ ამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების პროსპექტის ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

### **3.10. „ობლიგაციების“ არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.**

არსებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირითადი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ. ინფორმაცია ობლიგაციების ფინანსურ შეზღუდვებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ “ობლიგაციის პირობებში”.

### **3.11. „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით.**

კომპანია ობლიგაციების ძირითად თანხას და პროცენტს გადაიხდის ლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად ნომინირებულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში (ინვესტორის ვალუტა). აღნიშნული მოიცავს გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილების რისკს ლარის გაუფასურების ან ინვესტორის ვალუტის რევალვაციის ჩათვლით) და რისკს, რომ ინვესტორის ვალუტაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა დააწესონ ან შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები ინვესტორის ვალუტის მიმართ. ინვესტორის ვალუტის ღირებულების ზრდა ლართან მიმართებაში შეამცირებს (ა) ობლიგაციის განაკვეთს ინვესტორის ვალუტაში; (ბ) ობლიგაციის ძირითად თანხას ინვესტორის ვალუტაში; (გ) ობლიგაციების საბაზრო ღირებულება ინვესტორის ვალუტაში. მთავრობებმა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ავტორიტეტებმა შესაძლოა დააწესონ (როგორც აღვნიშნეთ) გაცვლით კურსზე კონტროლი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი შედეგი. შესაბამისად, ინვესტორებმა შესაძლოა ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირითადი თანხა ან პროცენტი, ვიდრე ელოდნენ. აღნიშნულმა შესაძლოა ნეგატიური იმოქმედოს ობლიგაციების გადასაყიდ ფასზე.

### **3.12. “ობლიგაციებში” კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას.**

ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩევლებთან იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად და რა ფარგლებში წარმოადგენენ „ობლიგაციები“ კანონიერ ინვესტიციას ამგვარი ინვესტორებისთვის და რამდენად და რა ფარგლებში არის შესაძლებელი „ობლიგაციები“ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სესხის უზრუნველყოფის საგნად. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩევლებთან ან მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ „ობლიგაციებთან“ სათანადო მოპყრობის რეჟიმი, რისკზე-დაფუძნებული კაპიტალის ან მსგავსი წესების საფუძველზე.

ინვესტორებს, რომელთა საინვესტიციო საქმიანობა არის საინვესტიციო კანონმდებლობის ან გარკვეული ორგანოების მიერ შემუშავებული რეგულაციების საგანი, შესაძლებელია შეზღუდული ჰქონდეთ ინვესტიციების

განხორციელება ზოგიერთი ტიპის სავალო ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, „ობლიგაციებში“. ინვესტორებმა უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ მსგავსი შეზღუდვები „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებამდე. ამასთან ერთად, პოტენციურმა ინვესტორებმა უნდა გაიარონ კონსულტაცია იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის ობლიგაციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება ობლიგაციების გამოყენება გირაოს სახით სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) ეხება სხვა შეზღუდვები ობლიგაციების შექმნას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩეველებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება ობლიგაციები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

### **3.13. „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციების“ მფლობელთა უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე.**

„ობლიგაციების“ პირობები შეიცავს დათქმას „ობლიგაციების“ მფლობელთა კრების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების განხილვის მიზნით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ ინტერესებზე. აღნიშნული პირობები განსაზღვრულ უმრავლესობას უფლებას ანიჭებს ხმა მისცეს და მიიღოს გადაწყვეტილება „ობლიგაციების“ პირობების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ უმცირესობაში აღმოჩენილი მფლობელები ვალდებული იქნებიან დაეთანხმონ და იმოქმედონ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

### **3.14. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ „რეგისტრატორის“ და შესაბამის შემთხვევებში - „ობლიგაციების ნომინალური მფლობელის“ პროცედურებს.**

„კომპანია“ „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას შეასრულებს „ნომინალური მფლობელის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მეშვეობით. „ობლიგაციების“ მფლობელი ვალდებულია დაეყრდნოს „რეგისტრატორის“, „ნომინალური მფლობელის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს და ამ გზით მიიღოს შესაბამისი თანხები. „კომპანიას“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სისრულეზე.

### **3.15. „ობლიგაციის“ შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.**

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შექმნაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში: „ობლიგაციის გამოშვების პირობები“.

### **3.16. „ობლიგაციების“ გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს.**

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის („აშშ-ის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) ან რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. პოტენციურ

ინვესტორებს არ შეეძლებათ ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის და რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებში, რომლებიც არ ექვემდებარება აღნიშნულ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს

**3.17. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრაზე.**

„ობლიგაციების შეთავაზების პირობები“ ეფუძნება საქართველოს წინამდებარე პროსპექტის გამოცემის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, თუ რა გავლენას იქონიებს მათზე საქართველოს რომელიმე სასამართლო გადაწყვეტილება, ცვლილება კანონმდებლობაში ან ადმინისტრაციულ პრაქტიკაში წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღის შემდეგ.

მომავალში, ობლიგაციონერების მიერ ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციონერების მიერ მისაღებ წმინდა შემოსავლის ოდენობაზე.

ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები, მათ შორის გამორიცხული არ არის შევიდეს ისეთი სახის ცვლილებებიც, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებებზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, ასევე გარიგებების დადების და ანგარიშსწორების პროცედურებზე როგორც საბირჟო, ასევე არა-საბირჟო მეორად ბაზარზე.

**3.18. ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის;**

“ობლიგაციების” პირობები ითვალისწინებს გამოსყიდვის ოფციებს, რაც ნიშნავს, რომ თუ კომპანია გადაწყვეტს ამ ინსტრუმენტის გამოყენებას, “ობლიგაციების” მფლობელები მიიღებენ პროსპექტის პირობებით (7. ობლიგაციების დაფარვა (განაღდება) და გამოსყიდვა, ბ. ვადამდელი განაღდება (დაფარვა) / გამოსყიდვა შეზღუდული პერიოდის შემდეგ) განსაზღვრულ პრემიუმს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ თუ „ემიტენტმა“ დაკარგა რაიმე მიზეზით რეიტინგი, იგი შეძლებს პრემიუმის გადახდის გარეშე გამოისყიდოს ობლიგაციები ვადაზე ადრე (7. ობლიგაციების დაფარვა (განაღდება) და გამოსყიდვა, დ. განაღდება (დაფარვა) / გამოსყიდვა საკრედიტო რეიტინგის არქონის მიზეზით). გამოსყიდვის ოფიციით მიღებული თანხა შესაძლოა იმაზე ნაკლები იყოს, ვიდრე “ობლიგაციების” მფლობელები მიიღებდნენ “ობლიგაციების” დაფარვის ვადის მოსვლის შემთხვევაში. არსებობს რისკი, რომ თუ საპროცენტო განაკვეთები ბაზარზე დაეცემა, “კომპანია” შესაძლოა გამოიყენოს ეს ვარიანტი. ამ შემთხვევაში, “ობლიგაციების” მფლობელებს მოუწევთ სახსრების რეინვესტირება უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით, რაც ნიშნავს, რომ ისინი მიიღებენ ნაკლებ შემოსავალს, ვიდრე მიიღებდნენ იმ შემთხვევაში, თუ “კომპანია” არ ისარგებლებდა გამოსყიდვის ოფციით;

## შეთავაზების მიზნები და მოზიდული სახსრების გამოყენება

ემიტენტი გეგმავს ჯამურად 65,000,000 (სამოცდახუთ მილიონ) ლარამდე ნომინალური ღირებულების ობლიგაციების გამოშვებას, საიდანაც მიღებული წმინდა სახსრები იქნება არანაკლებ მოზიდული სახსრების 98%-ისა.

შეთავაზებიდან მიღებული წმინდა სახსრებით:

ა) დაახლოებით 53 მილიონი ლარი გამოყენებული იქნება საბანკო ვალდებულებების დასარეფინანსირებლად „ობლიგაციების“ განთავსებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღეში.

*დასარეფინანსირებელ სესხებზე მეტი დეტალისთვის იხილეთ „კაპიტალიზაცია და დავალიანების“ თავი.*

ბ) დაახლოებით 12 მილიონი ლარი გამოყენებული იქნება ზოგადი კორპორატიული მიზნებისთვის და დაფინანსდება „ემიტენტის“ სამომავლო კაპიტალური დანახარჯები.

## სარეგისტრაციო დოკუმენტი

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები

გიორგი ვერძაძე- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ვასილ ბერიშვილი - „სელფი მობაილის“ გენერალური დირექტორი

### პასუხისმგებელი პირების განცხადება

პასუხისმგებელი პირები აცხადებენ, რომ: პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.“

შეთავაზების განხორციელებაში ჩართული პირები:

„ემიტენტის“ 2021 და 2022 წლების ფინანსური აუდიტორი: შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“ (“PwC”) ს/ნ: 405220611, მის: King David ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის #12, მე-7 სართული, თბილისი 0171, საქართველო, ტელ: +995 (32) 250 80 50, ვებ-გვერდი: [www.pwc.com/ge](http://www.pwc.com/ge)

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა კომპანიის ფინანსური აუდიტორის ცვლილება

საკრედიტო რეიტინგის გამცემი კომპანია: Scope Ratings GmbH, <https://www.scooperatings.com/>

„ემიტენტის“ რეგისტრატორი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ (ს/ნ 205156374). თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ. N11; ტელ: (995 32) 2 25 15 60; ელ. ფოსტა: [info@usr.ge](mailto:info@usr.ge) (ემიტენტი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას ობლიგაციების გამოშვებამდე).

განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961; მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; ელ. ფოსტა: [info@tbccapital.ge](mailto:info@tbccapital.ge); ტელ.: (+995 32) 227 27 33

## ძირითადი საქმიანობა

### კომპანიის მიმოხილვა

„ემიტენტი“ არის შპს „სელფი მობაილ“ მისამართი: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბამბის რიგი, №8 . რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. დაარსების თარიღი: 2003 წლის 19 ნოემბერი. „კომპანიის“ ძველი იურიდიული დასახელება იყო შპს „ვიონი საქართველო“.

ემიტენტი, შპს „სელფი მობაილ“, არის ერთ-ერთი მოწინავე ტელეკომუნიკაციების ოპერატორი საქართველოში მომხმარებლების რაოდენობის მიხედვით. სელფი მობაილ ბაზარზე მრავალი წელი საქმიანობდა „ბილანის“ სახელით, ხოლო 2023 წელს განახორციელა რებრენდინგი და დაიწყო ოპერირება „სელფის“ ბრენდით. კომპანიის საქმიანობა მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: ა) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებას. რაც მოიცავს ადგილობრივ, საერთაშორისო, საქალაქთაშორისო, მობილური საკომუნიკაციო მომსახურებას და ბ) სატელეკომუნიკაციო ქსელის ელემენტებით/ტექნიკური საშუალებებით გამოყენებასთან/დაშვებასთან დაკავშირებულ საბითუმო საქმიანობას. კომპანია დღეს 1.3 მილიონ მომხმარებელს უზრუნველყოფს მობილური კავშირითა და ინტერნეტით, ასაქმებს 350 ადამიანს და აერთიანებს 28 საკუთარი გაყიდვების ოფისს, 11 ფრანჩიზას და 400-მდე დილერისგან შემდგარ ქსელს ქვეყნის მასშტაბით.

„სელფი მობაილ“ ოპერირებს საქართველოს ბაზარზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე და მომსახურებას უწევს როგორც ფიზიკურ, ასევე კორპორატიულ სეგმენტს. კომპანიის სერვისებზე უფრო დეტალურად:

### 1. მობილური სატელეფონო მომსახურება

მობილური სატელეფონო მომსახურება მოიცავს მობილური ტელეფონის ან სხვა მოწყობილობის საშუალებით განხორციელებულ საუბარს, მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, ხმოვან შეტყობინებას, მობილურ ინტერნეტსა და სხვას. კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის 2G, 3G, 4G მომსახურებას 800, 900, 1800 და 2100 MHz სიხშირეების გამოყენებით. „სელფის“ 2022 წლის მდგომარეობით უკავია ბაზრის 16.3%-იანი წილი მობილური მომსახურების შემოსავლების ოდენობით. „სელფი“ მობილურ სატელეფონო მომსახურებით მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ პროდუქტებს:

#### • ტრადიციული ტელეკომ პროდუქტები

მოიცავს ხმოვანი კავშირის, მობილური ინტერნეტისა და მოკლეთექსტური შეტყობინებების (SMS) მომსახურებას. „სელფის“ მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა საფასო კატეგორიის პაკეტებს, მათ შორისაა: „სტარტი“, „ოპტიმუმი“, „ოპტიმუმ +“, „პლატინუმი“. კომპანია აღნიშნულ სერვისებს ბაზარს სთავაზობს კონკურენტულ ფასებად. „სელფის“ 2023 წლის თებერვლის მდგომარეობით წამყვანი პოზიცია უკავია ბაზარზე საკუთარი მომხმარებლის მიერ მობილური ინტერნეტის მოხმარების მაჩვენებლის, რომელიც 96%-ს აღწევს.

#### • ციფრული შეთავაზებები და აპლიკაციები

შეთავაზებები მოიცავს ინტერნეტთან ერთად გარკვეული აპლიკაციების ერთ პაკეტად შეთავაზებას კლიენტებისთვის მათი ცხოვრების სტილიდან გამომდინარე. ასეთი აპლიკაციებია:

- (i) ტელევიზის მიმართულებაში MarTV, რომლითაც შესაძლებელია მობილური მოწყობილობიდან ქართული და უცხოური არხების ყურება, გადახვევისა და დაპაუზების ფუნქციით სარგებლობა, ფავორიტი არხების შენახვა;
- (ii) ფიტნესის მიმართულებაში Fitness, რომლითაც შესაძლებელია სხვადასხვა ფიტნეს ვიდეოს ნახვა, სხეულის მასის ინდექსის გამოთვლა და სწორ კვებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მიღება;

- (iii) სპორტის მიმართულებით Setanta Sports, რომლითაც შესაძლებელია მრავალფეროვანი სპორტული კონტენტის მიღება, მათ შორის live რეჟიმში ორი პარალელური ტრანსლაციის ყურება, მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების თვალის დევნება;
- (iv) მუსიკის მიმართულებით Stringray, რომლითაც შესაძლებელია 1,000-ზე მეტი ჰიტების არხის გამოწერა.

- **ავტომატური როუმინგი და საერთაშორისო მოგვა**

მარტივი ავტომატური როუმინგი ხელმისაწვდომია მსოფლიოს 89 ქვეყანაში. პროდუქტის ფარგლებში მომხმარებელს შეუძლია როუმინგით სარგებლობა ავტომატურად, ყოველგვარი დამატებითი მომსახურების ჩართვის და პარამეტრების გაწერის გარეშე. კომპანია ბაზარს სთავაზობს აღნიშნულ სერვისებს კონკურენტულ ფასად. ამასთან ერთად, კომპანიას აქვს საერთაშორისო მიმართულების სხვა პაკეტებიც.

- **ვირტუალური ბარათი (E-Sim)**

eSIM-ი (Embedded SIM) სმარტფონში ჩაშენებული ვირტუალური სიმ ბარათია და აბონენტებს ყველა იმ სერვისით სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს, რომელიც ფიზიკური სიმ ბარათის შემთხვევაშია ხელმისაწვდომი. სელფის აბონენტებს eSIM-ის აქტივაციის არცერთ ეტაპზე არ უწევთ მობილური ოპერატორის ოფისში მისვლა. eSIM-ის გააქტიურება კი შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში, ნებისმიერი ადგილიდან, ონლაინ ვებ გვერდის და Digital Touch Screen-ების მეშვეობით. ამ ტექნოლოგიას აქვს არაერთი უპირატესობა ფიზიკურ ბარათთან შედარებით – ის არ ფუჭდება და არ იკარგება, მისი გამოცვლაც ონლაინ არის შესაძლებელი; ამასთან, eSIM არ იკავებს სმარტფონის მოწყობილობაში ადგილს, რაც მწარმოებლებისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებაა. და რაც მთავარია, eSIM ერთსიმიანი სმარტფონების მფლობელებს შესაძლებლობას აძლევს რამდენიმე სიმ ბარათით ისარგებლონ.

- **SMS Bulk**

სელფი კომპანიებს უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს, სმს პორტალის მეშვეობით, რომელიც Big Data-ს ამუშავებს, მაქსიმალური სიზუსტით გამოავლინონ მათთვის საინტერესო სამიზნე სეგმენტი და სმს-ით მიაწოდონ მათზე მორგებული ინფორმაცია. პორტალი სრულად შეიქმნა სელფის გუნდის მიერ და პროდუქტის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს ინფორმაციის ზუსტად დამუშავებასა და შემდგომ მის მიზნობრივად გამოყენებაში.

პორტალის მეშვეობით კომპანიას თავად შეუძლია მისთვის სასურველი სახელით გააგზავნოს ჯგუფური შეტყობინებები მომხმარებელთა სასურველ რაოდენობასა და ლოკაციაზე, შეამოწმოს გაგზავნილი კამპანიის სტატუსი, დაგეგმოს კამპანიები და იხილოს უკვე ჩატარებული კამპანიების შედეგები.

## 2. სატელეკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და ტექნიკური საშუალებებით გამოყენებასთან დაკავშირებული საბითუმო (ძირითადი ქსელი) საქმიანობები (დაშვება).

აღნიშნული სერვისის მოიცავს განსაზღვრული პირობებით ქსელის ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესაბამისი ელემენტებითა და ტექნიკური საშუალებებით სარგებლობის უზრუნველყოფას; ადგილობრივი დაშვების ქსელის ელემენტებითა და მათი თავისუფალი რესურსებით, ანძებით და ბოძებით სარგებლობის უზრუნველყოფას; თანალოკაციის ფართობით სარგებლობის უზრუნველყოფას; მობილური საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებით, მათი თავისუფალი საოპერაციო ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით (მათ შორის, როუმინგის მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებით) სარგებლობის უზრუნველყოფას. ამ მიმართულებაზე მოდის 2022 წლის ჯამური შემოსავლების 11%.

კომპანიას განვითარებული აქვს სხვადასხვა უნიკალური და ინოვაციური პროდუქტები, რომლებიც მას ეხმარება სტანდარტული სერვისების გაყიდვაში, ასეთებია:

### MyCellfie აპლიკაცია

ციფრული აპლიკაცია, ეს არის სელფის სრული ოფისი მომხმარებლის ტელეფონში ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. აპლიკაცია შეიქმნა უახლესი ტრენდების გათვალისწინებით და აბონენტს შესაძლებლობას აძლევს მარტივად შეასრულოს ოპერაციები ნებისმიერ დროს და აწარმოოს საკუთარი ხარჯების დეტალური კონტროლი. Mycellfie-ის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია: ჩარიცხოს თანხა, ჩართოს მომსახურებები და ტარიფები, შეამოწმოს ბალანსი, მომსახურებების სტატუსი როგორც საკუთარ ასევე სელფის სხვა აბონენტისთვის. აპლიკაციაში ინტეგრირებულია Apple Pay გადახდის მეთოდიც. ამასთანავე, აპლიკაციის საშუალებით შესაძლებელია რამოდენიმე ნომრის ერთდროულად მართვა, და სხვადასხვა დაგროვებითი ბარათების ლოიალობის ბარათების დამატება/შენახვა. აღნიშნული ლოიალობის ბარათები მომხმარებელს საშუალებას აძლევს, პარტნიორ დაწესებულებებში MyCellfie აპლიკაციიდან გადაიხადონ შესაბამისი საფასური.

### თამაშები და ციფრული პარტნიორობები

ციფრულად დაკავშირებულ სამყაროში, მობილური თამაშები უფრო პოპულარული ხდება. სელფი მობაილ ბაზარზე გამოირჩევა საკუთარი მობილური თამაშების განვითარებით და მომხმარებლისთვის დამატებითი ღირებულების შექმნით. ამ ეტაპზე კომპანიას უცხოელი და ქართველი დეველოპერების მიერ შექმნილი თამაშები აქვს პორტალზე განთავსებული, სადაც მეგაბაიტების, SMS-ების და სასაუბრო წუთების მარტივად დაგროვებაა შესაძლებელი.

### Digital Touch Screens

სელფის მაღაზიებში თვითმომსახურების თანამედროვე ციფრული ტერმინალებია, რომლის საშუალებითაც მარტივად და სწრაფად, ოპერატორის ჩართულობის გარეშე შესაძლებელი შემდეგი ოპერაციების განხორციელება: პროდუქტების და მომსახურებების შეძენა, ბალანსის შევსება, ინფორმაციის მოძიება, ნომრის შეძენა, უნაღდო ანგარიშსწორება. სელფის ციფრული ტერმინალები ადგილობრივი ტელეკომუნიკაციის ბაზრისთვის სიახლეა და ანალოგი არ აქვს.

### **გაყიდვის არხები**

„სელფი მობაილ“ გაყიდვებს ახორციელებს ფიზიკური მაღაზიების, ფრანჩიზული სალონების, სადილერო ქსელისა და ციფრულეკოსისტემის საშუალებით.


- ფრანჩიზული სალონი არის დილერის საკუთრებაში არსებული მაღაზია, რომელიც ოპერირებს სელფის ბრენდის ქვეშ და სადაც მომხმარებელს სრულფასოვნად შეუძლია მიიღოს კომპანიის მიერ შეთავაზებული ყველა სერვისი.
- სადილერო ქსელი ეს არის გაყიდვების წერტილი, რომელიც შეიძლება მომხმარებელს შეხვდეს ნებისმიერი სახის სავაჭრო ობიექტში

კომპანია საქართველოში ფლობს 28 საკუთარ მაღაზიას, 11 ფრენჩაიზსა და 400-მდე სავაჭრო წერტილით კარგად განვითარებულ სადილერო ქსელს, რომელსაც SIM ბარათების გაყიდვაში აქვს 40%-იანი წილი. კომპანიის საკუთარი გაყიდვების ოფისი განთავსებულია საქართველს ყველა საერთაშორისო აეროპორტში. ობიექტების გადანაწილება რეგიონების მიხედვით მოცემულია ქვემოთა გრაფიკებზე:




გრაფიკი (ა), წყარო: კომპანიის შიდა ინფორმაცია

საკუთარი მაღაზიების რეგიონალური განაწილება



გრაფიკი (ბ), წყარო: კომპანიის შიდა ინფორმაცია

ფრენჩაიზების რეგიონალური განაწილება



**ისტორია**

2007 წლის 15 მარტიდან შპს მობიტელის სახელით ბაზარზე ოპერირება ბრენდმა „ბილაინმა“ დაიწყო. 2022 წელს კომპანიის 100%-იანი საბოლოო ბენეფიციარი გახდა ბ-ნი ხვიჩა მაქაცარია და 2023 წელს მოხდა ბრენდის ჩანაცვლება „სელფი მობაილით“. 2023 წლის ივლისში სტრუქტურაში მოხდა დამატებითი ცვლილებები, რომლის შედეგადაც „სელფი მობაილის“ საბოლოო ბენეფიციარები ბ-ნ ხვიჩა მაქაცარიასთან (59.1%) ერთად არის ბ-ნი მამუკა ტოგონიძე (38.4%) და სხვა ფიზიკური პირები (2.5%).

**ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები**


- **2006 წელს** კომპანიამ დაიწყო ბრენდი „ბილაინით“ სარგებლობა.
- **2007 წლის 15 მარტს** განხორციელდა პირველი მობილური ზარი
- **2015 წელს** „ბილაინი“ იყო პირველი ოპერატორი საქართველოში, რომელმაც დაანერგა ინოვაციური 4G ტექნოლოგია ბაზარზე (სიჩარე 65mb/წამში)
- **2016 წელს** ტექნოლოგიური განვითარების ფარგლებში კომპანიამ განაახლა 2014 წელს ჩაშვებული მობილური აპლიკაცია, რომელიც გახდა პირველი ქართული აპლიკაცია, რომელსაც Play Story-ზე ერთ მილიონზე მეტი ჩამოტვირთვა ჰქონდა;
- **2016 წელს** კომპანიამ შეიძინა დამატებითი სიხშირის ლიცენზია და **2017 წელს** დაანერგა 3G ტექნოლოგია;
- **2018 წლის** თებერვალში, ერთწლიანი მომზადების შემდეგ კომპანია ერიქსონთან ერთად მოხდა სამომხმარებლო პლატფორმების, ბილინგისა და სხვა დამხმარე სისტემების სრული ციფრული ტრანსფორმაცია. ჩანაცვლდა ყველა ძველი სისტემა და კომპანია გადავიდა სრულიად ახალ პლატფორმაზე. შედეგად კომპანიამ შეამცირა პროდუქტების ბაზარზე გაშვების დრო, გაამარტივა პარტნიორებთან პროცესების ინტეგრაცია და გაზარდა აბონენტების მომსახურებისა და ტრაფიკის გატარების სიმძლავრე. შესაძლებელი გახდა თანამედროვე დამატებითი სერვისების შეთავაზება და პროდუქტების პორტფელის საგრძნობლად გაზრდა.
- **2018 წელს** ციფრულ ტრანსფორმაციასთან ერთად მოხდა მონაცემთა სანახი სისტემის (Data warehouse) და ანგარიშგების სისტემების სრულად ჩანაცვლება თანამედროვე ღია კოდის დიდი მონაცემების პლარფორმებით (Open Source big data systems). შედეგად შესაძლებელი გახდა დიდი მონაცემების დამუშავება და შენახვა დაბალი ხარჯებით, მაქსიმალური მოქნილობით და ჰორიზონტალურად მასშტაბირების პრინციპებით.

- **2019 წლიდან** დაიწყო აქტიური თანამშრომლობა კომპანია Nokia-სთან, რადიო ქსელის, მობილური ქსელის ბირთვის და მაგისტრალური სატრანსპორტო ქსელის მოდერნიზაციის პროექტებზე.
- **2020 წელს** შესრულდა ქსელის მოდერნიზაციის პირველი ფაზა. ქსელის ~25% განხალდა ე.წ. Single RAN პროგრამულ და აპარატურულ უზრუნველყოფით, რამაც საშუალება მისცა კომპანიას გადაენაწილებინა არსებული სპექტრი მაქსიმალური ეფექტურობით ძველი ტექნოლოგიებიდან (2G,3G), ახალ LTE ტექნოლოგიაზე. შედეგად შესაძლებელი გახდა გაცილებით მეტი ტრაფიკის/გამტარობის მიწოდება მომხმარებლებისთვის. პროექტი გრძელდება და მისი დასრულება იგეგმება 2024 წლის მეორე კვარტალში.
- **2021 წელს** კომპანია Nokia-სთან ერთად დაიწყო და 2023-წლის პირველ კვარტალში დასრულდა მობილური ქსელის ბირთვის (Mobile Core) სრული ჩანაცვლება. ახალი ბირთვის გამტარობა და შესაძლებლობები ითვლისწინებს კომპანიის ზრდისა და პროდუქტების გაფართოების გეგმებს, როგორც საცალო ასევე B2B და საბითმო ბაზრებზე. ახალი ბირთვი სრულად ვირტუალიზირებულ ტექნოლოგიებზეა დამყარებული და მზად არის 5G სერვისების შეთავაზებისთვის.
- **2022 წელს** ასევე კომპანია Nokia-სთან ერთად მოხდა ქსელის მარშრუტიზაციის და აგრეგაციის ცენტრალური სისტემების ჩანაცვლება ახალი პროგრამული და აპარატურული კომპლექსით. შედეგად ქსელის პოტენციური გამტარობა გაიზარდა 1.8Tb/s-მდე არსებული 0.4 Tb/s-დან, რაც უზრუნველყოფს 5G ტექნოლოგიით ტრაფიკის ზრდის ათვისებას.
- **2021 წელს** კომპანიამ დაანერგა ESIM, იგივე ვირტუალური სიმ ბარათი;
- **2022 წლის** ივნისში კომპანიის ბენეციფიარი მესაკუთრე გახდა ქართველი ბიზნესმენი ხვიჩა მაქაცარია და მოხდა ვიონი ჯგუფის ჩანაცვლება;
- **2023 წელს** კომპანიამ დაანერგა ERP სისტემა SAP;
- **2023 წლის** 5 აპრილს კომპანიამ რებრენდინგი განახორციელა და შეიცვალა სახელი/იურიდიული დასახელება და გახდა „სელფი მობაილ“. რებრენდინგთან ერთად კომპანიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ციფრული ტრანსფორმაციისკენ და შეცვალა კონცეფცია და ნიშა. 5G , 1800 და 2600 ლიცენზიების შეძენა.

## სეზონურობა

„სელფი მობაილის“ სეზონურობა ზოგად ბაზრის ტენდენციების შესაბამისია და ბიზნესისთვის გარკვეულწილად დამახასიათებელია. დატვირთულობა ტურისტულ სეზონურობასთან თანხვედრაშია, შესაბამისად ყველაზე მაღალი აქტივობა მესამე და მეოთხე კვარტალში ფიქსირდება.

*სელფი მობაილის და მობილური სერვისების ბაზრის შემოსავლების პროცენტული გადანაწილება თვეების მიხედვით 2022 წელს:*



წყარო: GNCC

## კომპანიის ძლიერი მხარეები

### ტელეკომუნიკაციების ბაზრის დადებითი მხარეები

ტელეკომუნიკაციები ბაზარი არის მკაცრად რეგულირებული, მოითხოვს როგორც მთელი რიგი ლიცენზიების მოპოვებას, ისე დიდი ოდენობით კაპიტალური დანახარჯების გაწევას. ყოველივე ეს განაპირობებს ბაზარზე ახალი მოთამაშეების შესვლის მაღალ ბარიერს, რაც შესაბამისად ამცირებს ახალი კონკურენტების გაჩენის ალბათობას. ამასთან ერთად, ბაზარზე კონკურენტის გაჩენის შემთხვევაშიც კი კაპიტალური ხარჯების გაკეთებიდან ოპერირების დაწყებამდე საჭიროა დიდი დრო, რა პერიოდშიც არსებულ მოთამაშეებს დრო ექნებათ მოემზადონ ახალი კონკურენტისთვის. დამატებით, ვინაიდან „სელფი“, „მაგთიკომი“ და „სილქნეტი“ ბაზარზე დიდი ხანია ოპერირებენ და დაგროვილი ჰყავთ ლოიალური მომხმარებლები, ახალ გამოჩენილ კონკურენტს გაუჭირდება მათგან მომხმარებლების გადმოზიდვა.

ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტელეკომუნიკაციების ბაზარზე უსადენო ქსელის მომხმარებლების სიმკვრივე ისეთივე მაღალია, როგორც ევროპის უმეტეს ქვეყნებში, მენეჯმენტი ფიქრობს, რომ ბაზარს აქვს დამატებითი ზრდის პოტენციალი. ამის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ სმარტფონებისა და მობილური ინტერნეტის მოხმარება განუხრელად მზარდია. კომპანიის სჯერა, რომ არსებული სტრატეგიით კარგად არის პოზიციონირებული ბაზარზე და შეძლებს შემდეგ წლებში მოახდინოს ამაზე კაპიტალიზაცია.

### სტაბილურად მყარი პოზიცია ბაზარზე

სელფი მობაილ 15 წელია ერთ-ერთი მოწინავე მოთამაშეა ტელეკომუნიკაციების ბაზარზე. ბოლო 5 წლის განმავლობაში მას სტაბილურად 16%-18% ბაზრის წილი უჭირავს შემოსავლების ოდენობით. კომპანიას ამ დროის მანძილზე დაგროვილი აქვს სექტორის მართვის ცოდნა, რაც საშუალებას იძლევა მომავალშიც გააგრძელოს წარმატებით ოპერირება. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, ბოლო წლების მანძილზე შემუშავებული გაციფრულების სტრატეგიით (რასაც უკვე მოჰყვა რამდენიმე ციფრული პროდუქტის დანერგვა), შესაძლებელი იქნება ბაზარზე აქტუალობის შენარჩუნება და პოზიციების გამყარება, ვინაიდან წლებთან ერთად ხდება სმარტფონების მოხმარების ზრდა,

ინტერნეტის გამოყენების ზრდა და მოთხოვნა სერვისების გამარტივებულ მიღებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია სერვისების ციფრულად მიღებაზე.

### გამოცდილი მენეჯმენტი და დამფუძნებლები

კომპანიის მენეჯმენტის წევრებს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება იმ რესურსების მართვის კუთხით, რასაც კომპანია ყოველდღიურ დონეზე იყენებს - იქნება ეს ადამიანური, ტექნოლოგიური თუ ფინანსური. კომპანიის ტოპ მენეჯერები „სელფის“ წარმატებით მართავენ უკვე რამდენიმე წელია, რა პერიოდშიც კომპანიამ მოახერხა ბაზრის წილის სტაბილურად შენარჩუნება და მომავლის ციფრული პროექტების დანერგვა. კომპანიის ტოპ მენეჯმენტს საშუალოდ აქვს 12 წლიანი გამოცდილება ამ ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს გუნდს დაემატა ახალი ფინანსების მიმართულების ხელმძღვანელი, რომელსაც 20 წლიანი გამოცდილება აქვს ფინანსებსა და საბანკო სექტორში და რომელიც დაახლოებით 5 მილიარდი ლარის პორტფელის საკრედიტო რისკის მართვას ხელმძღვანელობდა სს „საქართველოს ბანკში“.

ემიტენტის მაჟორიტარი აქციების მფლობელი არის ბ-ნ ხვიჩა მაქაცარია, რომელსაც აქვს დივერსიფიცირებული პორტფელი და ფლობს ბიზნესებს სხვადასხვა სექტორებში, მათ შორის: ენერჯეტიკაში, ტრანსპორტირებასა და ფიქსირებული ინტერნეტის სექტორში. მის მფლობელობაში ასევე არის CBS ჰოლდინგური საინვესტიციო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია გამორჩეული შედეგების მქონე პროფესიონალი კადრებით. აქედან გამომდინარე, ჯგუფს/ ბიზნესმენს სხვადასხვა კომპანიებში დაგროვილი აქვს ცოდნა და გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია „სელფი მობაილისთვის“. ამას გარდა, ჯგუფის სიდიდის წყალობით კომპანიას ფართო წვდომა უზრუნველყოფს კაპიტალის ბაზრებსა და ინვესტიციების ბაზარზე.

*ემიტენტის კორპორატიული მართვის წყობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ სარეგისტრაციო დოკუმენტის ქვეგანყოფილება „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.*

## **სტრატეგია და ამოცანები**

კომპანიის მთავარი სტრატეგიაა შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა და შექმნას/გააუმჯობესოს აბონენტის საჭიროებებზე მორგებული პროდუქტები. კონკრეტულად, კომპანია მიზნად ისახავს შემდეგი მიმართულებებზე კონცენტრირებას:

- **მნიშვნელოვნად გააფართოოს და გააუმჯობესოს ქსელი**

კომპანია გეგმავს ქსელის ყველა კომპონენტის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას (დაფარვის ზონა, გამტარიანობა, უწყვეტობა და ა.შ), რის შედეგადაც მომხმარებლებს საშუალება ექნებათ უფრო მეტ ადგილას მიიღონ მომსახურება და უკეთესი ხარისხით. არსებული ქსელის გაფართოებასთან ერთად კომპანია უახლოეს მომავალში დაამატებს ახალ 5G ტექნოლოგიას, რომელიც ჯერადად გაზრდის ინტერნეტის სიჩქარეს და კომპანიას მისცემს სრულად ახალი სერვისების დანერგვის საშუალებას.

- **გაიმყაროს პოზიციები ბაზარზე და გაზარდოს ბაზრის წილი ყველა მიმართულებით**

კომპანია ახდენს თანხების ინვესტირებას და აუმჯობესებს თავის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას იმისთვის, რომ შეძლოს მომხმარებლებს მიაწოდოს გაუმჯობესებული კავშირგაბმულობის ხარისხი და ამით შეძლოს ბაზრის წილის ზრდა. ამისთვის 2021-2022 წლებში კომპანიამ განახორციელა 75 მილიონ ლარამდე ინვესტიციები მათ შორის შემდეგი მიმართულებებით:

- **ქსელის მოდერნიზაციის პროექტი**, რომლითაც მოახდინა მორალურად დაძველებული აპარატურის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩანაცვლება თანამედროვე სრული Single RAN მხარდაჭერის მქონე სისტემებით. ამით „სელფი მობაილმა“ შეძლო ძველი ტექნოლოგიიდან 4G ტექნოლოგიაში სპექტრის ეფექტური გადანაწილება, რის შედეგადაც რამდენჯერმე გაიზარდა თითოეული საბაზო სადგურის გამტარობა.
- **ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის გამოცვლა** დაინერგა ნოკიას უახლესი პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფა, რომლითაც მოხდა მობილური ქსელის ბირთვის (Mobile Core) სრულად გამოცვლა. ახალი ბირთვი უზრუნველყოფს შემდეგი 5-7 წლის განმავლობაში კომპანიის მომხმარებლების ზრდის და მათი გაზრდილი ტრაფიკის დაკმაყოფილებას და ახალი სერვისების დანერგვის შესაძლებლობას.
- **პერსონალიზებული პროდუქტები/სერვისები** კომპანიამ დაინერგა სააბონენტო ბაზის მენეჯმენტის ციფრული პლატფორმა - სისტემა, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს, გააკეთოს აბონენტების სეგმენტაცია მათი სამომხმარებლო ქცევიდან გამომდინარე და შესთავაზოს მათზე მორგებული პროდუქტები/სერვისები და შესაბამისად, ასტიმულიროს მოხმარების ზრდა.

ახალი პროგრამული უზრუნველყოფა ნიშნავს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ მომსახურებას, ქსელის წარმადობასა და დაცულობას, ისევე როგორც მზაობას 5G ტექნოლოგიის განვითარებისთვის. კომპანიის განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ქსელის და სიხშირული სპექტრის გაფართოება და ახალი 5G ტექნოლოგიის დანერგვა.

- **შექმნას მომხმარებელზე მორგებული ახალი ინოვაციური და ციფრული პროდუქტები**

კომპანიის მიზანია გაუმარტივოს მომხმარებელს ცხოვრება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით. მენეჯმენტს სჯერა, რომ ციფრული არხებით შესაძლებელია მომხმარებლების ცხოვრების გამარტივება და რომ ასეთი კლიენტურის წილის ზრდა, გამოიწვევს საერთო მოხმარების სტიმულირებას „სელფისთვის“. ამ კუთხით უკვე აქვთ შექმნილი რამდენიმე ციფრული პროდუქტი, მათ შორის: 1. MyCellfie აპლიკაცია, რომლითაც მომხმარებლებს შეუძლიათ თანხის ჩარიცხვა, მომსახურებების ჩართვა, ტარიფების/ბალანსის შემოწმება, ა.შ.; 2. სელფის ვებ გვერდი, რომლითაც შესაძლებელია e-sim ის სწრაფად ფაქტიურება. ვებ-გვერდის დახმარებით e-sim-ის შექმნა შესაძლებელია მაღაზიაში მისვლის გარეშე, ონლაინ, 24/8-ზე სელფის ვებ გვერდიდან; 3. Digital Touch Screen, რომლითაც „სელფის“ მაღაზიებში ხერხდება თვითმომსახურება, ოპერატორის ჩართულობის გარეშე.

„სელფი მობაილის“ სტრატეგიაა განაგრძოს ამ კუთხით მუშაობა და შექმნას ახალი ინოვაციური პროდუქტები.

- **კონცენტრაცია კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე (CSR)**

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და ციფრული სტრატეგიის ფარგლებში, სელფი მობაილ მრავალი წელია მხარს უჭერს პროექტებს, რომლებიც საქართველოში ციფრული სფეროს მიმართულებით ცოდნის გაზრდას და ახალი შესაძლებლობების გაჩენას ემსახურება. კომპანიის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში განათლების ხელმისაწვდომობას, წვლილი შეიტანოს ახალგაზრდებში ინოვაციებისადმი ინტერესის გაღვივებასა და ციფრული და სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებაში. სწორედ ამიტომ, „სელფი მობაილმა“ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის ჩატარებას დაუჭირა მხარი და დაადასტურა, რომ არამხოლოდ თავად ავითარებს ციფრულ პროდუქტებს, არამედ ხელს უწყობს ეკოსისტემის ჩამოყალიბებას საქართველოში. რამდენიმე აღსანიშნავი პროექტია:

- საგანმანათლებლო ფონდთან Educare Georgia თანამშრომლობით, ქართულად ითარგმნა მსოფლიოში განთქმული საგანმანათლებლო რესურსის „ხანის აკადემია“ კურსები: კომპიუტერული პროგრამირება, კოსმოლოგია და ელექტრონული ინჟინერია. მიმდინარეობს მაკრო და მიკრო ეკონომიკის კურსების ქართულად ადაპტაცია. ხსენებული რესურსით ხარისხიან განათლებაზე წვდომა მიეცა საქართველოს 245,511 სკოლის მოსწავლეს;

- „სელფი მობაილ“ ოთხჯერ გახდა პლანეტის ყველაზე მასშტაბური ჰაკათონის NASA Space Apps Challenge ქართული კონკურსის მხარდამჭერი. ჰაკათონი, რომელშიც, ძირითადად, მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, ემსახურება NASA-ს რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით პლანეტისა და კოსმოსის ყველაზე მწვავე პრობლემებისთვის ინოვაციური გადაწყვეტის მოძებნას. ქვეყნების დონეზე ჩატარებული კონკურსის შედეგად შერჩეულ მონაწილეებს შემდგომ შესაძლებლობა აქვთ პროექტის გლობალურ კონკურსზე წარდგენონ;
- კოლოკაციის უსასყიდლოდ უზრუნველყოფით, „სელფი მობაილმა“ წვლილი შეიტანა პროექტში, რომლის შედეგად საქართველოს ორი მთიანი რეგიონის - ფშავ-ხევსურეთი და გუდამაყარი, 1,291 მუდმივმა მოსახლემ წვდომა მიიღო ფიქსირებულ უსადენო ინტერნეტზე;
- „სელფი მობაილმა“ ორჯერ დაუჭირა მხარი საქართველოში გლობალური კონკურსის, Future Agro Challenge ლოკალური შეჯიბრის ჩატარებას. პირველი ასეთი კონკურსის შედეგად შერჩეულმა მონაწილემ მისი პროექტი Qvevri XYZ საბერძნეთში საერთაშორისო დონეზე წარადგინა და მაყურებელთა მოწონების ჯილდო მიიღო. კონკურსი, სოფლის მეურნეობის სფეროში ინოვაციური პროდუქტების გამოგონებას ემსახურება;
- „სელფი მობაილმა“ უკვე ორჯერ გაუწია მხარდაჭერა კავკასიის რეგიონში ყველაზე დიდი ტექ კონფერენციის TOUCH ჩატარებას. მარტო 2022 წელს, ღონისძიებამ 1200-ზე მეტ დელეგატსა და 55-ზე მეტ გამომსვლელს უმასპინძლა. პროექტის მთავარი მიზანი საქართველოში ციფრული მიმართულებით განათლების ხელმისაწვდომობის ზრდაა;
- 2018 წლიდან დღემდე, „სელფი მობაილმა“ მხარი დაუჭირა 10-მდე ჰაკათონის ჩატარებას, რომელთა მიზანაც ციფრული გადაწყვეტების შექმნა იყო. ჰაკათონებში ჯამში მონაწილეობა მიიღო 500- მა მონაწილემ, მათ შორის უმეტესობა სტუდენტი და დამწყები ანტრეპრენიორი იყო.
- **განავითაროს ციფრული ეკოსისტემა**

ემიტენტის მიზანია კომპანიის მასშტაბით განავითაროს ციფრული ეკოსისტემა. „სელფი მობაილში“ დანერგილი ღია კოდის მქონე, მონაცემების მართვის სისტემები (Hadoop, Hive, Apache Spark, Kafka, etc..) საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს მონაცემების მართვა და რთული ანალიტიკური პროცესების წარმოება. ხელმისაწვდომია მანქანური დასწავლის და სხვადასხვა AI ინტერუმენტების ინდუსტრიაში მიღებული საშუალებების უმეტესობა. აღნიშნული ინსტრუმენტები ამჟამად უკვე გამოიყენება მომხმარებელთა სეგმენტაციის, ქცევის ანალიზის და შესაბამისი შეთავაზებების/პროდუქტების მართვაში. დამატებით, ბიზნეს პროცესების მარტივად სამართავად, და მათი ავტომატიზაციისთვის, კომპანიას დანერგილი აქვს თანამედროვე პროგრამა SAP.

- **სტრატეგიული სამიზნე აუდიტორია**

კომპანიის სამიზნე აუდიტორიას თაობა Z და ადრეული მილენიალები წარმოადგენენ. შესაბამისი აუდიტორია ხასიათდება მობილურ ინტერნეტზე მოთხოვნის ზრდის ტენდენციითა და ციფრული პროდუქტების თავისუფალი და ხშირი მოხმარებით. ემიტენტისთვის აღნიშნული კატეგორიაზე ფოკუსირება მნიშვნელოვან სტრატეგიულ ხედვას წარმოადგენს. სელფი მობაილმა შესაბამისი სეგმენტის ათვისებისათვის, შესათავაზებელ პაკეტებში მოაქცია ისეთი აპლიკაციები, როგორებიცაა Stringray Music და Setanta Sports. გარდა ამისა, კომპანიამ 2023 წელს განიცადა რებრენდინგი და „ბილაინი“ ჩაანაცვლა „სელფიმ“. რებრენდინგის დროს სახელთან და შეთავაზებებთან ერთად ასევე შეიცვალა ბრენდის ციფრული პლატფორმების ინტერფეისი.

## ინვესტიციები

კომპანიამ 2021 – 2022 წლების განმავლობაში 75 მილიონი ლარის კაპიტალური დანახარჯი გასწია. მათი უმეტესი ნაწილი ქსელების მოდერნიზაციას მოხმარდა - რაც კომპანიის ბიზნეს საქმიანობისთვის ფუნდამენტურია. დეტალური ინფორმაცია კომპანიის ინვესტიციების შესახებ იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

კატეგორია	2021	2022
არა-აუდიტირებული	არა-აუდიტირებული	
ქსელის მოდერნიზაციის პროექტი	20,119,799	16,750,453
ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის გამოცვლა	7,654,051	4,963,421
SUS	5,807,310	5,905,899
არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა	1,353,982	2,674,105
სხვა	2,070,579	1,856,155
ლიცენზიები	1,642,257	2,150,635
IT ინფრასტრუქტურის ტევადობა	539,547	1,140,086
<b>სულ</b>	<b>39,187,525</b>	<b>35,440,754</b>

ინვესტიციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შემდეგი სამი: 1) ქსელის მოდერნიზაცია; 2) ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის გამოცვლა და 3). სხვადასხვა აპარატურის ლიცენზიები/განახლებები. რაზეც უფრო დეტალურად:

### 1) ქსელის მოდერნიზაციის პროექტი

მორალურად დაძველებული აპარატურის სრული ჩანაცვლება თანამედროვე Single RAN (radio access network) მხარდაჭერის მქონე სისტემებით, რამაც კომპანიას მისცა საშუალება ისეთი ტექნოლოგიური ცვლილები განეხორციელებინა როგორცაა: ძველი ტექნოლოგიიდან 4G ტექნოლოგიაში სპექტრის ეფექტური და დინამიური გადანაწილება (Carrier Agregatation). შედეგად რამდენჯერმე გაეზარდა თითოეული საბაზო სადგურის გამტარობა და ინტერნეტის სიჩქარე. პარალელურად, ქსელის მოდერნიზაციამ მოიცვა პასიური და კონსტრუქციული ინფრასტრუქტურის განახლებაც. ჯამში ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა:

- 350 საბაზო სადგურის მოდერნიზაცია;
- 85 ახალი საბაზო სადგურის მშენებლობა (ლიცენზიის მოთხოვნის დაკმაყოფილება);
- 2100mhz და 1800mhz სპექტრების რეფარმინგი (ძველი ტექნოლოგიებიდან 4G-ში გადატანა);
- ცენტრალური მარშრუტიზაციის და აგრეგაციის ქსელური აპარატურის განახლება;
- სატრანსპორტო სარელეო აპარატურის ქსელის გაფართოება;
- საიტებზე არსებული ენერჯო და პასიური ინფრასტრუქტურის გამოცვლა და მდგრადობის გაზრდა;

### 2) ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის გამოცვლა.

დაინერგა „ნოკიას“ უახლესი პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფა, რომლითაც მოხდა მობილური ქსელის ბირთვის (Mobile Core) სრულად გამოცვლა. ახალი ბირთვი უზრუნველყოფს შემდეგი 5-7 წლის განმავლობაში კომპანიის მომხმარებლების ზრდის და მათი გაზრდილი ტრაფიკის დაკმაყოფილებას და ახალი სერვისების დანერგვის შესაძლებლობას.

### 3) SUS (პროგრამული უზრუნველყოფის განახლება)

რადიო აპარატურის, სარელეო აპარატურის, ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელის აპარატურის, ცენტრალური მარშრუტიზაციის და აგრეგაციის აპარატურის და ამ ყველაფრის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება, ტექნიკური მხარდაჭერა, ლიცენზიები, განახლება და აპარატურული გარანტია.

კომპანია აგრძელებს ინვესტიციების განხორციელებას ზემოთ მოყვანილ მთავარ პროექტებში და 2023 წლის მანძილზე დაგეგმილი აქვს დაახლოებით 40.0 მილიონ ლარამდე ინვესტიციის განხორციელება. პროექტების დაფინანსება ნაწილობრივ მოხდება ახალი ობლიგაციის გამოშვებით, ხოლო დანარჩენი ნაწილი დაფინანსდება „კომპანიის“ პერიოდის მანძილზე გენერირებული მოგებით.

**შვილობილი კომპანიები**

„სელფი მობაილ“ ფლობს 51%-იან წილს შპს „პეისში“ ( საიდენტიფიკაციო ნომერი: 402262412 ). შვილობილი კომპანიის დაფუძნება მოხდა 2023 წლის იანვარში. აღნიშნული კომპანია მიმდინარედ ბიზნეს ოპერაციებს არ ახორციელებს. მომავლისთვის იგეგმება, რომ „პეისმა“ შექმნა ელექტრონული საფულე გადახდების განსახორციელებლად.

**ლიცენზიები**

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობა ხორციელდება ავტორიზაციის საფუძველზე, რაც გულისხმობს სექტორში საქმიანობის რეგისტრაციას. „ემიტენტს“ მოპოვებული აქვს შესაბამისი ავტორიზაცია, რომელიც არის უვადო და არ საჭიროებს განახლებას. ამის გარდა, კომპანია საქმიანობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) მიერ გაცემული შემდეგი ლიცენზიების საფუძველზე. უფრო კონკრეტულად იხილეთ ცხრილში:

ლიცენზია	რადიო სიხშირის სპექტრი (მგჰ)		ლიცენზიის საგანი	ლიცენზიის გაცემის თარიღი	ლიცენზიის ვადის გასვლისთარიღი
	მინიმუმი	მაქსიმუმი			
#F5, #42, #59	1 775	1 785	2G	29.01.2015	01.02.2030
	1 870	1 880			
	885	890			
	930	935			
#F97	806	816	4G LTE	29.01.2015	01.02.2030
	847	857			
#F101, #F102	1925	1930	3G	29.12.2016	29.12.2031
	1930	1935			
	2115	2120			
	2120	2125			
#F106	703	708	5G	07.09.2023	07.09.2038
	3550	3600			
#F107	2575	2585	4G/5G	07.09.2023	07.09.2038
#F108	2585	2595	4G/5G	07.09.2023	07.09.2038



#F109	1770	1775	2G/4G	07.09.2023	07.09.2038
-------	------	------	-------	------------	------------

სასაქონლო ნიშნების მოწმობის ნომრები: M36205; M36206; M36203; M36204; ამის გარდა, კომპანიას სარგებლობს ნუმერაციის რესურსით. მეტი დეტალისთვის, გთხოვთ იხილოთ, მარეგულირებელი გარემო „შეზღუდული რესურსებით სარგებლობა“.

**ბიზნესში გამოყენებული ტექნოლოგიების აღწერა**

როგორც აღინიშნა, კომპანია იყენებს ბიზნესის მართვისა და ბიზნეს პროცესების ადმინისტრირების ავტომატიზებული თანამედროვე პროგრამა „SAP S/4HANA Cloud“-ს, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია, მათ შორის:

- მაღალი დონის ურთიერთინტეგრაცია მოდულებს შორის - ერთი კონკრეტული ტრანზაქციის გატარებისას შედეგები ავტომატურად აისახება ყველა გააქტიურებულ მოდულში და არ საჭიროებს რაიმე სახის დამატებით ოპერაციებს ან დამატებით ქვეპროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით მონაცემების სინქრონიზაციისთვის.
- მონაცემების სიზუსტე და საიმედოობა - მაღალი დონის ინტეგრაცია უზრუნველყოფს, რომ მონაცემები ნებისმიერ მოდულში არის იდენტური და ზუსტი. ამავდროულად ამ მოდულების ურთიერთდამოკიდებულება უზრუნველყოფს იმას, რომ მომხმარებელმა პროგრამაში შეიყვანოს ის მინიმალური და სწორი მონაცემები, რის საფუძველზეც „კომპანია“ იღებს მაქსიმალურად ზუსტ ინფორმაციას.
- ინფორმაციის ოპერატიულობა - კომპანიის მასშტაბების მიუხედავად მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს-პროცესის ყველა შესაბამის რგოლს ჰქონდეს ოპერატიული ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე. ნებისმიერ თანამშრომელს მისი კომპეტენციის ფარგლებში აქვს ონლაინ ინფორმაცია კომპანიაში არსებულ სიტუაციაზე (დარჩენილი მარაგები, ფასების ავტომატური ცვლილება, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები, ბიუჯეტის კონტროლი და ა.შ.).
- პროცესების კონტროლი და ავტორიზაციის დონეები - პროგრამა იძლევა საშუალებას რომ პროცესების ავტორიზაციის მეშვეობით მოხდეს ეფექტური კონტროლის გატარება.
- ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უფლებების გამიჯვნა - კომპანიის ზრდასთან ერთად მატულობს კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის ალბათობა და რისკები. მომხმარებლების უფლებების მართვის მოქნილი მეთოდები (user management) საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს თითოეული მომხმარებლის კომპეტენციის ფარგლები.

**ძირითადი მომწოდებლები**

„სელფი მობაილის“ მომწოდებლები, რომელთა შესყიდვებიც აღემატება 10%-ს არიან შპს „მაგთიკომი“, შპს „სილქნეტი“ და Nokia Solutions and Networks (ყოფილი Alcatel-Lucent International).

სელფი მობაილი კონკურენტებისგან - შპს „მაგთიკომისგან“ და შპს „სილქნეტიდან“ მხოლოდ ერთ მომსახურებას - ურთიერთჩართვას, იღებს, ისევე როგორც კონკურენტი კომპანიები იღებენ სელფისგან ამ სერვისს. ურთიერთჩართვა იწყება მაშინ, როდესაც, ერთი ოპერატორის აბონენტი ურეკავს მეორე ოპერატორის აბონენტს. იქიდან გამომდინარე, რომ i) სერვისის ბუნებიდან გამომდინარე არ არსებობს მაღალი დამოკიდებულის რისკი, და ამასთანავე ii) არცერთი ოპერატორი არ არის უფლებამოსილი მარეგულირებელი კომისიის თანხმობის გარეშე გაწყვიტოს/შეაჩეროს ურთიერთჩართვა, (დეტალებისთვის, გთხოვთ იხილოთ, მარეგულირებელი გარემოს სექციაში „ურთიერთჩართვა და წვდომა,“) პროსპექტი არ არის გამჟღავნებული კონკრენტებთან ბრუნვის მოცულობები.

Nokia Solutions and Networks კომპანიის ძირითადი და ერთერთი უმსხვილესი მომწოდებელია, რომელთან თანამშრომლობაც 2006 წლიდან იწყება (Alcatel-Lucent International-ის სახელით). 2016 წელს Nokia Solutions and Networks-მა შეიძინა Alcatel-Lucent International -იდა მათთან თანამშრომლობა უკვე ნოკიას სახელით გაგრძელდა.

ნოკია მონაწილეობდა ყველა დიდ პროექტში, რომელიც „სელფიმ“ განახორციელა ქსელის მშენებლობის, მოდერნიზაციისა და გაფართოების კუთხით. აპარატურა და სერვისები, რომელსაც Nokia Solutions and Networks -სგან არის შეძენილი, მოიცავს:

- საბაზო სადგურების აპარატურა (Base stations)
- სარელეო აპარატურა (MW equipment)
- DWDM equipment
- IPBB equipment
- სათადარიგო ნაწილები
- საინსტალაციო სამუშაოები
- პროგრამული უზრუნველყოფის განახლება (SUS)
- ტექნიკური მხარდაჭერის სერვისები

ბოლო 12 თვის განმავლობაში (2023 ივნისიდან ბოლო 12 თვე) Nokia Solutions and Networks-ზე მოდიოდა „სელფი მობაილის“ შესყიდვების 19%.

## გაყიდვები და მარკეტინგი

„სელფი მობაილის“ მიზანია მრავალფეროვანი ციფრული კონტენტი შეთავაზოს მომხმარებლებს, რომელიც იქნება სწრაფი, მარტივი და ზუსტად მიესადაგება მომხმარებლის ცხოვრების სტილს. ამ მიზნის მისაღწევად კომპანია იყენებს შიდა თუ გარე საკომუნიკაციო არხებს, რომელიც მაქსიმალურად დატვირთულია მომხმარებლისთვის რელევანტური კონტენტით. თითოეული პროდუქტი მორგებულია მიზნობრივ აუდიტორიასა და პროდუქტის სარეკლამო კამპანიაზე ზუსტად ამ მიზნობრივი აუდიტორიის გათვალისწინებით იგეგმება.

გარდა კარგად აპრობირებული ციფრული საკომუნიკაციო არხებისა (FB, Instagram, Youtube, ლოკალური ქართული საიტები), კომპანია იყენებს ახალ Seamless არხს, რომელიც მათ აძლევს საშუალებას მეტი სიზუსტით დაინახონ აბონენტის სურვილები და აქედან გამომდინარე შესთავაზონ პროდუქტი. „სელფის“ აქტიურად აქვს დატვირთული სატელევიზიო ბადე, სადაც რეკლამირება ხდება 5 მთავარ არხზე და სამ რეგიონალურ არხზე, ასევე კინოთეატრებში. გარდა ტრადიციული სარეკლამო პროგრამისა, კომპანია ჩართულია ბრენდის ფილოსოფიასთან ახლოს მდგომ სხვადასხვა ღონისძიებებში, რაც საშუალებას აძლევს აიმაღლოს ცნობადობა და მეტი სიზუსტით მივიტანოთ

მომხმარებლებთან ბრენდის ღირებულებები და არსი. კომპანია მომხმარებელს დახმარებას უწევს როგორც ხმოვანი ზარით, ისე ონლაინ ჩატით.

**კომპანიის ინფრასტრუქტურა**

სელფი მობაილ მიზნად ისახავს მომხმარებლებისათვის უწყვეტი კავშირისა და უმაღლესი საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველყოფას. კომპანიას გააჩნია ჩამოყალიბებული ქსელის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს:

- 1200+ სტრატეგიულად განლაგებულ საბაზო სადგურს
- ორ დამოუკიდებელ Core კვანძს თბილისსა და ქუთაისში
- ყოვლისმომცველ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელს

ქვემოთ მოცემული ტექნიკური აღწერა შეისწავლის Cellfie-ის ინფრასტრუქტურის ძირითად ასპექტებს, მათ შორის მის საბაზო სადგურებს, Core კვანძებს, ბოჭკოვანი რგოლებს, DWDM აღჭურვილობას, მიკროტალღურ და ბოჭკოვან კავშირებს.

**საბაზო სადგურები**

სელფის 1,284 საბაზო სადგური განაწილებულია მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. სადგურები ემსახურება უკაბელო საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას, რაც უზრუნველყოფს საიმედო დაფარვას და მომხმარებლებისთვის მონაცემთა მაღალი სიჩქარით გადაცემას.


საბაზო სადგურები აღჭურვილია რადიო მოწყობილობებით, მათ შორის ანტენებითა და გადამცემებით. აღნიშნული პასუხისმგებელია სიგნალის ოპტიმალურ ხარისხსა და ზოგად პერფორმანსზე.

კავშირისა და ქსელის სიმძლავრის გასაუმჯობესებლად, სელფის ინფრასტრუქტურაში შედის 400-ზე მეტი ოპტიკურ ბოჭკოვანი კავშირი, რომელიც ემსახურება აღნიშნულ საბაზო სადგურებს. ოპტიკურ ბოჭკოვანი კავშირები პასუხისმგებელია მონაცემთა მაღალი გამტარუნარიანობით გადაცემაზე, შედეგად, მომხმარებელი იღებს უწყვეტ მომსახურებას.

*საბაზო სადგურების გადანაწილება რეგიონების მიხედვით:*

რეგიონი	საბაზო სადგურების რაოდენობა	პროცენტული გადანაწილება
დასავლეთ საქართველო	455	35%
აღმოსავლეთ საქართველო	829	65%
<b>ჯამი</b>	<b>1,284</b>	<b>100%</b>

*კომპანიის სერვისის დაფარვა რეგიონალური გადანაწილების მიხედვით:*



**ხელმისაწვდომი სიხშირის სპექტრი**

Cellfie იყენებს სიხშირის სპექტრის დიაპაზონს თავის ქსელის კონფიგურაციისთვის. სპექტრის განაწილება მოიცავს შემდეგ ზოლებს: U2100, 5G700, 5G2600, 5G3500, LTE800, LTE1800, LTE2100, G/U/L900 და G/L1800.

ამ ზოლების განაწილება და გამოყენება სტრატეგიულად განისაზღვრება ისეთი ფაქტორების საფუძველზე, როგორცაა გეოგრაფიული დაფარვა, მოსახლეობის სიმჭიდროვე და მომხმარებლის მოთხოვნა.

სიხშირული დიაპაზონი	„სელფის“ მიერ ნაყიდი სიხშირული ზოლი
700 MHz	2X5 MHz
800 MHz	2X10 MHz
900 MHz	2X5.49 MHz
1800 MHz	2X15 MHz
2100 MHz	2X10 MHz
2600 MHz	20 MHz
3500 MHz	50 MHz

1Ghz-ზე დაბალ სპექტრს (G900,U900,L800,N700) ახასიათებს დაბალი მილევადობა, დაბალი გამტარუნარიანობა და მაღალი შეღწევადობა(შენიშნები, ვეგეტაციური ზონები). შეზღუდული ზოლის და "უკონტროლო" გავრცელების გამო ვერ უზრუნველყოფს მაღალი გამტარობის კავშირს. გამოიყენება ე.წ დაფარვის შრის შესაქმნელად

1800,2100,2600,3500 სპექტრს ახასიათებს შედარებით მაღალი მილევადობა, დაბალი შეღწევადობა. შესაძლებელია ფართო ზოლის გამოყენება. უბრანულ პირობებში შედარებით მცირე გავრცელების არეალის გამო შესაძლებელია სადგურების უფრო მჭიდრო განთავსება. ასევე ხელმისაწვდომია შედარებით უფრო ფართო ზოლი(10,15,20,50,100Mhz).

ყველა ზემოთ მოყვანილი მახასიათებლებიდან გამომდინარე სპექტრი უზრუნველყოფს მაღალი გამტარუნარიანობის მქონე კავშირს. გამოიყენება ე.წ Capacity შრისთვის.

1800,2100 უზრუნველყოფს ბალანსს დაფარვას და გამტარუნარიანობას შორის

Cellfie აგრძელებს ისეთი ძველი ტექნოლოგიების მხარდაჭერას, როგორცაა GSM (მობილური კომუნიკაციების გლობალური სისტემა) GSM900 (900 MHz) და GSM1800 (1800 MHz) ზოლებზე. ეს ზოლები უზრუნველყოფს მოძველებულ მობილურ მოწყობილობებთან თავსებადობას.

მდებარეობისა და მოთხოვნილების მიხედვით სპექტრის განაწილებით, სელფი ახდენს ქსელის მუშაობის ოპტიმიზაციას, უზრუნველყოფს რესურსების ეფექტურ გამოყენებას და თავის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ისარგებლონ უწყვეტი მობილური მომსახურებით.

### ***ძირითადი კვანძები:***

საბაზო სადგურების ქსელის მხარდასაჭერად, სელფი ამუშავებს ორ დამოუკიდებელ ძირითად კვანძს, რომელიც მდებარეობს თბილისსა და ქუთაისში. კვანძები მთლიანი ქსელისთვის ერთგვარ ღერძს წარმოადგენს. იგი ახდენს ხმოვანი და ინტერნეტის ტრაფიკის მარშრუტიზაციას და გადართვას. უახლოეს წარსულში NOKIA-ს ტექნოლოგიით აღჭურვილი კვანძები განახლდა და გაუმჯობესდა.

მოდერნიზებული ძირითადი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ქსელის გაუმჯობესებულ ეფექტურობას და სერვისებს; ასევე, მომხმარებლების მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო რეაგირების დროის შემცირებას. NOKIA-ს აღჭურვილობას გააჩნია თანამედროვე სერვისის (QoS) შესაძლებლობები და ისეთი ტექნოლოგიების მხარდაჭერა, როგორცაა 5G.

ძირითადი კვანძები ქსელის ცენტრალური კონტროლისა და მართვის პუნქტებს წარმოადგენს. ძირითადი კვანძების არქიტექტურის მეშვეობით, ქსელს გააჩნია უნარი, გაუმკლავდეს ტრაფიკის მოცულობის ზრდას და მოერგოს მომავალ ტექნოლოგიურ მიღწევებს.

### ***ბოჭკოვანი რგოლები DWDM აღჭურვილობით:***

სწრაფ ინტერნეტ სერვისებზე მოთხოვნის მზარდი ტემპიდან გამომდინარე, სელფიმ ინვესტირება მძლავრ ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელში მოახდინა. აღნიშნული ქსელი მთელი ქვეყნის მასშტაბითაა განთავსებული. საქართველოს მასშტაბით, სამი ოპტიკურ ბოჭკოვანი რგოლია. აღნიშნული რგოლები კომპანიას ეხმარება, მინიმუმამდე შეამცირონ სერვისის შეფერხების რისკი.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი რგოლები გაერთიანებულია DWDM მოწყობილობებში. DWDM ტექნოლოგია პასუხისმგებელია მონაცემთა რამდენიმე ერთდროული სიგნალის, რამდენიმე მიმართულებით ერთ ოპტიკურ ბოჭკოზე გადაცემაზე, რაც უზრუნველყოფს ქსელის სტაბილურობას, ეფექტურობას და მაღალ გამტარობას დიდ მანძილებზე.

DWDM-ის გამოყენებით, სელფის შეუძლია მომხმარებლებს მიაწოდოს ისეთი მაღალი გამტარუნარიანობის სერვისები, როგორებიცაა ვიდეო სტრიმი, ღრუბლოვანი (ე.წ. cloud) აპლიკაციები და IoT კავშირი.

### ***მიკროტალღური ბმულები:***

გარდა ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელისა, კომპანიას აქვს მაღალი გამტარობის მოკლე და გრძელ მანძილზე მომუშავე რადიო სარელეო ქსელი. ამჟამად ქსელი გაშლილია მთელი ქვეყნის მასშტაბით და მოიცავს 1000-ზე მეტ შეერთების წერტილს.

აღნიშნული შეერთებებით ხდება რთულ რელიეფიან ზონებში მაღალი გამტარობის ტრაფიკის უზრუნველყოფა და ასევე ოპტიკურ ბოჭკოვანი ხაზების წყვეტის დაზღვევა.

**კავშირის მოდერნიზაცია:**

სელფი ამჟამად გადის ქსელის მოდერნიზაციის პროცესს Single RAN (რადიო წვდომის ქსელის) არქიტექტურაზე გადასვლის დასასრულებლად. ეს განახლება მიზნად ისახავს გახადოს კომპანიის ქსელი უფრო მოქნილი, ეფექტური და შეეძლოს სამომავლო ცვლილებებთან ადაპტირება. Single RAN-ის მიღებით, შესაძლებელია უკაბელო ტექნოლოგიების სხვადასხვა თაობის, როგორცაა 2G, 3G და 4G, ერთ პლატფორმაზე გაერთიანება. კონსოლიდაცია ამარტივებს მართვას, აუმჯობესებს სპექტრის ეფექტურობას და ხელს უწყობს მომავალი 5G ტექნოლოგიების შეუფერხებელ ინტეგრაციას.

Single RAN-ზე გადასვლა საშუალებას მისცემს კომპანიას, გააუმჯობესოს ქსელის მუშაობა, რესურსების განაწილება და მიაწოდოს მომხმარებლის გაუმჯობესებული გამოცდილება.

**დაზღვევა**

ემიტენტის ოპერაციები ექვემდებარება საოპერაციო და გეოგრაფიულ რისკებს, რაც მოიცავს უბედურ შემთხვევებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, ამინდთან დაკავშირებულ საფრთხეებს და ემიტენტის კონტროლის მიღმა არსებულ სხვა მოვლენებს. ემიტენტს გააჩნია სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო პოლისი, რათა დაიცვას თავი ფინანსური ზარალისგან, რომელიც წარმოიქმნება ასეთი მოულოდნელი მოვლენებისგან.

კომპანიას ისტორიულად არ გასჭირვებია სადაზღვევო პოლისებისა განახლება და მიაჩნია, რომ მათი სადაზღვევო დაფარვა გონივრულია და შეესაბამება სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიის სტანდარტებს.

**ინფორმაცია მატერიალური კონტრაქტების შესახებ**

წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის ემიტენტს არ აქვს გაფორმებული მატერიალური ხელშეკრულებები, რაც არ არის დაკავშირებული კომპანიის ჩვეულ ბიზნეს საქმიანობასთან ან არ არის აღწერილი პროსპექტის შესაბამის თავებში.

**სასამართლო დავები**

კომპანიის მიმდინარე სასამართლო დავები მოიცავს კომუნიკაციების კომისიის მიერ დაწესებული ჯარიმებისა თუ სანქციების გასაჩივრებას, დილერების მიმართ ხელშეკრულების დარღვევის საფუძველზე თანხის მოთხოვნას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მოთხოვნასა და ელექტრონული ქსელის ხაზების გამოწვეული ხანძრის გამო განპირობებულ ზარალს.

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, ქვემოთ ჩემოთვლილი დავების გარდა არ არსებობს მიმდინარე ან სავარაუდო სამთავრობო, იურიდიული ან საარბიტრაჟო წარმოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ან უკვე გამოიწვია მატერიალური ვალდებულება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან უკვე მოახდინა ემიტენტის ან / და რომელიმე გარანტორის (ცალკე ან ჯგუფურად) ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომგებიანობაზე.

სასამართლო დავები დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

სასამართლო დავები სადაც ემიტენტი არის მოპასუხე

<p><b>1</b></p>	<p>სამოქალაქო სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოში, შეტანილი „პირველი ნაბიჯის“ მიერ. მოსარჩელე თვლის, რომ სელფი მობაილის ელექტრონული ქსელის ხაზების გამო გამოწვეულმა ხანძარმა მას 483 ათასი ლარის ზარალი მოუტანა.  <b>ფაქტები:</b> ემიტენტი მუშაობს დეტალებზე  <b>ემიტენტის მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება:</b>                  საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი ბათუმი, ქუჩა ბაგრატიონი 155, 05.25.05.075, აკრძალოს აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ნივთის გასხვისება ან/და უფლებრივად დატვირთვა.   <b>პროცედურები:</b> ემიტენტმა შეავსო მოპასუხე მხარის პოზიცია</p>	<p>2021 წლის ოქტომბერი - მიმდინარე</p>
<p><b>2</b></p>	<p>სამოქალაქო სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოში, შეტანილი ფატი მახარაძის მიერ. მოსარჩელე თვლის, რომ სელფი მობაილის ელექტრონული ქსელის ხაზების გამო გამოწვეულმა ხანძარმა მას 263 ათასი ლარის ზარალი მოუტანა.  <b>ფაქტები:</b> ემიტენტი მუშაობს დეტალებზე  <b>ემიტენტის მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება:</b>                  საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი ბათუმი, ქუჩა ბაგრატიონი 155, 05.25.05.075, აკრძალოს აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ნივთის გასხვისება ან/და უფლებრივად დატვირთვა.   <b>პროცედურები:</b> ემიტენტმა შეავსო მოპასუხე მხარის პოზიცია</p>	<p>2021 წლის ოქტომბერი - მიმდინარე</p>
<p><b>3</b></p>	<p>საგადასახადო დავები (დღგ-ზე, ქონების გადასახადსა და მოგების გადასახადზე (ჯამში 5.9 მლნ ლარზე. საიდანაც 4.9 მლნ „სელფი მობაილს“ გადახდილი აქვს და დავის მოგების შემთხვევაში კომპანიას დაუბრუნდება უკან.</p>	<p>2017 წელი - მიმდინარე</p>

**ინდუსტრიის აღწერა**  
**გასაღების ბაზრები და სექტორის ტენდენციები**

**ტელეკომუნიკაციების სექტორის მაკროეკონომიკური მიმოხილვა**

2016 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, ტელეკომუნიკაციების სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში თითქმის უცვლელ, 1.9%-იან ნიშნულზე იყო. 2021 წლიდან აღნიშნულმა მაჩვენებელმა მცირედით, 1.7%-მდე დაიკლო, წლიურ შემოსავლებში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად.

ჯამში ტელეკომუნიკაციების სექტორის საცალო შემოსავლები 2016-2022 წლებში იზრდებოდა საშუალოდ 8,5%-ით: 2016-2019 წლებში გაიზარდა საშუალოდ 8%-ით, 2020 წელს COVID პანდემიის წელს მხოლოდ 1%-ით, ხოლო 2021 და 2022 წლებში გაიზარდა 10% და 19%-ით შესაბამისად წინა წლებთან შედარებით.

მილიონი ლარი	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ტელეკომუნიკაციების სექტორის საცალო შემოსავალი	731	786	845	912	917	1,006	1,194
წ/წ ზრდა	3.5%	7.5%	7.5%	7.9%	0.6%	9.6%	18.7%
წილი მშპ-ში	2.0%	1.9%	1.9%	1.9%	1.9%	1.7%	1.7%
მშპ მიმდინარე ფასებში	35,836	40,762	44,599	49,253	49,267	60,003	71,754

ტელეკომუნიკაციების სექტორში განხორციელებულ ინვესტიციებს მცირე წილი აქვს ჯამურ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში. 2022 წელს განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა აღნიშნულ სექტორში 54 მილიონ დოლარს გადააჭარბა და ჯამური ინვესტიციის 2.7% შეადგინა. 2022 წლის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის ინვესტიციების მოცულობას.

მილიონი აშშ დოლარი	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტელეკომუნიკაციების სექტორში	87.1	51.9	(41.2)	72.0	50.0	(36.0)	54.6
წ/წ ზრდა	n/a	-40.3%	-179.4%	274.6%	-30.6%	-172.1%	251.4%
წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში	5.3%	26%	-3.1%	5.3%	8.5%	-29%	2.7%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	1,654	1,990	1,351	1,352	590	1,242	2,000

წყარო: საქსტატი

ცხრილში მოცემული მონაცემები წარმოდგენილია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნიშნით. დადებითი ნიშნით წარმოდგენილი რიცხვები ასახავს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, ხოლო უარყოფითი ნიშნით წარმოდგენილი რიცხვები - ტელეკომუნიკაციების სექტორიდან ფულის გადინებას ქვეყნის გარეთ.

**ტელეკომუნიკაციების ბაზრის ამჟამინდელი სტრუქტურა და ძირითადი მონაწილეები**

ტელეკომუნიკაციის ბაზარი ძირითად ოთხ სეგმენტად იყოფა: მობილური, ფიქსირებული, ინტერნეტი და მაუწყებლობის ტრანზიტი. ამ ბაზრის ძირითად მონაწილეებს, სელფი მობაილთან ერთად სილქნეტი (ჯეოსელი) და მაგთიკომი (მაგთი) წარმოადგენენ.



ბაზარზე კომპანიების შერწყმისა და შესყიდვის კუთხით ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, მათ შორის, 2016 წელს შპს მაგთიკომმა შეისყიდა კავკასუს ონლაინი და დელტაქომ ჯგუფი. ასევე, მალევე სილქნეტმა შეისყიდა მობილური ოპერატორი ჯეოსელი. ამ ნაბიჯებით მაგთიკომმა და სილქნეტმა ტელეკომუნიკაციების ბაზრის ყველა სფერო დაფარეს და ბაზარზე უდიდეს მოთამაშეებად იქცნენ.

ქართულ ტელეკომუნიკაციების სექტორში არსებული ოთხი ძირითადი სეგმენტიდან, ყველაზე მაღალშემოსავლიანს მობილური მომსახურება წარმოადგენს. 2019 წლამდე, მობილურის წილი ჯამურ შემოსავლებში 57%-ს აღწევდა. აღნიშნული მაჩვენებელი, ყველაზე დაბალ ნიშნულზე, 53%-ზე, 2020 წელს იყო, თუმცა 2022 წელს, მობილური ოპერატორების შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თითქმის 700 მილიონ ლარს გაუტოლდა და ჯამურ მაჩვენებელში წილმა 58% შეადგინა.


მობილური მომსახურების ბაზარი გამოხატული შემოსავლებში 2016 წლიდან ყოველწლიურად მზარდია საშუალოდ 9.0%-ით, გამონაკლისი იყო პანდემიური 2020 წელი, როდესაც ბაზარი 2%-ით შემცირდა წ/წ. მობილური მომსახურების შემოსავლებში ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა 2022 წელს, როდესაც მიღებული შემოსავლები 26%-ით გაიზარდა.

*ტელეკომუნიკაციების სექტორის შემოსავლების განაწილება*

მილიონი ლარი	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
მობილური მომსახურებები	415.5	448.3	481.2	499.2	489.8	554.5	696.2
ფიქსირებული ტელეფონის	50.3	46.6	40.8	35.4	30.4	27.8	25.6
ფიქსირებული ინტერნეტი	199.5	215.2	226.8	263.9	275.9	294.3	335.9
მაუწყებლობის ტრანზიტი	66.0	75.8	95.8	113.3	121.0	129.0	136.3
<b>ჯამი</b>	<b>731.3</b>	<b>785.9</b>	<b>844.6</b>	<b>911.8</b>	<b>917.3</b>	<b>1,005.7</b>	<b>1,194.0</b>

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტელეკომუნიკაციების სექტორში შემცირებადი ტრენდით გამოირჩევა მხოლოდ ფიქსირებული ტელეფონია, რომლის შემოსავალიც 2016-2022 წლებში შემცირდა საშუალოდ 10.6%-ით. სხვა ყველა მიმართულებით ფიქსირდება ზრდა საშუალოდ 9-13%-ის შუალედში.

ტელეკომუნიკაციების სექტორის სეგმენტების შემოსავლების დინამიკა




წყარო: GNCC

მობილური მომსახურების სეგმენტის მიმოხილვა

საქართველოში მობილური მომსახურების მომწოდებლად წარმოდგენილია სამი ძირითადი ოპერატორი - მაგთიკომი, სილქნეტი და სელფი მობაილ. 2022 წლის მეორე ნახევარში ბაზარზე ახალი მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორი (ე.წ. MVNO) - ეკლეკტიკ შემოვიდა, თუმცა მისი მომხმარებლების რიცხვი ჯერ მცირეა. აბონენტების ჯამური რაოდენობა უმეტესწილად სტაბილური იყო 2016 წლიდან, თუმცა 2020 წელს აბონენტების რაოდენობის 5%-იანი შემცირება დაფიქსირდა.

მობილური მომსახურების აბონენტების რაოდენობის დინამიკა, '000



წყარო: GNCC

2021 წლიდან აბონენტების რაოდენობა დადებითი დინამიკით ხასიათდება და 2022 წელს აბონენტების რაოდენობამ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. ინდივიდუალური ოპერატორების აბონენტების რაოდენობა უმეტესწილად მიჰყვება ბაზრის დინამიკას და მნიშვნელოვანი ინდივიდუალური გადახრა საერთო ტრენდიდან არ ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ 2016-2022 წლებში აბონენტების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება მოხდა მხოლოდ 2020 წელს, რაც ძირითადად განპირობებული იყო პანდემიური წლით. კერძოდ, ქვეყანაში შემცირდა ტურისტების შემოდინება, რაც აბონენტების ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

მობილური ოპერატორების საცალო შემოსავლები, აბონენტების მსგავსად, მცირე წლიური ცვლილებით ხასიათდებოდა 2020 წლამდე, თუმცა 2021 და 2022 წლებში მნიშვნელოვნად 14% და 13%-ით გაიზარდა სეგმენტის შემოსავლები, რაც მიუთითებს, რომ ინდივიდუალური აბონენტისგან მიღებული შემოსავალი გაუმჯობესდა მობილური მომსახურებისთვის.


აღსანიშნავია, რომ ბაზარზე 2016-2022 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა ბაზრის წილებს შორის მობილური შემოსავლების ნაწილში. „სელფი მობაილის“ საბაზრო წილი ამ პერიოდში მერყეობდა 16-18%-ის ფარგლებში, ხოლო ბაზრის ლიდერი ყველა წელს იყო მაგთიკომი.

მიუხედავად იმისა, რომ საცალო შემოსავლებში ოპერატორების ბაზრის წილი ძირითადად სტაბილურია, ბოლო წლების განმავლობაში ჯამური შემოსავლები მზარდი ტენდენციით ხასიათდება: 2016 წლიდან 2022 წლამდე ეს მაჩვენებელი 67%-ით არის გაზრდილი, რაც ძირითადად განპირობებულია მობილური ინტერნეტის მოხმარების გაზრდით.

2020 წელს მომხმარებლების მსიყდველობითუნარიანობის შემცირებასთან ერთად, შემცირდა ჯამური მობილური მომსახურების ჯამური, ისევე როგორც მაგთის და სილქნეტის (ჯეოსელის) შემოსავლებიც. ოპერატორების შემოსავლების შემცირება, ძირითადად, განპირობებული იყო ხმოვანი მომსახურებით (გამავალი ზარებით) მიღებული შემოსავლების შემცირებით. აღნიშნული მომსახურებიდან შემოსავლების კლება, გარკვეულწილად, დააბალანსა მობილურ ინტერნეტ ტრაფიკზე მოთხოვნის ზრდამ.

სელფი მობაილის მიერ გენერირებული შემოსავლები, სხვა ოპერატორებთან შედარებით, ამ პერიოდში, ნაკლებად იყო დამოკიდებული ხმოვან მომსახურებაზე. შესაბამისად, 2020 წელს სელფი მობაილს შემოსავლის თითქმის ნულოვანი კლება ჰქონდა წლიურად (-0.1%), რის შედეგადაც, მობილური მომსახურების ჯამურ შემოსავლებში კომპანიის წილი მცირედით გაიზარდა.

*მობილური მომსახურების საცალო შემოსავლების დინამიკა, მილიონი ლარი*



წყარო: GNCC


მობილური მომსახურების საცალო შემოსავლებში მოიცავს უშუალოდ აბონენტისგან მიღებულ შემოსავალს (იქნება ეს იურიდიული თუ ფიზიკური პირი). საცალო შემოსავლად არ კლასიფიცირდება ურთიერთჩართვისა და სტუმარი როუმერებისგან მიღებული შემოსავალი.

2016-2022 წლებში „სელფის“ წილი მობილური მომსახურების ჯამურ ბაზარზე მერყეობდა 16%-18%-ის ფარგლებში. 2022 წლის მონაცემებით ბაზრის ლიდერი 49.3%-ით იყო მაგთიკომი (2021 წელს 46.6%), რომელსაც მოყვებოდა სიდიდით სილქნეტი - ბაზრის 34.4%-იანი წილით (2021 წელს 35.2%), ხოლო ბაზრის დანარჩენი ნაწილი - 16.3%, მოდიოდა „სელფიზე“ (2021 წელს 18.1%). 2022 წელს სილქნეტმა და მაგთიმ მომსახურებებზე ტარიფი გაზარდეს, რა დროსაც „სელფიმ“ მომსახურების საფასური არ შეცვალა. ფასების ზრდიდან გამომდინარე, სილქნეტმა და მაგთიმ გაცილებით დიდი ოდენობის შემოსავლები დააგენერირეს და შედეგად, შემოსავლების ჭრილში, „სელფის“ საბაზრო წილი შემცირდა.

მობილური ოპერატორების შემოსავლების უმეტესი ნაწილი გენერირდება ფიზიკური პირების მომსახურებისგან. აღნიშნული კუთხით შემოსავლების სტრუქტურა თითქმის უცვლელია ბოლო წლების განმავლობაში და თითოეული ოპერატორისთვის ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავალი ჯამური შემოსულობის 70-80%-ს შეადგენს.

ოპერატორები ცდილობენ შემოსავლები იურიდიული პირებიდან გაზარდონ და ამისთვის მათ სპეციალურ კორპორატიულ ნომრებსა და პაკეტებს სთავაზობენ. კორპორატიული სეგმენტის ათვისებაში მოწინავე ოპერატორი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მაგთიკომია.

მობილური მომსახურების შემოსავლები მფლობელობის ტიპის მიხედვით, მილიონი ლარი




წყარო: GNCC

ინდივიდუალურ მომხმარებელზე შემოსავლის ზრდა ჩანს საშუალო შემოსავლის, ARPU-ს დინამიკაშიც, რომელიც 2022 წლის მეორე ნახევრიდან საშუალო შემოსავლის მნიშვნელოვან ზრდას ასახავს. თუმცა, ოპერატორების მიხედვით ანალიზი გვიჩვენებს, რომ სეგმენტის აბონენტზე საშუალო შემოსავლის გაზრდა მეტწილად განპირობებულია მაგთიკომისა და სილქნეტის შემოსავლის მატებით.

ოპერატორების მიხედვით ანალიზი გვიჩვენებს, რომ მობილური მომსახურების საშუალო შემოსავალით ერთეულ მომხმარებელზე სელფი მობაილ მესამე ადგილს იკავებს ბაზარზე და მნიშვნელოვნად ჩამორჩება სილქნეტსა (ჯეოსელი) და მაგთიკომს. აღნიშნული ნაწილობრივ განპირობებული სელფის იმ დაბალი ტარიფებით, რომლითაც მომხმარებლებს იზიდავს. სელფის დაბალი ტარიფი უკავშირდება კონკურენტებთან შედარებით მცირე დაფარვასა და სპექტრს ქვეყნის მასშტაბით.

*მობილური მომსახურების საშუალო შემოსავალი ერთეულ მომხმარებელზე, ლარი (ARPU)*




წყარო: GNCC

### ხმოვანი მომსახურება

2016-2021 წლების განმავლობაში სასაუბრო წუთების რაოდენობა სტაბილურ ნიშნულთან მერყეობდა. 2022 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10%-ით არის შემცირებული.

მობილური მომსახურების ოპერატორების განაწილება სასაუბრო წუთების (გამავალი ტრაფიკი) მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლებოდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. მაგთიკომის წილი, 2016 წლის 50%-დან 2022 წლისთვის 37%-მდე არის შემცირებული. აღნიშნული კლება უმეტესწილად სელფი მობაილის წუთების რაოდენობის ზრდით არის განპირობებული, რადგან სელფი მობაილის წილი 2022 წელს 2016 წელთან შედარებით 10 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი.

სასაუბრო წუთების რაოდენობის განაწილების დინამიკა ოპერატორების მიხედვით



წყარო: GNCC

ხმოვანი მომსახურებიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავლებმა 2022 წელს 134.2 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული სეგმენტი ბაზარზე კლებადი ტრენდით გამოირჩევა, კერძოდ 2016-2022 წლებში ბაზრის ჯამური შემოსავლები შემცირდა 8.0%-ით, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან კლება შეჩერდა და ბაზრის მოცულობა შემოსავლებში დასტაბილურდა ერთ ნიშნულზე. ბაზრის შემცირებას 2016-2021 წლებში ძირითადად განაპირობებდა 1 წუთზე მიღებული შემოსავლის კლება (2016-2021 წლებში -10.3%). აღსანიშნავია, რომ ფასების ზრდის ხარჯზე 2022 წელს წინა წლების საპირისპიროდ გაიზარდა 1 წუთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი 17%-ით, თუმცა 10%-ით შემცირდა მოხმარებული წუთების რაოდენობა, რამაც საერთო ჯამში ხმოვანი მომსახურების ჯამური ბაზრის შემოსავლები გაზარდა 5%-ით.

მიუხედავად სასაუბრო წუთების რაოდენობის ზრდისა, სელფი მობაილის შემოსავლები ხმოვანი მომსახურებიდან სტაბილურად კლებულობს 2016 წელს 43.1 მილიონი ლარიდან 2022 წელს 14.7 მილიონ ლარამდე (საშუალო წლიური კლება 16.4%). კლების ტენდენციით ხასიათდება სილქნეტის ხმოვანი მომსახურების შემოსავლებიც, ხოლო მაგთიკომის შემოსავლებში 2021 წელს წლიური 3%-ით, ხოლო 2022 წელს 10%-ით ზრდა დაფიქსირდა. ამის შესაბამისად, სელფი მობაილის ბაზრის წილი 2016 წელს 19.5%-დან შემცირდა 2022 წელს 11.0%-მდე. მაგთიკომის წილი გაიზარდა 45.0%-დან 62.7%-მდე, ხოლო სილქნეტმა დაკარგა ბაზრის წილი 35.5%-დან 26.3%-მდე.


2016-2021 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა 1 წუთის ტარიფი მომხმარებლებისთვის, რაც იყო შემოსავლების კლების მიზეზი ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ 1 წუთზე ტარიფის შემცირების სტიმულირება ერთის მხრივ განაპირობა აბონენტების მხრიდან ხმოვან წუთებზე მოთხოვნის შემცირებამ. მოთხოვნის შემცირება დაკავშირებული იყო ინტერნეტის მოხმარების ზრდასთან და შესაბამისად, ისეთი აპლიკაციების განვითარებასთან, რომელთა ღირებულებაც მკვეთრად ჩამორჩებოდა ხმოვანი წუთების ღირებულებას, მაგალითად: whatsapp, viber, messenger და ა.შ. 2022 წელს მაგთიკომმა და სილქნეტმა 1 წუთზე ტარიფი გაზარდეს, მაქსიმალური ოდენობის შემოსავლის დაგენერირების მიზნობრივობით. ასევე, „სელფის“ 1 წუთის ტარიფი, კონკურენტებთან შედარებით, მეტად შემცირდა, რაც განპირობებული იყო კომპანიის მოტივით, გაემყარებინა საბაზრო უპირატესობა დაბალი ფასების თვალსაზრისით და შეენარჩუნებინა არსებული აბონენტები.

ამასთან ერთად 2018 წლის 1 ივლისიდან მარეგულირებელმა ურთიერთჩართვის ტარიფი დაახლოებით 80%-ით შეამცირა, რამაც გამოიწვია ბაზარზე საცალო ტარიფების მნიშვნელოვანი შემცირება. პარალელურად აღნიშნულ წლებში

„სელფიმ“ გაზარდა პაკეტური შეთავაზებები, რამაც ასევე გამოიწვია წუთის ღირებულების შემცირება. ბაზრის წილიდან გამომდინარე მარეგულირებლის გადაწყვეტილებამ „სელფიზე“ უფრო დიდი დადებითი ეფექტი იქონია, ვიდრე კონკურენტებზე. აღნიშნულმა საშუალება მისცა „კომპანიას“ პაკეტურ შეთავაზებებში უფრო თამამი ყოფილიყო, მეტი აქცენტები გადაეტანა ინტერნეტის მოხმარებაზე და ხმოვან სერვისებზე უკეთესი ფასებით გაიმყარა საბაზრო პოზიციები და შეინარჩუნა არსებული აბონენტები.

კომპანიის მენეჯმენტი მოელის, რომ ხმოვანი წუთების რაოდენობის შემცირების ტენდენცია გაგრძელდება, თუმცა მნიშვნელოვან კლებას არ პროგნოზირებენ ობლიგაციების მოქმედების პერიოდში.

ხმოვანი მომსახურება - შემოსავლების დინამიკა, მილიონი ლარი




წყარო: GNCC

### მობილური ინტერნეტი

ქართული მობილური ოპერატორების მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად მზარდია. ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა 2021 წელს, როდესაც წლიურმა ზრდის ტემპმა 15% შეადგინა. აბონენტების განაწილება ოპერატორების მიხედვით მიგვითითებს, რომ მაგთიკომი თითქმის უცვლელად ინარჩუნებს ბაზრის წილს, ხოლო სელფი მობაილის წილი იზრდება სილქნეტის წილის შემცირების ხარჯზე.

მობილური ინტერნეტის აბონენტების რაოდენობის დინამიკა






წყარო: GNCC

მობილური ინტერნეტის გამოყენების ზრდა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად აღემატება მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის მაჩვენებელს. 2016-2022 წლებში ინტერნეტის გამოყენება წლიურად საშუალოდ 56.0%-ით იზრდებოდა, ყველაზე დიდი ზრდა კი აღნიშნული მიმართულებით დაფიქსირდა 2020 წელს, როდესაც მობილური ინტერნეტის გამოყენების წლიურმა ზრდამ 119% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ „სელფის“ მობილური ტრაფიკის ზრდა აღემატება ჯამური ბაზრის ზრდას, რაც გამოიხატება ბოლო წლებში მისი ბაზის წილის ზრდაში.

მობილურ ინტერნეტზე მოთხოვნის მზარდი დინამიკა, შესაბამისად, მობილური ოპერატორების მიერ მიღებულ შემოსავლებზეც დადებით გავლენას ახდენს.

მობილური ინტერნეტის გამოყენების დინამიკა, 1000 ტერაბაიტი



წყარო: GNCC

სელფი მობაილის ბაზრის წილი (დათვლილი მობილური ინტერნეტის ტრაფიკით, ტეგაბაიტებში) 2016 წელს 13.4%-დან გაიზარდა 2022 წელს 18.4%-მდე (5.0%-იანი ზრდა). იგივე პერიოდში შემცირდა მაგთიკომის ბაზრის წილი 56.4%-დან 51.3%-მდე, ხოლო სილქნეტის წილი კი შენარჩუნდა იგივე დონეზე 30.2%-დან 30.3%-მდე.

აღსანიშნავია, რომ სელფი მობაილის ბაზრის წილს (დათვლილი მობილური ინტერნეტის ტრაფიკით) კლებადი ტენდენცია ჰქონდა მხოლოდ 2020-2021 წლებში, როცა მოთხოვნის ზრდიდან გამომდინარე ბაზარი გაიზარდა 119% და 65%-ით და ამ პერიოდში კომპანიამ შეძლო 34% და 33%-იანი ზრდის ჩვენება, რაც იმ დროისთვის კომპანიის ტექნიკური შესაძლებლობების მაქსიმუმი იყო. მიუხედავად ამისა, კომპანიას ინტერნეტის ტრაფიკი ამ პერიოდში გაეზარდა 78%-ით. გარდა ამისა, ამ პერიოდს დაემთხვა 2019 წლის კოვიდ პანდემია: 2019 წელს სელფიმ განახორციელა მოდერნიზაციის პროექტი თბილისში და რესურსები დედაქალაქში ხარისხის გაუმჯობესებას მოახმარა. კოვიდ პანდემიას მოსახლეობის მთელი საქართველოს მასშტაბით გაფანტვა მოჰყვა - მათ შორის, ისეთ ადგილებში, სადაც სელფის დაფარვის სიხშირე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კონკურენტი ოპერატორების დაფარვის სიხშირეს და სადაც სელფის შესაძლებლობები შეზღუდული იყო. ყველა ზემოთჩამოთვლილი მიზეზის ერთობლიობამ გამოიწვია ამ ორ წელს ბაზრის წილის დათმობა, მიუხედავად კომპანიის მნიშვნელოვანი ზრდისა.


კომპანიის ინტერნეტ ტრაფიკის ზრდა წლების მიხედვით შემდეგია:

	2 017	2018	2019	2020	2021	2022
სელფის ტრაფიკის ცვლილება	227%	37%	79%	34%	33%	39%

### მოკლე-ტექსტური შეტყობინებები (SMS)

გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებების რაოდენობა 2016-2020 წლებში შემცირებადი ტრენდით ხასიათდებოდა, თუმცა 2021 წელს რაოდენობა გაოთხმაგდა 2020 წელთან შედარებით. 2022 წელს, მცირე შემცირება დაფიქსირდა, თუმცა SMS -ების ჯამური რაოდენობა კვლავ მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა. აღნიშნულ ზრდის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს კანონმდებლობის ცვლილება წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც რაოდენობის სტატისტიკასა და შემოსავლებში ასახულ უნდა იქნეს არასტანდარტული სახის, ე.წ. Bulk შეტყობინებებიც. ზრდის ყველაზე დიდი კონტრიბუტორი მაგთიკომია, რომლის მოკლე ტექსტური შეტყობინებების წილი 2020 წლის 37%-დან 2021 წელს 56%-მდე გაიზარდა და 2022 წელსაც, ჯამური გაგზავნილი შეტყობინებების თითქმის ნახევარს აერთიანებს.


მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) რაოდენობის დინამიკა, მილიონი



წყარო: GNCC

შემოსავლების მიხედვით დათვლილი მოკლე-ტექსტური შეტყობინებების ბაზრის ლიდერი 2022 წლის მიხედვით მაგთიკომი იყო 44.0%-იანი წილით, რომელსაც მოყვებოდა „სელფი მობაილ“ 35.7%-იანი წილით და სილქნეტი 20.4%-იანი წილით.

შემოსავლების დინამიკა მოკლეთექსტური შეტყობინებებიდან (SMS), მილიონი



წყარო: GNCC

## ფინანსური მიმოხილვა

კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციების შედეგების მიმოხილვა და ანალიზი მოიცავს 2023 წლის არა-აუდიტირებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებულ მონაცემებსა და სრული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს 2022 და 2021 წლებისთვის. თუკი სხვაგვარად არ არის აღნიშნული, ამ მიმოხილვაში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია აღნიშნულ პერიოდებზე ამოღებულია „ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგებებიდან.

### ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

შპს „სელფი მობაილის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 და 2021 წლებისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით.

შპს „სელფი მობაილის“ შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2023 ივნისის დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის ბასს 34 შუალედური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისად და წაკითხულ უნდა იქნას კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, რომელიც ატვირთულია ვებ-გვერდზე: [www.reportal.ge](http://www.reportal.ge).

### მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

('000 ლარი)	არა- აუდიტირე ბული 2023 H1	არა- აუდიტირე ბული 2022 H1	აუდიტირ ებული 2022	აუდიტირ ებული 2021
ამონაგები მომსახურებიდან	72,545	66,653	140,658	125,802
<b>სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ამონაგები</b>	<b>72,545</b>	<b>66,653</b>	<b>140,658</b>	<b>125,802</b>
ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	(14,318)	(15,962)	(30,622)	(24,349)
მომსახურების ხარჯები	(12,990)	(12,572)	(25,273)	(22,557)
თანამშრომელთა სარგებელის ხარჯები	(9,447)	(13,196)	(21,014)	(17,640)
კომუნალური ხარჯები	(4,657)	(3,882)	(8,099)	(7,233)
მოვლა-შენახვის ხარჯები	(3,405)	(3,728)	(8,094)	(9,234)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(1,968)	(1,911)	(4,141)	(3,278)
მარკეტინგის ხარჯები	(3,651)	(1,476)	(3,202)	(3,492)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების და გასვლის შედეგად მიღებული წმინდა ზარალი	439	(1,163)	(96)	(639)
მენეჯმენტის მომსახურების საფასური	-	(81)	(81)	(495)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(6,550)	(5,185)	(11,472)	(10,397)
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>15,998</b>	<b>7,497</b>	<b>28,564</b>	<b>26,488</b>
ფინანსური ხარჯები	(26,098)	(31,278)	(58,415)	(61,287)
ფინანსური შემოსავლები	542	384	968	942

კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი, ნეტო	15,100	33,028	87,200	28,410
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4,909	25	507	258
<b>მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>	<b>10,451</b>	<b>9,656</b>	<b>58,824</b>	<b>(5,189)</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-
<b>წლის წმინდა შემოსავალი / (ზარალი)</b>	<b>10,451</b>	<b>9,656</b>	<b>58,824</b>	<b>(5,189)</b>
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
<b>სულ წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)</b>	<b>10,451</b>	<b>9,656</b>	<b>58,824</b>	<b>(5,189)</b>

### საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ამონაგები

2023 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, „კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ამონაგები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9%-ით არის გაზრდილი და შეადგენს 72,545 ათას ლარს. აღნიშნული ზრდა უმეტესწილად განპირობებულია ამონაგების 17.5% და 70.1%-იანი ზრდით 1. მობილური ინტერნეტიდან და 2. დამატებითი ღირებულებების სერვისებიდან, შესაბამისად.

„კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ამონაგები 2022 წელს 11.8%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 140,658 ათასი ლარი შეადგინა. ზრდა ძირითადად განპირობა ინტერნეტისა და A2P შეტყობინებების მომსახურებიდან მეტი ამონაგების მიღებამ, რაც 22.2% და 29.1%-ით აღემატებოდა 2021 წლის მაჩვენებელს, შესაბამისად.

„კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ამონაგები 2021 წელს 19.3%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 125,802 ათასი ლარი შეადგინა (2020: 105,488 ათასი ლარი). 2021 წელს ამონაგების ზრდის მთავარი მამოძრავებელი, ისევე როგორც 2022 წელს, იყო მობილური ინტერნეტის მომსახურებიდან და A2P მოკლექტექსტური შეტყობინებებიდან (ე.წ. „Bulk SMS“) შემოსავლების/ამონაგების მატება.

ცხრილში წარმოდგენილია შპს „სელფი მობაილს“ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ამონაგების ჩაშლა კატეგორიების მიხედვით:

	არა- უდიტირებ ული	არა- უდიტირებ ბული	აუდიტირებ ბული	აუდიტირებ ბული
ამონაგები მომსახურებიდან კატეგორიების მიხედვით (‘000 ლარი)	2023 H1	2022 H1	2022	2021
ამონაგები მონაცემთა მომსახურებიდან	28,592	24,325	53,793	44,011
ამონაგები ხმოვანი მომსახურებიდან	18,623	20,582	41,705	42,610
ამონაგები A2P <sup>9</sup> შეტყობინებების მომსახურებიდან	7,458	6,231	13,159	10,196
სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები	8,728	5,132	11,683	7,199
ამონაგები ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	3,547	4,301	8,502	9,291
სტუმრის როუმინგი	1,908	3,125	4,815	3,459
ამონაგები საკუთარი აბონენტების როუმინგის მომსახურებიდან	1,580	1,124	3,028	1,284
ამონაგები SMS მომსახურებიდან	532	1,055	2,394	6,244
სხვა	1,577	778	1,579	1,508

<sup>9</sup> A2P შემოსავლები – (Application to person) წარმოადგენს კომერციული სუბიექტებისგან მიღებულ შემოსავალს, რომლებიც იყენებენ კომპანიის ქსელს ბიზნეს შეტყობინებების გასავრცელებლად

<b>სულ ამონაგები მომსახურებიდან</b>	<b>72,545</b>	<b>66,653</b>	<b>140,658</b>	<b>125,802</b>
-------------------------------------	---------------	---------------	----------------	----------------

როგორც ცხრილიდან ჩანს, „კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ამონაგებში ყველაზე მსხვილი კატეგორია მონაცემთა მომსახურებიდან (ინტერნეტის გაყიდვიდან) გენერირებული ამონაგებია (2022 წელს 38.2%-იანი წილი ჯამურ ამონაგებში), რომლის წილიც ყოველწლიურად მზარდია ჯამურ რიცხვებში. ამას მოყვება ხმოვანი მომსახურების გაყიდვები (2022 წელს 29.6%-იანი წილი ჯამურ ამონაგებში), რომელსაც ინტერნეტისგან განსხვავებით უმცირდება წილი ჯამურ ამონაგებში.

### **საოპერაციო ხარჯები**

2023 წლის პირველ ნახევარში საოპერაციო ხარჯებმა 56,547 ათასი ლარი შეადგინა და 2022 წლის პირველ ნახევართან შედარებით უმნიშვნელოდ, -4.4%-ით, შემცირდა.

„კომპანიას“ საოპერაციო ხარჯები 2022 წელს 11.8%-ით გაეზარდა წინა წელთან შედარებით და 112,094 ათასი ლარი შეადგინა. ხარჯების ზრდა ძირითადად განაპირობა მომსახურებისა და თანამშრომლების სარგებლის ხარჯების ზრდამ წინა წელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ამ ზრდიდან 3% მოდის კომპანიის ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ერთჯერად ხარჯზე, რომელიც მენეჯმენტზე ბონუსის სახით გაიცა 2,971 ათასი ლარის ოდენობით.

საოპერაციო ხარჯების შეფარდება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ამონაგებთან 2023 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით 78%-ს შეადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 11 საბაზისო პუნქტით, არის შემცირებული. (2022 წლის პირველი ნახევარი: 89%), რაც განპირობებულია თანამშრომელთა სარგებლის ხარჯების 28%-ით, 3,749 ათასი ლარით შემცირებით.

საოპერაციო ხარჯების შეფარდება ამონაგებთან 2022 წელს 79.7% იყო, რაც 0.8%-ით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს (78.9%). შეფარდების ზრდის ძირითადი მიზეზები ძირითადი საშუალებებისა და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთისა და თანამშრომელთა სარგებლის ხარჯის ზრდა იყო, 2.8 და 1 საბაზისო პუნქტებით შესაბამისად, რაც გარკვეულწილად გაქვითა მოვლა-შენახვის ხარჯის შემცირებამ 2.1 საბაზისო პუნქტით. თავის მხრივ, ძირითადი საშუალებებისა და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ზრდა ბოლო პერიოდებში გაზრდილი კაპიტალური დანახარჯების შედეგია.

„კომპანიის“ საოპერაციო ხარჯები 2021 წელს 16.1%-ით (13,800 ათასი ლარით) გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 99,314 ათასი ლარი შეადგინა (2020: 85,514 ათასი ლარი). ზრდა ძირითადად განაპირობა მომსახურების ხარჯების მატებამ.

„კომპანიისთვის“ ყველაზე მატერიალური საოპერაციო ხარჯებია: ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა, რაც ბიზნესის კაპიტალ-ინტენსიურობიდან არის განპირობებული; და მომსახურებისა და თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები.

### **მომსახურების ხარჯი**

მომსახურების ხარჯი მეორე ყველაზე დიდი საოპერაციო ხარჯია, რომელმაც 2023 წლის პირველ ნახევარში 12,990 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს 25,376 ათასი ლარი შეადგინა. ცხრილში წარმოდგენილია ხარჯების დეტალური ჩაშლა:

	არა- აუდიტირე ბული	არა- აუდიტირე ბული	აუდიტი რებული	აუდიტირ ებული
მომსახურების ხარჯი ('000 ლარი)	2023 H1	2022 H1	2022	2021
ურთიერთჩართვის ღირებულება	5,648	7,021	13,682	13,827
A2P შეტყობინებების ღირებულება	3,937	2,749	5,770	3,559
კონტენტის ღირებულება	1,739	1,467	2,806	1,978
როუმინგის ღირებულება	684	466	1,225	1,447
მონაცემთან მომსახურების ღირებულება	515	511	1,026	1,029
ტრანსპორტირების ქსელის ქირა	443	345	732	680
გაყიდული გადასაფხეკი ბარათების ღირებულება	11	13	32	37
სხვა	13	-	-	-
<b>სულ მომსახურების ღირებულება</b>	<b>12,990</b>	<b>12,572</b>	<b>25,273</b>	<b>22,557</b>

**EBITDA** - საოპერაციო მოგებას დამატებული ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

	არა- აუდიტირ ებული	არა- აუდიტირ ებული	არა- აუდიტირ ებული	არა- აუდიტირ ებული
('000 ლარი)	2023 H1	2022 H1	2022	2021
EBITDA	32,284	25,370	63,327	54,115

2023 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, „კომპანიის“ EBITDA 32,284 ათას ლარს შეადგენდა. აღნიშნული მაჩვენებელი, 2022 წლის პირველ ნახევართან შედარებით, 6.9 მილიონი ლარით და 27%-ით გაიზარდა. გარდა ნომინალისა, მნიშვნელოვნად გაიზარდა EBITDA მარჟა, რომელმაც 44.5% შეადგინა. (2022 H1: 38.1%). აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ბოლო თორმეტი თვის მონაცემები ასევე აღემატება 2022 სრული წლის შედეგებს. კერძოდ, EBITDA-მ 70.2 მილიონი (2022: 63.3 მილიონი), ხოლო EBITDA მარჟამ 47.9% (2022: 45.0%) შეადგინა. EBITDA-ს მნიშვნელოვნად გაუმჯობესება უკავშირდება როგორც შემოსავლების ზრდას, ისე საოპერაციო ხარჯების პროცენტული წილის შემცირებას შემოსავლებში.

„კომპანიამ“ 2022 წელს 63,327 ათასი ლარის EBITDA დააფიქსირა, რაც წინა წელთან შედარებით 17.0%-ით მეტია. „ემიტენტმა“ შეძლო ამ პერიოდშიც EBITDA მარჟის გაუმჯობესებაც 43.0%-დან 45.0%-მდე, რაც თავის მხრივ შემცირებული მოვლა-შენახვის ხარჯების შედეგია. თუმცა ტრანზაქციასთან დაკავშირებული ერთჯერადი ხარჯის 2,971 ათასი ლარის გარეშე EBITDA შეადგენს 66,298 ათას ლარს, რაც წინა წელთან შედარებით 22.5%-იან ზრდას წარმოადგენს და EBITDA მარჟა = 47.1% (წინა წელთან შედარებით 4,1%-იანი ზრდა).

2021 წელს კომპანიამ დააგენერირა 54,115 ათასი ლარის EBITDA (2020: 44 661 ათასი ლარი), რაც წინა წელთან შედარებით 21,2%-იანი გაუმჯობესებაა. ისევე როგორც 2022 წელს, „ემიტენტმა“ 2021 წელსაც გაიმჯობესა EBITDA margin 0,7%-ით ძირითადად შემცირებული მარკეტინგისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების შეფარდების შედეგად.

### ფინანსური ხარჯები

„კომპანიის“ ფინანსური ხარჯები აერთიანებს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ პროცენტებსა და საიჯარო ვალდებულებებზე (აღრიცხული IFRS 16-ის მიხედვით) დარიცხულ პროცენტებს.

2023 წლის პირველ ნახევარში კომპანიის ფინანსურმა ხარჯებმა 26,098 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2022 წლის პირველ ნახევართან შედარებით 16.6%-ით (5,180 ათასი ლარით) არის შემცირებული.

2022 წელს კომპანიის ფინანსურმა ხარჯებმა 58,415 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა პერიოდთან შედარებით 2,872 ათასი ლარით არის შემცირებული.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის სექტემბრამდე ფინანსურ ხარჯების უმეტესი ნაწილი (დაახლოებით 95%) შედგებოდა დედა კომპანიის სესხებზე დარიცხული პროცენტებისგან. 2023 წლის სექტემბერში აღნიშნული სესხის უდიდესი ნაწილი „კომპანიამ“ დააკლასიფიცირა როგორც კაპიტალი.

ფინანსური ხარჯები ('000 ლარი)	არა- აუდიტირე ბული 2023 H1	არა- აუდიტირე ბული 2022 H1	აუდიტირე ბული 2022	აუდიტირე ბული 2021
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	24,723	29,873	55,580	59,097
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	1,375	1,279	2,583	1,826
აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებების ხარჯი	-	126	252	364
მიმდინარე ღირებულების დისკონტის გაუქმება	-	-	-	-
<b>სულ ფინანსური ხარჯები</b>	<b>26,098</b>	<b>31,278</b>	<b>58,415</b>	<b>61,287</b>

#### კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა, ნეტო

2023 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, კომპანიის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა 15,100 ათასი ლარი იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 54%-ით არის შემცირებული. (2022 H1: 33,028 ათასი ლარი).

2022 წელს კომპანიის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულმა შემოსულობამ 87,200 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 206.9%-ით არის გაზრდილი. აღნიშნული ზრდა უკავშირდება ფაქტს, რომ კომპანიის სასესხო ვალდებულებების დიდი ნაწილი არის დენომინირებული უცხო ვალუტაში და შესაბამისად 2022 წელს ლარის გამყარებით არის გამოწვეული. 2021 წელს კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულმა შემოსულობამ 28,410 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წელს ზარალმა 59,851 ათასი ლარი.

#### პერიოდის სრული მოგება / (ზარალი)

2023 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, „კომპანიის“ პერიოდის მოგება 10,451 ათას ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8%-ით არის გაზრდილი. მიუხედავად იმისა, რომ კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა განახევრდა (გთხოვთ იხილოთ - „კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა, ნეტო“), საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანმა შემცირებამ (გთხოვთ იხილოთ - „საოპერაციო ხარჯები“) აღნიშნული ფაქტი დააბალანსა და პერიოდის მოგება ამონაგების პარალელურად გაიზარდა.

2022 წელს „კომპანიის“ წლის სრულმა მოგებამ 58,824 ათასი ლარი შეადგინა, აღნიშნული უმეტესწილად განპირობებული იყო 2022 წელშივე კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობით (გთხოვთ იხილოთ - „კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა, ნეტო“). 2021 წელს კომპანიამ 2020 წლის 92,282 ათას ლარიანი ზარალის შემდეგ შეძლო მისი 94.4%-ით შემცირება 5,189 ათას ლარამდე.



**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

	არა- აუდიტირებული 2023 წლის 30 ივნისი	აუდიტირებული 2022 წლის 31 დეკემბერი	აუდიტირებული 2021 წლის 31 დეკემბერი
(‘000 ლარი)			
<b>აქტივები</b>			
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	84,566	86,510	76,517
აქტივის გამოყენების უფლება	23,299	23,743	19,393
არამატერიალური აქტივები	7,187	8,370	8,239
სხვა არაფინანსური აქტივები	3,034	3,507	4,347
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>118,086</b>	<b>122,130</b>	<b>108,496</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
მარაგები	296	383	385
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,292	15,221	9,390
სხვა არაფინანსური აქტივები	10,110	5,472	6,504
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	14,212	17,422	19,517
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>	<b>39,910</b>	<b>38,498</b>	<b>35,796</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>157,996</b>	<b>160,628</b>	<b>144,292</b>
<b>კაპიტალი</b>			
განთავსებული კაპიტალი	2	2	2
დამატებითი გადახდილი კაპიტალი	488,165	488,165	616,734
სხვა რეზერვები	(77,136)	(81,792)	-
დაგროვილი ზარალი	(987,318)	(997,769)	(1,057,684)
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>(576,287)</b>	<b>(591,394)</b>	<b>(440,948)</b>
<b>ვალდებულებები</b>			
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
ნასესხები სახსრები	649,471	658,603	493,508
საიჯარო ვალდებულებები	14,049	14,909	15,553
ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების მოვალეობისთვის	1,921	1,921	2,677
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>665,441</b>	<b>675,433</b>	<b>511,738</b>
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>			
ნასესხები სახსრები	9,823	9,192	-
საიჯარო ვალდებულებები	9,928	9,316	7,171
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	41,781	49,449	58,355
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	7,310	8,632	7,976
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>	<b>68,842</b>	<b>76,589</b>	<b>73,502</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>734,283</b>	<b>752,022</b>	<b>585,240</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>157,996</b>	<b>160,628</b>	<b>144,292</b>


### კომპანიის აქტივები

2023 წლის 30 ივნისის მონაცემებით, კომპანიის ჯამურმა აქტივებმა 158.0 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2022 წლის 31 დეკემბერთან შედარებით, უმნიშვნელოდ 1.6%-ით არის შემცირებული.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ჯამური აქტივები 11.3%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 160,628 ათასი ლარი შეადგინა. 2021 წელს ჯამური აქტივების ზრდამ 20.3% შეადგინა.

აქტივების ზრდა 2022 და 2021 წლებში უმეტესწილად ძირითადი საშუალებების ზრდამ გამოიწვია, რაც „ემიტენტის“ 2021 და 2022 წლების აქტიური ინვესტიციების განხორციელების შედეგია სხვადასხვა სტრატეგიულ პროექტში, მათ შორის ქსელის მოდერნიზაციის პროექტში. მეტი დეტალისთვის იხილეთ თავი „ინვესტიციები“.

„კომპანიის“ აქტივების გადანაწილება:



ცხრილიდან ჩანს, რომ „კომპანიის“ ჯამური აქტივების ნახევარზე მეტი მოდის ძირითად საშუალებებზე.

### ძირითადი საშუალებები


2023 წლის 30 ივნისის ძირითადმა საშუალებებმა კომპანიის მთლიანი აქტივების 54%, 2022 წლის 31 დეკემბერს 54%, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბერს 53% შეადგინა

ძირითადი საშუალებების ჩაშლა

2023 წლის 30 ივნისი

2022 წლის 31 დეკემბერი

2022 წლის 31 დეკემბერი



კომპანიის ძირითად საშუალებებში ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებს, რომლებმაც 2023 წლის 30 ივნისისთვის 60,264 ათასი ლარი შეადგინა. სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები 2022 წლის ბოლოსთვის 2021 წელთან შედარებით 19,015 ათასი ლარით გაიზარდა (45.7%-იანი მატება) და 60,651 ათასი ლარი შეადგინა. 2021 წელს წინა შესადარის პერიოდთან შედარებით კი 17.0%-ით გაიზარდა და 41,636 ათას ლარს მიაღწია (2020: 35,595 ათასი ლარი). 2021 და 2022 წლების ზრდა ნაწილობრივ უკავშირდება კომპანიის აქტიურ საინვესტიციო ფაზას ძირითად საშუალებებში.

CIP (დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი დანადგარები) 2021 წლის მდგომარეობით შეადგენდა 23,687 ათას ლარს, 2022 წლის ბოლოსთვის კი 10,931 ათასამდე შემცირდა. აღნიშნული 53.9%-იანი კლება განაპირობა აქტივების CIP-დან სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებში გადასვლამ. 2021 წელს 2020 წელთან შედარებით კი პირიქით გაიზარდა 141.4%-ით და 23,687 ათასი ლარი შეადგინა (2020: 9,814 ათასი ლარი).

**აქტივის გამოყენების უფლება**

2019 წლის 1 იანვრიდან, IFRS 16-ის მიხედვით, იჯარების აღიარება ხდება როგორც გამოყენების უფლებით აქტივები და შესაბამისი ვალდებულება იმ მომენტიდან, როდესაც იჯარით გაცემული აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისთვის.

პერიოდის განმავლობაში აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება და ნაკადები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

აქტივის გამოყენების უფლება ('000 ლარი)	ტერიტორია საბაზისო სადგურებისთვის	მაღაზიები და ოფისები	ავტომობილები	საწყობი
2020 წლის 1 იანვარი	24,006	4,198	-	109
2020 წლის 31 დეკემბერი	20,166	1,768	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	18,785	211	397	-
2022 წლის 31 დეკემბერი	19,440	4,022	281	-
2023 წლის 30 ივნისი	19,713	3,496	90	-

**არამატერიალური აქტივები**

კომპანიის არამატერიალური აქტივები 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენდა 7,187 ათას ლარს, რაც 2022 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 14.1%-ით არის შემცირებული. აღნიშნული შემცირება გამოიწვია პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულების 909 ათასი ლარით კლება.

თავის მხრივ, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივების ოდენობა იყო 8,370 ათასი ლარი, რაც წინა შესადარის პერიოდთან შედარებით უმნიშვნელოდ 1.6%-ით იყო გაზრდილი, ხოლო 2021 წელს წინა პერიოდთან შედარებით 13.3%-ით გაიზარდა და 8,239 ათასი ლარი შეადგინა (2020: 7,269 ათასი ლარი). არამატერიალური აქტივების შემადგენლობაში შედის: სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები, სიხშირეები და ნებართვები, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა. მეტი დეტალისთვის იხილეთ თავი „ლიცენზიები“.

არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება (ათასი ლარი)	სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები, სიხშირეები და ნებართვები	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	3,601	4,611	27	8,239
2022 წლის 31 დეკემბერი	3,554	4,790	26	8,370
2023 წლის 30 ივნისი	3,305	3,882	-	7,187

**სხვა არაფინანსური აქტივები**

კომპანიის გრძელ-ვადიან აქტივებში „სხვა არაფინანსურ აქტივებში“ შედის „კომპანიის“ დაგროვილი საგადასახადო აქტივები, რაც შედგება მომავალში ჩასათვლელი (გადავადებული) დღგ-სგან, რომელიც ძირითადად ეკუთვნის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების იჯარას (აღნიშნული წინასწარ 15 წლიანი და 20 წლიანი პერიოდებით აქვს „ემიტენტს“ აღებული).

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბერთან შედარებით უმნიშვნელოდ 0.5%-ით გაიზარდა და 15,292 ათასი ლარი შეადგინა.

2022 წლის ბოლოს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 62.1%-ით გაიზარდა და 15,221 ათასი ლარი შეადგინა. იგივე მაჩვენებელი 2021 წელს წინა შესადარის პერიოდთან შედარებით უმნიშვნელოდ, 6.8%-ით გაიზარდა და 9,390 ათასი ლარი შეადგინა (2020: 8,793 ათასი ლარი).

„კომპანიის“ არსებულ სავაჭრო მოთხოვნებს ძირითადად არ ერიცხება პროცენტი, დენომინირებულია ლარში, დოლარსა და ევროში და მათი ძირითი ნაწილის ამოღება ხდება 30 დღიან პერიოდში.

	არა-აუდიტირებული 2023 წლის 30 ივნისი	აუდიტირებული 2022 წლის 31 დეკემბერი	აუდიტირებული 2021 წლის 31 დეკემბერი
<b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ('000, ლარი)</b>			
მოთხოვნების ანგარიშგები:			
მომხმარებლისგან	1,604	1,452	988
ფეი-ბოქს ოპერატორებისგან	5,131	6,734	4,288
როუმინგის პარტნიორებისგან	5,766	6,063	4,159

ურთიერთდაკავშირების მომსახურებიდან	1,891	756	1,180
სხვა	5,665	4,187	3,723
<i>შემცირებული: გაუფასურების ზარალის ანარიცხებით</i>	<i>(4,765)</i>	<i>(3,971)</i>	<i>(4,948)</i>
<b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>	<b>15,292</b>	<b>15,221</b>	<b>9,390</b>

2022 წლის ზრდაზე დიდ როლი ითამაშა ფეი-ბოქსისა და როუმინგის პარტნიორების ბალანსის ზრდამ, რომლებიც 51.5%-ით გაიზარდა და წლის ბოლოს - 12,797 ათასი ლარი შეადგინა (სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების 84.1%). ფეი-ბოქს ოპერატორებში ასევე შეყვანილია როუმინგ მომსახურების საკლირინგო სახლიც, რომელიც „კომპანიას“ უწევს როგორც ფინანსურ ასევე მონაცემების საკლირინგო მომსახურებას, საკლირინგო სახლი აღნიშნული მომსახურების ფარგლებში „კომპანიის“ როუმინგ პარტნიორებთან ახორციელებს ანგარიშწორებას, რისთვისაც იყენებს კომპანიის ფულად სახსრებს აკუმულირებულს საკუთარ ანგარიშზე, რომლებიც თავის მხრივ გროვდება როუმინგ პარტნიორებისგან მიღებული თანხებით და 2023 წლის 30 ივნისის, 2022 და 2021 წლის ბოლოსთვის შეადგინა 2,497 ათასი ლარი, 3,655 ათასი ლარი და 883 ათასი ლარი შესაბამისად.

### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2023 წლის 30 ივნისის ბოლოს, „კომპანიის“ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი 14,212 ათასი ლარი შეადგინა და 2022 წლის ბოლოსთან შედარებით 18.4%-ით არის შემცირებული.

„კომპანიის“ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2022 წლის ბოლოს წინა პერიოდთან შედარებით 10.7%-ით შემცირდა და 17,422 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2021 წელს 2020 წელთან შედარებით 64.8%-ით გაიზარდა და 19,517 ათასი ლარი შეადგინა (31/12/2020: 11,840 ათასი ლარი).

„კომპანიას“ არსებული ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილი განთავსებული აქვს ადგილობრივ კომერციულ ბანკებში.

ქვემოთ წარმოდგენილია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ჩაშლა.

	არა- აუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ('000, ლარი)	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	17	9	6
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	14,155	17,377	19,473
კორპორატიული საკრედიტო ბარათები	36	32	31
ფულადი სახსრები გზაში	4	4	7
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>14,212</b>	<b>17,422</b>	<b>19,517</b>

### კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლების მიერ შეტანილ ფულად სახსრებს კომპანიის საწესდებო კაპიტალში, რომელიც 2023 წლის სექტემბრამდე წლების განმავლობაში არ შეცვლილა და შეადგენდა ნაჩვენებ პერიოდებში 2 ათას ლარს.

რაც შეეხება ჯამურ კაპიტალს, რომელიც შედგება განთავსებული კაპიტალისგან, დამატებით სრულად ანაზღაურებული კაპიტალისგან, სხვა რეზერვებისა და დაგროვილი ზარალისგან, აღნიშნული 2023 წლის 30 ივნისის

მდგომარეობით 2022 წლის ბოლოსთან შედარებით, 15,107 ათასი ლარით გაიზარდა, რაც, უმეტესწილად, „კომპანიის“ პერიოდის სრული მოგებით შემცირებული დაგროვილი ზარალის შედეგია.

2022 წლის ბოლოს „კომპანიის“ კაპიტალი 150,446 ათასი ლარით შემცირდა, რაც 34.1%-იანი კლებაა, მიუხედავად იმისა, რომ პერიოდის მანძილზე „კომპანიამ“ შეძლო მოგებაზე გასვლა. კაპიტალის კლების მიზეზები იყო ბალანსზე გატარებული ჯამში 210,361 ათასი ლარის შემდეგი კორექტირებები:

- „კომპანიის“ აქციონერზე გაცემული სესხის აღიარება „ემიტენტის“ ვალდებულებად და იგივე მოცულობით კაპიტალის შემცირება. აღნიშნულმა კორექტირებამ შეადგინა **81,792 ათასი ლარი**. კორექტირების გატარება მოხდა იქიდან გამომდინარე, რომ „ემიტენტი“ აქციონერის გაცემულ სესხზე იყო თანამსესხებელი და, შესაბამისად, კრედიტორს უფლება ჰქონდა, მისთვის მოეთხოვა სესხის სრულად დაფარვა;
- „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალის შემცირება დამატებით **128,569 ათასი ლარით** განაპირობა „ემიტენტის“ დედა კომპანიის სესხების გადაფასებამ სამართლიანი ღირებულებით. უფრო დეტალურად:

2022 წლის 7 ივნისს, „კომპანიის“ გაყიდვის ფარგლებში, VEON Holding-ის მიმართ არსებული სესხები გადაეწერა Watertrail Industries LTD (BVI)-ს, რომელიც არის „სელფი მობაილის“ დედა კომპანია. სესხების გადაცემის ხელშეკრულების თანახმად, ყველა უფლება, პრეტენზია და სარგებელი, მათ შორის დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი პროცენტი, უპირობოდ და შეუქცევადად გადაეცა Watertrail Industries LTD (BVI)-ს. Watertrail Industries LTD (BVI)-მ სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი შეუცვალა „სელფის“ 6.5%-დან 0%-მდე ყველა მის სესხებზე, ხოლო სხვა ყველა სახელშეკრულებო პირობა კი დატოვა უცვლელი.

სახელშეკრულებო პირობების ამ მოდიფიკაციამ გამოიწვია სესხების ნაწილის რეკლასიფიკაცია. ცვლილების სამართლიანი ღირებულებით შეფასების წმინდა ეფექტმა კი შეადგინა 128,569 ათასი ლარი. ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისთვის მოხდა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის - 7.1%-ის გამოყენება. საბაზრო პროცენტის განსასაზღვრად გამოყენებული იქნება სხვადასხვა კრიტერიუმი, მათ შორის: ვალუტა, ვადიანობა, მიზნობრიობა, გირავნობის ქონა/არქონა და სხვა.

2023 წლის მანძილზე „კომპანიას“ გაეზარდა კაპიტალი, ვინაიდან დედა კომპანიის (შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზის“) „ემიტენტის“ მიმართ არსებული სესხები გადაკლასიფიცირდა კაპიტალად. აღნიშნული ტრანზაქციის პრო-ფორმა ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, გთხოვთ იხილოთ, „შერჩეული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების“ სექციაში.

### ვალდებულებები

კომპანიის მთლიანი ვალდებულებები 2023 წლის 30 ივნისის მონაცემებით 734,283 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის ბოლოსთან შედარებით უმნიშვნელოდ 2.4%-ით არის შემცირებული, რაც ძირითადად სავაჭრო და სხვა ვალდებულებების 15.5%-იანი, 7,668 ათას ლარით შემცირებით არის განპირობებული.


ემიტენტის მთლიანი ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 752,022 ათასი ლარი, რაც წინა შესადარის პერიოდთან 28.5%-ით არის გაზრდილი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი 2020 წლის იდენტურ პერიოდთან შედარებით მცირედით, 29,523 ათასი ლარით გაიზარდა და 585,240 ათას ლარს მიაღწია (31/12/2020: 555, 717 ათასი ლარი).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი ვალდებულებების 88.8% მოდის ნასესხებ სახსრებზე (გრძელვადიანი ნაწილი - 87.6%, მოკლევადიანი ნაწილი - 1.2%), რომლიდანაც მნიშვნელოვანი ნაწილი გადაკლასიფიცირდა კაპიტალში 2023 წელს. მეტი დეტალისთვის იხილეთ „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

2023 წლის 30 ივნისი

2022 წლის 31 დეკემბერი

2021 წლის 31 დეკემბერი



### გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიის გრძელვადიან ვალდებულებებში შედის ნასესხები სახსრები, საიჯარო ვალდებულებები და ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების მოვალეობისთვის. გრძელვადიანი ვალდებულებების 97.5% მოდის ნასესხებ სახსრებზე.

ნასესხები სახსრები (როგორც გრძელვადიანი ასევე მოკლევადიანი) 2023 წლის 30 ივნისის მონაცემებით, 659,294 ათას ლარს შეადგენს და 2022 წლის ბოლოსთან შედარებით უმნიშვნელოდ 1.3%-ით არის შემცირებული.

ნასესხები სახსრები (როგორც გრძელვადიანი ასევე მოკლევადიანი) 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით 174,287 ათასი ლარით (35.3%-იანი ზრდა წ/წ) გაიზარდა წინა 2021 წლის შესადარის პერიოდთან შედარებით და 667,795 ათასი ლარი შეადგინა. 2021 წელს წინა პერიოდთან შედარებით მცირედით, 6.9%-ით გაიზარდა და 493,508 ათასი ლარი შეადგინა (31/12/2020: 461,806 ათასი ლარი), დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ - „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2023 წლის 30 ივნისის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, 2022 წლის ბოლოსთან შედარებით, 15.5%-ით, 7,668 ათასი ლარით შემცირდა და 41,781 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული კლება გამოწვეულია როგორც როუმინგის დარიცხული ფასდაკლებებისთვის გადასახდელი თანხების (40.7%-იანი კლება: 2,790 ათასი ლარი), ისე გრძელვადიანი აქტივებისთვის გადასახდელი თანხების შემცირებით (37.4%-იანი კლება: 4,191 ათასი ლარი).

2022 წლისთვის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებმა 49,449 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 15.3%-ით არის შემცირებული, აღნიშნული კლება ძირითადად გამოწვეული იყო შემცირებული გრძელვადიანი აქტივებისთვის გადასახდელი თანხებით (45.2%-იანი შემცირება). 2021 წელს წინა პერიოდთან შედარებით 4.2%-ით გაიზარდა და 58,355 ათასი ლარი შეადგინა (31/12/2020: 56,019 ათასი ლარი), აღნიშნული ზრდა კი ძირითადად

გამოწვეული იყო ისევ მნიშვნელოვნად (113.1%-ით) გაზრდილი გრძელვადიანი აქტივებისთვის გადასახდელი თანხებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ('000 ლარი)	არა- აუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები:			
- მომსახურებისთვის	26,581	28,474	27,930
- გრძელვადიანი აქტივებისთვის	7,022	11,213	20,451
- როუმინგის დარიცხული ფასდაკლებებისთვის	4,059	6,845	6,826
- ურთიერთჩართვისთვის	2,728	1,645	1,815
- როუმინგისთვის	428	562	660
- მარაგებისთვის	51	114	92
სხვა	912	595	581
<b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>	<b>41,781</b>	<b>49,449</b>	<b>58,355</b>

აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ვალდებულებებში 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შედის დაკავშირებულ პირთან - Watertrail Industries LTD (BVI)-სთან გადასახდელი თანხა 17.8 მილიონი ლარის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბრისთვის 18,4 მილიონი ლარი). აღნიშნული დავალიანება წარმოადგენდა გადასახდელ მენეჯმენტის საფასურს მშობელი კომპანიის მიმართ, რომელიც „ემიტენტს“ უწევდა საკუთარი ექსპერტიზის გაზიარებისა და კონსულტაციების მომსახურებას. ამ სერვისის გაწევის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების გადახდა არ ხორციელდებოდა და შესაბამისად თანხა დაგროვდა 2017-2020 წლების მანძილზე. 2022 წლის დეკემბრითა და 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ვალდებულების სხვაობა/შემცირება გამოწვეულია კურსთაშორისი სხვაობით, რადგან მენეჯმენტის საფასურის დავალიანება დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარში).

პროსპექტის თარიღისთვის „სელფი მობაილს“ აღარ აქვს გადასახდელი აღნიშნული დავალიანება დედა კომპანიისთვის, ვინაიდან 2023 წლის დეკემბერში მოხდა ვალის პატიება. ვალის პატიება ფინანსურ ანგარიშგებაზე აღირიცხება შემდეგნაირად: შემცირდება სავაჭრო ვალდებულებები და გაიზარდება კაპიტალი.

### ფულადი ნაკადების ანგარიშგება

('000 ლარი)	არა- აუდიტირებული	არა- აუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
	2023 H1	2022 H1	2022	2021
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>				
წლის შემოსავალი/(ზარალი) კორპორატიული მოგების გადასახადით დაბეგრამდე	10,451	9,656	58,824	(5,189)
<i>კორექტირებები:</i>				
ძირითადი საშუალებების და აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	14,318	15,962	30,623	24,349
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	1,968	1,911	4,142	3,278
გაუფასურების (აღდგენა)/დარიცხვა ძირითად საშუალებებზე	(439)	(246)	(1,356)	524
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(91)	1,409	1,452	115
გაუფასურების (აღდგენა)/დარიცხვა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	701	(438)	(665)	334
აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულების ანარიცხის ცვლილებები	-	(61)	(122)	(195)
ფინანსური შემოსავალი	(542)	(384)	(968)	(942)
ფინანსური ხარჯები	26,098	31,278	58,415	61,287
სხვა არაფულადი საოპერაციო (შემოსავალი)/ხარჯები	(4,818)	(687)	(1,097)	-
სავალუტო (შემოსულობა)/ზარალი, ნეტო	(15,100)	(33,028)	(87,200)	(28,410)



<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>	<b>32,546</b>	<b>25,372</b>	<b>62,048</b>	<b>55,151</b>
<b>საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე:</b>				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(1,339)	(4,799)	(7,071)	(1,329)
სხვა არაფინანსური აქტივები	(4,165)	1,483	1,872	970
მარაგები	(10)	(48)	4	53
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,246)	5,198	6,423	(6,973)
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	(1,322)	404	656	(575)
მიღებული პროცენტი	542	384	773	842
გადახდილი პროცენტი	(1,375)	(1,279)	(2,583)	(1,826)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>22,631</b>	<b>26,715</b>	<b>62,122</b>	<b>46,313</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>				
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(11,253)	(27,431)	(44,547)	(28,457)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>	<b>(11,253)</b>	<b>(27,431)</b>	<b>(44,547)</b>	<b>(28,457)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>				
ნასესხები სახსრების დაფარვა	(9,537)	(2,933)	(8,110)	-
იჯარის ვალდებულებების დაფარვა	(4,960)	(5,921)	(11,687)	(9,777)
<b>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>	<b>(14,497)</b>	<b>(8,854)</b>	<b>(19,797)</b>	<b>(9,777)</b>
<b>ფულისა და ფულის ეკვივალენტის (შემცირება) / ზრდა</b>	<b>(3,119)</b>	<b>(9,570)</b>	<b>(2,222)</b>	<b>8,079</b>
სავალუტო კურსის ცვლილების შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(91)	51	127	(402)
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>17,422</b>	<b>19,517</b>	<b>19,517</b>	<b>11,840</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>14,212</b>	<b>9,998</b>	<b>17,422</b>	<b>19,517</b>

#### საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები

2023 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა 22,631 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2022 წლის პირველ ნახევართან შედარებით 15.3%-ით არის შემცირებული. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია საბრუნავი კაპიტალის ცვლილებით.

2022 წელს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა 26,715 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2021 წლის მაჩვენებელზე 15,809 ათასი ლარით მეტია (34.1%-იანი მატება წ/წ). აღნიშნული მატების ძირითადი გამომწვევი მიზეზები იყო EBITDA-ს ზრდა და საბრუნავი კაპიტალის ცვლილება.

2021 წელს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა შეადგინა 46,313 ათასი ლარი, რაც წინა პერიოდთან შედარებით 4,445 ათასი ლარით ნაკლებია. აღნიშნული კლების ძირითადი გამომწვევი მიზეზი იყო საბრუნავი კაპიტალის ცვლილება, რომელმაც 2020 წელს შეადგინა 6,226 ათასი ლარი, ხოლო 2021 წელს 7,051 ათასი ლარი.

#### საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობის დიდი ნაწილი უკავშირდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვას.

2023 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები შეადგენდა 11,253 ათას ლარს, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 59.0%-ით არის შემცირებული.

საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა 2022 წელს 44,547 ათასი ლარი შეადგინა, 2021 წელს კი 28,457 ათასი ლარი. საინვესტიციო საქმიანობისთვის დახარჯული თანხები 2022 წელს გაიზარდა მეტი კაპიტალური დანახარჯის გაკეთების გამო.

### **საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები**

საფინანსო საქმიანობაში გამოყენებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა 2023 წლის პირველ ნახევარში 14,497 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 63.7%-ით არის გაზრდილი. აღნიშნული მაჩვენებლის გაზრდა განპირობებულია 9,537 ათასი ლარით დამფუძნებლის სესხის შემცირებით.

საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადმა ნაკადებმა 2022 წელს 19,797 ათასი ლარი შეადგინა, 2021 წელს კი 9,777 ათასი ლარი. გაზრდილი ფულადი ნაკადების გასვლა 2022 წელს უკავშირდება გაზრდილ იჯარის ვალდებულებებზე ძირითადი თანხის გადახდებს (20%-ით გაიზარდა), რომელიც გამოწვეულია გაზრდილი იჯარის ვალდებულებების რაოდენობით და დამფუძნებლის სესხის შემცირებას, რომლის გადახდაც 2022 წლამდე არ ხდებოდა

### **„კომპანიის“ ფინანსური რისკები და მათი მართვა**

თავისი რისკებიდან გამომდინარე, „კომპანია“ ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი;
- საბაზრო ფასების რისკი;
- ლივიდობის რისკი.

### **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაგენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანია ძირითადად ექვემდებარება საკრედიტო გაყიდვებისგან წარმოქმნილ საკრედიტო რისკებს. საკრედიტო რისკი კომპანიის საქმიანობასთან ასოცირებული ცალკეული ყველაზე დიდი რისკია, ამიტომ, მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება მის საკრედიტო რისკის პოზიციას. „კომპანიის“ საკრედიტო რისკებზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, იხილოთ „ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

### **საბაზრო ფასის რისკი**

საბაზრო ფასის რისკი შედგება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკისგან.

#### **a. საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება მერყევი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს აქციონერისგან მოზიდული დაფინანსების გამო, ვინაიდან სესხები იყო ნულოვანი საპროცენტო განაკვეთით. რაც შეეხება ბანკებიდან ერთობლივ ნასესხებ სახსრებს, კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან სესხებს აქვთ მცოცავი საპროცენტო განაკვეთი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკებს. ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული ოდენობები საბალანსო ღირებულებით, რომლებიც კატეგორიებად დაყოფილია უფრო ადრეულის, სახელშეკრულებო პროცენტის გადაფასების ან დაფარვის თარიღების მიხედვით:

(‘000 ლარი)	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 6 თვემდე	ერთ წელზე მეტი	არაფულადი	სულ
ერთობლივი ნასესხები სახსრები	-	-	-	81,792	-	81,792
<b>წმინდა საპროცენტო მგრძობელობის სხვაობა 2022 წლის 31 დეკემბერს</b>	-	-	-	<b>81,792</b>	-	<b>81,792</b>

**b. სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც კომპანია ახორციელებს ოპერაციებს, რომლებიც დენომინირებულია მისი სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში.

უცხოური სავალუტო კურსის ცვლილებებთან დაკავშირებით, კომპანიის რისკი უკავშირდება მის ნასესხებ სახსრებს, ვინაიდან კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის ჰეჯირებას.

„კომპანიის“ აქტივებისა და ვალდებულებების ჩაშლა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთა ცხრილში:

	31 დეკემბერი 2022			31 დეკემბერი 2021		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ნეტ ბალანსი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ნეტ ბალანსი
აშშ დოლარი	10,033	(620,916)	(610,883)	8,407	(537,852)	(529,445)
ევრო	1,805	(48,304)	(46,499)	1,739	(11,796)	(10,057)
<b>სულ</b>	<b>11,838</b>	<b>(669,220)</b>	<b>(657,382)</b>	<b>10,146</b>	<b>(549,648)</b>	<b>(539,502)</b>

„კომპანიის“ სავალუტო რისკებზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, იხილოთ „ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალის მართვიდან, ფინანსირების დანახარჯებიდან და სავალო ინსტრუმენტებზე ძირი თანხის გადახდებიდან და იჯარის საფასურის გადახდიდან. ეს არის რისკი იმისა, რომ კომპანიას შეექმნება ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სირთულე დაფარვის ვადის დადგომისას.

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების საკონტრაქტო ვადიანობები 2022 წლის 31 დეკემბრით:

	საბალანსო ღირებულება	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ არადისკონტირებული
--	----------------------	-----------------	-----------------	----------------	--------------	-----------------------

სესხები და ნასესხები სახსრები	667,795	4,777	14,331	76,432	1,133,938	1,229,478
საიჯარო ვალდებულებები	24,225	2,580	6,720	16,419	712	26,431
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	49,449	49,449	-	-	-	49,449
<b>სულ სამომავლო გადახდები, ძირითანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით</b>	<b>741,469</b>	<b>56,806</b>	<b>21,051</b>	<b>92,851</b>	<b>1,134,650</b>	<b>1,305,358</b>

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების საკონტრაქტო ვადიანობები 2021 წლის 31 დეკემბრით:

	საბალანსო ღირებულება	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ არადისკონტირებ ული
სესხები და ნასესხები სახსრები	493,508	-	-	-	1,734,516	1,734,516
საიჯარო ვალდებულებები	22,724	2,461	6,019	17,139	659	26,278
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	58,355	58,355	-	-	-	58,355
<b>სულ სამომავლო გადახდები, ძირითანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით</b>	<b>574,587</b>	<b>60,816</b>	<b>6,019</b>	<b>17,139</b>	<b>1,735,175</b>	<b>1,819,149</b>

## კაპიტალიზაცია და დავალიანება

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს „კომპანიის“ კაპიტალიზაციას და დავალიანებას 2023 წლის 12 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და ობლიგაციების გამოშვების ეფექტს.

(მილიონი ლარი)	ობლიგაციების ეფექტი**				
	პრო-ფორმა	12-დეკ-23	31-დეკ-22	30-ივნ-22	31-დეკ-21
	არა- აუდიტირებული	არა- აუდიტირებული	აუდიტირებული	არა- აუდიტირებული	აუდიტირებული
<b>დავალიანება</b>	<b>85,00</b>	<b>72.62</b>	<b>667,80</b>	<b>703,77</b>	<b>493,51</b>
ნასესხები სახსრები	85,00	72.62	667,80	703,77	493,51
<b>კაპიტალი</b>			<b>(591,39)</b>	<b>(624,38)</b>	<b>(440,95)</b>
საწესდებო კაპიტალი			0,00	0,00	0,00
დამატებით შენატანი კაპიტალში			488,17	488,17	616,73
სხვა რეზერვები			(81,79)	(84,82)	-
დაგროვილი ზარალი			(997,77)	(1,027,73)	(1,057,69)
<b>სულ კაპიტალიზაცია</b>			<b>76,40</b>	<b>79,39</b>	<b>52,56</b>

\*\*ობლიგაციების ეფექტი მოიცავს 65 მილიონი ლარის ობლიგაციების ემისიას, საიდანაც დაახლოებით 53 მილიონი ლარი უნდა მოხმარდეს არსებული დავალიანების რეფინანსირებას, ხოლო დამატებითი ვალდებულება შეადგენს დაახლოებით 12 მილიონ ლარს.

### დავალიანება

აღსანიშნავია, რომ „კომპანიამ“ 2023 წლის განმავლობაში კაპიტალში გადაიტანა დედა დამფუძნებლის მიმართ არსებული ვალდებულებები, რამაც მნიშვნელოვანად შეამცირა სესხების ოდენობა

ცხრილში წარმოდგენილია დავალიანების დეტალური ჩაშლა 2023 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით:

გამსესხებელი	საკრედიტო ლიმიტი (ვალუტა)	ათვისებული თანხა (ვალუტა)	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	ნარჩენი მირი (ლარი)	დარიცხული პროცენტი (ლარი)
<b>გრძელვადიანი ნაწილი</b>							
საქართველოს ბანკი	16,314	16,314	13%-17%	GEL	7-ივნ-2029	14,206	-
საქართველოს ბანკი	6,941	6,941	8%-13%	EUR	7-ივნ-2029	17,308	-
თიბისი ბანკი	15,897	15,897	13%-17%	GEL	7-ივნ-2029	13,838	-
თიბისი ბანკი	7,075	7,075	8%-13%	EUR	7-ივნ-2029	17,635	-
<b>სულ გრძელვადიანი სესხები</b>						<b>62,987</b>	<b>-</b>
<b>მიმდინარე ნაწილი</b>							
საქართველოს ბანკი	16,314	16,314	13%-17%	GEL	7-ივნ-2029	2,108	25
საქართველოს ბანკი	6,941	6,941	8%-13%	EUR	7-ივნ-2029	2,650	29

თიბისი ბანკი	15,897	15,897	13%-17%	GEL	7-ივნ-2029	2,060	25
თიბისი ბანკი	7,075	7,075	8%-13%	EUR	7-ივნ-2029	2,707	29
<b>სულ მიმდინარე ნაწილი</b>						<b>9,525</b>	<b>108</b>
<b>სულ სესხები</b>						<b>72,512</b>	<b>108</b>

ცხრილში წარმოდგენილია დავალიანების დეტალური ჩაშლა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გამსესხებელი	საკრედიტო ლიმიტი (აშშ დოლარი)	ათვისებული თანხა (აშშ დოლარი)	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	ნარჩენი ძირი	დარიცხული პროცენტი
<b>გრძელვადიანი ნაწილი</b>							
ვოთერთაილ ინდასტრიზ	230,395	230,395	0.0%	USD	31-მარ-32	586,003	-
სს საქართველოს ბანკი	18,000	18,000	5.75% *	GEL	7-ივნ-29	16,325	-
სს საქართველოს ბანკი	8,000	8,000	9.00% **	EUR	7-ივნ-29	20,082	-
სს თიბისი ბანკი	17,550	17,550	5.75% *	GEL	7-ივნ-29	15,918	-
სს თიბისი ბანკი	7,955	7,955	9.00% **	EUR	7-მარ-29	20,275	-
<b>სულ გრძელვადიანი ნაწილი</b>						<b>658,603</b>	<b>-</b>
<b>მიმდინარე ნაწილი</b>							
სს საქართველოს ბანკი	18,000	18,000	5.75% *	GEL	7-ივნ-29	1,676	198
სს საქართველოს ბანკი	8,000	8,000	9.00% **	EUR	7-ივნ-29	2,486	170
სს თიბისი ბანკი	17,550	17,550	5.75% *	GEL	7-ივნ-29	1,632	193
სს თიბისი ბანკი	7,955	7,955	9.00% **	EUR	7-მარ-29	2,670	171
<b>სულ მიმდინარე ნაწილი</b>						<b>8,460</b>	<b>732</b>
<b>სულ სესხები</b>						<b>667,063</b>	<b>732</b>

\* დამატებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი

\*\* დამატებული 6-თვიანი EURIBOR

ცხრილში წარმოდგენილია დავალიანების დეტალური ჩაშლა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გამსესხებელი	საკრედიტო ლიმიტი (აშშ დოლარი)	ათვისებული თანხა (აშშ დოლარი)	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	CCY	დაფარვის ვადა	ნარჩენი ძირი	დარიცხული პროცენტი
ვიონ ჰოლდინგი	230,395	230,395	6.5%	USD	31-მარ-2032	493,508	-

სულ გრძელვადიანი სესხები	493,508	-
სულ სესხები	493,508	-

**ვოთერთრიალ ინდასტრისის სესხები:** აღნიშნული სესხი 2023 წლის განმავლობაში გადაკლასიფიცირდა სესხიდან კაპიტალში.

**ადგილობრივი კომერციული ბანკების სესხები:** 2022 წლის 7 ივნისს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებებისა და მათი ცვლილებების თანახმად, „კომპანია“ მისი დედა კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი კომპანიის შპს სილქ როუდ გრუპ ბ.ვ.-ს მიერ სს „თიბისი ბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხების თანამსესხებელი გახდა. სესხების მიზნობრიობა იყო „სელფი მობაილის“ დედა კომპანიების - Watertrail Industries LTD (BVI)-ის და Investico Alliance LTD (BVI)-ის 100%-იანი წილების გამოსყიდვა. ჯამურად აღებული სესხების მოცულობამ შეადგინა 35,550 ათასი ლარი და 15,955 ათასი ევრო. სასესხო ხელშეკრულებების თანახმად, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შპს „სელფი მობაილ“ იყო თანამსესხებელი/ სოლიდარული თავმდეები შპს სილქ როუდ გრუპ ბ.ვ.-ს აღნიშნულ სესხებზე. შესაბამისად, „კომპანიას“ ჰქონდა იურიდიული ვალდებულება, რომ დაეკმაყოფილებინა ეს ვალდებულებები შპს სილქ როუდ გრუპ ბ.ვ.-სთან ერთად ან მარტომ. ბანკების უფლებები მოქმედებს თანაბრად, შეზღუდვების გარეშე.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული სესხების აღიარება მოხდა „კომპანიის“ ბალანსზე იმის მიუხედავად, რომ სესხის აღებიდან მიღებული თანხა არ მოხვედრილა მის ანგარიშზე. გაცემის დღიდან თავად „ემიტენტი“ წარმოადგენდა ამ სესხის რეალურ მომსახურების წყაროს, რასაც ფარავდა შემდეგი გზით: ემსახურებოდა „ვოთერთრიალ ინდასტრისის“ სესხს, რომელიც შემდეგ ხვდებოდა კომერციული ბანკების სესხების გასასტუმრებლად.

2023 წლის 8 დეკემბერს „სელფი მობაილმა“ აიღო კომერციული ბანკებისგან სესხი, რომლის მიზნობრიობაც იყო მშობელი კომპანიის მიერ ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან აღებული სესხის გასტუმრება. ნახსენები ტრანზაქციის შედეგად „კომპანიას“ აღარ გააჩნია თანამსესხებლობის სესხი და აქვს მხოლოდ საკუთარი სესხი ბანკების მიმართ..

დავალიანების ცხრილებში წარმოდგენილი ვალდებულებების გრაფიკის სტრუქტურა და უზრუნველყოფა:

გრაფიკის სტრუქტურა		უზრუნველყოფა
ვოთერთრიალ ინდასტრისი	ძირის პერიოდის ბოლოს დაფარვა	არა-უზრუნველყოფილი
ვიონ ჰოლდინგი	ძირის პერიოდის ბოლოს დაფარვა	არა-უზრუნველყოფილი
კომერციული ბანკების სესხები	ანუიტეტური დაფარვა	<ul style="list-style-type: none"> <li>მთლიანი არსებული და მომავალი მოძრავი/უმრავი ქონება და სხვა არამატერიალური აქტივები;</li> <li>Watertrail Industries Ltd (BVI) და Investico Alliance Ltd (BVI) -ის წილები „სელფი მობაილში“</li> <li>ხვიჩა მაქაცარიას პირადი თავდებობა;</li> </ul>

**კომერციული ბანკების სესხების ფინანსური/არაფინანსური კოვენანტები და მათი შესრულება**

**არაფინანსური კოვენანტები 2022 და 2023 წლის 30 ივნისისათვის:**

- ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე „კომპანიას“ ეკრძალება საკუთარი აქტივების/ქონების ან მათი ნაწილის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება;

- „კომპანიას ეკრძალება ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე დაიკისროს დამატებით საბალანსო ან გარესბალანსო კრედიტები, სესხები ან/და მსგავსი ვალდებულებები;
- კომპანიას შეზღუდული აქვს საბანკო პროდუქტების წარმოება მხოლოდ ორ ბანკში;
- კომპანიას ეკრძალება დივიდენდების გაცემა ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე
- სხვა სტანდარტული კოვენანტები

„კომპანიას“ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰქონია არა-ფინანსური ან ფინანსური კოვენანტები.

**კომერციული ბანკების სესხების ფინანსური კოვენანტების მოთხოვნა და მათი შესრულება 2022 წლის 31 დეკემბრითა და 2023 წლის 30 ივნისის პერიოდით:**

	მოთხოვნა	შედეგი 31 დეკემბერი 2022	შედეგი 30 ივნისი 2023
DSCR	1.20	2.19	1.25
ICR	4.00	5.75	3.37
Debt/EBITDA	2.00	1.75	1.46

**კოვენანტების კალკულაციის განმარტება 2022 წლის 31 დეკემბრითა და 2023 წლის 30 ივნისის პერიოდით:**

- **DSCR min 1.2x** იანგარიშებოდა: (EBITDA – საბრუნავი კაპიტალის ცვლილება – კაპიტალური დანახარჯები - დივიდენდები - მოგების გადასახადი) / (გრძელ-ვადიან სესხებზე გადახდილი ძირი და პროცენტი);
- **ICR min 4.0x** იანგარიშებოდა: (EBITDA – maintenance კაპიტალური დანახარჯი) / (კომპანიის მიერ პერიოდის მანძილზე გადასახდელი საპროცენტო ხარჯები).
- **Debt/EBITDA max 2.0x** იანგარიშებოდა: (სასესხო ვალდებულებები) / (EBITDA - საოპერაციო მოგება საპროცენტო ხარჯებისა და ამორტიზაციის გარეშე, გამოკლებული იჯარაზე გადახდილი ძირი და პროცენტი);

ფინანსური კოეფიციენტების დათვლა ხდებოდა ფინანსურ ანგარიშგებებზე IFRS 16-ის გატარებების გარეშე.

„კომპანიამ“ განაახლა კომერციულ ბანკებთან არსებული ფინანსური კოვენანტები და მათი განმარტებები 2023 წლის დეკემბერში. **შესაბამისად, პროსპექტის გამოშვების თარიღისთვის კოვენანტის მოთხოვნები და მათი დეფინიციები შემდეგია:**

	მოთხოვნა	შედეგი 30 ივნისი 2023*
DSCR	1.00	1.76
Debt/EBITDA	2.00	1.36

\*შედეგი 2023 წლის 30 ივნისისთვის წარმოდგენილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის, რომ ჩანდეს რა კოეფიციენტზე გავა „სელფი მობაილ“ ახალი კოვენანტების განმარტებებით. 2023 წლის დეკემბერში შეცვლილი კოვენანტები ძალაში შევა ამ პერიოდიდან.

- **DSCR min 1.0x 2023 და 2024 წლებისთვის, ამის შემდეგ min 1.1x**
  - DSCR/ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი - ნებისმიერი კალკულაციის თარიღისათვის ბოლო 12 თვის CADs-ს დამატებული საწყისი ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებს გამოკლებული Delta Working Capital, გაყოფილი ასეთი კალკულაციის თარიღისათვის ბოლო 12 თვის განმავლობაში ფინანსური ინსტიტუტებისა და სავალო ფასიანი ქაღალდების მფლობელების წინაშე ვადამოსული გადახდილი ან გადასახდელი ფულადი ვალდებულების ოდენობაზე (ფორმულა:  $DSCR = (L12m CADs + Starting Excess Cash - Delta WC) / (L12m interest on Bonds + L12m Loan PMT)$ )



- საწყისი ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები/starting excess cash – ნებისმიერი კალკულაციის თარიღისათვის გასული 12 თვის საწყისი დაანგარიშების თარიღის მდგომარეობით, ბალანსზე აღრიცხული ფულის და ფულთან გათანაბრებული სახსრების ჯამს (რომელშიც არ გაითვალისწინება ის ფული და ფულთან გათანაბრებული სახსრები, რომლებიც დაგირავებულია ვალდებულებების უზრუნველსაყოფად) გამოკლებული შემდეგი ტოლობა: იმავე გასული 12 თვის მდგომარეობით საწყისი დაანგარიშების თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში მიღებული შემოსავალი გამრავლებული 2% და გამრავლებული შემდეგ სხვაობაზე: 1-ს მინუს იმავე გასული 12 თვის მდგომარეობით საწყისი დაანგარიშების თარიღიდან მომდევნო 12 თვის Adjusted Ebitda/გასული 12 თვის მდგომარეობით საწყისი დაანგარიშების თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში მიღებულ შემოსავალზე (ფორმულა: Total starting cash – (L12m revenue \* 2% \* (1- adjusted ebitda/(L12m revenue))).

➤ Delta working capital – ნებისმიერ მომენტში net working capital-ს გამოკლებულ გასული 12 თვის საწყისი დაანგარიშების თარიღის მდგომარეობით, არსებული net working capital.

- Net Working Capital = Current Assets – Current Liabilities;

- ❖ Current Assets/მოკლევადიანი აქტივები - მოკლევადიანი აქტივები უნდა დაანგარიშდეს მოქმედი და უახლესი IFRS სტანდარტების შესაბამისად, რომელშიც წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის არ იქნება გათვალისწინებული ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები/ excess cash.

- ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები/ excess cash - ნებისმიერ პერიოდში ბალანსზე აღრიცხული ფულის და ფულთან გათანაბრებული სახსრების ჯამს (რომელშიც არ გაითვალისწინება ის ფული და ფულთან გათანაბრებული სახსრები, რომლებიც დაგირავებულია ვალდებულებების უზრუნველსაყოფად) გამოკლებული შემდეგი ტოლობა: გასული 12 თვის განმავლობაში მიღებული შემოსავალი გამრავლებული 2% და გამრავლებული შემდეგ სხვაობაზე: 1-ს მინუს იმავე გასული 12 თვის მდგომარეობით არსებულ Adjusted Ebitda/გასული 12 თვის განმავლობაში მიღებულ შემოსავალზე (ფორმულა: Total cash – (L12m revenue \* 2% \* (1- L12m adjusted ebitda/(L12m revenue))).

- ❖ Current Liabilities/მოკლევადიანი ვალდებულებები - მოკლევადიანი ვალდებულებები უნდა დაანგარიშდეს მოქმედი და უახლესი IFRS სტანდარტების შესაბამისად, რომელშიც წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის არ იქნება გათვალისწინებული: ა) IFRS 16-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი იჯარებიდან გამომდინარე ვალდებულებები, რომელიც დასაფარია მომდევნო 12 თვის განმავლობაში; ბ) მომდევნო 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში დასაფარი ფინანსური ინსტიტუტების წინაშე საკრედიტო ან/და სავალო ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე ვალდებულებები; გ) კაპიტალური დანახარჯების სანაცვლოდ მესამე პირებისთვის გადასახდელები; დ) კლიენტის მიმართ არსებული ნებისმიერი მოთხოვნები, რომლებიც სუბორდინირებულია ბანკის და სს თიბისი ბანკის მოთხოვნებთან; ე) ვეონის მიერ 2022 წლის 6 ივნისს ხელმძღვანელი ორგანოს წევრების წინაშე წარმოშობილი და გადასახდელი ვალდებულებები რომელიც გამომდინარეობს შრომითი ურთიერთობებიდან.

● **Adjusted Debt/CADS max 4.0x, კოვენანტის დათვლა დაიწყება 2026 წლის 1 იანვრიდან**

➤ Adjusted DEBT/ფულადი ვალდებულება – კლიენტის ნებისმიერი სახის ვადამოსული და ვადამოუსვლელი ფულადი ვალდებულება, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი, აგრეთვე გარესაბალანსო ვალდებულებები (მაგ., საბანკო გარანტია, აკრედიტივი და სხვა მსგავსი ინსტრუმენტები/ვალდებულებები) ან/და თავდებობიდან გამომდინარე არსებული ან/და სამომავლო ვალდებულებები, ასევე ნებისმიერი

ვადამოსული და ვადამოუსვლელი სასესხო ვალდებულება, რომელსაც არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი და აგრეთვე ამგვარი ვალდებულებების ფარგლებში ან მათთან დაკავშირებით გადახდილი/გადასახდელი ვადამოსული და ვადამოუსვლელი ნებისმიერი თანხა, მათ შორის და არა მხოლოდ, ნებისმიერი საპროცენტო სარგებელი, საკომისიო და პირგასამტეხლო. ხელშეკრულების მიზნებისთვის ფულადი ვალდებულებაში არ იქნება გათვალისწინებული: ა) IFRS 16-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი იჯარებიდან გამომდინარე ვალდებულებები; ბ) კლიენტის მიმართ არსებული სასესხო მოთხოვნები, რომლებიც სუბორდინირებულია ბანკის და სს თიბისი ბანკის მოთხოვნებთან; გ. კლიენტის მიმართ არსებული სასესხო მოთხოვნების ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფილია ფულადი სახსრებით.

- CADS – ბოლო საანგარიშო პერიოდის Adjusted EBITDA შემცირებული ბოლო საანგარიშო პერიოდში კაპიტალის შემცირების ოდენობით, მოგების გადასახადით, ასევე კლიენტის საკუთარი სახსრებით დაფინანსებული კაპიტალური დანახარჯებით.

- **Adjusted Debt / Adjusted EBITDA < 2.0x: (ნებისმიერი კალკულაციის თარიღისთვის)**

- Adjusted EBITDA = ბოლო საანგარიშო პერიოდის EBITDA- გამოკლებული IFRS 16-ით გათვალისწინებული გრძელვადიანი იჯარების ფარგლებში არსებული ვალდებულებების დასაფარად გადახდილი ძირი და პროცენტი.

„კომპანიას“ 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მოპოვებული აქვს კრედიტორებისგან დასტურის წერილი (ე.წ. waiver letter), რომლითაც დასტურდება, რომ თუ 2022 წლის მანძილზე მოხდა კოვენანტების დარღვევა, ბანკი არ მოითხოვს ამის გამო სესხების გამოთხოვას.

გარდა „ობლიგაციების“ გამოშვებით მოზიდული თანხებისა, ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, „კომპანიას“ არ გეგმავს ახალი საკრედიტო რესურსების დამატებას. „სელფი მობაილის“ გეგმა წლიური მოგებით დააფინანსოს სამომავლო საინვესტიციო გეგმები და სესხის მოსამსახურებლად საჭირო ძირი და პროცენტი გადასახადები.

## მარეგულირებელი გარემო

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია “ემიტენტის” საქმიანობასთან დაკავშირებით ელექტრონული კომუნიკაციების რეგულაციების შესახებ.

### *ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება*

ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის მარეგულირებელი ძირითადი კანონია 2005 წლის 2 ივნისის კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“. კანონი ადგენს საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციის ქსელებით საქმიანობის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს და განსაზღვრავს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენტული გარემოს რეგულირების პრინციპებს, ასევე ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციებს, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის წესებს, უფლებამოსილი პირების ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი სუბიექტების საქმიანობის მარეგულირებელი სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტებია საქართველოს კანონები მაუწყებლობის შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, ლიცენზიების და ნებართვების შესახებ, საავტორო, მომიჯნავე უფლებებისა და კონკურენციის შესახებ. ამასთან, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი (მაგალითად რადიოსიხშირული სპექტრისა და ნუმერაციის რესურსებით სარგებლობის უფლების მინიჭება, რეგულირების საფასურის განსაზღვრა და გაანგარიშება) უფრო დეტალურად რეგულირდება საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებით, მათ შორის: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის წესი; კომისიის დადგენილება რეგულირების საფასურის განსაზღვრის და გადახდის წესის შესახებ; რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მისაღებად აუქციონის ჩატარების და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის რეგულაცია; ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში მომსახურების გაწევის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგულაცია; ავტორიზებული პირების მიერ ხარჯების აღრიცხვის და გამიჯვნის მეთოდოლოგიური წესები; რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა; სააბონენტო ნომრის პორტატულობის რეგულაცია; და ნუმერაციის რესურსების გაცემის, გამოყენების და გადახდის წესები.

### *მარეგულირებელი ორგანო*

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარმოადგენს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სექტორებში. კომუნიკაციების კომისია დამოუკიდებელი, მუდმივმოქმედი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული სუბიექტის სახით, არ ექვემდებარება არცერთ სხვა სახელმწიფო უწყებას და არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კომისიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში უფლებამოსილი და ლიცენზირებული პირების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური. კომისია ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტს, პრეზიდენტსა და მთავრობას კომისიის საქმიანობის და ფინანსური აუდიტის შედეგების წლიურ ანგარიშს. აღნიშნულ ანგარიშს კომისია საჯაროდაც აქვეყნებს. კომისიის ფორმირებაში ჩართულია ხელისუფლების როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო რგოლი. კომისია შედგება ხუთი წევრისაგან, რომლებსაც პარლამენტი ექვსი წლის ვადით ირჩევს მთავრობის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთა უმრავლესობით აირჩევა სამი წლის ვადით.

კომისიის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში არის შემდეგი:

- რადიოსიხშირული სპექტრის ოპტიმალური და ეფექტური განაწილება;
- შეზღუდული რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის/უფლებების გაცემა და გაუქმება;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია;

- თანაბარი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა;
- ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის სხვადასხვა სეგმენტების კვლევა და ანალიზი;
- „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების“ მქონე უფლებამოსილი პირების იდენტიფიცირება და მათზე კონკრეტული ვალდებულებების დაკისრება;
- მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;
- მის რეგულირებას დაქვემდებარებულ სუბიექტთა შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტა, ასევე ამ სუბიექტებსა და მათ მომხმარებლებს შორის დავის გადაწყვეტა;
- ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში მოქმედ კანონებსა და რეგულაციების შესრულების კონტროლი.

ზემოთ მითითებული ფუნქციების შესასრულებლად, კომუნიკაციების ეროვნული კომისია გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, ზედამხედველობას უწევს მათ შესრულებას, ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, უფლებამოსილია შესაბამის სუბიექტებს დაუწესოს სანქციები.

### **ავტორიზაციის და რეგულირების საფასური**

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობა ხორციელდება ავტორიზაციის საფუძველზე. ავტორიზაცია გულისხმობს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში საქმიანობის რეგისტრაციას. აღნიშნული პროცესის გავლა საჭიროა ელექტრონული კომუნიკაციის ქსელების და საშუალებების, ასევე ელექტრონული კომუნიკაციის სერვისების მიწოდებისთვის. ავტორიზაციის მაძიებელი სუბიექტი კომისიას მიმართავს სპეციალური განცხადებით, რომლის ფორმას ამტკიცებს კომისია. სხვა ინფორმაციასთან ერთად, განმცხადებელმა უნდა მიუთითოს საქმიანობის ან/და მომსახურების სახეები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს ავტორიზაციის საფუძველზე. წარდგენილი ინფორმაციის სისრულის შემთხვევაში, კომისია განცხადების მიღებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში არეგისტრირებს სუბიექტს კომისიის მიერ შექმნილ უფლებამოსილ სუბიექტთა რეესტრში. რეესტრის მონაცემებზე წვდომა თავისუფალია. სუბიექტს უფლება აქვს შეუდგეს საქმიანობას, რომელიც ექვემდებარება ავტორიზაციას მხოლოდ რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. ავტორიზაცია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით და მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ავტორიზებული სუბიექტის განცხადების საფუძველზე, ან მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში. კომისიას ავტორიზებული სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკუთარი ინიციატივით შეუძლია გარკვეული ვადით შეაჩეროს ავტორიზაცია (მაგალითად, თუ ავტორიზებული სუბიექტი არღვევს საქართველოს კანონმდებლობას და ამ სუბიექტის მიმართ სანქციის სახით უკვე გამოყენებულია ჯარიმა). თუ ავტორიზებული სუბიექტი გეგმავს თავისი საქმიანობის შეცვლას, იგი ვალდებულია აცნობოს კომისიას ცვლილებამდე შვიდი სამუშაო დღით ადრე. კომისია შესაბამის ცვლილებებს შეიტანს უფლებამოსილ სუბიექტთა რეესტრში. ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილი სუბიექტები ვალდებული არიან გადაიხადონ რეგულირების საფასური. საფასურის გაანგარიშების და გადახდის წესი გათვალისწინებულია რეგულირების საფასურის განსაზღვრის და გადახდის წესის შესახებ კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილებით. ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში რეგულირების საფასური ავტორიზებული სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და შესრულებული სამუშაოს (რომელიც რეგულირებას ექვემდებარება) ჯამური ღირებულების 0,75 პროცენტია (დღგ-ს გარეშე) და გადაიხდება ყოველთვიურად. რეგულირების საფასურის გადახდის გარდა, უფლებამოსილმა სუბიექტმა კომისიას უნდა წარუდგინოს ინფორმაცია რეგულირების საფასურის გაანგარიშების შესახებ, სპეციალური განცხადების სახით.

### **უფლებამოსილი სუბიექტების ძირითადი ვალდებულებები**

კანონით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების გარდა, უფლებამოსილ სუბიექტს აქვს შემდეგი ძირითადი ვალდებულებები:

- უზრუნველყოს სხვა დაინტერესებული ოპერატორების (და უწყებრივი კომუნიკაციის ქსელების მფლობელებისთვის) პირდაპირი ან ირიბი ურთიერთჩართვის უზრუნველყოფა;
- მოთხოვნისამებრ, უზრუნველყოს ავტორიზებული სუბიექტის შეუზღუდავი წვდომა მისი ქსელის კონკრეტულ თავისუფალ ელემენტებზე, ფუნქციურ რესურსებსა და შესაძლებლობებზე;
- უზრუნველყოს, რომ ნომრების გამოყოფილი რესურსები ხელმისაწვდომი იყოს ყველა საბოლოო მომხმარებლისთვის, შეუზღუდავად, კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- უზრუნველყოს ქსელის მთლიანობა და უსაფრთხოება და არ დაუშვას ელექტრონული კომუნიკაციის ქსელების და საშუალებების უნებართვო გამოყენება;
- უზრუნველყოს ელექტრომაგნიტური თავსებადობა. ასევე, ზემოქმედებისგან დაცვა რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებისას;
- უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხის ნორმების დაცვა. ასევე, ელექტრონული კომუნიკაციის ქსელებით და საშუალებებით სარგებლობისას მომხმარებლის უსაფრთხოების წესების დაცვა;
- უზრუნველყოს ნომრების პორტატულობა, სააბონენტო ნომრების პორტატულობის შესახებ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად;
- გადაიხადოს რეგულირების საფასური, შეზღუდული რესურსებით სარგებლობის და სალიცენზიო მოსაკრებლები; და
- უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო პირობების შექმნა, რათა ოპერატიულ-ტექნიკურმა სამსახურმა შეასრულოს თავისი უფლებამოსილება, მათ შორის, ქონდეს ტექნიკური შესაძლებლობა კომუნიკაციის რეალურ დროში განხორციელებისთვის და ელექტრონული კომუნიკაციის საიდენტიფიკაციო მონაცემთა ბაზების კოპირების ტექნიკური შესაძლებლობა.

### **ურთიერთჩართვა და წვდომა**

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციის ქსელის ოპერატორები, რომლებიც სააბონენტო ნომრებით უწყვენ მომსახურებას საბოლოო მომხმარებლებს ადგილობრივი მომსახურების ზონებში, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ (პირდაპირი ან ირიბი) ურთიერთჩართვა სხვა დაინტერესებულ ოპერატორებთან, ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით, შეზღუდვების გარეშე - არადისკრიმინაციული ფორმით. ურთიერთჩართვა გულისხმობს ელექტრონული კომუნიკაციის ქსელების ფიზიკურ და ლოგიკურ კავშირს, რათა ერთი ელექტრონული კომუნიკაციის ქსელის ოპერატორის მომხმარებლებს საშუალება მიეცეთ დაუკავშირდნენ სხვა ელექტრონული კომუნიკაციის ქსელის ოპერატორის მომხმარებლებს ან/და მიიღონ სხვა ელექტრონული კომუნიკაციის ქსელის ოპერატორის მიერ შეთავაზებული სერვისები, რომელიც ხორციელდება პროვაიდერების ორმხრივი წვდომით მათი ქსელის კონკრეტულ ელემენტებზე. ურთიერთჩართვასთან დაკავშირებით, კომუნიკაციების შესახებ კანონი აწესებს შემდეგ ზოგად მოთხოვნებს:

- ურთიერთჩართვა უნდა განხორციელდეს შეუზღუდავი, სავალდებულო და არადისკრიმინაციული ფორმით;
- ელექტრონული კომუნიკაციის ქსელის ოპერატორებს შორის აქტიური ურთიერთჩართვის შეწყვეტა აკრძალულია; და
- თუ ურთიერთჩართული ელექტრონული კომუნიკაციის ქსელის ოპერატორი არ ასრულებს ურთიერთჩართვის მოქმედ ხელშეკრულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს შეაჩეროს აქტიური ურთიერთჩართვა მხოლოდ კომისიის თანხმობით, მის მიერ დადგენილი ვადითა და პირობებით. კომუნიკაციების ეროვნული კომისია ერთი თვის

ვადამი განიხილავს მხარეებს შორის ურთიერთჩართვასთან დაკავშირებულ დავას. ამასთან, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ურთიერთჩართვის პირობები შეიძლება თავად კომისიამ განსაზღვროს. ელექტრონული კომუნიკაციების კანონით დადგენილი ზოგადი წვდომის ვალდებულებიდან გამომდინარე, ნებისმიერ უფლებამოსილ სუბიექტს უფლება აქვს მოსთხოვოს ელექტრონული კომუნიკაციის ქსელის ოპერატორს, უზრუნველყოს წვდომა მისი ქსელის კონკრეტულ ელემენტებზე. „წვდომა“ გულისხმობს ელექტრონული კომუნიკაციის ქსელის ოპერატორის (ავტორიზებული სუბიექტი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონულ კომუნიკაციის ქსელს სხვა სუბიექტისთვის, განსაზღვრული პირობებით (ტარიფების ჩათვლით) ) ქსელის კონკრეტული ელემენტების, ტექნიკური საშუალებების, თავისუფალი ფუნქციონალური რესურსების და შესაძლებლობების გამოყენების უფლებას, ან ელექტრონული კომუნიკაციის სერვისების ტიპების გამოყენების უფლებას, რომლებიც გაწეულია (ან შეიძლება გაწეული იყოს) მათი გამოყენებით, რაშიც შედის:

- ფიზიკური ინფრასტრუქტურის და ადგილობრივი წვდომის ქსელის ელემენტების სპეციფიკური კომპონენტები, მათ შორის არხები და ჭები, ანძები და ბოძები;
- თანალოკაცია;
- ფიქსირებული და მობილური კომუნიკაციის ქსელების ოპერატორების თავისუფალი ოპერაციული ფუნქციონალური რესურსები და სიმძლავრეები (როუმინგის უზრუნველყოფის რესურსების ჩათვლით);
- აბონენტის ინდივიდუალური წვდომა სისტემის რესურსებსა და პროგრამების (მომსახურებების) ელექტრონული გზამკვლევზე;
- ელექტრონული კომუნიკაციის ქსელების საოპერაციო პროგრამული უზრუნველყოფის მართვასთან დაკავშირებული, ასევე მომხმარებლების მონაცემთა ბაზებთან და აბონენტთა ნომრების პორტირებასთან დაკავშირებული რესურსები;
- ვირტუალური ქსელის სხვადასხვა ტიპის სერვისები; და
- ელექტრონული კომუნიკაციის ქსელის სხვა სპეციფიკური ელემენტების ან კომუნიკაციის სერვისების ტიპების ფუნქციონალური რესურსები. ოპერატორებს შორის წვდომასთან და ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელიც განსაზღვრავს წვდომის ტექნიკურ, ეკონომიკურ და სხვა პირობებს. ამასთან, ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე კონკურენტული გარემოს ხელშეწყობის მიზნით, კომისია უფლებამოსილია გამოავლინოს შესაბამისი ბაზრები (მაგალითად ურთიერთჩართვის ბაზარი), რომლებზეც ვრცელდება რეგულირება და დააკისროს იმ სუბიექტებს, რომლებიც კომუნიკაციების კომისიის მიერ ჩატარებული ბაზრის ანალიზით ენიჭებათ „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების“ მქონის სტატუსი, ერთი ან რამდენიმე კონკრეტული ვალდებულება, მათ შორის ფასების ლიმიტი (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „რისკის ფაქტორები — რეგულირებასთან დაკავშირებული სხვა რისკები — კომისიამ შეიძლება დააწესოს ფასების კონტროლის რეგულაციები“).

ოპერატორებს შორის წვდომასთან და ურთიერთ-ჩართვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული სათანადო ხელშეკრულებით, რომელიც განსაზღვრავს დაშვების ტექნიკურ, ეკონომიკურ და სხვა პირობებს.

ამასთან, ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე კონკურენტული გარემოს ხელშეწყობის მიზნით, კომისია უფლებამოსილია გამოავლინოს შესაბამისი ბაზრები (როგორცაა, მაგალითად, ურთიერთჩართვის ბაზარი), რომლებიც ექვემდებარება პრევენციულ რეგულირებას და დააკისროს იმ პირებს, რომლებიც კომუნიკაციების კომისიის მიერ ჩატარებული ბაზრის ანალიზს ენიჭება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე, ერთი ან მეტი კონკრეტული ვალდებულება, მათ შორის ფასების ლიმიტი (იხილეთ „რისკის ფაქტორები — რეგულირებასთან დაკავშირებული სხვა რისკები — კომისიამ შეიძლება გამოიყენოს ფასების კონტროლის რეგულაციები“. დამატებითი ინფორმაციისთვის).

## **შეზღუდული რესურსებით სარგებლობა**

ნუმერაციის რესურსები და რადიოსიხშირული სპექტრი შეზღუდულ რესურსს წარმოადგენს. კომისიის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა შეზღუდული რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა. შესაბამისად, შეზღუდული რესურსების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ გაცემული ლიცენზიის ან კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შესაბამისი რესურსებით სარგებლობის უფლების საფუძველზე.

### *ნუმერაციის რესურსი*

ნუმერაციის გეგმას მთავრობა განსაზღვრავს კომისიასთან კოორდინაციით. კომისია გასცემს უფლებას და განსაზღვრავს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის პირობებს.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის თანახმად, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაცივმა შეუზღუდავი ვადით და ექვემდებარება ყოველწლიურ განახლებას. ნუმერაციის რესურსების გაცემის, სარგებლობის და გადახდის წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში (დამტკიცებულია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის N2 დადგენილებით) კომისია უფლებამოსილია ამავე წესებში მითითებულ სუბიექტებს მიანიჭოს ნუმერაციის რესურსები შეზღუდული ან შეუზღუდავი ვადით.

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების საფუძველია: თავისუფალი რესურსების ხელმისაწვდომობა და მამიებლის განაცხადი სარგებლობის უფლების მიღებაზე. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მისაღებად შესაბამისმა სუბიექტმა, თუ კანონით არ არის გადახდისგან გათავისუფლებული, უნდა გადაიხადოს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური, რომლის ოდენობა განისაზღვრება ნუმერაციის რესურსების გაცემის და გამოყენების, ასევე საფასურის გადახდის წესების შესაბამისად. (გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა)

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება შეიძლება განახლდეს სარგებლობის უფლების გაცემიდან/განახლებიდან ერთი წლის გასვლამდე, რისთვისაც უფლებამოსილმა სუბიექტმა უნდა გადაიხადოს განახლების საფასური. თუ არ მოხდება საფასურის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დადგენილ ვადაში კომისიისთვის წარდგენა, სარგებლობის უფლება გაუქმებულად ითვლება. ამასთან, კანონით დადგენილი სხვა წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კომისიას შეუძლია გააუქმოს სარგებლობის უფლება შესაბამისი სუბიექტის მიერ სარგებლობის უფლების პირობების დარღვევის შემთხვევაში. სარგებლობის უფლება ასევე შეიძლება გაუქმდეს ავტორიზებული სუბიექტის მოთხოვნით.

### *რადიოსიხშირული სპექტრი*

კომუნიკაციების კომისია გამოყოფს რადიოსიხშირულ სპექტრს და გასცემს სარგებლობის უფლებას - სპექტრით სარგებლობის ლიცენზიას.

კომუნიკაციების კომისია განსაზღვრავს რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნულ გეგმას საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) რეგულაციების შესაბამისად, მთავრობის მიერ კომუნიკაციების კომისიასთან კოორდინაციით განსაზღვრული რადიოსიხშირების გათვალისწინებით. კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით, დამტკიცებული რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა ყოფს რადიო სიხშირეებს დიაპაზონებად და თითოეულ მოცემულ სიხშირულ დიაპაზონთან მიმართებაში მიუთითებს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის რეგულაციების მიხედვით რეგიონის განაწილებაზე, ევროპის რადიო

კომუნიკაციების კომიტეტის მოხსენების ფარგლებში საერთო და ეროვნულ დონეზე განაწილებას (როგორც მოცემულ დროში, ასევე პერსპექტიული გამოყენების მხრივ).

როგორც წესი, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება გულისხმობს ლიცენზიის გაცემას. ლიცენზია გაცივმა აუქციონის წესით (გარდა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენების ლიცენზიის) „ტელეკომუნიკაციის შესახებ“ კანონის, „ლიცენზიების და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და კომისიის მიერ 2005 წლის 12 დეკემბერს მიღებული N13 რეგულაციის მიხედვით - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოპოვების და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრისთვის აუქციონის ჩატარება. გამონაკლის შემთხვევებში, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით განსაზღვრული კონკრეტული ტიპის რადიოსიხშირის გამოყენება შეიძლება განხორციელდეს კომისიის მიერ უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე, აუქციონის გარეშე. მაგალითად, კომუნიკაციების კომისიას შეუძლია აუქციონის გარეშე გასცეს რადიოსიხშირების გამოყენების უფლება 15 წლამდე ვადით უფლებამოსილ სუბიექტებზე, რომლებსაც ესაჭიროებათ რადიო სარელეო ქსელი ან რადიო სარელეო ხაზი(ებ)ის ერთი ან რამდენიმე მონაკვეთი არაკომერციული დამხმარე ტექნოლოგიური მიზნებისთვის, ძირითადი საქმიანობის განხორციელების მიზნით.

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია გაცივმა რადიოსიხშირული რესურსის ხელმისაწვდომობის, აუქციონზე სუბიექტის განაცხადის შეტანისა და გამარჯვების შემთხვევაში. აუქციონის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შემდეგ შემთხვევებში:

- (1) ეროვნული გეგმით გათვალისწინებული თავისუფალი რადიოსიხშირული სპექტრი ხელმისაწვდომია და სუბიექტმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან მოითხოვა რადიოსიხშირული სპექტრის აუქციონზე გამოტანა; ან
- (2) კომისია იღებს განაცხადს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედი მფლობელისგან, რომ სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს აღნიშნული უფლება სხვა სუბიექტს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, სუბიექტმა, რომელსაც სურს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მიღება, უნდა გადაიხადოს ლიცენზიის საფასური და რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურის 10 პროცენტი. ეს უკანასკნელი უნდა დაზუსტდეს აუქციონის ჩატარების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია რესურსებით სარგებლობისთვის შეთავაზებული უმაღლესი ფასი.

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია გაცივმა ათი წლის ვადით (ხოლო მიწისზედა სისტემებისთვის ჰარმონიზებული რადიოსიხშირული დიაპაზონების ფარგლებში, რომლებსაც შეუძლიათ ელექტრონული კომუნიკაციის სერვისების მიწოდება, სპექტრის ლიცენზიები გაცივმა 15 წლამდე ვადით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ); თუმცა, ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს ლიცენზიის მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე მიმართოს კომისიას ლიცენზიის ვადის გაგრძელების თხოვნით.

თუ ლიცენზიის მფლობელი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის შესაბამისად იყენებდა რადიოსიხშირულ სპექტრს, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ლიცენზიის მოქმედების ვადა კიდევ 10 წლით გაგრძელდება, რა შემთხვევაშიც ლიცენზიის მფლობელმა უნდა გადაიხადოს სალიცენზიო გადასახადი და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასური, რომლის ოდენობა გამოითვლება ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის შესაბამისად.

ლიცენზიის მფლობელს შეუძლია კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას სთხოვოს ლიცენზიის შეცვლა, დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე. ლიცენზიის შეცვლა ან/და ლიცენზიით მინიჭებული რადიოსიხშირული სპექტრის შეცვლა



ასევე შეიძლება მოხდეს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კომისიის ინიციატივით. კერძოდ, კომისიას შეუძლია ეროვნულ დონეზე გამოყოს ევროპული კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით განსაზღვრული და ჰარმონიზებული რადიოსიხშირული დიაპაზონები ელექტრონული კომუნიკაციის სერვისების მიწოდების შესაძლებლობის მქონე მიწისზედა სისტემებისთვის (იმავე გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ჰარმონიზებული ტექნიკური ნორმების და პირობების შესაბამისად). ამ დიაპაზონებში რადიოსიხშირული რესურსების გამოყენების ლიცენზია გაცივმა 15 წლამდე ვადით, ხოლო ლიცენზიები, რომლებიც უკვე გაცემულია ამ დიაპაზონში, ექვემდებარება ცვლილებას 15 წლამდე მოქმედების ვადით, ტექნოლოგიის და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად. ლიცენზიის გადასახადები ექვემდებარება გადაანგარიშებას, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი

ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონის თანახმად, ლიცენზიის მიღების შემდეგ ლიცენზიის მფლობელმა კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში უნდა დაიწყოს საქმიანობა. ამასთან, აკრძალულია ლიცენზიით განსაზღვრული რესურსებით სარგებლობის ან ამ რესურსების გამოყენებით განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის შეწყვეტა ზედიზედ სამ თვეზე მეტი ხნით, ან წლის განმავლობაში ექვს თვეზე მეტი ხნით. ამასთან, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი ლიცენზიის მფლობელს აკისრებს სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ლიცენზიის პირობების დარღვევა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ სანქციის დაკისრება ლიცენზიანტზე, ან ლიცენზიის გაუქმება. ამასთან, ლიცენზიის გაუქმება შესაძლებელია ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნით, კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით.

#### *რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების (ლიცენზიის) გადაცემა სხვა სუბიექტზე*

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება სხვა სუბიექტს შეიძლება გადაეცეს ორი გზით:

- (1) აუქციონის გარეშე, ავტორიზებული სუბიექტის მიერ ლიცენზიის პირდაპირი გადაცემის გზით. ანუ ლიცენზიით გათვალისწინებული უფლებების და მოვალეობების გადაცემით სხვა სუბიექტზე, სრულად ან ნაწილობრივ, პირდაპირი გადაცემის შესახებ შეთანხმების საფუძველზე; ან
- (2) კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული აუქციონის საშუალებით, ლიცენზიის მფლობელის (რომელსაც აქვს აუქციონზე მოპოვებული ლიცენზია) მოთხოვნის საფუძველზე.

პირდაპირი წესით გადაცემის შემთხვევაში, მხარეებმა კომისიას უნდა მიმართონ ერთობლივი განცხადებით, რის საფუძველზეც კომისია დაიწყებს ლიცენზიის გადაცემის საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას. ახალ ლიცენზიანტს, რომელმაც მიიღო ლიცენზია პირდაპირი გადაცემის გზით, შეუძლია დაიწყოს რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენება ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და კანონით დადგენილი წესით ავტორიზაციის პროცედურის გავლის შემდეგ.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კომისიამ შეიძლება შეზღუდოს ლიცენზიის მფლობელის უფლება გადასცეს ლიცენზია სხვა სუბიექტს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა, როდესაც კომუნიკაციების ეროვნული კომისია კვლევების და ანალიზის შემდეგ ადგენს, რომ ლიცენზიის პირდაპირი (სრული ან ნაწილობრივი) გადაცემის შედეგად მიმღები სუბიექტის მიერ სპექტრის ფლობა (დამოუკიდებლად ან/და მის ფილიალებთან ერთად) გადააჭარბებს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით განსაზღვრული სპექტრის ზღვარს. სპექტრის ზღვარი შეიძლება განისაზღვროს სპექტრის კონკრეტული დიაპაზონისთვის ან მსგავსი მახასიათებლების მქონე სპექტრის დიაპაზონების ჯგუფისთვის. კომუნიკაციების კომისია სპექტრის აღნიშნულ ზღვარს ადგენს ლიცენზიის პირდაპირ გადაცემასთან დაკავშირებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ჩატარებული კვლევის და ანალიზის საფუძველზე.

## კონკურენციის რეგულაცია

თავისუფალი კონკურენციის ზოგადი პრინციპები დაფიქსირებულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში და მოიცავს ხუთ ძირითად საყრდენ პრინციპს: (i) მონოპოლისტური ხელშეკრულებების აკრძალვას; (ii) დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების აკრძალვას; (iii) ეკონომიკური კონცენტრაციის კონტროლს; (iv) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვას; და (v) სახელმწიფოს დახმარებით კონკურენციის უსამართლო პირობების შექმნის აკრძალვას.

კონკურენციის შესახებ კანონი ასევე განსაზღვრავს კონკურენციის მარეგულირებელ ეროვნულ ორგანოს - საქართველოს კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციას. კონკურენციის სააგენტო არის საჯარო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც იცავს საქართველოს კონკურენციის კანონებს, გარდა ეკონომიკის გარკვეული რეგულირებადი სექტორებისა, სადაც კონკურენციის ზოგადი კანონმდებლობის დაცვის კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი დარგის მარეგულირებელი ორგანო.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება კომპანიებზე, რომლებიც ოპერირებენ ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სექტორში და ზღუდავს მათ საქმიანობას. ეს სექტორები მიეკუთვნება ეკონომიკის რეგულირებად სექტორებს. ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სექტორებში კონკურენციის შესახებ კანონის შეზღუდვების აღსრულებას ახორციელებს კომისია, კონკურენციის შესახებ კანონის აღსრულების ახლახან მიღებული წესების შესაბამისად. კონკურენციის სააგენტოს არ აქვს უფლება დააწესოს ჯარიმები ეკონომიკის რეგულირებად სექტორებში მოქმედ კომპანიებზე, გამოიკვლიოს ან განიხილოს საჩივრები ამ სექტორებში კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის საკითხზე, გარდა კონკურენციის შესახებ კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

ამასთან, 2020 წლის სექტემბრამდე, კონკურენციის შესახებ კანონის დებულებები კონცენტრაციის კონტროლის შესახებ (შერწყმა და შესყიდვა) არ ვრცელდებოდა რეგულირებად სექტორებზე (ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სექტორების ჩათვლით). თუმცა, 2020 წლის სექტემბერში, პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები კანონში. აღნიშნული ცვლილებები აძლიერებს კონკურენციის შესახებ კანონის (მათ შორის, კონცენტრაციის კონტროლის) მოქმედებას და აღსრულებას ეკონომიკის რეგულირებად სექტორებში. შედეგად, ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სექტორებში კონცენტრაციები (თუ გარკვეული ბრუნვაზე დაფუძნებული ზღვრები გადაჭარბებულია) და სხვა მონოპოლისტური ქცევა (როგორც განსაზღვრულია კონკურენციის შესახებ კანონით) ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სექტორებში ექვემდებარება კონკურენციის კანონს. კომუნიკაციების ეროვნული კომისია არის ელექტრონული კომუნიკაციების ან მაუწყებლობის სექტორებში წარმოქმნილი კონცენტრაციების მაკონტროლებელი ორგანო. თუმცა, კანონით განსაზღვრულ ცალკეულ შემთხვევებში, კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია განიხილოს და გამოიტანოს გადაწყვეტილება ეკონომიკის რეგულირებად სექტორებში მოქმედი კომპანიების კონცენტრაციაზე (მაგალითად, თუ კონცენტრაციის ერთ-ერთი მხარე არ არის რეგულირებადი ეკონომიკური სუბიექტი ან კონცენტრაციის მხარეები არიან რეგულირებადი ეკონომიკური სუბიექტები, თუმცა მოქმედებენ სხვადასხვა რეგულირებად სექტორებში).

ბოლო საკანონმდებლო ცვლილებებით, კონკურენციის სააგენტო და დარგობრივი მარეგულირებელი უწყებები (მათ შორის კომუნიკაციების ეროვნული კომისია) ვალდებული არიან ერთმანეთთან ითანამშრომლონ კონკურენციის შესახებ კანონის შესაბამისად, ეკონომიკის რეგულირებად სექტორებში კონკურენციის დარღვევების გამოძიების და პრევენციის მიზნით.

კონკურენციის შესახებ კანონის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ჯარიმები, მარეგულირებელი ზომების მიღება და შემზღუდავი ხელშეკრულებების გაუქმება.

კონკურენციის შესახებ კანონის გარდა, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორზე ასევე ვრცელდება სექტორისთვის სპეციფიური კონკურენციის წესები. ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში კონკურენციის რეგულირება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით: (i) შესაბამისი ბაზრის კონკურენციის პრევენციული რეგულირება ავტორიზებული სუბიექტების იდენტიფიცირებით, რომლებიც ფლობენ „მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას“ და (ii) უფლებამოსილ სუბიექტთან შერწყმის და ავტორიზებული სუბიექტის საკუთრების წილის/წილების შეძენის და მოქმედი აქტივების კონტროლი.

*კონკურენციის პრევენციული რეგულირება და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული სუბიექტის კონკრეტული ვალდებულებები*

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის თანახმად, კომუნიკაციების ეროვნული კომისია ახორციელებს კონკურენციის პრევენციულ რეგულირებას, რაც გულისხმობს ავტორიზებული სუბიექტის (ან ერთად, ორი ან მეტი ავტორიზებული სუბიექტის) იდენტიფიცირებას, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალა შესაბამის ბაზარზე ან მჭიდროდ დაკავშირებულ ბაზრებზე და მათზე კონკრეტული ვალდებულებების დაკისრებას.

ავტორიზებული სუბიექტის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება განისაზღვრება როგორც მოცემულობა, სადაც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ავტორიზებულ სუბიექტს არ ყავს კონკურენტები შესაბამის ბაზარზე, დაცულია სერიოზული კონკურენციისგან, ან მისი კონკურენტული პოზიცია საშუალებას აძლევს ქონდეს ცალმხრივი მნიშვნელოვანი გავლენა ბაზარზე და აზიანებს კონკურენციას. მიიჩნევა, რომ ოპერატორებს ერთობლივად აქვთ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, როდესაც კომუნიკაციების კომისიის მიერ ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ბაზარზე დადგენილი საბაზრო პირობები და კონკურენციის მახასიათებლები საშუალებას აძლევს მათ განახორციელონ შეთანხმებული ქმედებები და ერთობლივად მიიღონ კონკურენტული უპირატესობები, მათ შორის სახელშეკრულებო თუ სხვაგვარი ურთიერთობების არარსებობის შემთხვევაშიც.

ავტორიზებული სუბიექტის გამოსავლენად, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება შესაბამის ბაზარზე, კომუნიკაციების ეროვნული კომისია განსაზღვრავს შესაბამის სერვისებს, გეოგრაფიულ ბაზარს და ატარებს განსაზღვრული ბაზრის კვლევასა და ანალიზს.

ბაზრის კვლევისა და ანალიზის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას კომისია იღებს საკუთარი ინიციატივით, ან ავტორიზებული სუბიექტის ან სახელმწიფო უწყების მოთხოვნით, თუ კომისია ეთანხმება შესაბამისი სუბიექტის/უწყების დასაბუთებას, კვლევის და ანალიზის დაწყების საკითხზე.

თუ ბაზრის ანალიზის საფუძველზე კომისია დაადგენს, რომ ერთი ავტორიზებული სუბიექტი (ან რამდენიმე ავტორიზებული სუბიექტი ერთად) ფლობს მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას შესაბამის ბაზარზე, კომისიამ შეიძლება დააკისროს ასეთ უფლებამოსილ პირ(ებ)ს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ვალდებულება:

- გამჭვირვალობის ვალდებულება;
- დისკრიმინაციის გამორიცხვის ვალდებულება;
- ბუღალტრული აღრიცხვის გამიჯვნის ვალდებულება (კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად);
- კონკრეტული ქსელის ელემენტებზე და საშუალებებზე წვდომის და გამოყენების ვალდებულება; და

- ფასების კონტროლის და ხარჯების აღრიცხვის ვალდებულება.

ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების კონტენტი და მოქმედების ფარგლები, ასევე მათი შესრულების პირობები განისაზღვრება ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის შესაბამისი დებულებებით. ამასთან, კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს კანონით განსაზღვრული კონკრეტული ვალდებულებების დეტალები და მათი შესრულების პირობები. ბაზრის ანალიზის შედეგების საფუძველზე, კომისიამ კონკრეტულ ვალდებულებაში შეიძლება შეიტანოს ცვლილებები და დამატებები.

კომუნიკაციების კომისიის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული ბაზრის ანალიზის საფუძველზე, სელფი მობაილ დასახელდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, კონკრეტულ საბითუმო და საცალო ბაზრებზე და დაეკისრა ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით გათვალისწინებული ხუთი კონკრეტული ვალდებულებიდან რამდენიმეს (ან ყველა მათგანის), ასევე კონკრეტული პირობების შესრულება.

#### *სელფი მობაილის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება*

სელფი მობაილის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განისაზღვრა შემდეგ ბაზრებზე:

- მობილურ ელექტრონულ კომუნიკაციის ქსელში ურთიერთჩართვის სერვისებზე საბითუმო წვდომა (ზარის წამოწყება და დასრულება);
- მობილური ქსელით ხმოვანი და ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე;
- საბითუმო წვდომა მობილური ქსელის სერვისებზე (ხმოვანი, მოკლე ტექსტური და მონაცემების გადაცემა) (იხ. „ვირტუალური ქსელის ოპერატორების წვდომის რეგულაცია“).

იმ პროდუქტებსა და გეოგრაფიულ ბაზრებზე, სადაც დადგინდა, რომ „სელფი მობაილს“ აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, „კომპანის“ დაეკისრა ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით გათვალისწინებული ხუთი კონკრეტული ვალდებულებიდან რამდენიმეს ან ყველას შესრულება - მათ შორის ინფორმაციის გამჭვირვალობის, დისკრიმინაციის გამორიცხვის, ქსელის ელემენტებთან და ობიექტებთან წვდომის ვალდებულება, ასევე განესაზღვრა ვალდებულებების შესრულების კონკრეტული ვადები.

ფასების კონტროლის კუთხით, „სელფი მობაილ“ ვალდებულია ზემოთ ჩამოთვლილი ბაზრების უმეტესობაში საბითუმო მომსახურები გაწიოს ხარჯზე ორიენტირებული ტარიფებით. ამასთან, კომისიამ დაადგინა ფასები ემიტენტის მიერ გარკვეული მომსახურების გაწევაზე, კერძოდ:

- ურთიერთჩართვის სერვისებზე წვდომის საბითუმო ბაზარზე ემიტენტმა უნდა უზრუნველყოს ზარის წამოწყების და ზარის შეწყვეტის სერვისები ფიქსირებულ და მობილურ ელექტრონულ კომუნიკაციის ქსელებში კომუნიკაციის კომისიის მიერ გამოთვლილი რეგულირებადი ტარიფებით LRIC აღრიცხვის მეთოდოლოგიით;

2017 წლის 16 მაისს, კომისიამ გამოსცა N345/22 გადაწყვეტილება საქართველოში საერთაშორისო ზარის დასრულების დროებითი რეგულირების შესახებ, რომლის მიხედვითაც კომისიამ უფლებამოსილ პირებს, მათ შორის „სელფი მობაილის“ საკუთარ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულებაზე დაუწესა ტარიფი წუთში 0,22 აშშდოლარის ექვივალენტის ოდენობით (გადასახადების ჩათვლით) და ფიქსირებულ ს ქსელში საერთაშორისო ზარის შდასრულებისათვის 0,12 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, (გადასახადების ჩათვლით) (იხილეთ „საერთაშორისო ზარის დასრულება“).

*მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების წვდომის რეგულაცია*

2019 წლის დეკემბერში, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ქვეყანაში არსებული სამი მობილური ქსელის ოპერატორი - სილქნეტი, მაგთიკომი და სელფი მობაილ განისაზღვრა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მფლობელად საბითუმო მობილური ქსელის სერვისების შესაბამის ბაზარზე (ხმოვანი, მოკლე ტექსტური და მონაცემების გადაცემა). კომისიამ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე მობილური ქსელის ოპერატორები დაავალდებულა, რომ წვდომა მიეცათ მობილურ ვირტუალურ ოპერატორებისთვის საკუთარ ქსელებზე. კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება განსაზღვრავს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონეთა (მათ შორის სელფი მობაილს) სპეციფიკურ ვალდებულებებს მობილური ვირტუალური ოპერატორებისთვის წვდომის მიცემის მხრივ. აღნიშნული ვალდებულებები მოიცავს მობილური ვირტუალური ოპერატორებისთვის ქსელზე წვდომის მიცემას, საცნობარო შეთავაზებების გამოქვეყნების ვალდებულებას (მათ შორის, მობილური ვირტუალური ოპერატორების შემოთავაზებული პირობები, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ბუღალტრული აღრიცხვის გამიჯვნის ვალდებულებები)

ფასების კონტროლის თვალსაზრისით, მობილური ქსელის ოპერატორებს მოეთხოვებათ დააწესონ კომერციული ტარიფები მობილური ვირტუალური ოპერატორის წვდომაზე, თუმცა, თუ მხარეები კონკრეტულ ვადაში ვერ შეთანხმდნენ კომერციულ ტარიფზე, კომუნიკაციების კომისიას შეუძლია, დაინტერესებული მხარის განაცხადის საფუძველზე, მოსთხოვოს მობილური ქსელის ოპერატორს უზრუნველყოს მობილური ვირტუალური ოპერატორის წვდომა „Retail Minus“ მოდელით გამოთვლილი ტარიფით.

მობილური ქსელის მოქმედი ოპერატორების (მათ შორის, სელფი მობაილს) ვალდებულება გამოაქვეყნონ მობილური ვირტუალური ოპერატორის წვდომისთვის მოწვევის ოფერტა, იწურებოდა 2020 წლის მაისში, თუმცა, კომუნიკაციების კომისიასთან ინტენსიური დისკუსიების შედეგად, 2021 წლის ნოემბერში კომუნიკაციების კომისიამ ვადა გაახანგრძლივა და მობილური ქსელის ოპერატორებს დაავალა გამოაქვეყნონ საცნობარო შეთავაზება 2022 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო აღნიშნული ვადა კომისიის მიერ იქნა გადაწეული 2023 წლის 30 ივნისამდე, ხოლო 2023 წლის 29 ივნისს აღნიშნული ვადა გადაწეულ იქნა 2024 წლის 30 ივნისამდე. კომუნიკაციების კომისიის განცხადებით, ვ საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების მოწვევის ოფერტის გამოქვეყნების ვადის გაახანგრძლივება გამართლებულია შემდეგით: (ა) მობილური ქსელის ოპერატორებმა საჯაროდ გამოაცხადონ მოლაპარაკებისთვის მზადყოფნა პოტენციურ მობილურ ვირტუალურ ოპერატორებთან და შეასრულონ მათი გონივრული მოთხოვნები ქსელზე წვდომასთან დაკავშირებით, ორმხრივად მისაღები კომერციული პირობებით; (ბ) ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, კომისიისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი მექანიზმები კონკურსის რეგულაციების შესაბამისად საკმარისად ეფექტურია იმისათვის, რომ კომისიამ გამოავლინოს და თავიდან აიცილოს პოტენციური მონოპოლისტური ქცევები ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, კომუნიკაციების კომისიამ გადაწყვიტა მობილური ქსელის ოპერატორების ვალდებულების შესრულების გადადება გამოაქვეყნონ თავიანთი საცნობარო შეთავაზებები მობილური ვირტუალური ოპერატორების წვდომისთვის. ამ პერიოდის განმავლობაში მობილური ქსელის ოპერატორსა და მობილურ ვირტუალურ ოპერატორებს შორის შეთანხმებები ძირითადად ორიენტირებული იქნება მხარეებს შორის კომერციულ მოლაპარაკებებზე, ხოლო კომუნიკაციების კომისია მონიტორინგს გაუწევს პროცესს და შესაძლოა ჩაერიოს ბაზარზე პოტენციური ანტიკონკურენტული ქმედებების (მათ შორის წვდომის მიცემაზე უარის) პრევენციის მიზნით. ბაზარზე დაკვირვებიდან გამომდინარე, კომისია ხელახლა შეაფასებს მობილური ვირტუალური ოპერატორების დაშვების სავალდებულო რეჟიმის აუცილებლობას.

## *საერთაშორისო ზარის დასრულება*

საქართველოში ზარის დასრულების საერთაშორისო ბაზრის დროებითი რეგულირების საფუძველზე, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შესაბამის ურთიერთჩართვის ბაზარზე მოქმედ ყველა უფლებამოსილ სუბიექტს, მათ შორის სელფი მობაილს, დაუწესა ფიქსირებული ტარიფი წუთში 0.12 აშშ დოლარის ლარში ექვივალენტის ოდენობით (გადასახადების ჩათვლით) ფიქსირებულ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულებისათვის და წუთში 0,22 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (გადასახადების ჩათვლით) მობილური ქსელებში საერთაშორისო ზარის დასრულებისათვის. საერთაშორისო ზარის დასრულების ტარიფების დროებითი რეგულაციის მოქმედების ვადა ექვსჯერ გაგრძელდა. აღნიშნული რეგულაცია ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

*ავტორიზებულ პირთან შერწყმის და ავტორიზებული სუბიექტის საკუთრების წილის, აქციების ან/და მიმდინარე საბრუნავი აქტივების შეძენის კონტროლი.*

ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონის თანახმად, კომისიას წინასწარ უნდა ეცნობოს:

- ავტორიზებული სუბიექტის მიმდინარე საბრუნავი აქტივების შეძენა/გასხვისება;
- ავტორიზებულ პირთან შერწყმა; და
- ავტორიზებული სუბიექტის აქციების ან საკუთრების წილის შეძენა, რის შედეგადაც შეძენი ან/და შვილობილი კომპანიები იძენენ უფლებამოსილი პირის წილის 5 პროცენტზე მეტს.

ინფორმირების ვალდებულება ეკისრება შერწყმაში მონაწილე უფლებამოსილ სუბიექტს; ან რომლის აქციების, წილის ან მიმდინარე საბრუნავი აქტივების შეძენაც ხდება.

ავტორიზებული სუბიექტის მიერ შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში, კომუნიკაციების ეროვნული კომისია ამტკიცებს შერწყმას/შეძენას (თანხმობის გაცემით), ან ატარებს დამატებით მოკვლევას, რათა დადგინდეს შერწყმის/შეძენის შესაძლო გავლენა ბაზრებზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე. დამატებითი მოკვლევის საჭიროების შემთხვევაში, კომისია დაიწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

კომისიას შეუძლია დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოითხოვოს შერწყმის ან შეძენის პირობების შეცვლა, ან დაბლოკოს ავტორიზებული სუბიექტის შერწყმა ან შეძენა (წილების, საკუთრების ან მიმდინარე საბრუნავი აქტივების), თუ მიიჩნევს, რომ შერწყმა ან შეძენა მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს კონკურენციას შესაბამის ბაზარზე.

შერწყმაზე ან შესყიდვაზე თანხმობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს შერწყმის შედეგად შექმნილ სუბიექტს, ან უფლებამოსილ სუბიექტს, რომელმაც შეიძინა აქტივები, მიიღოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბაზარზე კონკურენციის შენარჩუნებას. ამასთან, თუ ავტორიზებული სუბიექტი (რომელიც შეიქმნა კომისიის მიერ შერწყმის ან შეძენის შედეგად), რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, არსებითად აზიანებს კონკურენციას შესაბამის ბაზარზე, კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს ასეთი ავტორიზებული სუბიექტის ფუნქციური გამოყოფა, ე.ი. ცალკე, დამოუკიდებელი იურიდიული პირების შექმნა ფუნქციურად გამოყოფილი სტრუქტურული ერთეულებისთვის.

## **მომხმარებელთა უფლებები**

კომუნიკაციების ეროვნული კომისია ზედამხედველობას უწევს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვას. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ფუნქციონირებს მომხმარებელთა უფლებების დამცველის სამსახური, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მომხმარებელთა განცხადებების და საჩივრების განხილვა და მათზე რეაგირება.

ამასთან, ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონით, ელექტრონული კომუნიკაციის სერვისების პროვაიდერებს ევალებათ შექმნან ეფექტური შიდა მექანიზმი მომხმარებლების საჩივრების განხილვის და მათზე რეაგირებისთვის. ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში მომსახურების გაწევის წესები, ასევე მომხმარებელთა დაცვის სტანდარტები, დეტალურადაა განსაზღვრული ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში მომსახურების გაწევის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგულაციაში, რომელიც დამტკიცებულია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N 3 დადგენილებით.

ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში მომხმარებელთა ძირითადი უფლებები, სხვა უფლებებთან ერთად, მოიცავს მომსახურების სახეობის თავისუფლად არჩევის უფლებას, რომელიც უზრუნველყოფილია საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული კომუნიკაციის ქსელებით და საშუალებებით და ინფორმაციის მიღების უფლებას ელექტრონული კომუნიკაციის მიწოდებული ან შერჩეული სერვისების ტარიფების, მომსახურების მიწოდების და გადახდის პირობების შესახებ, ასევე საანგარიშო პერიოდის ბილინგის დეტალური ინფორმაცია. რეგულაცია დამატებით აკონკრეტებს იმ ტიპის ინფორმაციას, რომელიც მომხმარებელს უფლება აქვს მიიღოს უფასოდ და დაუყოვნებლივ.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი განსაზღვრავს კონკრეტულ მოთხოვნებს მომსახურების პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს წერილობით (რაც ითვალისწინებს ელექტრონულ ხელშეკრულებებსაც) (გარდა კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა) და მოიცავდეს კანონით განსაზღვრულ სავალდებულო ინფორმაციასა და პირობებს, მათ შორის მომსახურების შეჩერების და შეწყვეტის პირობებს; დეტალურ ინფორმაციას ტარიფების შესახებ, ასევე ტარიფის ცვლილების შემთხვევაში განახლებული ინფორმაციის მიწოდებას და გასაჩივრების და დავების გადაწყვეტის პროცედურის აღწერას. რეგულაციით დაშვებულ შემთხვევებში, კომუნიკაციის მომსახურების გაწევა ასევე შესაძლებელია ე.წ. დისტანციური მომსახურების ხელშეკრულებით (დისტანციური კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით), მომხმარებელთა შესახებ რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად.

2021 წლის აპრილში კომისიამ შეიტანა ცვლილებები მომხმარებელთა შესახებ რეგულაციაში. ცვლილებები ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვრიდან და მნიშვნელოვნად შეცვალა რეგულაცია, რითაც გაუმჯობესდა მომხმარებელთა უფლებების დაცვა და კიდევ უფრო გაიზარდა სატელეკომუნიკაციო მომსახურების სტანდარტები. ცვლილებები ადგენს მომხმარებლის უფლებას თავისუფლად აირჩიოს და გამოიყენოს ტერმინალური აპარატურა (როუტერი და მოდემი) სატელეკომუნიკაციო სერვისებისთვის და უკრძალავს შესაბამის სატელეკომუნიკაციო სერვისის პროვაიდერებს დააწესონ შეზღუდვები მესამე მხარის ტერმინალური აპარატურის გამოყენებაზე, თუ არ არსებობს ამის ობიექტური ტექნიკური მიზეზები. ამასთან, ცვლილებების შედეგად, გაიზარდა წინასწარი შეტყობინების მინიმალური ვადა სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულებებში მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით, 10 სამუშაო დღიდან ერთ თვემდე; ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებს დაევალებათ უზრუნველყონ, რომ საგანგებო სიტუაციაში მომხმარებლებს ქონდეთ წვდომა კომუნიკაციების კომისიის სიაში არსებულ ვებგვერდებზე, რომლებიც შეიცავს კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფორმაციას; შეიზღუდა სატელეკომუნიკაციო მომსახურების (გარდა M2M/IoT) კონტრაქტის საწყისი ვადა მაქსიმუმ 24 თვემდე.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი ელექტრონული კომუნიკაციის სერვისის პროვაიდერებს აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს სააბონენტო ნომრების პორტაბელურობასთან დაკავშირებით. კერძოდ, კომუნიკაციის ადგილობრივი ქსელების მეშვეობით სერვისის მიმწოდებელმა სუბიექტებმა უნდა მისცენ მომხმარებელს უფლება შეინარჩუნონ იგივე სააბონენტო ნომერი მომსახურების პროვაიდერის შეცვლის შემთხვევაში.

### *პერსონალური მონაცემების/ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა*

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების და ინფორმაციის დაცვა.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციის ქსელების მომხმარებელთა შესახებ ინფორმაცია, ისევე როგორც მომხმარებლების მიერ ამ ქსელებით გადაცემული ინფორმაცია კონფიდენციალურია; კონფიდენციალურობა გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით.

მომხმარებელთა რეგულაცია ავალდებულებს მომსახურების პროვაიდერებს დაიცვან მომხმარებელთა პერსონალური ინფორმაცია, ხოლო სატელეკომუნიკაციო სერვისის პროვაიდერებს ავალდებულებს მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას დაიცვან საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი დეტალურად არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლებს და პრინციპებს. პერსონალურ მონაცემად ითვლება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირთან. სუბიექტი იდენტიფიცირებადად ითვლება, თუ მისი იდენტიფიცირება შესაძლებელია პირდაპირ ან ირიბად, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით, ან ამ პირის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.

სატელეფონო საუბრების მოსმენა, სატელეფონო საუბრების შესახებ ინფორმაციის გაცემა და მომხმარებლის მიერ ელექტრონული კომუნიკაციის ქსელების მეშვეობით გადაცემული სხვა ინფორმაციის გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვით. ინფორმაციის კონფიდენციალურობის ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, სადაც უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს ფარულ საგამომიებო მოქმედებებს, ან სხვა მსგავს ქმედებებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორი ახორციელებს უფლებამოსილებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ფარული გამოძიების რეგულაციასთან დაკავშირებით 2017 წლის მარტში დამტკიცებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში მოქმედმა უფლებამოსილმა პირებმა უნდა შეასრულონ დამატებითი ვალდებულებები, მათ შორის ტექნიკური ვალდებულებები. შეიქმნა საჯარო სამართლის ახალი იურიდიული სუბიექტი - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელიც განსაზღვრავს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობის სისტემის ტექნიკურ მოთხოვნებს, ამოწმებს ავტორიზებული სუბიექტის IT და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას და აცნობებს კომისიას მოქმედი მოთხოვნების დარღვევების შესახებ, რის შემდეგაც კომისია იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის შესაბამისად ავტორიზებული სუბიექტისთვის სანქციის დაკისრებაზე.

### **ინტერნეტთან დაკავშირებული რეგულაცია**

2018 წლის 10 მაისს, კომისიამ შეიმუშავა ინტერნეტ სერვისის მიწოდების ხარისხის განსაზღვრის და მონიტორინგის წესები („ინტერნეტის რეგულაცია“), რომელიც ადგენს მომსახურების მიწოდების ხარისხის პარამეტრებს, ტრაფიკის



მართვის და მონიტორინგის წესებს, აბონენტების და ინტერნეტ სერვისების პროვაიდერების უფლებებსა და მოვალეობებს.

ინტერნეტის რეგულაცია ეფუძნება ქსელის ნეიტრალურობის პრინციპს, რომელიც აკისრებს ვალდებულებას ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებს ყველა სახის ტრაფიკს მოეპყრან თანაბრად, დისკრიმინაციის, შეზღუდვის და ჩარევის გარეშე - გამგზავნის და მიმღების, წვდომის ან კონტენტის, გამოყენებული აპლიკაციების თუ სერვისების და ტერმინალური მოწყობილობების მიუხედავად. ინტერნეტის რეგულაცია ხელს არ უშლის ინტერნეტით სარგებლობის სერვისების პროვაიდერებს ტრაფიკის მართვის გონივრული ზომების მიღებაში. თუმცა, იმისათვის, რომ ტრაფიკის მართვის ზომები ჩაითვალოს გონივრულად, ისინი უნდა იყოს გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და პროპორციული.

ამასთან, ინტერნეტის რეგულაციის თანახმად, ინტერნეტით სარგებლობის სერვისების პროვაიდერებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სააბონენტო ხელშეკრულებებში, სხვათა საკითხებთან ერთად, დაყოვნების პარამეტრი.

### სანქციები და ვალდებულებები

კომუნიკაციების ეროვნული კომისია აკონტროლებს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის, ასევე შეზღუდული რესურსებით სარგებლობის უფლების მქონე პირთა მიერ საქართველოს სატელეკომუნიკაციო კანონმდებლობის და შესაბამისი დადგენილებით დაწესებული შეზღუდვების (ან მოთხოვნების), კომისიის სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კომისიის დადგენილებების დაცვას.

უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების, მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისიის დადგენილებების და გადაწყვეტილებების დაცვას კომისია აკონტროლებს უწყვეტად და რეგულარულად, ხოლო სალიცენზიო პირობების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს ლიცენზიის პირობების შემთხვევითი შემოწმების ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულარული ანგარიშგების გზით.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფლებამოსილია დააკისროს შესაბამის სუბიექტს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი აუდიტირებული წლის განმავლობაში „სელფი მობაილის“ მიმართ არ გამოყენებულა სანქცია.

*საქმიანობა ავტორიზაციის გარეშე, ან რადიოსიხშირული სპექტრის ან/და ნუმერაციის რესურსის გამოყენება უფლების გარეშე.*

ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში ნებართვის გარეშე საქმიანობა ან რადიოსიხშირული სპექტრის ან/და ნუმერაციის რესურსის გამოყენება ლიცენზიის ან შეზღუდული რესურსით სარგებლობის უფლების გარეშე წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელიც ისჯება ჯარიმით 5000 ლარის ოდენობით. დარღვევის განმეორების შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა ორმაგდება, ხოლო ყოველი მომდევნო დარღვევაზე ჯარიმა შეადგენს 50 000 ლარს. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მსგავსი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა იზრდება 500 000 ლარამდე, ხოლო განმეორებითი დანაშაული იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ამასთან, უკანონო სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის, ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე, ან ნებართვის ან ლიცენზიის პირობების დარღვევით, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, ან რომელსაც ახლავს დიდი შემოსავლის

მიღება, წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. ამ დანაშაულის ჩადენისთვის, იურიდიული სუბიექტი შეიძლება დაჯარიმდეს, ჩამოერთვას სამეწარმეო საქმიანობის უფლება, ან დაექვემდებაროს ლიკვიდაციას და ჯარიმას.

*კანონების და სალიცენზიო/შეზღუდული რესურსით სარგებლობის უფლების პირობების დარღვევა*

- თუ ავტორიზებული სუბიექტი არღვევს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებებს, მათ შორის კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებებს და გადაწყვეტილებებს, ან/და თუ ლიცენზიის მფლობელი არ იცავს ლიცენზიის პირობებს, კომისიას შეუძლია წერილობით გააფრთხილოს ასეთი სუბიექტი; კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში უწყვეტი დარღვევის გამოუსწორებლობის, ან ერთი წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი დარღვევის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია დააკისროს ჯარიმა ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში ავტორიზებული სუბიექტის შემოსავლის 0.5 %-ის ოდენობით (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული მთლიანი შემოსავალი დღგ-ის გარეშე), თუმცა არანაკლებ 3,000 ლარის ან არაუმეტეს 30,000 ლარის ოდენობით.
- თუ დაჯარიმების შემდეგ ავტორიზებული სუბიექტი ან/და ლიცენზიის მფლობელი ვერ აღმოფხვრის მუდმივ დარღვევას ან/და დაჯარიმებიდან ერთი წლის განმავლობაში დაუშვებს ახალ ერთჯერად დარღვევას, კომისია უფლებამოსილია დააწესოს ჯარიმა ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში ავტორიზებული სუბიექტის შემოსავლის 1 %-ის ოდენობით, თუმცა არანაკლებ 9,000 ლარისა ან არაუმეტეს 90,000 ლარისა, ან გააუქმოს ლიცენზია.
- თუ ხელმეორედ დაჯარიმების შემდეგ ავტორიზებული სუბიექტი ან/და ლიცენზიის მფლობელი ვერ აღმოფხვრის მუდმივ დარღვევას ან/და მეორედ დაჯარიმების შემდეგ და პირველი დაჯარიმებიდან ერთი წლის განმავლობაში ჩაიდენს ახალ ერთჯერად დარღვევას, კომისია უფლებამოსილია დააკისროს ჯარიმა ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში ავტორიზებული სუბიექტის შემოსავლის 3 %-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 27,000 ლარისა ან არაუმეტეს 270,000 ლარისა, ან გააუქმოს ლიცენზია.
- შეზღუდული რესურსებით სარგებლობის პირობების დარღვევა იმ სუბიექტის მიერ (გარდა ლიცენზიის მფლობელისა და იმ სუბიექტისა, რომელმაც მიიღო შეზღუდული რესურსით თავისუფლად სარგებლობის უფლება), რომელსაც კომისიამ მიანიჭა შეზღუდული რესურსით სარგებლობის უფლება, ითვალისწინებს ჯარიმას 1,000 ლარის ოდენობით, ხოლო თუ დაჯარიმებიდან ერთი წლის განმავლობაში ჩადენილია ახალი ერთჯერადი დარღვევა, ან კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში დარღვევა არ გამოსწორდა, კომისია უფლებამოსილია სუბიექტს დაუწესოს 3,000 ლარის ოდენობის ჯარიმა, ან ჩამოართვას უფლება.

კომისიას შეუძლია საკუთარი ინიციატივით შეაჩეროს ავტორიზაცია, თუ ავტორიზებული სუბიექტი:

- ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას; არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებას, ან ნულოვანი თანხის გაანგარიშებას და არ იხდის რეგულირების საფასურს; ან/და
- არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და მსგავსი დარღვევისთვის სუბიექტის მიმართ უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა.

კომისიას შეუძლია საკუთარი ინიციატივით გააუქმოს შესაბამის სუბიექტს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია, ერთ-ერთი შემდეგი მიზეზით:

- ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით გათვალისწინებული რესურსებით სარგებლობის ან ამ რესურსების გამოყენებით პრაქტიკული საქმიანობის შეწყვეტა ზედიზედ სამი თვის განმავლობაში, ან ექვსი თვით ერთი წლის განმავლობაში;

- ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში პრაქტიკული საქმიანობა არ იწყება; ან
- სალიცენზიო პირობების დარღვევისთვის დაჯარიმებიდან ერთი წლის განმავლობაში არ აღმოიფხვრა უწყვეტი დარღვევა ან/და ახალი ერთჯერადი დარღვევა.

კომისიამ შეიძლება სუბიექტს ჩამოართვას ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება, თუ დაჯარიმების შემდეგ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელი ვერ აღმოფხვრის მუდმივ დარღვევას ან/და დაჯარიმებიდან ერთი წლის განმავლობაში ჩაიდენს ახალი ერთჯერად დარღვევას.

### **საგანგებო ზომები კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულებისთვის**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინასწარი შეტყობინების გარეშე საქართველოს ერთ-ერთ სატელეკომუნიკაციო კომპანიაში, შპს „კავკასუს ონლაინის“ კაპიტალში წილზე არაპირდაპირი საკუთრების გაყიდვის შემდეგ, 2020 წლის ივლისში მიღებულ იქნა საკმაოდ სადავო საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში. აღნიშნული ცვლილებები კომისიას უფლებას ანიჭებს ელექტრონული კომუნიკაციის სექტორში მოქმედ ავტორიზებულ სუბიექტს/ლიცენზიანტს დაუნიშნოს სპეციალური მენეჯერი/მმართველი, ავტორიზებული სუბიექტის/ლიცენზიის მფლობელის დარღვევების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

კერძოდ, ცვლილებების მიხედვით, კომისია უფლებამოსილია, ავტორიზებულ სუბიექტს/ლიცენზიანტს დაუნიშნოს სპეციალური მენეჯერი, რათა უზრუნველყოს ელექტრონული კომუნიკაციის ავტორიზებული სუბიექტის/ლიცენზიანტის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის იმ დებულებების დარღვევასთან დაკავშირებით კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც ეხება სატელეკომუნიკაციო კომპანიაში შერწყმის და შესყიდვების კონტროლს. ამასთან, შეიძლება დაინიშნოს სპეციალური მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოს კომისიის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების აღსრულებას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ ქსელის ელემენტებთან და ობიექტებთან წვდომასთან ან/და ფასების კონტროლთან დაკავშირებით დაკისრებული კონკრეტული ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სასამართლო, კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

სპეციალური მენეჯერი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ორი დამატებითი წინაპირობა: (i) ავტორიზებული სუბიექტი/ლიცენზიის მფლობელი აღნიშნული დარღვევისთვის არანაკლებ სამჯერ დაჯარიმების შემდეგ არ შეასრულებს კომისიის გადაწყვეტილებას; (ii) ავტორიზაციის/ლიცენზიის გაუქმებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს, ავტორიზებული პირების/ლიცენზიის მფლობელების ან მომხმარებლების ლეგიტიმურ ინტერესებს ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში, ან ბაზარზე კონკურენციას.

სპეციალური მენეჯერის უფლებამოსილებები განისაზღვრება შესასრულებელი გადაწყვეტილების შინაარსის მიხედვით, კომისიის მიერ. აღნიშნული უფლებამოსილებების ფარგლებში, სპეციალურ მენეჯერს შეიძლება მიენიჭოს უფლება განახორციელოს კონტროლი ავტორიზებულ სუბიექტზე/ლიცენზიის მფლობელზე და შეიძლება გადაეცეს ავტორიზებული/ლიცენზირებული სუბიექტის ყველა ორგანოს (მათ შორის, დირექტორის/დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს, აქციონერთა საერთო კრების) ყველა ფუნქცია, გარდა ავტორიზებული/ლიცენზირებული სუბიექტის აქტივების ან/და საკუთარი სახსრების გაყიდვის უფლებამოსილებისა.

კომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად, სპეციალური მენეჯერი უფლებამოსილია:

- I. დანიშნოს ან/და გაათავისუფლოს ავტორიზებული სუბიექტის/ლიცენზიის მფლობელის სამეთვალყურეო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დირექტორ(ებ)ი ან/და წევრი(ებ)ი;
- II. სასამართლოში გაასაჩივროს ავტორიზებული სუბიექტის/ლიცენზიის მფლობელის მიერ სპეციალური მენეჯერის დანიშვნამდე ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული ქმედება ან დადებული გარიგება და მოითხოვოს მათი ბათილად ცნობა, თუ აღნიშნული ქმედება ან გარიგება ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს, ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში ავტორიზებული პირების/ლიცენზიანტების ან მომხმარებლების კანონიერ ინტერესებს ან ბაზარზე არსებულ კონკურენციას;
- III. შეაჩეროს ან შეზღუდოს მოგების განაწილება, დივიდენდების ან პრემიების გადახდა, ავტორიზებული/ლიცენზირებული სუბიექტის მიერ ხელფასების გაზრდა; და
- IV. შეასრულოს ავტორიზებული/ლიცენზირებული სუბიექტის მმართველი ორგანოების სხვა ფუნქციები (გარდა ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელის აქტივების ან/და საკუთარი სახსრების გაყიდვის უფლებამოსილებისა).

სპეციალური მენეჯერი მოქმედებს კომისიის მიერ გაცემული ინსტრუქციებისა და მითითებების მიხედვით და ანგარიშვალდებულია მხოლოდ კომისიის წინაშე. ამასთან, კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლოა სპეციალური მენეჯერის გარკვეული (ან ყველა) უფლებამოსილების შესრულება საჭიროებდეს კომისიის წინასწარ წერილობით თანხმობას.

სპეციალური მენეჯერის დანიშვნის შემდეგ, შესაბამისი ავტორიზებული სუბიექტის/ლიცენზიის მფლობელის სახელით ნებისმიერი ქმედება და ტრანზაქცია საჭიროებს სპეციალური მენეჯერის ან/და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინასწარ თანხმობას.

ცვლილებების მიხედვით, სპეციალური მენეჯერი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ავტორიზებული სუბიექტის/ლიცენზიანტის მიმართ სპეციალური აღსრულების ღონისძიებები წყდება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების და შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის კომისიაში წარდგენის შემდეგ.

ამასთან, კომისიის გადაწყვეტილებების (მათ შორის სპეციალური მენეჯერის დანიშვნის გადაწყვეტილების) სასამართლოში გასაჩივრებას აღარ ექნება ავტომატური შეჩერების ეფექტი, თუ სასამართლო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში ზემოაღნიშნული ცვლილებები უარყოფითად შეაფასა ვენეციის კომისიამ. კერძოდ, ვენეციის კომისიის და ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ერთობლივ დასკვნაში, რომელიც გამოქვეყნდა 2021 წლის მარტში, ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ ეს ცვლილებები იწვევს საკუთრების უფლებისა და მედიის თავისუფლების, ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლების მხრივ შორსმომავალ შედეგებს. ვენეციის კომისიამ პარლამენტს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების მიხედვით საკანონმდებლო ცვლილებების სრული და საფუძვლიანი ხელახალი განხილვისკენ მოუწოდა.

**მოსალოდნელი ცვლილებები ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის რეგულაციებში**

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში როგორც მთავრობა, ისე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანო ახორციელებს ცვლილებებს უკვე არსებულ კანონმდებლობაში და ასევე, იღებს ახალ რეგულაციებს.

ელექტრონული კომუნიკაციების კუთხით, საკანონმდებლო ცვლილებები გავრცელდება ტელეკომუნიკაციის არსებულ კანონებსა და რეგულაციებზე, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად ეხება კონკურენციის პრევენციულ რეგულირებას, ბაზრის ანალიზის პრინციპებს, ლიცენზირებას და ავტორიზაციას, რადიოსიხშირული რესურსების მართვას, მომხმარებლის უფლებებს, პერსონალური მონაცემების დაცვისა და უნივერსალური მომსახურების ვალდებულებებს.

პარლამენტს წარედგინა „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც დაარეგულირებს ავტორიზებული პირების თანაბარ წვდომას ელექტრონული კომუნიკაციის პასიური ფიზიკური ინფრასტრუქტურასა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებული შენობების შიდა ინფრასტრუქტურაზე.

2021 წლის ივნისში, „ინფორმაციის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. შედეგად, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიები (ავტორიზებული სუბიექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სატელეფონო/ინტერნეტ ქსელებს ან/და სერვისებს), რომლებიც მთავრობის მიერ კვალიფიცირდებიან როგორც „კრიტიკული საინფორმაციო სისტემის სუბიექტები“, დაექვემდებარებიან ინფორმაციის და კიბერ უსაფრთხოების სხვადასხვა მოთხოვნებს (მათ შორის, სავალდებულო იქნება ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება, ინფორმაციული აქტივების მართვის წესების დაცვა და ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი). ცვლილებები ძალაში შევიდა 2021 წლის 30 დეკემბერს. ამასთან, ცვლილებების მიხედვით, უნდა შემუშავდეს აუცილებელი დამატებითი რეგულაციები, რომლებიც ახორციელებენ ან აზუსტებენ ინფორმაციის და კიბერ უსაფრთხოების ახალი მოთხოვნების გავრცელებას (მათ შორის, „კრიტიკული საინფორმაციო სისტემის სუბიექტების“ სხვადასხვა კატეგორიის სიას).

პერსონალური ინფორმაციის დაცვის კანონის ცვლილების პირველადი ვერსია წარდგენილია პარლამენტში.

შედეგად, უახლოეს მომავალში არაერთი ცვლილებაა მოსალოდნელი ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში.

### **ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული მოთხოვნები** **ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა**

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონისა („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) და სხვა რელევანტური ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა ობლიგაციები ან რომლის ობლიგაციებიც დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ, წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულ საწარმოს უწესებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის პერიოდული ანგარიშების და ანგარიშგების წარმოებისა და მისთვის მიწოდების ვალდებულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში და ნახევარ-წლიური ანგარიში:

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებულ საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას, რომ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიშგებები არის სრული, სწორი და სამართლიანი. ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებულ საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და

მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას, რომ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიშგებები არის სრული, სწორი და სამართლიანი.

ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებ-გვერდზე ([www.reportal.ge](http://www.reportal.ge)) გამოქვეყნებას. რეგულირებადი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის, სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროს, მათ შორის:

1. ნებისმიერი ცვლილება დაკავშირებული ობლიგაციების მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდების პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ობლიგაციების მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
2. ინფორმაცია ობლიგაციების კუპონის, პერიოდი გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის შესახებ ან მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება N180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტს ეკისრება გარკვეული ვალდებულებები და შეზღუდვები ინსაიდერულ ვაჭრობასთან, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოსთვის ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

## მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

### კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, რომელიც მიღებულია 2021 წლის 2 აგვისტოს („კანონი მეწარმეთა შესახებ“), და ემიტენტის წესდების მიხედვით, ემიტენტის კონტროლი და მართვა გამიჯნულია პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალურ დირექტორს შორის. ამ უკანასკნელს ევალება კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტი და მისი წარმომადგენლობა.

კომპანიაში დამკვიდრებულია კორპორაციული მართვის სამ დონიანი სისტემა. კერძოდ, მართვის უმაღლესი ორგანოა კომპანიის საერთო კრება, კომპანიის ყოველდღიურ მენეჯმენტს ახორციელებს კომპანიის გენერალური დირექტორი, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. ამასთან, კომპანიის წესდებაში მკაცრად გამიჯნულია კორპორატიული მართვის სამივე რგოლის უფლებამოსილებები.

- **საერთო კრება (პარტნიორთა კრება)** მხოლოდ პრინციპულ საკითხებზე იღებს გადაწყვეტილებას, როგორცაა კომპანიის წესდების შეცვლა, დივიდენდების განაწილება, გადაწყვეტილების მიღება კომპანიის რეორგანიზაციის თაობაზე და ა.შ.;
- **სამეთვალყურეო საბჭო** გაცილებით მჭიდროდ ზედამხედველობს მენეჯმენტის საქმიანობას და მთელი რიგი ტრანზაქციები/ქმედებები/გარიგებები საჭიროებს მის თანხმობას, მაგალითად, როგორცაა ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია, სხვა საწარმოში წილის შექმნა და გასხვისება, საზოგადოების მიერ სესხის აღებასთან და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გარიგებების ერთობლიობის დამტკიცება, დირექტორის უფლებამოსილების ფარგლების დადგენა და ა.შ.
- **დირექტორი**, რომელიც დაკავებულია ყოველდღიური მენეჯმენტით.

კომპანიის პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორს დაქვემდებარებულ მენეჯერთა ჯგუფი და კომპანიაში არსებული სხვა საბჭო/კომიტეტები, განსაზღვრავს, აკონტროლებს და ინარჩუნებს პარამეტრებსა და სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს კომპანიამ.

„სელფი მობაილში“ კორპორატიული მართვის პროცესები რეგულირდება სხვადასხვა შიდა პოლიტიკებით, როგორცაა მაგალითად: უფლებამოსილების მატრიცა, ქვევის კოდექსი, ხელშეკრულების სტანდარტებისა და მართვის პროცედურა, კიბერ უსაფრთხოების, პერსონალური მონაცემთა დაცვისა პოლიტიკები და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, კომპანიაში მოქმედებს:

- დირექტორატი, სადაც განიხილება „სელფი მობაილის“ მიმდინარე საკითხები;
- რისკებისა და კონტროლების კომიტეტი, რომლის მიზანია გადახედოს და შეაფასოს კომპანიის ზოგადი რისკების პროფილი, უზრუნველყოს რისკზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და რისკების ზედამხედველობა კომპანიის მენეჯმენტის მიერ;
- აუდიტის კომიტეტი

### საერთო კრება (პარტნიორთა კრება)

პარტნიორთა კრების მოწვევა ხდება წელიწადში ერთხელ, ყოველი კალენდარული წლის არაუადრეს 1 მარტისა. „კომპანიის“ გენერალური დირექტორი ვალდებულია შესაბამისი პარტნიორთა კრების ჩატარებამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით ადრე ამცნოს პარტნიორებს შესაბამისი კრების ჩატარების თარიღი და ადგილი, დღის წესრიგი,

უზრუნველყოფ პარტნიორთათვის პარტნიორთა კრებაზე განსახილველად გამოსატანი საბუთებისა და მასალების ხელმისაწვდომობა. თუ წლიური ბალანსიდან გამომდინარეობს, რომ არსებობს დანაკარგების რისკი, რომლებმაც შესაძლოა შეადგინონ „კომპანიის“ აქტივების ღირებულების ნახევარი, პარტნიორთა კრება უნდა იყოს მიწვეული დაუყოვნებლივ.

პარტნიორთა კრება მიიჩნევა გადაწყვეტილების უნარიანად, თუ მის მუშაობაში ღებულობენ მონაწილეობას პარტნიორები, რომლებიც არიან 50%-ზე მეტი წილის მფლობელები საწესდებო კაპიტალში.

კენჭისყრა პარტნიორთა კრებაზე ხორციელდება საზოგადოების საწესდებო კაპიტალში წილების პროპორციულად:

- ვოთერთრაილ ინდსტრიზ - 693671420 ხმა პარტნიორთა კრებაზე
- ინვესტიკო ალიანსე - 283330580 ხმა პარტნიორთა კრებაზე

მეწარმეთა შესახებ კანონისა და წესდების თანახმად, აქციონერები უფლებამოსილი არიან, მიიღონ გადაწყვეტილებები სხვა საკითხებთან ერთად, პარტნიორთა კრებაზე შემდეგ საკითხებზე

- წესდების დამტკიცება / ცვლილებისა და დამატებების შეტანა;
- საზოგადოების საქმიანობის მიზნებისა და საგნის შეცვლა;
- საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ცვლილება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრა;
- პარტნიორთა შეთანხმების პირობების შეცვლა პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ქვორუმების და კენჭისყრის წესის შესახებ;
- საზოგადოების ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, სალიკვიდაციო ბალანსის დამტკიცება;
- საზოგადოების ქონების გასხვისების, შექმნის ან/და გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ობლიგაციებისა და/ან ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- მეწარმეთა შესახებ კანონისა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

## სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 (ხუთი) წევრისაგან, რომელთაგან თითოეულს ირჩევენ პარტნიორთა კრებაზე აქციონერები (შპს „ვოთერთრაილ ინდსტრიზ“ ასახელებს სამ წევრს, ხოლო შპს „ინვესტიკო ალიანსე“ კი ორ წევრს). სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მოვალეობის შესრულებისას მოეთხოვებათ, იმოქმედონ მისი ბიზნესის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა ხდება ყოველწლიური პარტნიორთა კრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებები სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს შემდეგს:

- „ემიტენტის“ ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრა;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორის არჩევა / გადაყენება;
- სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნის / გამოწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- საზოგადოების სარეზერვო და სხვა ფულადი სახსრების შექმნის, მიზნების და პროცედურების შესახებ; გადაწყვეტილების მიღება;



- მეწარმეთა შესახებ კანონისა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია ითვალისწინებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

- მოითხოვოს ანგარიში გენერალური დირექტორისაგან და შეაფასოს მისი საქმიანობა
- მიიღოს გადაწყვეტილება, რომელთაც სავალდებულო ძალა ექნებათ გენერალური დირექტორისათვის
- შეამოწმოს და აკონტროლოს ემიტენტის საბუღალტრო წიგნი
- მეწარმეთა შესახებ კანონისა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

ემიტენტი ასევე შესაბამისობაშია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 214-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც „სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრი.“

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

სახელი	პოზიცია	დანიშვნის თარიღი	უფლებამოსილების ამოწურვის ვადა
თამარ გახარია	წევრი	28 ნოემბერი 2023	მორიგ წლიურ პარტნიორთა კრებამდე
კობა ღურწყაია	წევრი	28 ნოემბერი 2023	მორიგ წლიურ პარტნიორთა კრებამდე
თემური კობახიძე	დამოუკიდებელი წევრი	28 ნოემბერი 2023	მორიგ წლიურ პარტნიორთა კრებამდე
გიორგი ვერძაძე	დამოუკიდებელი წევრი	28 ნოემბერი 2023	მორიგ წლიურ პარტნიორთა კრებამდე
თამარ ჯანიაშვილი	დამოუკიდებელი წევრი	28 ნოემბერი 2023	მორიგ წლიურ პარტნიორთა კრებამდე

**თამარ გახარია** არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. იგი 2020 წლიდან დღემდე წარმოადგენს შპს „თელმიკოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს. 2022 წლიდან დღემდე ქ-ნი თამარი იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციას შპს „თბილისი მიკროავტობუსში“. იგი ასევე წარმოადგენს CBS ჯგუფის ფინანსურ დირექტორს. ქ-ნ თამარს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს კორპორაციულ საქმიანობაში. მას დამთავრებული აქვს კავკასიის უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხური ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, ხოლო მაგისტრატურის საფეხური ფინანსებისა და ინოვაციური მენეჯმენტის სპეციალიზაციით.

კომპანიები<sup>10</sup>, რომლებშიც ქ-ნი თამარი წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო: შპს თელმიკო (ს.ნ. 406312690), შპს თბილისი მიკროავტობუსი“ (ს.ნ. 404889091), შპს სი ბი ეს ჯგუფი (ს.ნ. 404440459), შპს ენერჯი კომპანი (ს.ნ. 405283688), შპს სილქ როუდ გრუპ ბ.ვ. (ს.ნ. 405410372), შპს გუგოლპლექსი (ს.ნ. 405414449). შპს ტუვ რაინლენდ აუტომოტივ ჯორჯია (ს.ნ. 402039600).

**კობა ღურწყაია** არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. იგი ასევე წარმოადგენს CBS ჯგუფის აღმასრულებელ დირექტორს 2013 წლიდან დღემდე. აღმასრულებელ დირექტორობამდე ბ-ნ კობას ჯგუფის შიგნით არსებულ

<sup>10</sup> ა) ყველა კომპანიის დასახელება (ემიტენტის შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე;

რამდენიმე სექტორში აქვს გამოცდილება, მათ შორის სამშენებლო, ფარმაცევტული სექტორების დირექტორის მოადგილედ; ასევე, უძრავი ქონების სექტორის აღმასრულებელ დირექტორად და სხვა.

კომპანიები<sup>11</sup>, რომლებშიც ბ-ნი კობა წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო: შპს ჯეო ტოტო (ს.ნ. 405100901), შპს ვინ (ს.ნ. 405178748), შპს სითისაით (ს.ნ. 405207547), შპს სი ბი ეს ჯგუფი (ს.ნ. 404440459), შპს მირენ ინვესტი (ს.ნ. 405268008), შპს სფოთ ფოინთ (ს.ნ. 405201525), შპს მე-2 (ს.ნ. 405582775), შპს იმპექს სერვისი (ს.ნ. 405013596), შპს ფორტუნა-ბათუმი (ს.ნ. 400102198), შპს ერ ვე ეს (ს.ნ. 405219204), შპს სითი დეველოპმენტი (ს.ნ. 402036550), შპს რვ ისთით (ს.ნ. 405219393), შპს იბერია ვაინ კომპანი (ს.ნ. 400211891).

**თემური კობახიძე** არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. იგი 2022 წლიდან დღემდე იკავებს აღმასრულებელი დირექტორის მრჩეველის პოზიციას შპს „თბილისი ენერჯი“-ში, ხოლო 2015 წლიდან მოყოლებული წარმოადგენს შპს „კავკასუს ონლაინს“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს. თემურის გამოცდილება აქვს როგორც შიდა აუდიტის, ისე კორპორაციული საბანკო საქმიანობის მიმართულებით. თემურის დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურები. კომპანიები<sup>12</sup>, რომლებშიც ბ-ნი თემური წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო: შპს ჯორჯიან ტექნოლოჯი (ს.ნ. 402050114), შპს სფოთ ფოინთ (ს.ნ. 405201525), შპს სითისაით (ს.ნ. 405207547).

**გიორგი ვერმაძე** არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. ამჟამად ბატონი გიორგი არის სს „ნიკორა ტრეიდის“ ფინანსური დირექტორი და წარმოადგენს CFA Charterholder-ს. მან კარიერა 2012 წელს დაიწყო „თიბისი ბანკში“ და 2022 წლამდე იკავებდა ისეთ პოზიციებს როგორებიცაა რისკების მენეჯერი, უფროსი ანალიტიკოსი და უფროსი კოპორატიული ბანკირი. კომპანიები<sup>12</sup>, რომლებშიც ბ-ნი გიორგი წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო: სს „ნიკორა ტრეიდი“ (ს/ნ 206255808)

**თამარ ჯანიაშვილი** არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. ქალბატონი თამარი ამჟამად წარმოადგენს „ტენზოს“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს. მანამდე, 2021 წლამდე იგი წარმოადგენდა უძრავი ქონების დეველოპმენტის - Red-Co ჯგუფის ფინანსურ დირექტორს. ხოლო მანამდე 17 წელი მოღვაწეობდა საქართველოს ბანკში, სადაც საბოლოოდ იკავებდა კორპორატიული საბანკო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პოზიციას. ქალბატონი თამარი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როგორც სამართლის, ისე ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრი. კომპანიები<sup>12</sup>, რომლებშიც ქ-ნი თამარი წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო: შპს „თჯ კომპანი“ (ს/ნ 405154791)

## გენერალური დირექტორი

გენერალური დირექტორი წარმოადგენს საზოგადოების ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც წარმართავს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას და ახორციელებს წარმომადგენლობას მესამე პირებთან მიმართებაში. გენერალური დირექტორი მოქმედებს საზოგადოების სახელით, ასევე პასუხს აგებს და აკონტროლებს და ვალდებულია უზრუნველყოს და ორგანიზება გაუწიოს პარტნიორთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანას.

<sup>11</sup> ა) ყველა კომპანიის დასახელება (ემიტენტის შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე;

აღმასრულებელი დირექტორის კონტრაქტის ვადის ამოწურვის თარიღია 2024 წლის 1 მარტი. აღნიშნული ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება 2025 წლის 1 მარტამდე. გენერალური დირექტორის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს ვადადამდე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად.

გენერალური დირექტორი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

- მართავს, იღებს გადაწყვეტილებას და ახორციელებს კონტროლს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობაზე;
- მესამე პირების წინაშე საზოგადოების სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება კომპანიის გენერალურ დირექტორს.
- განკარგავს საზოგადოების ქონებას (საზოგადოების წესდების შესაბამისად);
- გასცემს მინდობილობებს (პროკურის გარდა);
- საზოგადოების სახელით დებს ხელშეკრულებებს;
- ხსნის ანგარიშს/ანგარიშებს ბანკში და ახორციელებს საბანკო ოპერაციებს;
- ადგენს და ამტკიცებს საზოგადოების მართვის სტრუქტურას და საზოგადოების მართვის სტრუქტურაში განხორციელებულ ცვლილებებს სამეთვალყურეო საბჭოსთან წინასწარი შეთანხმებით;
- წყვეტს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის სხვა საკითხებს, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განეკუთვნება საზოგადოების პარტნიორთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას და სხვა.

## აღმასრულებელი მენეჯმენტი და ძირითადი მმართველი გუნდი

ვასილ ბერიშვილი „სელფი მობაილს“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე 2023 წლის მარტში დაინიშნა. გენერალურ დირექტორად დანიშვნამდე, ვასილს „სელფი მობაილს“ ფინანსური დირექტორის პოსტი ეკავა, რა დროსაც, „სელფი მობაილს“, ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური პარამეტრების მიხედვით, ორნიშნა ზრდას მიაღწია. ასევე, ვასილის ხელმძღვანელობით კომპანიაში დაინერგა ERP -ის მოცულობითი პროექტი. 2015 წლამდე ვასილი კომპანია „ჯეოსელში“ მუშობდა. ვასილ ბერიშვილს აქვს University of Nicosia-ს მაგისტრის ხარისხი ციფრული ვალუტის სფეროში.

კომპანიები<sup>12</sup>, რომლებშიც ბ-ნი ვასილი წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო: შპს მოდერნ აგრო (ს.ნ. 405420361).

## ირაკლი ჭედია - ფინანსური დირექტორი

ირაკლი ჭედია „სელფი მობაილს“ 2023 წელს შეუერთდა ფინანსური დირექტორის პოზიციაზე. „სელფი მობაილს“ გადმოსვლამდე ირაკლის ეკავა სს „საქართველოს ბანკის“ კორპორატიული საკრედიტო რისკების ანალიზის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა. ირაკლის გამოცდილება ფინანსურ სექტორში ჯამში 17 წელს ითვლის და მოიცავს სხვადასხვა პოზიციას საქართველოს წამყვან ფინანსურ ინსტიტუტში. ირაკლი არის კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის მაგისტრი ფინანსების მიმართულებით.

## დიმიტრი შულაიაშვილი - ტექნოლოგიური დირექტორი

დიმიტრი „სელფი მობაილს“ 2016 წელს შეუერთდა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმძღვანელის პოზიციაზე. 2019 წელს კი მისი ხელმძღვანელობით კომპანიაში გაერთიანდა ინფორმაციული და ტექნოლოგიური განყოფილებები. რის შედეგადაც შეიქმნა ტექნოლოგიების დეპარტამენტი. დიმიტრისა და მისი გუნდის მიერ განახორციელდა „სელფი მობაილს“ მომხმარებელთა მომსახურებისა და საბილინგო სისტემების ციფრული ტრანსფორმაცია ერთიან სისტემაზე,

<sup>12</sup> ა) ყველა კომპანიის დასახელება (ემიტენტის შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე;

მსოფლიოში ცნობილ კომპანია „ერიქსონთან“ ერთად. ტრანსფორმაცია გულისხმობდა ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, რამდენიმე ათეული სხვადასხვა პლატფორმის მიგრაციას ერთზე, მხოლოდ 24 საათში. 2021 წლის ზაფხულში კი „სელფი მობაილმა“ გააფორმა ხელშეკრულება მობილური ქსელის ბირთვის განახლებაზე მსოფლიოში წამყვან კორპორაციასთან „ნოკია“, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა და ხმოვანი სერვისების უახლესი ტექნოლოგიებით გადაცემას, ისევე როგორც 5G სერვისებისთვის მზაობას.

„სელფი მობაილამდე“ დიმიტრი შვს „კავკასუს ონლაინის“ ტექნოლოგიური დირექტორის თანამდებობას იკავებდა. დიმიტრი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრი კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით.

### **ირაკლი ესართია - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი**

ირაკლი „სელფი მობაილის“ იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელად 2012 წელს დაინიშნა, რის ფარგლებშიც მას ექვემდებარება იურიდიული და რეგულაციებთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ურთიერთობა სამთავრობო უწყებებთან.

### **ლელა სალაყაია - პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საკითხთა დირექტორი**

ლელა „სელფი მობაილის“ პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საკითხთა დირექტორის პოზიციას 2007 წლიდან იკავებს. „სელფი მობაილში“ გადასვლამდე, ლელა მუშაობდა ადამიანური რესურსების მართვის დირექტორის პოსტზე ფარმაცევტულ კომპანიაში „პსკ ჯგუფი“, მანამდე კი ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის ინდუსტრიის კომპანია UGT -ში. ლელას ასევე აქვს საბანკო სექტორში მუშაობის გამოცდილება, კერძოდ „ბანკი რესპუბლიკა“-ში (სოსიეტე ქენერალ ჯგუფი).

### **სოფო ბალავაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი**

სოფო „სელფი მობაილის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებას 2018 წლიდან ხელმძღვანელობს. „სელფი მობაილ“-ში გადასვლამდე სოფო მუშაობდა სს „საქართველოს ბანკში“ საზოგადოებასთან ურთიერთობის, შიდა კომუნიკაციებისა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დირექტორის თანამდებობაზე. სოფო არის კავკასიის უნივერსიტეტის მაგისტრი ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით და ასევე დამთავრებული აქვს მაგისტრატურის საფეხური USI Università della Svizzera italiana-ს კომუნიკაციების მენეჯმენტის სპეციალიზაციით.

### **ია მამეიშვილი - ეთიკისა და კომპლაიენს მენეჯერი**

ია „სელფი მობაილის“ ეთიკისა და კომპლაიენს მენეჯერის თანამდებობაზე 2017 წლიდან მუშაობს. მანამდე ის ამავე კომპანიაში კომპლაიენს სპეციალისტის პოზიციას იკავებდა. ია არის კომპლაიენსის საერთაშორისო ასოციაციის მმართველობის, რისკისა და კომპლაიენსის საერთაშორისო დიპლომის მფლობელი. ია არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის სამართლის მიმართულებით.

### **მარიკა ჭაბუკიანი - მომხმარებელთა გამოცდილების მენეჯერი**

მარიკა ჭაბუკიანი „სელფი მობაილის“ მომხმარებლის გამოცდილების მენეჯერის პოზიციაზე 2018 წელს დაწინაურდა. მანამდე, მარიკა ამავე კომპანიის აბონენტთა სატელეფონო მომსახურების გუნდის ხელმძღვანელი იყო. მარიკას კარიერა „სელფი მობაილში“ კი 2007 წელს დაიწყო. მარიკა არის სერტიფიცირებული ტრენერი მომსახურების სფეროში და ტრენინგებს უტარებს „სელფი მობაილის“ მომსახურების სფეროში მოღვაწე თანამშრომლებს. მარიკა არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრი.

### **კომიტეტები**

## აუდიტის კომიტეტი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად ემიტენტს, როგორც ანგარიშვალდებულ საწარმოს, მოეთხოვება შექმნას აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოში, რომელიც დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებით და სულ მცირე 1 დამოუკიდებელი წევრით (რის მოთხოვნებსაც დამატებით ადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლი).

„ემიტენტი“ პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის შესაბამისობაშია აღნიშნულ მოთხოვნასთან. კერძოდ, „სელფი მობაილმა“ შექმნა აუდიტის კომიტეტი და კომიტეტი შედგება 3 წევრისგან: თამარ გახარია, კობა ღურწყაია და თემური კობახიძე.

აუდიტის კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის, მოიცავს: 1) სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის მონაწილეობის შესახებ; 2) სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად წარუდგინოს საქმიანობის შესახებ ანგარიში და დაუყოვნებლივ შეატყობინოს თავისი ფუნქციების შესრულებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ; 3) გააკონტროლოს „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის (ასეთი აუდიტის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა, წარმართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა. მათ შორის, ზედამხედველობა გაუწიოს: ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს; ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას; გ) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით; დ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას.

## რისკებისა და კონტროლების კომიტეტი

რისკებისა და კონტროლების კომიტეტის მიზანია გადახედოს და შეაფასოს კომპანიის ზოგადი რისკების პროფილი, უზრუნველყოს რისკზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და რისკების ზედამხედველობა კომპანიის მენეჯმენტის მიერ, აღნიშნული კომიტეტი შედგენა შვიდი (7) წევრისგან: 1. ეთიკისა და შესაბამისობის სამსახურის ხელმძღვანელი, გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორი, იურიდიული სამსახურის დირექტორი, შემოსავლების უზრუნველყოფისა და თაღლითობის მენეჯერი და კიბერ უსაფრთხოების მენეჯერი.

კომიტეტი უზრუნველყოფს კომპანიის რისკების მენეჯმენტის, შიდა კონტროლების, კომპლაენს (მათ შორის მექრთამეობისა და ანტიკორუფციული კომპლაენსი), რეგულატორულ, საერთაშორისო სანქციებთან და ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიურ ზედამხედველობასა და მართვას, სამეთვალყურეო საბჭოს მხარდასაჭერად.

- კომიტეტი მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორების გათვალისწინებით აფასებს და გასცეს რეკომენდაციებს მენეჯმენტის მიერ ეთიკისა და კომპლაენს პროგრამის ეფექტურობის მხარდაჭერის კუთხით შესრულებულ ქმედებებზე;
- კომიტეტი აკონტროლებს კომპანიის შესაბამისობას კომპანიის ქცევის კოდექსსა და პოლიტიკებსა და პროცედურებთან;
- კომიტეტი რეგულარულად განიხილავს კომპანიის შიდა კონტროლების სისტემის ადეკვატურობასა და ეფექტურობას.
- კომიტეტი განიხილავს ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში არსებული აქტივობებისა და ფუნქციის ეფექტურობის შესახებ ინფორმაციებს.

## თანამშრომლები

2022, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით „სელფი მობაილის“ თანამშრომლების რაოდენობა იყო 350, 343 და 339 შესაბამისად.

## ანაზღაურება და ბენეფიტები

„სელფი მობაილის“ მიერ ჯამურმა გადახდილმა ანაზღაურებამ (ბენეფიტების ჩათვლით) დამფუძნებლებისთვისა და მმართველი ორგანოს მიმართ 2022 წელს შეადგინა 1,981,025 ლარი, ხოლო 2021 წელს კი 1,271,873.

## ინტერესთა კონფლიქტი

არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და 5%-ზე მეტი წილის მფლობელ პარტნიორებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრთა პირად ინტერესებს ან/და სხვა მოვალეობებს შორის. ასევე, არ არსებობს ნათესაური კავშირები ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრებს შორის.

## სასამართლო დავები

ამ პროსპექტის თარიღისათვის, ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს არცერთი წევრი, 5%-ზე მეტი წილის მფლობელი არცერთი ფიზიკური პირი და აღმასრულებელი მენეჯმენტის არცერთი წევრი- არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში:

- არ არის ნასამართლევი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტებთან დაკავშირებით
- არ ჰქონია აღმასრულებელი ფუნქცია, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების წევრის სახით ნებისმიერ კომპანიაში გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს (ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის გარდა) ან
- არ ექვემდებარება რაიმე ოფიციალურ ინკრიმინაციას ან/და სანქციას ნებისმიერი სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (ნებისმიერი პროფესიული ორგანოს ჩათვლით) და სასამართლოს მიერ არასდროს მომხდარა მისი დისკვალიფიკაცია რომელიმე კომპანიის მმართველი ან საზედამხედველო ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

## კორპორატიული მმართველობა

“ემიტენტი” სრულად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კორპორატიულ მმართველობის მარეგულირებელ წესებში. დამატებით, 2021 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით გამოქვეყნდა კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის იანვრიდან, თუმცა აღნიშნული კოდექსით ანგარიშგების პირველად წარდგენა ემიტენტებს დაევალებათ 2023 წლის წლიური ანგარიშგების თარიღისთვის. აღნიშნული კოდექსი კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართოდ გამოყენებას.

## დივიდენდების პოლიტიკა

კომპანიის გრძელ-ვადიანი სასურველი/სამიზნე გადასახდელი დივიდენდის შეფარდება წმინდა მოგებასთან არის 15%. სამიზნე დივიდენდის შეფარდება დადგინდება კომპანიის ფინანსური შედეგების, კაპიტალის საჭიროებებისა და სხვა რელევანტური ფაქტორების გათვალისწინებით. მანამ სანამ კომპანია გასცემს დივიდენდებს, „სელფი მობაილ“ დარწმუნდება, რომ მისი კაპიტალური დანახარჯების გეგმა არის ბიუჯეტის საზღვრებში. აღნიშნულის მიზანია მიღწეული იქნას კომპანიის ზრდა და დაკმაყოფილებული იქნას საინვესტიციო საჭიროებები.


გასათვალისწინებელია, რომ დივიდენდის გაცემა შესაძლოა დამატებით შეზღუდული იყოს კრედიტორებისა ან ობლიგაციის კოვენანტებით, რასაც კომპანია დამატებით გააკონტროლებს.

ამასთან ერთად „სელფი მობაილ“ არ გეგმავს დივიდენდების გაცემას „ობლიგაციების“ მოქმედების პერიოდში 2023-2026 წლებში.

## ძირითადი აქციონერები

პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, „ემიტენტის“ აქციონერები არიან:

- 1,420 (71%) წილის მფლობელი - შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზ“ (Watertrail) კომპანია, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის ნომერი 679880, ოფიციალური მისამართი: ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, ტორტოლა, როუდ-ტაუნი, სააბონენტო ყუთი 173, ქინგსტონ ჩემბერს;
- 580 (29%) წილის მფლობელი - შპს „ინვესტიკო ალიანსე“ (Investico) კომპანია, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებს კანონმდებლობის შესაბამისად, სარეგისტრაციო ნომერი: 1550759, ოფიციალური მისამართი: ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, ტორტოლა, როუდ-ტაუნი, სააბონენტო ყუთი 173, ქინგსტონ ჩემბერს.



საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,000 (ორი ათას) ლარს.

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის ემიტენტის საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ზვიჩა მაქაცარია (59.1%), მამუკა ტოგონიძე (38.4%), კონსტანტინ სახოკია (1.25%) და იულია დედოვა (1.25%).

**ზვიჩა მაქაცარია** - ზვიჩა მაქაცარია 1964 წლის 13 ოქტომბერს აფხაზეთში, ქ. ოჩამჩირეში დაიბადა. 1988 წელს დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, წითელი დიპლომით. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, მან რამდენიმე ბიზნეს იდეის განხორციელება დაიწყო. ერთ-ერთი პირველი წარმატებული საქმიანობა კი ოჩამჩირე-გალის რაიონში შესყიდული და დაკალიბრებული თხილის იაპონიაში საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე ბარტერი იყო, რაც შემდგომ როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ექსპორტზეც იყიდებოდა.

თხილის რეალიზაციით მიღებული კაპიტალით ზვიჩა მაქაცარია მალე სოლიდური აქტივების მფლობელი გახდა ოჩამჩირეში და საქმიანობის გაფართოება უკვე სოხუმში დაიწყო, რასაც 1989 წელს პირველი აფხაზური კომერციული



ბანკის დაფუძნება მოჰყვა. რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მწვავე ფაზაში შესვლისა და შედეგად რამდენიმე მილიონიანი ქონებისა და აქტივის დაკარგვის შემდეგ, ოჯახთან და პარტნიორებთან ერთად საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა და ბიზნეს საქმიანობაც იქ განაგრძო.

თავდაპირველად, სხვადასხვა ტიპის უძრავი ქონების დეველოპმენტით დაიწყო. ამას მოჰყვა ნავთობროდუქტებით ვაჭრობა და ბენზინგასამართი სადგურების ქსელის აშენება, საიდანაც მიღებული მოგების ინვესტირება ჰორეკა სექტორში განახორციელა. პარალელურად დაიწყო ინვესტირება საქართველოშიც, რასაც GMC გრუპის შექმნა და, მის ქვეშ, ისეთი რესტორნების დაფუძნება მოჰყვა, როგორებიც იყო : „ქალაქური“, „მატრიოშკა“, „ძველი სახლი“, „შემოიხედე გენაცვალე“, „მირზაანი“ და ა.შ..

ხვიჩა მაქაცარიას ბიზნეს ინტერსები ყოველთვის სამშობლოს უკავშირდებოდა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2000 წლიდან, ის ტოვებს ბიზნეს საქმიანობას რუსეთში და კაპიტალს სრულიად საქართველოში აბანდებს. აღნიშნული წლიდან, მისი აქტივებისა და ბიზნეს საქმიანობების არეალი სწრაფად იზრდება, რომლის სამართავადაც, 2013 წელს CBS ჯგუფს აფუძნებს, სადაც საკუთარ აქტივებს ჰოლდინგის ქრილში, მმართველი გუნდის ქვეშ, აერთიანებს.

CBS ჯგუფის მენეჯმენტი დღეის მდგომარეობით მართავს ხვიჩა მაქაცარიას შემდეგ კომპანიებს:

კომპანია	საქმიანობა
	<p>„თელასი“ – დღეის მდგომარეობით, სს „თელასი“ საქართველოში ოპერირებადი ერთ-ერთი უმსხვილესი ქსელური კომპანიაა, რომელიც თბილისის მასშტაბით ელექტროენერჯის განაწილებასა აწარმოებს.</p>
	<p>„თბილისი ენერჯი“ – უმსხვილესი გაზგამანაწილებელი კომპანიაა, რომელიც საქართველოს დედაქალაქს ემსახურება.</p>
	<p>„თელმიკო“ – 2022 წლის 1 ივლისიდან თბილისის ელექტროენერჯის მიმწოდებელი კომპანიაა, რომელიც დედაქალაქის აბონენტებისთვის ელექტროენერჯის მიწოდებას ახორციელებს.</p>
	<p>Cellfie Mobilie – დღეისათვის 1.3 მილიონ მომხმარებელს უზრუნველყოფს 2G GSM 900/1800MHz, 3G 2100 MHz და 4G 800/1800 MHz უსადენო მობილური მომსახურებით.</p>
	<p>„ჯორჯიანსერვის ნეტვორკი“ ბულგარული კომპანიის Daisy Technology-ის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში და ქართულ ბაზარზე 2011 წლიდან ოპერირებს. კომპანია საქართველოში თანამედროვე GPRS-სისტემის სალარო აპარატებს უზრუნველყოფს, ასევე ეწევა ტექნიკურ და საგარანტიო მომსახურებას.</p>
	<p>საქართველოს ეროვნული ლატარია – საქართველოს ეროვნულმა ლატარიამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ექსკლუზიურად მინიჭებული Lotto.ge-ის სავაჭრო ლიცენზიით 2017 წელს დაიწყო ოპერირება.</p>

კომპანია

საქმიანობა



„თბილისის მიკროავტობუსი“ –2011 წელს დაარსდა, თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული ოთხი კომპანიის: შპს „თბილ ლაინს“, შპს „კაპიტალ გრუპის“, შპს „ფაბლიქ ქარის“ და შპს „თბილ ქარის“ მართვას ახორციელებს. აღნიშნულმა კომპანიებმა ოცი წლის ვადით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა გადაყვანის ნებართვა მოიპოვეს.



FEEDC-ი – თბილისში დაფუძნებული სოციალური ქსელია, სადაც ადამიანებს შეუძლიათ, დაწერონ სტატიები, შექმნან ბლოგები და გახდნენ კონტენტის შემქმნელები. კომპანია 2018 წელს ჩაეშვა და თვიდან-თვემდე სტაბილური, სწრაფი ტემპით იზრდება. ამჟამად Feedc-ი მუშაობს გეოლოკაციაზე დაფუძნებული სოციალური ქსელის განვითარებაზე.



რესტორანი „ქალაქური“ – რომელიც თბილისის ისტორიულ ცენტრში, კულტურულ ძეგლებს შორის მდებარეობს, საიდანაც ქალაქის საუკეთესო ხედები იშლება პრეზიდენტის სასახლეზე, რიყის პარკსა და ანჩისხატის ეკლესიაზე. თბილისის ეს ნაწილი ყველაზე პოპულარული ტურისტული და ისტორიული ადგილია.



თბილისის ცენტრალური აგრომარკეტი – კომპანია „თბილისი მოლის“ მფლობელობაშია დედაქალაქის ცენტრში არსებული უძველესი აგრობაზარი. 13,917 კვ/მ მიწის ფართობზე განთავსებულ ორსართულიან შენობაში მისაბმელიან და სატვირთო ავტომობილებსაც კი შეუძლიათ გადაადგილება.



„ელეფანტი“ –ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სარეკლამო სააგენტოა, რომელიც ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს თბილისის მიკროავტობუსებზე რეკლამის განთავსებას სთავაზობს.





კომპანია „ჯეოფიში“ –წარმოადგენს თევზჭერის ლიცენზიის მფლობელ კომპანიას საქართველოში. 2010-2011 წლებში კომპანიამ ააშენა ევროპული წარმოების დანადგარებით აღჭურვილი თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების თევზის ფქვილისა და ზეთი საწარმოებელი ქარხანა (Geofish Factory).



„აგროპოლდინგი ოთხი სეზონი“ – მაღალტექნოლოგიური, ეკოლოგიურად სუფთა, სათბურების მფლობელი კომპანია Stimor-ის პარტნიორია. „აგროპოლდინგი ოთხი სეზონი“ ცაიშის ბუნებრივი თერმული წყლების ლიცენზიას ფლობს.



„ბლექ სი პროდაქტი“ – კომპანია მართავს და ახორციელებს ახალი პორტის მშენებლობის პროექტს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარე სუფსის შესართავთან.

კომპანია	საქმიანობა
 	<p>კომპანია „მარნაველი“ თითქმის 20 წელიწადია რაც ღვინოსა და ღვინის ბრენდის აწარმოებს. დაარსებულია თელავის მახლობლად - ნაფარეულში მდებარე ისტორიული ქარხნის ბაზაზე. „მარნაველის“ პრემიუმ და ფართო მოხმარების პროდუქცია წარმოდგენილია იტალიის, საფრანგეთის, აშშ, უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის, ყაზახეთის, ჩინეთის, ბალტიისპირეთისა და სხვა ევროპული ქვეყნების ბაზრებზე</p> <p>CBS Pharma - ფარმაცევტული კომპანია.</p>

ბიზნეს საქმიანობის პარალელურად ხვიჩა მაქაცარია განუწყვეტლივ ჩართულია სპორტის მხარდასაჭერ აქტივობებში; 2017 წლიდან იგი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტიცაა.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა კომპანიები<sup>13</sup>, რომლებშიც ბ-ნი ხვიჩა წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო: შპს ვოლტბეი (ს.ნ. 405284749), საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია (ს.ნ. 202903153), შპს ჯორჯიან ჰოტელს მენეჯმენტ გრუპ (ს.ნ. 445394323), შპს მელისა ჯგუფი (ს.ნ. 404392402), შპს ბლექ სი ჰოტელს გრუპ (ს.ნ. 445404731), შპს თბილისი მოლი (ს.ნ. 205226290), შპს ჯეოტაო (ს.ნ. 405001395), შპს გეოფიმ გრუპ (ს.ნ. 444549008), შპს მზიური (ს.ნ. 404499887), შპს სმარტ ტექ (ს.ნ. 402037023), შპს აქვამარინი (ს.ნ. 415097031), შპს სითი დეველოპმენტი (ს.ნ. 402036550), შპს ჯორჯიან ტექნოლოჯი (ს.ნ. 402050114), შპს ეიჩ ენდ არ მენეჯმენტი (ს.ნ. 404525466) და სხვა.

**მამუკა ტოგონიძე** - მამუკა ტოგონიძე 1973 წლის 10 ნოემბერს საჩხერის რაიონში დაიბადა. 1997 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისის შრომის, წარმოების ორგანიზების და მართვის სახელმწიფო სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, 1999-2007 წლებში, დასაქმებული იყო რამდენიმე კერძო კომპანიაში, მენეჯერულ პოზიციებზე, მათ შორის: საჩხერის ქვიშის მომპოვებელ და სარეცხ ქარხანაში იკავებდა დირექტორის მოადგილის თანამდებობას, ასევე მუშაობდა დირექტორის მოადგილის პოზიციაზე შპს “მაცივარკომბინატში“. პარალელურად, დაიწყო ბიზნეს საქმიანობა FMCG სექტორში, რომლის შედეგადაც მან 2013 წელს დააფუძნა კომპანია შპს “თამარი 2013“, რომელიც საკვები პროდუქტების იმპორტსა და რეალიზებას ახდენს, როგორც თავის ბალანსზე არსებულ, ასევე სხვადასხვა ქსელურ მაღაზიებსა და კვების ობიექტებში.

კომპანიები<sup>13</sup>, რომლებშიც ბ-ნი მამუკა წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო/არის: შპს გაზტრეიდი (ს/ნ: 405318062), შპს თამარი 2013 (ს/ნ: 406092696), შპს გაზტრანზიტი (ს/ნ: 405307902), საფეხბურთო კლუბი საჩხერის ჩიხურა (ს/ნ: 239404168), შპს ერვე ეს (ს/ნ: 405219204), შპს რვ ისთიეთ (ს/ნ: 405219393), შპს გაზტრეიდი (ს/ნ: 405318062).

„სელფი მობაილის“ არც ერთ მეწილეს არ აქვს ხმის უფლება, რომელიც განსხვავდება ამ წილების სხვა მფლობელების ხმის უფლებისგან. თითო მიწილეს ერთ წილზე აქვს თითო ხმის უფლება.

<sup>13</sup> ა) ყველა კომპანიის დასახელება (ემიტენტის შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე;

## ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტების“ შესაბამისად მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან როდესაც ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას.

იქიდან გამომდინარე, რომ „კომპანიის“ დამფუძნებელთა სტრუქტურა შეიცვალა 2022 წელს, შესაბამისად შეიცვალდნენ დაკავშირებული პირებიც. ამის გათვალისწინებით, ქვემოთა ცხრილში მოცემულია ტრანზაქციები, როგორც ძველ ასევე ახალ დაკავშირებულ პირებთან.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული არსებული ნაშთები იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარის დავალიანების ოდენობა	დაკავშირებული მხარის მიმართ დავალიანების ოდენობა
<b>უშუალო მშობელი</b>		
შპს ვოთერთრაილ ინდასტრიზ	-	604,434
<b>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები</b>		
ჯგუფის სხვა კომპანიები	138	248

2022 წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული არსებული ტრანზაქციები იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეებისთვის მიყიდვები	შესყიდვები/ ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან	როუმინგის ფასჩამოკლებე ბი	როუმინგის ფასდაკლებები
<b>ყოფილი დაკავშირებული მხარეები:</b>				
<b>უშუალო მშობელი</b>				
OJSC Vimpelcom	1,197	886	280	153
შპს „ვიონ“	-	130	-	-
<b>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები</b>				
„ვიონ ჰოლდინგი“	-	26,543	-	-
ჯგუფის სხვა კომპანიები	523	511	231	24
<b>ამჟამინდელი დაკავშირებული მხარეები:</b>				
<b>უშუალო მშობელი</b>				
შპს ვოთერთრაილ ინდასტრიზ	-	23,322	-	-
<b>საერთო კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიები</b>				

2021 წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და ნაშთები იყო შემდეგი:

	დაკავშირებულ ი მხარეებისთვის მიყიდვები	შესყიდვები / ხარჯები დაკავშირებულ ი მხარეებისგან	დაკავშირებულ ი მხარის დავალიანების ოდენობა	დაკავშირებულ ი მხარის მიმართ დავალიანების ოდენობა	როუმინგის ფასჩამოკლებებ ი	როუმინგის ფასდაკლებები
<b>უშუალო მშობელი</b>						
OJSC Vimpelcom	2,051	2,152	180	-	433	-
შპს „ვიონ“	-	174	1,508	19,142	-	-
<b>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები</b>						
„ვიონ ჰოლდინგი“	-	59,097	-	493,508	-	-
ჯგუფის სხვა კომპანიები	1,975	440	1,096	2,780	582	92

დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ „ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

## სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი

სარეგისტრაციო დოკუმენტში დამატებით მითითებულია შემდეგი დოკუმენტები (გარდა პროსპექტში მითითებული წყაროებისა)

- კომპანიის წესდება (გამოქვეყნებულია საჯარო რეესტრის პორტალზე [napr.gov.ge](http://napr.gov.ge): NAPR სისტემაში ძებნის განაცხადის ნომერი: **B23185522**);
- ხელშეკრულება განთავსების აგენტებსა და ემიტენტს შორის;
- ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტსა და ემიტენტს შორის;
- კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები გამოქვეყნებულია ანგარიშგების პორტალზე (<https://reportal.ge/>);
- საკრედიტო რეიტინგის მიმოხილვა გამოქვეყნებულია Scope Rating-ის საიტზე: [Scope assigns BB-/Stable issuer rating to Cellfie Mobile LLC | Scope Ratings | European Rating Agency](#);
- „იპოთეკის ხელშეკრულება“;
- „გირავნობის ხელშეკრულება“;
- „წილების გირავნობის ხელშეკრულება“;

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა კომპანიის წესდებისა წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებასაც ემიტენტი არ გეგმავს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტების გაცნობა არსებული და პოტენციურ ინვესტორებისთვის ფიზიკური ფორმით შესაძლებელია ემიტენტის პროსპექტში მითითებულ მისამართზე, ისევე როგორც ელექტრონული ფორმით, პროსპექტში მითითებული ელექტრონული ფოსტიდან გამოთხოვის შემთხვევაში. არსებული ინვესტორებისთვის აღნიშნული დოკუმენტების ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება ელექტრონული ფორმით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

## ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

### მნიშვნელოვანი ინფორმაცია

#### განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მინუს 37,707 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მინუს 38,094 ათას ლარს.

2023 წლის 30 ივნისის, 2022 და 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები) იყო უარყოფითი. გარდა იმისა, რომ უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი სატელეკომუნიკაციო სექტორისთვის დამახასიათებელია, „ემიტენტის“ შემთხვევაში ის ძირითადად გამოწვეულია მენეჯმენტის მომსახურების საფასურით, რომელიც დენომინირებულია აშშ დოლარში (2023 წლის 30 ივნისისთვის 17,8 მლნ ლარი, ხოლო 2022 წლის ბოლოს 18,4 მილიონი ლარი) - Watertrail Industries LTD (BVI)-ის მიმართ დავალიანება, რომელიც ერიცხებოდა კომპანიას გამოსყიდვამდე მენეჯმენტის მომსახურებისათვის. პროსპექტის თარიღისთვის „სელფი მობაილს“ აღარ აქვს გადასახდელი აღნიშნული დავალიანება დედა კომპანიისთვის

#### მონაწილე მხარეთა ინტერესის აღწერა შეთავაზებაში

შეთავაზებაში ჩართული პირი	როლი შეთავაზებაში	ინტერესის აღწერა	ინტერესთა კონფლიქტის აღწერა
შპს „თიბისი კაპიტალი“	განთავსების აგენტი	წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსებაში და სანაცვლოდ, კომპანიასთან შეთანხმებული საზღაურის მიღება.	არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტთან. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთის მხრივ, განთავსების აგენტსა და კომპანიას, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის
სს „გალტ ენდ თაგარტი“	განთავსების აგენტი	წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „გალტ ენდ თაგარტი“. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსებაში და სანაცვლოდ, კომპანიასთან შეთანხმებული საზღაურის მიღება.	„ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებით სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

## ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევის შესახებ

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) , ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. „ობლიგაციონერები“ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების“ შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ექცევიან უზრუნველყოფილი კრედიტორების კატეგორიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ „ობლიგაციონერებს“ ენიჭებათ უპირატესობა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან მიმართებაში.

უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნები რეგულირდება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „პირველი რიგის კრედიტორების“ მოთხოვნები დაკმაყოფილდება „ობლიგაციონერების“ მოთხოვნების უპირატესად უზრუნველყოფის საგანთან დაკავშირებით, რადგან „ობლიგაციონერები“ წარმოადგენენ მეორე რიგის იპოთეკარებს/მოგირავნეებს უზრუნველყოფის საშუალებებზე, „იპოთეკის“ ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ და „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად.

„რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის თანახმად, გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს. აღნიშნული კანონის 104-ე მუხლის თანახმად, „ემიტენტის“ გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის მასა განაწილდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს (i) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავში გათვალისწინებული პროცედურის ხარჯებს; (ii) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას, და (iii) საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში შრომითი ურთიერთობიდან წარმოქმნილი ხარჯები, ქონების მართვის ხარჯები, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები);
- 2) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ „ემიტენტის“ მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
- 3) კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:
  - a) პრეფერენციული მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით);
  - b) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი საგადასახადების თანხები;
  - c) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შე
  - d) სახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი საგადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;
  - e) მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა



- ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები;
- f) არაპრივილეგირებული მოთხოვნები; და
  - g) კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

## ობლიგაციების შეთავაზების პირობები

“კომპანიის” პარტნიორებმა 2023 წლის 14 ნოემბერს მიიღეს გადაწყვეტილება ჯამურად 65,000,000 (სამოცდახუთ მილიონ) ლარამდე ნომინალური ღირებულების „ობლიგაციების“ გამოშვებისა და საჯარო შეთავაზების შესახებ. „ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი და „დაფარვის თარიღი“, მათ შორის, „ობლიგაციების“ შეთავაზების პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები, განისაზღვრება წინამდებარე „პროსპექტით“, „ობლიგაციების შეთავაზების პირობებით“ (შემდგომში „ობლიგაციების შეთავაზების პირობები“ ან „პირობები“) და „ობლიგაციების შეთავაზების საბოლოო პირობების დოკუმენტი“ (შემდგომში „პირობების დოკუმენტი“).

გარდა „პროსპექტის“ სხვა თავებში აღწერილი ობლიგაციების გამოშვების პირობებისა, მოცემულ თავში „ობლიგაციების შეთავაზების პირობები“ - ასევე აღწერილია გარკვეული დამატებითი პირობები „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით. ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა განხორციელდება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია „კომპანიასა“ და შპს „თიბისი კაპიტალს“ როგორც „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“ შორის. თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია გაეცნოს/შეისწავლოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ ასლს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მისამართზე. „ობლიგაციონერების“ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად გასაფორმებელი „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“, და „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ პროექტები/ასლები ხელმისაწვდომია ინვესტორთათვის გასაცნობად ჩვეულებრივ სამუშაო საათებში „ემიტენტის“ ან „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ ოფისებში, როგორც მითითებულია წინამდებარე „პროსპექტში“. „პროსპექტსა“ და „იპოთეკის ხელშეკრულებას“, „გირავნობის ხელშეკრულებას“ და „წილების გირავნობის ხელშეკრულებას“ შორის ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება „პროსპექტის“ შესაბამის დებულებებს.

### 1. ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება

ა) **ფორმა და ნომინალური ღირებულება:** „ობლიგაციები“ გამოშვებულია არამატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. 1 (ერთი) „ობლიგაციის“ ნომინალური ღირებულებაა: 1,000 ლარი.

ბ) **საკუთრების უფლება:** საკუთრების უფლება „ობლიგაციებზე“ დასტურდება რეგისტრაციით: (i) ფასიანი ქაღალდების რეესტრში (შემდგომში „ფასიანი ქაღალდების რეესტრი“), რომლის წარმოებასაც უზრუნველყოფს „ემიტენტი“ „პროსპექტში“ მითითებული „რეგისტრატორის“ მეშვეობით „ემიტენტსა“ და „რეგისტრატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად; ან/და (ii) სხვა რეესტრებში/ჩანაწერებში, რომლებსაც აწარმოებს „ობლიგაციების“ ნებისმიერი „ნომინალური მფლობელი“. „ფასიანი ქაღალდების რეესტრი“ და ზემო (ii) ქვეპუნქტში მითითებული სხვა რეესტრები/ჩანაწერები შემდგომში ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „რეესტრი“.

### 2. უზრუნველყოფა

#### ა) გირავნობა/იპოთეკა

„იპოთეკის ხელშეკრულების“ პირობების თანახმად, „ემიტენტი“ „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ მეორე რიგის იპოთეკის უფლებით ტვირთავს „ემიტენტის“ საკუთრებაში არსებულ და სამომავლო უძრავ ქონებებს ამ „პროსპექტში“ გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რომლებიც დეტალურად აღწერილია/მითითებულია „იპოთეკის ხელშეკრულებაში“. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იპოთეკით არ იტვირთება „ემიტენტის“

საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 05.25.05.075), რომელზეც რეგისტრირებულია ყადაღა და შესაბამისად, არ ექვემდებარება იპოთეკით დატვირთვას „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ.

„გირავნობის ხელშეკრულების“ პირობების თანახმად, „ემიტენტი“ „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ მეორე რიგის გირავნობის უფლებით ტვირთავს „ემიტენტის“ საკუთრებაში არსებულ ან/და სამომავლო ყველა და ნებისმიერ მოძრავ ქონებას, მათ შორის, „ემიტენტის“ საკუთრებაში არსებული და სამომავლო ქონება, დებიტორული დავალიანება, ინვენტარი, გარდა „ემიტენტზე“ სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ლიცენზიებისა და სხვადასხვა რესურსით (მათ შორის, ნუმერაციის) სარგებლობის უფლებისა. გირავნობის საგნის დეტალური ჩამონათვალი/აღწერილობა მოცემულია „გირავნობის ხელშეკრულებაში“.

„წილების გირავნობის ხელშეკრულების“ პირობების თანახმად, „ემიტენტის“ კაპიტალში 71%-იანი წილის მესაკუთრე პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვოთერთრაილ ინდასტრიზ“ და 29%-იანი წილის მესაკუთრე პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინვესტიკო ალიანსე“ „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ მეორე რიგის გირავნობის უფლებით ტვირთავენ „ემიტენტის“ კაპიტალში მათ კუთვნილ წილებს სრულად (100%). გირავნობის საგანთან დაკავშირებული პირობები დეტალურად რეგულირებულია „წილების გირავნობის ხელშეკრულებაში“.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებულ უზრუნველყოფის საგნებზე რეგისტრირებული იქნება პირველი რიგის გირავნობა და პირველი რიგის იპოთეკა „პირველი რიგის კრედიტორების“ სასარგებლოდ, ხოლო „ობლიგაციონერები“ დარეგისტრირდებიან, როგორც მეორე რიგის იპოთეკარები და მეორე რიგის მოგირავნეები აღნიშნულ უზრუნველყოფის საგნებზე, „იპოთეკის ხელშეკრულებით“, „გირავნობის ხელშეკრულებით“ და „წილების გირავნობის ხელშეკრულებით“ განსაზღვრული წესით. მეორე რიგის იპოთეკა/გირავნობა თავის თავში გულისხმობს „ობლიგაციონერების“ უფლებას, „პირველი რიგის კრედიტორების“ სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკმაყოფილონ მოთხოვნა „პროსპექტი“ გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღსრულების შემთხვევაში, ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა განაწილდება „ობლიგაციონერებს“ შორის „ემიტენტის“ მიმართ თითოეული მათგანის მოთხოვნის პროპორციულად.

**ბ) „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ და „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ დადება, იპოთეკის/გირავნობის რეგისტრაცია**

- (i) „გამოშვების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში, „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტები“ დაუკავშირდებიან ყველა „ობლიგაციონერს“ და შეთავაზებენ „იპოთეკის ხელშეკრულების“, „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ დადებას.
- (ii) „იპოთეკის ხელშეკრულებას“, „გირავნობის ხელშეკრულებას“ და „წილების გირავნობის ხელშეკრულებას“ ხელი მოეწერება ერთდროულად, „ემიტენტის“ მიერ მოთხოვნილ/განსაზღვრულ დღეს, რომელიც უნდა იყოს „გამოშვების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ ვადაში ნებისმიერ დროს. ისინი დადასტურდება სანოტარო წესით (სადაც ნოტარიუსი დაამოწმებს მხოლოდ ხელმოწერების ვინაობას). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე „ობლიგაციონერი“ იმოქმედებს უცხო ქვეყანაში გაცემული მინდობილობის საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გარიგების დამოწმებას ნოტარიუსის მიერ, საჯარო აქტის ფორმით (შინაარსობრივი დამოწმება) და ასეთი დამოწმებისთვის საჭირო ნებისმიერ და ყველა სანოტარო/სარეგისტრაციო ხარჯს გაიღებს ის „ობლიგაციონერი“, რომელიც გარიგებას ხელს აწერს უცხო ქვეყანაში გაცემული მინდობილობის

საფუძველზე. „გირავნობის ხელშეკრულება“, „წილების გირავნობის ხელშეკრულება“ და „იპოთეკის ხელშეკრულება“ ასევე სარეგისტრაციოდ წარედგინება „საჯარო რეესტრს“, და მოთხოვნილი იქნება თითოეული და ყველა „ობლიგაციონერის“ უზრუნველყოფის საგნებზე მეორე რიგის იპოთეკარებად/მოგირავნებად დარეგისტრირება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულებების ხელმოწერასთან/გაფორმებასთან, ნოტარიზებასთან და „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს „ემიტენტის“, გარდა ზემოთ მითითებული გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც „ობლიგაციონერი“ უზრუნველყოფის ხელშეკრულებებს ხელს აწერს უცხო ქვეყანაში გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

- (iii) თითოეული „ობლიგაციონერი“ ვალდებულია, „ემიტენტის“ მოთხოვნის საფუძველზე თავად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით გამოცხადდეს ნოტარიუსის წინაშე „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ დღეს და ხელი მოაწეროს „გირავნობის ხელშეკრულებას“, „წილების გირავნობის ხელშეკრულებას“ და „იპოთეკის ხელშეკრულებას“.
- (iv) იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ხელს აწერს უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შესაბამისი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს სათანადო წესით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული და დამოწმებული უფლების დამდგენი დოკუმენტის (ამონაწერი, წესდება და ა.შ.) მეშვეობით ან/და ნოტარიულად, საჯარო აქტის ფორმით დამოწმებული მინდობილობით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. თუკი მინდობილობა გაცემულია საზღვარგარეთ, ის ან უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული (თუ აღნიშნული ქვეყანა წარმოადგენს „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის 1961 წლის კონვენციის წევრ ერთ-ერთ სახელმწიფოს) ან ლეგალიზებული იქ მდებარე საქართველოს საკონსულოს მიერ. დოკუმენტების ორიგინალი ვერსიები ან სათანადო წესით, ნოტარიულად დამოწმებული ასლები მიეწოდება „ემიტენტსა“ და „განთავსების აგენტებს“ და აღნიშნული დოკუმენტების სათანადო წესით წარდგენა წარმოადგენს შესაბამისი „ობლიგაციების“ „ობლიგაციონერზე“ განთავსების წინაპირობას.
- (v) უზრუნველყოფის შექმნასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ფორმალობა და გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაცია უნდა დასრულდეს „გამოშვების თარიღიდან“ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღისა“.
- (vi) ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, თითოეული „ობლიგაციონერი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ თუ იგი არ უზრუნველყოფს „პირობების“ წინამდებარე 2ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას, მათ შორის, „ემიტენტისთვის“ ან/და „განთავსების აგენტისთვის“ უზრუნველყოფის წარმოშობასთან/რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა საჭირო ან აუცილებელი ინფორმაციის/დოკუმენტის მიწოდებას ან ამ მიზნით, შესაბამისი მოქმედებების განხორციელებას, რაც გულისხმობს „ემიტენტის“ მიერ მოთხოვნილ/განსაზღვრულ დღეს გამოცხადებას უზრუნველყოფის ხელშეკრულებების ხელმოსაწერად და უფლებამოსილი წარმომადგენლის შემთხვევაში, უფლების დამდგენი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენას წინამდებარე 2ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით, არ განხორციელდება „ობლიგაციონერის“ სასარგებლოდ იპოთეკის ან/და გირავნობის „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაცია და შესაბამისად, ამგვარი „ობლიგაციონერის“ მოთხოვნა „ემიტენტის“ წინააღმდეგ იქნება არააუზრუნველყოფილი მოთხოვნა და ამგვარი „ობლიგაციონერი“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაკმაყოფილდება, როგორც არააუზრუნველყოფილი კრედიტორი. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ემიტენტი“ პასუხს არ აგებს იმ შემთხვევებში, როდესაც იპოთეკის ან/და გირავნობის უფლების „ობლიგაციონერის“ სასარგებლოდ რეგისტრაცია ვერ განხორციელდა „ემიტენტისგან“ დამოუკიდებელი მიზეზით ან „ობლიგაციონერების“ მიერ წინამდებარე 2ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან გაჭიანურებული შესრულების გამო.
- (vii) იმ შემთხვევაში, თუ „გამოშვების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ ვადაში „ემიტენტის“ მიზეზით/ბრალით არ განხორციელდება უზრუნველყოფის საგნებზე „ობლიგაციონერების“ მეორე რიგის

იპოთეკარებად/მოგირავნებად რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია მოითხოვოს „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ გამოსყიდვა წინამდებარე „პირობების“ 7დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით.

(viii) წინამდებარე 2ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პროცედურასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, „ობლიგაციონერებს“ პირდაპირ შეუძლიათ დაუკავშირდნენ „განთავსების აგენტებსა“ და „ემიტენტს“.

### 3. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და ობლიგაციების შემდგომი გასხვისება

#### ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა

„ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ „განთავსების აგენტები“ (რომლებიც განსაზღვრულია „პირობების დოკუმენტში“). საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებით“ დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტ(ებ)ს“ ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ, გააგზავნონ დამტკიცებული „პროსპექტი“ და მასთან დაკავშირებული მასალები პოტენციურ ინვესტორებთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ „ემიტენტი“ ახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „ემიტენტი“ გამოაქვეყნებს შეტყობინებას „ობლიგაციების“ შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. „ემიტენტი“, „განთავსების აგენტები“ ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი/შუამავლები პოტენციურ ინვესტორებს მათი სურვილის შესაბამისად მიაწვდიან „პროსპექტის“ ელექტრონულ ბმულს, მის დასკანერებულ ვარიანტს ან „პროსპექტის“ დაბეჭდილ ასლს. საბოლოო „პროსპექტი“ პოტენციურ ინვესტორებს მიეწოდებათ (მათ შორის, ემიტენტის ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების გაყიდვის დაწყებამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ „განთავსების აგენტებისთვის“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიწოდებით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით ან „განთავსების აგენტების“ მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად განსაზღვრავენ „განთავსების აგენტები“. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს დაემთხვა დასვენების დღე, ამგვარი დღის წინა სამუშაო დღე ჩაითვლება „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან/პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად), რომელიც არის დამტკიცებულ „წინასწარ პროსპექტში“ მითითებულ ფარგლებში და აისახება „საბოლოო პროსპექტში“. ამასთან, „წინასწარ პროსპექტში“ მითითებულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის)

ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ „საბოლოო პროსპექტში“ ასახვას.

თუ პოტენციური ინვესტორებისგან „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიღების („book-building“-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული, პოტენციური ინვესტორების განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობაზე ან გააგრძელოს მასში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე „განთავსების აგენტებს“ უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო „სამუშაო დღის“ 14.00 საათამდე (თბილისის დროით) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების (ობლიგაციების ოდენობასთან მიმართებით) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, „განთავსების აგენტები“ უფლებამოსილნი არიან, თავიანთი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილონ ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი ობლიგაციების სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადონ მასზე.

პოტენციური ინვესტორებისგან „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიღების („bookbuilding“-ის) დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტები“ აცხადებენ შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განცხადებაც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, აწვდიან შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს „ობლიგაციების“ ის რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციური ინვესტორის შესყიდვის შესახებ განაცხადი.

## **ბ) ფასის დადგენა**

- 1. ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ფასის მითითება, ინვესტორზე დაკისრებული ნებისმიერი ხარჯის ან გადასახადის დაკონკრეტებით**

„ობლიგაციების“ განთავსება მოხდება მხოლოდ ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. „ემიტენტი“ არ განიხილავს ფასიანი ქაღალდების სხვაგვარ განფასებას.

- 2. შეთავაზების საბოლოო ფასის დადგენისა და ინვესტორებისთვის მიწოდების პროცესის აღწერა**

შეთავაზების საბოლოო მოცულობა („ობლიგაციების“ რაოდენობა და მთლიანი ემისიის ღირებულება) და კუპონის განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნის გათვალისწინებით (Book-building-ის შედეგად), „პირობების“ მე-3(ა) ქვეპუნქტით („ობლიგაციის შეთავაზების პროცედურა“) განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

## **გ) განთავსება**

„ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტები“ უფლებამოსილნი არიან, განათავსონ „ობლიგაციები“ „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის დასრულების დღის ჩათვლით). „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება განხორციელდება „გადავადებული განთავსების ფასით“. პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ ნებისმიერი „განთავსების აგენტისათვის“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიწოდებით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით ან/და „განთავსების აგენტისათვის“ მისაღები ნებისმიერი სხვა ფორმით.

ის ინვესტორები, რომლებიც შეისყიდიან „ობლიგაციებს“ „გადავადებული განთავსების თარიღზე“ (შემდგომში „ინვესტორები“), ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე. „ინვესტორმა“ აღნიშნული საბროკერო ანგარიში უნდა გახსნას ნებისმიერ „განთავსების აგენტთან“. ამავე ანგარიშზე მიაწოდებს „ემიტენტი“ „ინვესტორს“ მის მიერ შესყიდულ „ობლიგაციებს“ შესაბამისად „გამოშვების თარიღზე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღზე“. გამონაკლის შემთხვევებში, „განთავსების აგენტებს“ შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ დართონ ნება „ინვესტორს“ „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები, ნაცვლად „განთავსების აგენტებთან“ გახსნილი „ინვესტორის“ საბროკერო ანგარიშისა, მიმართოს „ემიტენტის“ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე, რომელიც გახსნილია შესაბამის „განთავსების აგენტთან“. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მიწოდება განხორციელდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა უფლებამოსილ „ნომინალურ მფლობელთან“ არსებულ „ინვესტორის“ ანგარიშზე. ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ „ობლიგაციებს“ სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ან „რეგისტრატორთან“ ჩანაწერის სახით.

თუ „საბოლოო პროსპექტი“ გათვალისწინებული „ობლიგაციების“ ჯამური რაოდენობა არ არის განთავსებული „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებისას, განუთავსებელი „ობლიგაციები“ ჩაითვლება გაუქმებულად (გაუქმდება).

#### დ) შეთავაზების შედეგების გასაჯაროების საშუალებებისა და დროის მითითება

შეთავაზების შედეგები გასაჯაროვდება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულების შემდგომ.

#### ე) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში („პირობების დოკუმენტის“ დამტკიცებიდან „საბოლოო პროსპექტის“ მოქმედების ვადის დასრულებამდე) „ემიტენტი“ გადაწყვეტს, შეცვალოს „ობლიგაციების“ შესახებ ინფორმაცია, მან უნდა მიმართოს „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით“ დადგენილ აუცილებელ პროცედურას.

#### ვ) „ობლიგაციების გასხვისება“

„ობლიგაციების“ გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით“) დადგენილი წესით, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. „ობლიგაციების“ გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „რეესტრში“.

ინდივიდუალური „ობლიგაციონერების“ მფლობელობაში არსებული „ობლიგაციების“ სრულად ან ნაწილობრივ გასხვისება დაშვებულია იმის გათვალისწინებით, რომ (1) მსგავსი გადაცემის შესახებ შეტყობინება შესაბამისად მიეწოდებათ „ემიტენტს“, „გირავნობის ხელშეკრულებით“ და „წილების გირავნობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ მოგირავნეებს, „რეგისტრატორს“ ან „ნომინალურ მფლობელს“, (2) გადაცემის შედეგად განახლებული ინფორმაცია იპოთეკარის/მოგირავნის ჩანაცვლების შესახებ უნდა აისახოს „საჯარო რეესტრში“. აღნიშნული სრულდება „იპოთეკის ხელშეკრულების“, „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ დანართი N2 - გადაცემის აქტის/შეთანხმების გაფორმებით „ობლიგაციების“ გამყიდველისა და მყიდველის მიერ, რომელიც წარედგინება სარეგისტრაციოდ „საჯარო რეესტრს“. „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ და „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ დანართი დოკუმენტები (გადაცემის აქტები/შეთანხმებები) უნდა გაფორმდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, წერილობითი ფორმით და ხელმომწერი პირების ვინაობა დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ. ამასთან, აღნიშნული შეთანხმებების ხელმოწერასთან/გაფორმებასთან, ნოტარიზებასთან და „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს შესაბამისი „ობლიგაციების“ გამსხვისებელი.

თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „ობლიგაციების“ გასხვისება და მათზე საკუთრების გადაცემა ძალაში იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ შემძენი გახდება „იპოთეკის ხელშეკრულების“, „გირავნობის ხელშეკრულების“ და „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ დანართების - გადაცემის აქტების/შეთანხმებების მხარე და „იპოთეკის ხელშეკრულების“, „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ შემთხვევაში, აღნიშნული შეთანხმებები დარეგისტრირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით „საჯარო რეესტრში“.

„ობლიგაციონერები“ აქვე აცნობიერებენ, რომ „ობლიგაციების“ ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში, გირავნობის და იპოთეკის შემძენზე რეგისტრაციისთვის შესაძლოა „საჯარო რეესტრში“ მოითხოვოს „გირავნობის ხელშეკრულებაში“, „წილების გირავნობის ხელშეკრულებაში“ და „იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანა. ასეთ შემთხვევაში, სხვა „ობლიგაციონერებიც“ ვალდებული იქნებიან, გამოცხადდნენ „საჯარო რეესტრში“, ხელი მოაწერონ „გირავნობის ხელშეკრულების“, „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ და „იპოთეკის ხელშეკრულების“ ცვლილებას/შეთანხმებებს „საჯარო რეესტრისთვის“ მისაღები ფორმით და სრულად შეასრულონ ნებისმიერი და ყველა საჭირო მოქმედება, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონმდებლობით და „საჯარო რეესტრის“ მითითებით იმ შემთხვევაში თუ ასეთი ცვლილებით მოთხოვნილია მხოლოდ მხარის ჩანაცვლება. აღნიშნული ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შესაბამისი „ობლიგაციების“ გამსხვისებელს.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ გასხვისების შემთხვევაში, საჭირო გახდა „ობლიგაციონერების“ გამოცხადება „საჯარო რეესტრში“ და „გირავნობის ხელშეკრულების“, „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ და იპოთეკის ხელშეკრულების“ ცვლილებაზე შეთანხმებ(ებ)ის ხელმოწერა/რეგისტრაცია და თუ რომელიმე „ობლიგაციონერი“ ვერ უზრუნველყოფს თავად ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის („მინდობილობის“ საფუძველზე) მეშვეობით გამოცხადებას ნებისმიერი მიზეზის გამო, ასეთ „ობლიგაციონერს“ დაერიცხება დღიური ჯარიმა მის საკუთრებაში არსებულ „ობლიგაციებზე“ დარიცხული საპროცენტო სარგებლის 0.05%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და „ემიტენტი“ უფლებამოსილი იქნება აღნიშნული საჯარიმო თანხა დააკავოს წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე გადასახდელი თანხებიდან.

## **ზ) ობლიგაციების სავაჭროდ დაშვება საფონდო ბირჟაზე**



„ობლიგაციების“ განთავსების შემდგომ „ემიტენტს“ აქვს უფლება, მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ან „თბილისის საფონდო ბირჟას“ განაცხადით „ობლიგაციების“ სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. სავაჭრო სისტემაში დაშვების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ან „თბილისის საფონდო ბირჟაზე“ ობლიგაციებით ვაჭრობა ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებული „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის“ შესაბამისად.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ობლიგაციების“ „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ან „თბილისის საფონდო ბირჟაზე“ ოფიციალურ ლისტინგში დაშვების შესახებ გადაწყვეტილება არ საჭიროებს რაიმე ტიპის თანხმობას ან დამოწმებას „ობლიგაციონერების“ მიერ.

#### 4. სტატუსი

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „ემიტენტის“ უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ყველა „ობლიგაციას“ აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი (pari passu) ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. „პირველი რიგის კრედიტორების“ მოთხოვნები დაკმაყოფილდება „ობლიგაციონერების“ მოთხოვნების უპირატესად უზრუნველყოფის საშუალებასთან/საგანთან დაკავშირებით, ხოლო „ობლიგაციონერებს“, როგორც მეორე რიგის უზრუნველყოფილ კრედიტორებს, ენიჭებათ უპირატესობა არაუზრუნველყოფილი ან/და სხვა შემდგომი რიგის კრედიტორების მიმართ, „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ დადებულ/არსებულ უზრუნველყოფის საშუალებასთან მიმართებით, „იპოთეკის“ ხელშეკრულების“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად.

#### 5. დათქმები/ვალდებულებები

##### ა) საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა:

- i. „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა და უნდა უზრუნველყოს, რომ მისი „მნიშვნელოვანი შვილობილი“ მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა შენარჩუნებულ იქნას მისი და მათი, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირების, განგრძობადი არსებობა (გარდა „პირობების“ 5(ბ) ქვეპუნქტით („შერწყმა“) გათვალისწინებული შემთხვევებისა) და ბიზნეს საქმიანობა და აგრეთვე ყველა ის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრება, ყველა საჭირო ნებართვა, ლიცენზია, თანხმობა და უფლებამოსილება, რაც დაკავშირებულია ან/და აუცილებელია მისი (მათი) საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.
- ii. „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ყველა ის უფლებამოსილება, ნებართვა, ავტორიზაცია და განახორციელოს და უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო პროცედურის განხორციელება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სავალდებულოა „ობლიგაციებითა“ და „პროსპექტით“ ნაკისრი ვალდებულებების კანონიერად შესასრულებლად და საქართველოში „ობლიგაციებისა“ და „პროსპექტის“ ნამდვილობის, აღსრულებადობისა და საქართველოს სასამართლოებში მტკიცებულებად დასაშვებობისათვის.

##### ბ) შერწყმა: „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე „ემიტენტმა“ ან/და მისმა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ არ უნდა განახორციელოს შემდეგი:

- i. რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის სახით); ან სხვა რაიმე ნებისმიერი ტიპის კორპორატიული რესტრუქტურისა, ან

ii. ერთი ან რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული გარიგებით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარად განკარგვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(ა) ზემო i ან ii ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

1. რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული სუბიექტი ან ქონების მიმღები (შემდგომში „სამართალმემკვიდრე“) არის „ემიტენტი“ ან თუ ამგვარი სუბიექტი არ არის „ემიტენტი“, „სამართალმემკვიდრე“ იკისრებს „ემიტენტის“ უფლებებს და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს „ობლიგაციებიდან“ და „პროსპექტიდან“.
2. „სამართალმემკვიდრე“ (თუ „სამართალმემკვიდრე“ არ არის „ემიტენტი“) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ უფლებამონაცვლე ყველა არსებითი ნებართვის, ლიცენზიის, ავტორიზაციის, თანხმობისა და უფლებამოსილების შესაბამისად არსებულ ყველა უფლებასა და ვალდებულებასთან მიმართებით და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის არსებით მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ახორციელებს საქმიანობას; და

(ბ) ზემო i ან ii ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შედეგად არ დადგება და არ გაგრძელდება ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“; და

(გ) ზემო i ან ii ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ მოახდენს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

**გ) გადასახადების დაფარვა:** „ემიტენტმა“ და „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ დადგენილ ვადაში უნდა გადაიხადონ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებული ნებისმიერი გადასახადი, რომელიც დარიცხულია „ემიტენტის“ /“მნიშვნელოვანი შვილობილის“ შემოსავალთან, მოგებასთან ან ქონებასთან დაკავშირებით. „ემიტენტს“/“მნიშვნელოვან შვილობილს“ წინამდებარე „პროსპექტის“ მიზნებისათვის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა გადასახადების გადაუხდელობაზე, თუ:

- i. გადასახადების ოდენობა ან დაკისრების მართებულობა კეთილსინდისიერად არის გასაჩივრებული შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში, ან
- ii. რომლის ოდენობა ყველა სხვა გადაუხდელ გადასახადებთან ან მსგავს მოთხოვნებთან ერთად, საერთო ჯამში არ აღემატება 2,500,000 მილიონ ლარს (ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში).

**დ) ფინანსური ვალდებულებები:** „ემიტენტი“ „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილების“ გარეშე არ დაუშვებს, რომ მან („ემიტენტმა“) ან/და „ემიტენტის“ „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ იკისროს, პასუხისმგებლობა აიღოს ან სხვა სახით გახდეს ვალდებული ნებისმიერი სახის „დავალიანებაზე“, თუ:

- i. ამგვარი „დავალიანება“ გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომას; ან
- ii. „დაფარვის თარიღამდე“ ნებისმიერი კალენდარული წლის ჭრილში 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში „დავალიანების“ აღების შემთხვევაში, ასეთი „დავალიანების“ ჩათვლით „ემიტენტისა“ და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ყველა „დავალიანებიდან“ გამომდინარე ვალდებულებების ჯამური ოდენობა წინა წლის (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) დასრულებულ აუდიტირებულ ანგარიშზე დაყრდნობით გაანგარიშებულ „კორექტირებულ EBITDA“-ს აღემატება 2.0x-ზე მეტად; ან „დაფარვის თარიღამდე“ ნებისმიერი კალენდარული წლის ჭრილში 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში „დავალიანების“ აღების

შემთხვევაში, ასეთი „დავალიანების“ ჩათვლით „ემიტენტის“ და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ყველა „დავალიანებიდან“ გამომდინარე ვალდებულებების ჯამური ოდენობა 1 ივლისიდან გასული 12 თვის „კორექტირებულ EBITDA“-ს აღემატება 2.0x-ზე მეტად. ამასთან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში „კორექტირებული EBITDA“ უნდა გამომდინარეობდეს და ემყარებოდეს 1 ივლისის თარიღზე დასრულებული არა-აუდიტირებული ანგარიშის მონაცემებს (მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით) და წინა წლის (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) დასრულებულ აუდიტირებულ ანგარიშსა და წინა წლის პირველი ნახევრის (1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით) არა-აუდიტირებული ანგარიშის მონაცემების სხვაობას.

**ზემოთ (i და ii პუნქტებში) გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება ნებისმიერი შემდეგი „დავალიანების“ აღებაზე:**

(ა) „ემიტენტის“ და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი და ყველა „დავალიანება“, რომელიც არსებობს „გამოშვების თარიღზე“;

(ბ) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიერ კომპანიათაშორისი „დავალიანების“ აღება, „ემიტენტის“ და მის ნებისმიერ „შვილობილს“ შორის;

(გ) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიერ „დავალიანების“ აღება ან დაფინანსების სხვა ფორმით მიღება „ემიტენტის“ ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი პარტნიორისგან, რაც „ემიტენტის“ და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ოპერაციების ფინანსირების მიზნით გახდა ხელმისაწვდომი, იმ პირობით, რომ ამგვარი „დავალიანება“, გადახდის უფლების თვალსაზრისით, სუბორდინირებულია „ობლიგაციების“ მიმართ.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ზემოთ (ბ) და (გ) ქვეპუნქტებში მითითებული გამონაკლისები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ (ბ) და (გ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული „დავალიანებების“ აღების შედეგად არ დადგება და არ გაგრძელდება ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“ და არ მოახდენს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

**ე) შეზღუდვები აქტივების უფლებრივად დატვირთვასთან დაკავშირებით:** „ობლიგაციების“ განაღდებად (დაფარვამდე) ან გამოსყიდვამდე წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, „ემიტენტმა“ არ უნდა დაუშვას, და უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ არ დაუშვას, „ემიტენტის“ და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ რომელიმე არსებულ ან სამომავლო ქონებაზე პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე „უზრუნველყოფის საშუალების“ წარმოშობა, დადება ან არსებობა, გარდა „ნებადართული უზრუნველყოფებისა“, რაიმე „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად „ემიტენტის“ ან მესამე პირების სასარგებლოდ, რაც არ ექვევა „ემიტენტის“ ან „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში.

**ზემოთ მითითებული შეზღუდვა არ გავრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც:**

(i) „ობლიგაციებიდან“ და „პროსპექტიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ ვალდებულებებს აქვთ ამგვარი სხვა „დავალიანების“ თანაბარი და პროპორციული უზრუნველყოფა, ან

- (ii) სხვაგვარად არიან უზრუნველყოფილნი „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“ დამტკიცებული სხვა უზრუნველყოფის საშუალებებითა და პირობებით ან
- (iii) „ობლიგაციონერებმა“ გამოხატეს თანხმობა „სპეციალური გადაწყვეტილებით“.

**ვ) აქტივების განკარგვა:** თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე „პირობებით“, „პირობების“ 5(ბ) ქვეპუნქტით („შერწყმა“) გათვალისწინებული დებულებების შეუზღუდავად, „ემიტენტი“, არც თავად და არც მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ საშუალებით, არ არის უფლებამოსილი გაყიდოს, გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად განკარგოს თავისი აქტივები, მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით სხვა რომელიმე „პირზე“

**ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც:**

- (i) ყველა ასეთი ტრანზაქცია ხორციელდება გაშლილი მკლავის პრინციპით, „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და ხორციელდება ბოლო 12-თვიან პერიოდში ჯამურად „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 10%-ზე ნაკლების განკარგვა, რომელიც განისაზღვრება უახლეს „ფისკალურ პერიოდში“ (რომელიც მოიცავს ბოლო 12 თვის მონაცემებს) „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ფურცელზე მითითებით;
- (ii) ბოლო 12-თვიან პერიოდში ჯამურად „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 10%-ზე ნაკლები ღირებულების აქტივების ან ნებისმიერი ქონების (ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) გაყიდვასთან, იჯარით გაცემასთან, გადაცემასთან ან ნებისმიერი სხვა ფორმით განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფას“;
- (iii) აქტივების/ქონების იჯარით გაცემასთან, გაყიდვასთან, შექმნასთან, ყიდვასთან ან ნებისმიერი სხვა ფორმით განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული ხორციელდება „ემიტენტის“ ან/და „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ჩვეულებრივი საქმიანობის და ოპერირების ფარგლებში.

**ზ) აფილირებულ პირებთან განხორციელებული გარიგებები:** „ემიტენტი“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ აწარმოებს რაიმე საქმიანობას, დადებს რაიმე გარიგებას ან დაუშვებს რაიმე გარიგების არსებობას (მათ შორის, ნებისმიერი ქონების შეძენა, გაყიდვა, გადაცემა, დათმობა, იჯარა ან გაცვლა, ან ნებისმიერი მომსახურების გაწევა) ნებისმიერ „აფილირებულ პირთან“ ან მის სასარგებლოდ (შემდგომში „აფილირებულ პირთან დადებული გარიგებები“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „აფილირებულ პირთან დადებული გარიგების“ პირობები აკმაყოფილებს გაშლილი მკლავის პრინციპს და არ არის ნაკლებად ხელსაყრელი „ემიტენტისთვის“/„მნიშვნელოვანი შვილობილისთვის“, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ დადებული გარიგებები იქნებოდა „პირთან“, რომელიც არ არის „ემიტენტთან“ „აფილირებული პირი“.

**შემდეგი გარიგებები არ მიიჩნევა „აფილირებულ პირთან დადებულ გარიგებად“ და არ ექვემდებარება ზემოთ გათვალისწინებულ შეზღუდვას:**

- (i) „ჯგუფის“ წევრის მიერ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შეესაბამება „ჯგუფის“ ამგვარი წევრის წარსულ პრაქტიკას;
- (ii) ემიტენტსა და მის „შვილობილს“ შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომელშიც „ემიტენტი“ ფლობს წილის/აქციების 100%-ს;
- (iii) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისათვის, რომლებიც „ემიტენტთან“ სხვაგვარად „აფილირებული პირები“ არ არიან;

- (iv) „ემიტენტის“ ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებლის/აქციონერისგან „ემიტენტისათვის“ ჩვეულებრივი საქმიანობის დასაფინანსებლად გაცემული ნებისმიერი სესხი ან სხვა დაფინანსების საშუალება, რომელიც მიღებულია საბაზრო პირობებით;
- (v) ნებისმიერი არსებული იჯარის ან/და ქირავნობის ხელშეკრულება „ემიტენტსა“ და მის „შვილობილებს“ შორის;
- (vi) ტრანზაქციები მომხმარებლებთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან, ერთობლივი საწარმოს პარტნიორებთან ან მყიდველებთან ან გამყიდველებთან ან საქონლის ან მომსახურების სხვა მიმწოდებლებთან, ან ქონების გამქირავებელთან ან მოიჯარესთან, თითოეულ შემთხვევაში „კომპანიის“ ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში და სხვაგვარად „პირობების“ შესაბამისად, რომლებიც სამართლიანია „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილებისთვის“ ან დადებულია ისეთივე ხელსაყრელი პირობებით „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილებისთვის“, როგორც შეიძლება გონივრულად ყოფილიყო მიღწეული ამ დროს არააფილირებულ მხარესთან (თითოეულ შემთხვევაში, როგორც ეს კეთილსინდისიერად არის განსაზღვრული „ემიტენტის“ პასუხისმგებელი ბუღალტრის ან ფინანსური ოფიცრის მიერ).

**თ) აკრძალული გადახდები:** მე-5 დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების შეუზღუდავად, „ემიტენტი“ არ დაუშვებს და უზრუნველყოფს, რომ მისმა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ არ დაუშვას, შემდეგი:

- (i) განაცხადოს დივიდენდის გაცემის თაობაზე ან გასცეს დივიდენდი ფულადი ან სხვა სახით, ან განახორციელოს ნებისმიერი სხვა განაწილება (მათ შორის, გამოსყიდვის, შესყიდვის ან სხვა გზით) თავის კაპიტალთან დაკავშირებით, გარდა „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ სასარგებლოდ დივიდენდის გაცემისა ან განაწილებისა;
- (ii) პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებაყოფლობით შეიძინოს, გამოისყიდოს ან ანაზღაურების სანაცვლოდ სხვაგვარად გამოისყიდოს „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი წილი ან კაპიტალი; ან
- (iii) გადაიხადოს, შეიძინოს, გამოისყიდოს ან ანაზღაურების სანაცვლოდ სხვაგვარად გამოისყიდოს, ნებისმიერი „დავალიანება“, რომლის დაფარვაც სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე სუბორდინირებულია „ობლიგაციების“ გადახდაზე (გარდა „ჯგუფის“ შიდა „დავალიანების“ დაბრუნებისა, რომელიც დროდადრო გაცემულია „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიერ „ემიტენტის“ ან „მნიშვნელოვანი შვილობილის“ სასარგებლოდ).

**ი) ფინანსური ინფორმაცია:**

**„ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, რომ:**

- (i) თითოეული ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 მაისისა, „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის“ შესაბამისად გაამჟღავნებს/გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებულ „ემიტენტის“ კონსოლიდირებულ და შემოწმებულ ფინანსურ უწყისებს.
- (ii) „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, რომ თითოეული ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 აგვისტოსი, „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის“ შესაბამისად გაამჟღავნებს/გამოაქვეყნებს არა-აუდიტირებულ ფინანსურ უწყისებს (საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) ექვსი თვისათვის, რომელიც მომზადებულია „IFRS“-ის შესაბამისად.
- (iii) ამავე ი) პუნქტის (i) და (ii) ქვეპუნქტების მიზნებისთვის, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციონერებისათვის“ მიწოდებულად ჩაითვლება, თუ ამგვარი ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

- (iv) დაიცავს „ფასიანი ქალაქების შესახებ კანონმდებლობით“ განსაზღვრულ სხვა მიმდინარე თუ პერიოდულ საანგარიშგებო ვალდებულებებს.
- (v) თუ „ობლიგაციონერები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელების“ საშუალებით) დაუფარავი „ობლიგაციების“ არანაკლებ 25%-ზე მეტს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“, მათ შეუძლიათ „ემიტენტისაგან“ წერილობით მოითხოვონ, და „ემიტენტი“ ვალდებულია ამ „ობლიგაციონერებს“ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია, რაც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ „დეფოლტის შემთხვევას“. წერილობითი მოთხოვნა შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის, ან რამდენიმე ერთნაირი შინაარსის მქონე დოკუმენტის სახით. ამგვარი მოთხოვნა შესაძლოა ასევე მიღებულ იქნას „ობლიგაციონერთა კრების“ გადაწყვეტილების სახით.

**კ) უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებები:** „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას, რომ თუ სამომავლოდ „ემიტენტი“ შეიძენს უძრავ ქონებებს, უზრუნველყოფს აღნიშნული უძრავი ქონებების შესაბამისი რიგის იპოთეკით დატვირთვას „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ, ქონებების იპოთეკით დატვირთვის მომენტში ქონებებზე არსებული/რეგისტრირებული სხვა იპოთეკარების შემდგომ რიგში, ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგება ქვემოთ მითითებული ორი პირობიდან ერთ-ერთი (რომელიც უფრო ადრე დადგება):

- (i) ნებისმიერი კალენდარული წლის განმავლობაში „ემიტენტის“ მიერ შესყიდული უძრავი ქონებების საერთო ჯამური ნასყიდობის ფასი აღემატება [500,000] ლარს დღგ-ს გარეშე, ან
- (ii) ყოველ 6 (ექვსი) თვეში ერთხელ, თუ ამ 6-თვიან პერიოდში „ემიტენტი“ შეისყიდის უძრავ ქონებებს. ამ შემთხვევაში, „ემიტენტი“ უზრუნველყოფს აღნიშნული უძრავი ქონებების შესაბამისი რიგის იპოთეკით დატვირთვას „ობლიგაციონერების“ სასარგებლოდ სრულად, მიუხედავად შესყიდული ქონებების ღირებულებისა.

ზემოაღნიშნული (i) ან (ii) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, „ემიტენტი“ უზრუნველყოფს უძრავი ქონებების შესაბამისი რიგის იპოთეკით დატვირთვას და უფლების „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასეთი გარემოების დადგომიდან არა უგვიანეს 60 (სამოცი) „სამუშაო დღის“ ვადაში. ამასთან, იპოთეკის ხელშეკრულების დადებასა და რეგისტრაციაზე ვრცელდება „პირობების“ მე-2 მუხლით („უზრუნველყოფა“) გათვალისწინებული პირობები.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ ქვეპუნქტში გათვალისწინებული „ემიტენტის“ ვალდებულებები უძრავი ქონებების იპოთეკით დატვირთვასთან დაკავშირებით არ იმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ქონებებზე იარსებებს/რეგისტრირებული იქნება ყადაღა/აკრძალვა ან სხვა სახის შეზღუდვა, რაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რაც გამორიცხავს აღნიშნული ქონებების ნებისმიერი ფორმით განკარგვას, მათ შორის, იპოთეკით დატვირთვას.

**ლ) დაზღვევის შენარჩუნება:** „ემიტენტი“ და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილი“ ვალდებული არიან, უზრუნველყონ ისეთი ქონების დაზღვევა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით ექვემდებარება სავალდებულო დაზღვევას, შესაბამისი სადაზღვევო რისკებისგან იმ მოცულობით და ფარგლებში, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოში მსგავს ინდუსტრიაში დაზღვევის კომერციულ პრაქტიკასთან და ისეთ მზღვეველებთან, რომელთაც „ემიტენტის“ და „მნიშვნელოვანი შვილობილის“ შეხედულებით გააჩნიათ კარგი რეპუტაცია.

მ) მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა: ემიტენტი“ და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილი“ ნებისმიერ დროს ყველა ღონეს მიმართავენ, რათა სრულად დაიცვან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოების სამართლებრივი აქტები და რეგულაციები, რომლის დარღვევამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე ან რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „ობლიგაციონერების“ ინტერესებს.

ნ) საქმიანობის ცვლილება: „ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ არსებითად არ შეიცვალოს „გამოშვების თარიღისათვის“ „ემიტენტის“ მიერ განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი მიმართულება და სფერო.

ო) საკრედიტო რეიტინგის შენარჩუნება: „ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ამ „ობლიგაციების“ მოქმედების განმავლობაში/„დაფარვის თარიღამდე“ პერიოდში „ემიტენტს“ ექნება საკრედიტო რეიტინგი და განახლებს მას პერიოდულად, შესაბამისი სიხშირით.

პ) საკრედიტო რეიტინგის ცვლილება: იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ მოქმედების განმავლობაში/„დაფარვის თარიღამდე“ პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული ნებისმიერი საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია შეცვლის „ემიტენტის“ საკრედიტო რეიტინგს რომელიმე რეიტინგამდე ქვემოთ მოყვანილ ცხრილში, „ობლიგაციების“ „საპროცენტო განაკვეთი“ შეიცვლება „გამოშვების თარიღზე“ განსაზღვრული „საპროცენტო განაკვეთიდან“ იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენიც მოცემულია რეიტინგის გასწვრივ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

საკრედიტო რეიტინგი	კუპონის ცვლილება
BB	-50 საბაზისო პუნქტი
BB-	+0 საბაზისო პუნქტი
B+	+0 საბაზისო პუნქტი
B და უფრო დაბალი საკრედიტო რეიტინგის პირობებში	+50 საბაზისო პუნქტი

იმ შემთხვევაში თუ „ემიტენტს“ ექნება აღებული რამდენიმე რეიტინგი ზემოთ ხსენებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოებისგან, უპირატესობა მიენიჭება უმაღლეს რეიტინგს „საპროცენტო განაკვეთის“ დათვლის მიზნებისთვის.

## 6. საპროცენტო სარგებელი

### ა) საპროცენტო განაკვეთი

ობლიგაციების „საპროცენტო განაკვეთი“ განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან, და შეადგენს საორიენტაციოდ წლიურად [TIBR 6M-ს დამატებული 3.50% - 3.75%]-ს.

ობლიგაციების მოქმედი საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შეიცვალოს რეიტინგის ცვლილების დადგომისას (იხილეთ პროსპექტის თავი „ობლიგაციების შეთავაზების პირობები“ - მე-5(პ) ქვეპუნქტი („საკრედიტო რეიტინგის ცვლილება“). ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი დაზუსტდება პროსპექტის საბოლოო შეთავაზების პირობებით.

## ბ) პროცენტის გადახდის თარიღები

„ობლიგაციებს“ ერიცხება საპროცენტო სარგებელი „გამოშვების თარიღიდან“ „ობლიგაციების“ „დაფარვის თარიღამდე“, წლიური განაკვეთით „შეთავაზების ძირითად პირობებში“ მითითებულ ფარგლებში. ამასთან, საბოლოო საპროცენტო სარგებლის დადგენა მოხდება „პროსპექტის“ ამ თავის („ობლიგაციების შეთავაზების პირობების“) მე-3 მუხლის (ა) პუნქტში („ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა“) მითითებული წესით, რაც აისახება „საბოლოო პროსპექტში“.

საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება „ობლიგაციების“ დაფარვის/გამოსყიდვის თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ობლიგაციონერს“ ამ მომენტისათვის არ დაუბრუნდა ძირითადი თანხა სრულად. ასეთ შემთხვევაში, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება არსებული განაკვეთით იქამდე, ვიდრე ამგვარ ობლიგაციასთან მიმართებით გადასახდელი თანხა არ იქნება მიღებული შესაბამისი „ობლიგაციონერის“ მიერ ან მისი სახელით.

დარიცხული საპროცენტო სარგებელი გადაიხდება ყოველ [6] [(ექვსი)] თვეში ერთხელ, „პირობების დოკუმენტის“ მიხედვით დადგენილი სარგებლის (პროცენტის) გადახდის თარიღებში (შემდგომში „პროცენტის გადახდის თარიღი“).

პერიოდი „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით) დარიცხული პროცენტის პირველი გადახდის თარიღამდე (ამ თარიღის ჩაუთვლელად), და ყოველი შემდგომი პერიოდი წინა პროცენტის გადახდის თარიღიდან (ამ თარიღის ჩათვლით) მომდევნო პროცენტის გადახდის თარიღამდე (ამ თარიღის ჩაუთვლელად) მიიჩნევა „საპროცენტო პერიოდად“.

„სამუშაო დღის კონვენციის“ პირობის გათვალისწინებით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ნაცვლდება მომდევნო „სამუშაო დღით“, პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ გადავადებულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით). გარდა ამისა, როდესაც „პროცენტის გადახდის თარიღი“ კორექტირდება წინა „სამუშაო დღეზე“ (თავდაპირველად კორექტირებული „პროცენტის გადახდის თარიღის“ მომდევნო კალენდარულ თვეში გადანაცვლების გამო), პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ უფრო ადრეულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით).

## გ) პროცენტის დარიცხვა

დარიცხული (დასარიცხი) საპროცენტო სარგებლის გამოთვლა მოხდება კალენდარული დღეების ფაქტობრივი რაოდენობის საფუძველზე შესაბამის „საპროცენტო პერიოდში“ 365-დღიანი წლის მიხედვით („ფაქტობრივი/365(ფიქსირებული)“):

(OD\*RR/365)\*N სადაც:

OD ნიშნავს ობლიგაციის ძირ თანხას;

RR ნიშნავს [ექვსთვიანი] TIBR-ისა და „სპრედის“ ჯამს;

N ნიშნავს შესაბამის „საპროცენტო პერიოდში“ არსებულ რეალური დღეების რაოდენობას.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთი ცვლადია და დამოკიდებულია თბილისის [ექვსთვიანი] ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთ - TIBR-ზე (რომელიც განთავსებულია შესაბამის ბმულზე:



<https://nbg.gov.ge/monetary-policy/tibr> ), შესაბამის განაკვეთს, თითოეული „პროცენტის დარიცხვის პერიოდისთვის“ განსაზღვრავს „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე. „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ საბაზისო განაკვეთად აიღებს „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“ არსებული მონაცემების საფუძველზე. „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ [ექვსთვიან] თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთად აიღებს „პროცენტის განსაზღვრის თარიღისთვის“ გამოქვეყნებულ უკანასკნელ [ექვსთვიან] თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს.

წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, „პროცენტის განსაზღვრის თარიღი“ ნიშნავს, „პროცენტის დარიცხვის პერიოდისთვის“, აღნიშნული პერიოდის პირველ „სამუშაო დღემდე“ ორი „სამუშაო დღით“ ადრე არსებულ „სამუშაო დღეს“.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღარ მოხდება [ექვსთვიან] თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ ყველა შემდგომი საპროცენტო პერიოდისთვის სარგებლის საპროცენტო განაკვეთს ერთჯერადად განსაზღვრავს შემდეგი ორი კომპონენტის დაჯამებით: (i) „ემიტენტის“ მიერ „გამოშვების თარიღიდან“ [ექვსთვიან] თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე პერიოდში „ემიტენტის“ მიერ სარგებლის საპროცენტო განაკვეთის დასადგენად გამოყენებული [ექვსთვიანი] თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი; და (ii) „სპრედი“. ზემოთ მითითებული წესით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ [ექვსთვიან] თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნების აღდგენამდე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ [ექვსთვიან] თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ თითოეული შემდგომი საპროცენტო პერიოდისათვის ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთს კვლავ განსაზღვრავს [ექვსთვიან] თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე არსებული წესით.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, არ იქნება 0.01 ლარის ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 ლარის ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 ლარის დამრგვალება მოხდება ზემოთ).

## **7. ობლიგაციების დაფარვა (განაღდება) და გამოსყიდვა**

### **ა) დაფარვა (განაღდება)**

„ობლიგაციები“ დაიფარება ძირითადი თანხის გადახდით, დარიცხულ და გადაუხდელ საპროცენტო სარგებელთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), „დაფარვის თარიღზე“, თუ არ განხორციელდა „ობლიგაციების“ ვადამდელი დაფარვა, გამოსყიდვა ან შესყიდვა, წინამდებარე მე-6 პუნქტის შესაბამისად.

დაუშვებელია „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა „დაფარვის თარიღამდე“ გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე პროსპექტში (მათ შორის, „პირობების“ წინამდებარე მე-7 პუნქტში).

### **ბ) ვადამდელი განაღდება (დაფარვა) / გამოსყიდვა შეზღუდული პერიოდის შემდეგ**

„ემიტენტი“ უფლებამოსილია, „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღიდან“ მეორე კალენდარული წლის დასრულების შემდეგ, „დაფარვის თარიღამდე“ ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, განახორციელოს „ობლიგაციების“ დაფარვა (განაღდება) ან გამოსყიდვა სრულად (და არა - ნაწილობრივ) „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის, ამგვარ დაფარვამდე/გამოსყიდვამდე დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებლისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გამოსყიდვის ფასის (რომელიც შეადგენს „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის 0.5% პროცენტს) გადახდით „ობლიგაციონერებისთვის“. ამ საფუძვლით „ობლიგაციების“ გამოსყიდვის/დაფარვის შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით ადრე გაუგზავნოს გამოუხმობადი წერილობითი შეტყობინება „ობლიგაციონერებს“.

#### **ბ) განაღდება (დაფარვა)/გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით**

„ემიტენტს“ უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ, „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღიდან“ „დაფარვის თარიღამდე“ ნებისმიერ დროს განახორციელოს „ობლიგაციების“ სრულად (და არა - ნაწილობრივ) დაფარვა (განაღდება) ან გამოსყიდვა „ობლიგაციონერებისთვის“ გადაუხდელი ძირითადი თანხისა და დაფარვის/გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდის გზით, იმ შემთხვევაში, თუ:

- (i) „ემიტენტს“ მოუწია ან მოუწევს „გადასახადების“ სახით დამატებითი თანხების გადახდა „ობლიგაციებთან“ მიმართებაში, რაც გამოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებით, ან ამგვარი კანონმდებლობის სხვაგვარი ოფიციალური განმარტებით „გამოშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში; და
- (ii) „ემიტენტი“ თავიდან ვერ აირიდებს ამგვარი ვალდებულებების შესრულებას „ემიტენტისათვის“ ხელმისაწვდომი ნებისმიერი გონივრული ზომის მიღების მიუხედავად. ამ საფუძვლით „ობლიგაციების“ გამოსყიდვის/დაფარვის შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით ადრე გაუგზავნოს გამოუხმობადი წერილობითი შეტყობინება „ობლიგაციონერებს“.

#### **დ) სავალდებულო გამოსყიდვა „ობლიგაციონერების“ მოთხოვნით“**

იმ შემთხვევაში, თუ „გამოშვების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ ვადაში „ემიტენტის“ ბრალით არ განხორციელდება „პირობების“ მე-2ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით უზრუნველყოფის საგნებზე „ობლიგაციონერების“ მეორე რიგის იპოთეკარებად/მოგირავნებად რეგისტრაცია, თითოეულ „ობლიგაციონერს“ უფლება აქვს „ემიტენტისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით მოითხოვოს „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ გამოსყიდვა თავისი კუთვნილი მოთხოვნის/წილის პროპორციულად, „ემიტენტის“ მიერ გამოსყიდვის თარიღისთვის არსებული, „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის და ამგვარ გამოსყიდვამდე დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდით.

#### **ე) განაღდება (დაფარვა)/ გამოსყიდვა საკრედიტო რეიტინგის არქონის მიზეზით**

„ემიტენტი“ უფლებამოსილია, ხოლო „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილების“ არსებობის შემთხვევაში ვალდებულია, განახორციელოს ობლიგაციების საერთო რაოდენობის (როგორც მითითებულია „შეთავაზების ძირითად პირობებში“) განაღდება (დაფარვა) ან/და გამოსყიდვა იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტს“ აღარ აქვს საკრედიტო რეიტინგი „პირობების“ მე-4 მუხლის „პ“ ქვეპუნქტში მოცემული ცხრილის შესაბამისად და იგი არ აღდგა 6 (ექვსი) თვის განმავლობაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეწყდება საკრედიტო რეიტინგის მინიჭება საქართველოს კომპანიებისათვის). ამ პუნქტის მიზნებისათვის, „ემიტენტი“ განახორციელებს ობლიგაციების განაღდებას (დაფარვას) ან/და გამოსყიდვას საკრედიტო რეიტინგის არქონის მიზეზით მხოლოდ სრულად (და არა - ნაწილობრივ) და „ობლიგაციონერებისათვის“ ობლიგაციების ძირითადი თანხისა და ამგვარ განაღდებად (დაფარვამდე) ან/და გამოსყიდვამდე დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდით.

### ვ) შეძენა

„ემიტენტს“ და მის „შვილობილ(ებ)ს“ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეიძინონ „ობლიგაციები“ ნებისმიერ ფასად საფონდო ბაზარზე ან სხვაგვარად. „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ მიერ ამგვარად შეძენილი „ობლიგაციები“ მათ მფლობელს არ ანიჭებს ხმის უფლებას „ობლიგაციონერების“ კრებაზე და არ მიიღება მხედველობაში „ობლიგაციონერების“ კრების კვორუმის დადგენის ან „პირობების“ მე-11(ა) ქვეპუნქტით („ობლიგაციონერების კრებები“) გათვალისწინებული მიზნებისათვის. ამგვარად შესყიდული „ობლიგაციების“ ფლობა, ხელახალი გაყიდვა ან გაუქმება შესაძლებელია განხორციელდეს „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ.

## 8. გადახდები

### ა) ანგარიშსწორება

- (i) „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და პროცენტის გაანგარიშება განხორციელდება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ პროცენტის შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე (შემდგომში „სააღრიცხვო თარიღი“). „რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელებისათვის“ ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში „სააღრიცხვო თარიღისათვის“ „რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელების“ საბანკო ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით. „რეესტრში“ რეგისტრირებულმა „ობლიგაციონერებმა“ და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ „რეესტრატორისათვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. „ემიტენტი“, „რეესტრატორი“ და „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ პასუხისმგებელი არ არიან ნებისმიერი გადასახდელი თანხის გადაუხდელობაზე, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ (გარემოებების გათვალისწინებით) „რეესტრატორს“ დროულად არ მიაწვდის თავისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას ან თუ „ემიტენტის“ ან „რეესტრატორის“ მოთხოვნის მიუხედავად, ისინი „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფენ ამგვარი ინფორმაციის განახლებას.
- (ii) თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბანკო ანგარიში არ არის გახსნილი „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიკეთოს საბანკო მომსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ საბანკო ანგარიში არ არის ეროვნულ ვალუტაში, „ობლიგაციონერისათვის“ ან/და „ნომინალური მფლობელისათვის“ (გარემოებების გათვალისწინებით) გადახდა განხორციელდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის საკომისიოს გამოკლებით.
- (iii) ძირითადი თანხისა და დარიცხული სარგებლის სრული ოდენობით მიღებაზე „ობლიგაციონერების“ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი სარგებელი ან ძირითადი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ ვალდებულია ასეთი ნაკლები თანხა გადაანაწილოს „ობლიგაციონერებს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

### ბ) აგენტების დანიშვნა

„კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტები“ და „რეესტრატორი“, და მათი შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია, მითითებულია „პირობების დოკუმენტში“ და „პროსპექტის“ ბოლოს. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტები“ და „რეესტრატორი“ მოქმედებენ მხოლოდ, როგორც „ემიტენტის“ აგენტები და წინამდებარე „პროსპექტისა“ და შეთავაზების მიზნებისათვის არ კისრულობენ რაიმე ვალდებულებას

„ობლიგაციონერების“ წინაშე და შესაბამისად, არ წარმოადგენენ მათ ინტერესებს. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს „ობლიგაციონერებისთვის“ ინფორმაციის მიწოდებით შეცვალოს ან შეწყვიტოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“, „განთავსების აგენტებთან“ ან/და „რეგისტრატორთან“ ხელშეკრულება/მათი თანამდებობაზე ყოფნა და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტები“ ან „რეგისტრატორი“. ამასთან, „ემიტენტს“ მუდმივად უნდა ჰყავდეს (i) „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ და (ii) „რეგისტრატორი“, რაც თითოეულ შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს „ობლიგაციონერების“ მიერ.

ნებისმიერი ამგვარი ცვლილების ან აგენტების საკონტაქტო ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ დაყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე შეტყობინების გამოქვეყნების გზით.

### **ბ) გაანგარიშება და გადახდა**

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, საპროცენტო სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე „პირობებისა“ და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას „ემიტენტისათვის“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამის გადახდის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება „ემიტენტს“. „ემიტენტი“ ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ გახსნილ მის საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები ეროვნულ ვალუტაში და მისცეს დავალება „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“ აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, „ემიტენტის“ ანგარიშზე საკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების გადარიცხვა, ხოლო ანგარიშზე საკმარისი თანხების არ არსებობის შემთხვევაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტს“ და „ობლიგაციონერებს“.

### **დ) ფისკალური კანონმდებლობა**

ნებისმიერი გადახდა უნდა მოხდეს საქართველოს მოქმედი ფისკალური/ საანგარიშსწორებო კანონმდებლობისა ან/და სხვა კანონების, მარეგულირებელი ნორმებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების დაცვით.

### **ე) გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები**

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს პროცენტის, ჯარიმის ან მსგავსი გადასახდელის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

## **9. დაბეგვრა**

„ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის გადახდა მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის წყაროსთან დაკავების შემდეგ (თუ საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილია „ემიტენტის“ მიერ გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავების ვალდებულება). თუ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ პროცენტის გადახდა გათავისუფლებულია წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისგან, „ემიტენტმა“ არ უნდა დააკავოს

შესაბამისი გადასახადი და „ობლიგაციონერები“, რომლებიც სარგებლობენ კანონმდებლობით გათვალისწინებული ამგვარი შეღავათით, მიიღებენ გადასახდელ თანხებს სრულად, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების გარეშე.

## 10. დეფოლტის შემთხვევები

თუ დადგება ნებისმიერი ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა (შემდგომში თითოეული წარმოადგენს „დეფოლტის შემთხვევას“, ხოლო ერთობლივად - „დეფოლტის შემთხვევებს“), „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია „პირობების“ მე-12 მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით „ემიტენტს“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით აცნობოს, რომ „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები ვადამოსულია და მოითხოვოს „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა „პირობების“ შესაბამისად:

- ა) **გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა:** „ემიტენტი“ არ გადაიხდის ძირითად თანხას ან/და პროცენტის ოდენობას ნებისმიერ „ობლიგაციასთან“ მიმართებით გადახდის დღეს და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება გადახდის დღის თარიღიდან 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში;
- ბ) **სხვა ვალდებულების დარღვევა:** „ემიტენტი“ არ ასრულებს/არღვევს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით და წინამდებარე „პროსპექტით“ ნაკისრ ნებისმიერ სხვა ვალდებულებას (გარდა გადახდის ვალდებულებისა, რაც ზემოთ არის მოცემული), მათ შორის, წინამდებარე „პროსპექტის“ მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დათქმებს და ამგვარი დარღვევა: (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და ამასთანავე არის არსებითი ხასიათის; ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ აღნიშნული დარღვევის თაობაზე „ობლიგაციონერების“ მიერ „ემიტენტისთვის“ გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში არ იქნა აღმოფხვრილი;
- გ) **ჯვარედინი დეფოლტი** (ე.წ. Cross-Default):

„ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი „დავალიანება“ „ემიტენტს“ და „პირველი რიგის კრედიტორებს“ შორის „არსებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე, რომელიც ვადამოსულია და არ არის გადახდილი აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევა“ არ ჩაითვლება დამდგარად, თუ გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი „დავალიანების“ ჯამური ოდენობა არ უტოლდება ან არ აღემატება 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში.

## დ) გადახდისუუნარობა:

ნებისმიერი შემდეგი ვითარების დადგომა:

- i. „ემიტენტი“ დაიწყებს ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის პროცედურას;
- ii. ნებისმიერი „პირის“ მიერ „ემიტენტის“ საწინააღმდეგოდ სარჩელის აღძვრა გადახდისუუნარობის პროცედურის დაწყებისთვის, თუკი ასეთ „პირს“ არ ეთქვა უარი მოთხოვნის წარდგენიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;
- iii. „ემიტენტსა“ და მის კრედიტორებს შორის მოლაპარაკების წარმოება „ემიტენტის“ ყველა (ან/და „ემიტენტის“ ვალის მნიშვნელოვანი ნაწილის) ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან
- iv. ლიკვიდაციის პროცედურის დაწყება „ემიტენტის“ მიმართ, რომელიც ეფუძნება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას;

v. „ემიტენტის“ პარტნიორები დაამტკიცებენ „ემიტენტის“ ლიკვიდაციის ან გაუქმების ნებისმიერ გეგმას.

ე) **შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები:** ფულადი თანხის ან სხვა ვალდებულების დაკისრების თაობაზე „ემიტენტის“ წინააღმდეგ სასამართლოების ან სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული და აღუსრულებელი საბოლოო გადაწყვეტილებები, განჩინებები და ბრძანებები, რომელთა საერთო ოდენობა აღემატება „ჯგუფის“ საერთო აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად), ან ნებისმიერი ასეთი საბოლოო გადაწყვეტილების, ბრძანების, განჩინების შედეგად (ა) „ემიტენტის“ ან „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მართვა მთლიანად ან ნაწილობრივ შეიცვალა ან „ემიტენტის“ ან „მნიშვნელოვანი შვილობილის“ საქმიანობის წარმოების უფლებამოსილება სრულად ან ნაწილობრივ შემცირდა, (ბ) განხორციელდა „ემიტენტის“ შემოსავლების და აქტივების, სრული ან ნაწილობრივი ოდენობის (რომლის საბალანსო ღირებულება უტოლდება ან აღემატება მთლიანი შემოსავლების ან აქტივების საბალანსო ღირებულების [10%] (ათი პროცენტს) კონფისკაცია ან დაყადაღება, ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან იძულებით გასხვისება;

ვ) **აღსრულება:** „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების მთლიანი ან არსებითი ნაწილის (რომელიც შეადგენს „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების [10%] პროცენტს) წინააღმდეგ განხორციელდება ნებისმიერი სახის სააღსრულებო პროცესის/წარმოების დაწყება, ან უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ მათი საკუთრებაში მიღება ან გასხვისება;

ზ) **ნებართვები და თანხმობები:** „ემიტენტმა“ არ განახორციელა რაიმე ქმედება ან დაარღვია რაიმე პირობა (ყველა აუცილებელი თანხმობის, განკარგულების, დასტურის, უფლებამოსილების, განაცხადის წარდგენის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა უფლებამოსილების მოპოვების ან განხორციელების ჩათვლით), რომელიც ნებისმიერ დროს საჭიროა მიღებულ იქნას, განხორციელდეს ან შესრულდეს, რათა „ემიტენტს“:

i. შეეძლოს კანონიერად დადოს შეთანხმებები, განახორციელოს მისი არსებითი უფლებები და შეასრულოს გადახდის ვალდებულებები „ობლიგაციების“ შესაბამისად, აგრეთვე შეასრულოს ამ „პროსპექტის“ შესაბამისად და „ობლიგაციებიდან“ და „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე სხვა არსებითი ვალდებულებები,

ii. უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ვალდებულებები მისთვის იყოს სამართლებრივად მზოჭავი და აღსრულებადი, და

iii. უზრუნველყოს, რომ „პროსპექტი“ საქართველოს სასამართლოში წარდგენადი იყოს, როგორც მტკიცებულება.

თ) **ნამდვილობა და უკანონობა:** „ემიტენტი“ სადავოდ ხდის „ობლიგაციების“, „პროსპექტის“, „გირავნობის ხელშეკრულების“, „წილების გირავნობის ხელშეკრულების“ ან „იპოთეკის ხელშეკრულების“ ნამდვილობას ან „ემიტენტი“ უარყოფს „ობლიგაციებით“, „პროსპექტით“, „გირავნობის ხელშეკრულებით“, „წილების გირავნობის ხელშეკრულებით“ ან „იპოთეკის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ თავის რომელიმე არსებით ვალდებულებას და მის შესრულებას ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებით“, „პროსპექტით“, „გირავნობის ხელშეკრულებით“, „წილების გირავნობის ხელშეკრულებით“ ან „იპოთეკის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ნებისმიერი ერთი ან რამდენიმე ვალდებულების შესრულება არის ან გახდება კანონსაწინააღმდეგო ან აღუსრულებადი, ან აღარ იქნება ნამდვილი და სამართლებრივად მზოჭავი.

„ემიტენტი“ ვალდებულებას იღებს, რომ დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება აღნიშნული, აცნობოს „ობლიგაციონერებს“ წინამდებარე მე-10 პუნქტში აღწერილი ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“ წარმოშობის შესახებ.

## 11. ობლიგაციონერების კრებები, ცვლილებების შეტანა და უფლებებზე უარის თქმა

ა) **ობლიგაციონერების კრება:**

- (i) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც გავლენა აქვთ „ობლიგაციონერების“ ინტერესებზე, მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერ დებულებაში ნებისმიერი სახის ცვლილების მიზნით, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე დამსწრე ხმების არანაკლებ 80% (ოთხმოცი პროცენტი) უმრავლესობით (შემდგომში „სპეციალური გადაწყვეტილება“).
- (ii) „ობლიგაციონერების“ ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, მოთხოვნა, თანხმობა ან/და „ობლიგაციონერების“ „პირობებში“ ხსენებული ნებისმიერი სხვა ქმედება/გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „სპეციალურ გადაწყვეტილებად“, მიიღება სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე დამსწრეთა ხმების არანაკლებ 51%-ის (ორმოცდათერთმეტი პროცენტი) უმრავლესობით (შემდგომში „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“) და მხოლოდ მაშინ არის მართებული და შესასრულებლად სავალდებულო, თუ მიღებულია „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ სახით.

ბ) **ობლიგაციონერების კრების მოწვევის უფლებამოსილება:** „ობლიგაციონერების“ კრების მოწვევა შესაძლებელია „ემიტენტის“ ან იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ნომინალური მფლობელების“) მიერ, რომლებიც კრების მოწვევის მომენტში ფლობენ დაუფარავი „ობლიგაციების“ ჯამური ძირითადი თანხის სულ მცირე 25 (ოცდახუთი) პროცენტს. „ობლიგაციონერები“ ან „ემიტენტი“ (საკითხის შესაბამისად) უნდა იყვნენ ინფორმირებულნი „ობლიგაციონერთა“ კრებასთან დაკავშირებით სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამგვარ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს „ობლიგაციონერების“ კრების თარიღი, დრო, ადგილი და მისაღები გადაწყვეტილებების დღის წესრიგი.

გ) **ობლიგაციონერების კრების მოწვევა:**

- i. „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციონერების“ კრების მოწვევის თაობაზე „ობლიგაციონერებს“ უნდა ეცნობოთ სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე (შეტყობინების გაგზავნის დღისა და კრების ჩატარების დღის გამოკლებით) წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად. ამგვარ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს „ობლიგაციონერების“ კრების თარიღი, დრო, ადგილი და მისაღები გადაწყვეტილებების დღის წესრიგი (ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, „ობლიგაციონერების“ კრების მიერ განსახილველი საკითხების დღის წესრიგის ცვლილება შეუძლია მხოლოდ „ემიტენტს“). შეტყობინება ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას შესაბამისი ვადების შესახებ.
- ii. წინამდებარე „პირობების“ მე-13 პუნქტის შესაბამისად, „ემიტენტი“ „ობლიგაციონერებს“ დამატებით შეატყობინებს „ობლიგაციონერების“ კრების დადასტურებულ დროსა და ადგილის, ასეთი კრების გამართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში.
- iii. „ობლიგაციონერთა“ კრების ჩატარება შესაძლებელია როგორც ფიზიკურად, ასევე დისტანციურად (ელექტრონული საშუალებით). „ემიტენტს“ უფლება აქვს გამოიყენოს კრების დისტანციური (ელექტრონული საშუალებით) ჩატარების შესაძლებლობა, თუ: (ა) ამის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია „ემიტენტის“ საერთო კრების მიერ, (ბ) ელექტრონული საშუალებების გამოყენება არ არის დამოკიდებული „ობლიგაციონერის“ ან მისი „წარმომადგენლის“ მოქალაქეობაზე ან ბინადრობის ადგილზე და (გ) შესაძლებელია „ობლიგაციონერის“ ან მისი „წარმომადგენლის“ სარწმუნო იდენტიფიცირება.
- iv. „ემიტენტთან“ შესაბამისი კომუნიკაციის საფუძველზე, „ობლიგაციონერებს“ ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოითხოვონ ინფორმაციის წერილობით მიწოდება.

დ) **ობლიგაციონერების კრების თავმჯდომარე:**

„ობლიგაციონერების“ კრების თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით ნიშნავს „ემიტენტი“. თუ „ემიტენტი“ არ დანიშნავს კრების თავმჯდომარეს ან დანიშნული თავმჯდომარე არ გამოცხადდება კრებაზე მისი დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, მაშინ მოწვეულ უნდა იქნას „განმეორებითი კრება“.

სავალდებულო არ არის, რომ „განმეორებით კრების“ თავმჯდომარე იყოს ის პირი, რომელიც თავმჯდომარეობდა თავდაპირველ კრებას.

ე) **ობლიგაციონერების მიერ წარმომადგენლის დანიშვნა:**

- (i) “ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია შესაბამის კრებამდე სულ მცირე 48 (ორმოცდარვა) საათით ადრე „ემიტენტს“ მიაწოდოს ქართულენოვანი წერილობითი დოკუმენტი (ან, სხვა ენაზე შედგენის შემთხვევაში, ორენოვანი დოკუმენტი, საიდანაც ერთ-ერთი ენა უნდა იყოს ქართული) („მინდობილობა“), რომელიც ფიზიკური პირის შემთხვევაში ხელმოწერილია „ობლიგაციონერის“ მიერ და დამოწმებულია ნოტარიულად, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, დასმულია ასეთი იურიდიული პირის ბეჭედი და ხელმოწერილია მისი უფლებამოსილი დირექტორის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ, და ამ დოკუმენტის საფუძველზე დანიშნოს წარმომადგენელი („წარმომადგენელი“), რომელიც იმოქმედებს „ობლიგაციონერის“ სახელით, „ობლიგაციონერების“ ნებისმიერ კრებასთან დაკავშირებით.
- (ii) ზედა პუნქტის შესაბამისად დანიშნული ნებისმიერი „წარმომადგენელი“, მათი დანიშვნის მოქმედების ვადის განმავლობაში, „ობლიგაციონერთა“ კრების ან „განმეორებითი კრების“ მიზნებისთვის, ჩაითვლება იმ „ობლიგაციების“ მფლობელად, რომელთა მიმართაც მისი დანიშვნა განხორციელდა.
- (iii) ნებისმიერი ხმა, რომელიც მიცემულია „წარმომადგენლის“ მიერ შესაბამისი „მინდობილობის“ პირობების შესაბამისად, ითვლება ნამდვილად, იმ პირობით, რომ შესაბამისი კრების ჩატარების დრომდე სულ მცირე 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე არ მომხდარა „ემიტენტისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა „მინდობილობის“ გამოხმობის, გაუქმების ან/და ცვლილების თაობაზე.

ვ) **ობლიგაციონერების კრებაზე დასწრება:**

კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება აქვთ:

- (ix) „ობლიგაციონერებს“ ან მათ „წარმომადგენლებს“;
- (x) კრების თავმჯდომარეს; და
- (xi) „ემიტენტს“, ისევე როგორც მის ფინანსურ, სამართლებრივ ან სხვა მრჩეველებს;

სხვა პირებს არ აქვთ კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება.

ზ) **ობლიგაციონერების კრების მოწვევის კვორუმი:**

- i. „სპეციალური გადაწყვეტილება“: „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული ნებისმიერი კრების კვორუმს წარმოადგენს (i) ორი ან მეტი პირი, რომლებიც „ობლიგაციონერების“ კრების განხილვის დროს ფლობენ ან წარმოადგენენ „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან (ii) ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ დროს, ორი ან მეტი „ობლიგაციონერი“, მიუხედავად „ობლიგაციების“ იმ ძირი ოდენობისა, რომელსაც ისინი ფლობენ ან წარმოადგენენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი კრების საქმიანობა მოიცავს, შემდეგი „სპეციალური გადაწყვეტილების“ შესახებ წინადადებების განხილვას:

- a. „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის გადახდის თარიღის ან ნებისმიერი „პროცენტის გადახდის თარიღის“ ცვლილება;
- b. „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადახდის ოდენობის დაანგარიშების მეთოდის ცვლილება;
- c. „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის ან სარგებლის ოდენობის ცვლილება;
- d. თანხმობის გამოცხადება „ემიტენტის“ ან ნებისმიერი სხვა სუბიექტის აქციებში, „ობლიგაციებში“ ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში ობლიგაციების გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტირებაზე;



- e. „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ანგარიშსწორების ვალუტის ცვლილება (გარდა იმ ცვლილებისა, რომელიც აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად);
- f. „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო კვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილება;
- g. წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილება, ან
- h. „დეფოლტის შემთხვევისგამო“ „ობლიგაციების“ ვადამოსულად გამოცხადება/დეფოლტის გამოცხადება;
- i. „გირავნობის ხელშეკრულებიდან“, „წილების გირავნობის ხელშეკრულებიდან“ და „იპოთეკის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე სააღსრულებო პროცედურების დაწყება, ასევე აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის საგნის ჩანაცვლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება/თანხმობის მიცემა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზემოთ მითითებულ საგამონაკლისო შემთხვევებში, მსგავსი „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების კვორუმის აუცილებელი ოდენობა იქნება ორი ან მეტი პირი, რომელიც განხილვის დროს ფლობს ან წარმოადგენს „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან განმეორებით კრებაზე - არანაკლებ ერთ მესამედს.

**i. „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“**

„ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული კრების კვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც „ობლიგაციონერების“ კრების განხილვის დროს ფლობს ან წარმოადგენს „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი ასეთი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - ორ ან მეტ პირს, რომელიც ესწრება ან წარმოადგენს „ობლიგაციონერებს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული „ობლიგაციების“ ძირი თანხისა.

**თ) ობლიგაციონერების კრების გადაწყვეტილება უნარიანობა და გადადება:**

- (i) არცერთი საკითხი (გარდა თავმჯდომარის არჩევისა) არ უნდა გადაწყდეს კრებაზე, თუ ამგვარი საკითხის განხილვისას კრებაზე არ არის წარმოდგენილი შესაბამისი კვორუმი. თუ კვორუმი არ შედგა კრების დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, ამგვარი კრება უნდა გადაიდოს და განმეორებით ჩატარდეს თავდაპირველი კრების თარიღიდან არა უადრეს მე-7 და არა უგვიანეს 30-ე კალენდარული დღისა. თუ ამგვარ „განმეორებით კრებაზე“ კვორუმი არ შედგება კრების დაწყების დროიდან 30 (ოცდაათი) წუთის განმავლობაში, კრება დათხოვილ უნდა იქნას.
- (ii) „განმეორებითი კრების“ დროსა და ადგილს განსაზღვრავს „ემიტენტი“. განმეორებით კრებაზე დასაშვებია მხოლოდ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელთა გადაწყვეტა დასაშვები იყო თავდაპირველ კრებაზე.
- (iii) „განმეორებითი კრების“ შესახებ შეტყობინება უნდა გაკეთდეს იმ ფორმით, რომლითაც გაკეთდა თავდაპირველი კრების შესახებ შეტყობინება.

**ი) ხმის მიცემა:**

- (i) „ობლიგაციონერების“ კრების წინაშე დასმული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავმჯდომარე, „ემიტენტი“ ან ერთი ან მეტი პირი, რომლებიც ჯამში წარმოადგენენ „ობლიგაციების“ 10%-ს, მოითხოვს (ხელის აწევის პროცედურის დაწყებამდე ან ხელის აწევის პროცედურის შედეგების გამოცხადებისას) კენჭისყრის ჩატარებას.
- (ii) თუ კენჭისყრა არ იქნა მოთხოვნილი, თავმჯდომარის განცხადება იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება იქნა ან არ იქნა მიღებული, წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების ან არმიღების საკმარის მტკიცებულებას, გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობის მტკიცებულების გარეშე.

- (iii) თუ კენჭისყრა იქნა მოთხოვნილი, გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ამ ფორმით და კენჭისყრა უნდა ჩატარდეს იმ მომენტშივე ან განმეორებით კრებაზე, როგორც ამას თავმჯდომარე გადაწყვეტს. კენჭისყრის შედეგი უნდა ჩაითვალოს იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იგი იქნა მოთხოვნილი, და იმ თარიღის გადაწყვეტილებად, როცა იგი იქნა მიღებული. კენჭისყრის ჩატარების მოთხოვნა ხელს არ უშლის კრებას გადაწყვეტოს სხვა საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც კენჭისყრა არ არის მოთხოვნილი.
- (iv) კენჭისყრა, რომელიც მოთხოვნილია თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხთან დაკავშირებით, უნდა ჩატარდეს იმავე მომენტში.
- (v) ხელის აწევით გადაწყვეტილების მიღებისას, თითოეულ პირს, რომელიც ესწრება კრებას და არის „ობლიგაციონერი“ ან მისი „წარმომადგენელი“, აქვს ხმის მიცემის უფლება. ამასთან, 1 (ერთი) ობლიგაცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას „ობლიგაციონერების“ კრებაზე (1 ობლიგაცია = 1 ხმა). პირს, რომელსაც აქვს ერთზე მეტი ხმის უფლება, არ არის ვალდებული გამოიყენოს ყველა ხმა ან გამოიყენოს ყველა მათგანი ერთნაირად.

**კ) ობლიგაციონერების კრების გადაწყვეტილების ძალაში შესვლა:**

- (i) **„სპეციალური გადაწყვეტილება“:** „პირობების“ 11 (ა)(i) ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით მიღებული/ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „სპეციალური გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ.
- (ii) **„ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“:** „პირობების“ 11 (ა)(ii) ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით მიღებული/ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ ან მისი სახელით.
- (iii) „ობლიგაციონერების“ კრებაზე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, იგი არის „სპეციალური გადაწყვეტილება“ თუ არა, აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა ყველა „ობლიგაციონერისთვის“, მიუხედავად იმისა, ისინი ესწრებოდნენ თუ არა კრებას.
- (iv) „ობლიგაციონერების“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე და ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ.

**ლ) კრების ოქმები:**

კრების ოქმები უნდა შედგეს თითოეულ კრებაზე, ყველა გადაწყვეტილებასა და პროცედურასთან დაკავშირებით, და ხელმოწერილი უნდა იქნას იმავე კრების თავმჯდომარის მიერ. ამგვარი ოქმი წარმოადგენს მასში განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტის საკმარის მტკიცებულებას. სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, ყველა კრება, რომლისთვისაც შედგა და ხელი მოეწერა ოქმს, ითვლება სათანადო წესით მოწვეულად და ჩატარებულად, და ყველა მასზე მიღებული გადაწყვეტილება და განხორციელებული პროცედურა მიიჩნევა სათანადო წესით მიღებულად და განხორციელებულად.

**მ) დეფოლტის გამოცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება**

ნებისმიერი „სპეციალური გადაწყვეტილება“, რომელსაც „ობლიგაციონერები“ მიიღებენ „დეფოლტის შემთხვევის“ გამო დეფოლტის გამოცხადებისა და შესაბამისი სააღსრულებო პროცედურების დაწყების მიზნით, მიღებული უნდა იქნას ზემოთ განსაზღვრული წესით. ასეთი გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს (ა) გადაწყვეტილებას იმის

თაობაზე, თუ რომელ სააღსრულებო წარმოებას მიმართავენ „ობლიგაციონერები“ და რა თანმიმდევრობით (მაგ: მიმართავენ თუ არა მოთხოვნის უზრუნველყოფის რომელიმე მექანიზმის აღსრულებას და თუ მიმართავენ, რომელს/რომლებს და ა.შ.); (ბ) მითითებას შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე უფლებამოსილი ან/და პასუხისმგებელი პირის თაობაზე; და (გ) ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულირებას, რასაც „ობლიგაციონერები“ საჭიროდ ჩათვლიან დეფოლტის გამოცხადებასთან დაკავშირებული თემების ადმინისტრირების მიზნით.

## 12. აღსრულება

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „პირობების“ მე-10 პუნქტით („დეფოლტის შემთხვევები“) გათვალისწინებული რომელიმე „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის გამო „ობლიგაციონერების“ კრებამ მიიღო „სპეციალური გადაწყვეტილება“ დეფოლტის გამოცხადების თაობაზე, „ობლიგაციონერებს“ უფლება აქვთ „ემიტენტის“ წინააღმდეგ დაიწყონ წინამდებარე „პროსპექტი“, „გირავნობის ხელშეკრულებით“, „წილების გირავნობის ხელშეკრულებით“ ან/და „იპოთეკის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული აღსრულების ღონისძიებები თავიანთი შეხედულებისამებრ, მხოლოდ შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- (i) „ობლიგაციონერების“ კრებამ მიიღო „სპეციალური გადაწყვეტილება“ „დეფოლტის შემთხვევის“ გამო დეფოლტის გამოცხადებისა და „ემიტენტის“ წინააღმდეგ სააღსრულებო პროცესის დაწყების თაობაზე, წინამდებარე „პროსპექტი“ გათვალისწინებული წესების დაცვით;
- (ii) „სპეციალური გადაწყვეტილება“ უნდა შეიცავდეს 11 (მ) ქვეპუნქტში გათვალისწინებულ პირობებს;
- (iii) „სპეციალური გადაწყვეტილების“ მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) „სამუშაო დღის“ ვადაში „ობლიგაციონერებმა“ წერილობით უნდა შეატყობინონ „ემიტენტს“, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ შედეგად „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები ვადამოსულია და ექვემდებარება გადახდას, „პროსპექტი“ გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- (iv) სააღსრულებო პროცესის დაწყება არ უნდა განხორციელდეს „ობლიგაციონერების“ კრების მიერ დეფოლტის გამოცხადებიდან და შესაბამისი „სპეციალური გადაწყვეტილების“ ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში. ამასთან, „ემიტენტი“ უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გაასაჩივროს აღნიშნული „სპეციალური გადაწყვეტილება“ წინამდებარე „პირობებით“ განსაზღვრულ დავების განმხილველ ორგანოში.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ დეფოლტის გამოცხადება და „ემიტენტის“ წინააღმდეგ სააღსრულებო წარმოების დაწყება შესაძლებელია მხოლოდ „ობლიგაციონერების“ კრების მიერ მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე და „ობლიგაციონერები“ ინდივიდუალურად არ არიან უფლებამოსილნი, განახორციელონ „გირავნობის ხელშეკრულებით“, „იპოთეკის ხელშეკრულებით“ ან „წილების გირავნობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული აღსრულების რომელიმე ღონისძიება „ემიტენტის“ წინააღმდეგ, გარდა ქვემოთ გათვალისწინებული შემთხვევისა.

ნებისმიერი „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია დაიწყოს „ემიტენტის“ წინააღმდეგ სააღსრულებო წარმოება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (i) დადგა „პირობების“ მე-10 (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევა“ (გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა) და (ii) წინამდებარე „პირობებით“ დადგენილი წესებით მოწვეულ და ჩატარებულ „ობლიგაციონერთა“ კრებაზე არ იქნა მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილება“ დეფოლტის გამოცხადების თაობაზე, და (iii) „ობლიგაციონერთა“ ასეთი კრების ჩატარებიდან გასულია 3 (სამი) თვე და „ემიტენტს“ გადახდის ვალდებულება ამ დრომდე არ შეუსრულებია. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი „ობლიგაციონერი“, რომელიც მიმართავს აღსრულების რომელიმე პროცედურას „ემიტენტის“ წინააღმდეგ, უფლებამოსილია აღსრულება დაიწყოს მხოლოდ ყველა „ობლიგაციონერის“ სახელით, ხოლო „ემიტენტის“ მიერ

აღნიშნული „ობლიგაციონერის“ წინაშე ვალდებულების შესრულება „ემიტენტს“ ჩაეთვლება ყველა სხვა „ობლიგაციონერის“ წინაშე ვალდებულების შესრულებად.

### 13. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციონერებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ უნდა გაეგზავნოს წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მათ ელ-ფოსტაზე ან მისამართზე და შეტყობინების გამოქვეყნებით (მათ შორის, შეუზღუდავად, „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით), ან „ობლიგაციონერებისთვის“ და „რეგისტრატორისთვის“ შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, შეტყობინების „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შემთხვევაში, „ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციონერებს“ ან/და „ნომინალურ მფლობელებს“ იმავე დღეს უნდა გაეგზავნოს წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მათ ელ-ფოსტაზე.

„ემიტენტის“ შეტყობინების გამოქვეყნების ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, ამგვარი შეტყობინება მიწოდებულად ითვლება შესაბამისი ელ-ფოსტის გაგზავნის დღეს. თუ შეტყობინება რამდენჯერმე გამოქვეყნდა ან გაიგზავნა, შეტყობინება მიწოდებულად ითვლება მისი პირველად გამოქვეყნების და ელ-ფოსტის გაგზავნის დღეს. იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გაგზავნის თარიღიდან მე-4 სამუშაო დღეს.

ყოველგვარი ექვსის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ფიზიკური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადოდ წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტის მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ობლიგაციონერებს“ ინფორმაციას „ობლიგაციონერების“ კრების მოწვევის შესახებ ან/და შეტყობინებას გამოაქვეყნებს „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე ან მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა გზით.

რეგულირებადი ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით, გამოყენებული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე საჯარო წყარო (<https://reportal.ge/>; <https://gse.ge/>; სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; „ემიტენტის“ ვებ-გვერდი), რომლებზეც განხორციელდება რეგულირებული ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის „გამჭვირვალობის წესის“ მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება:

- (ა) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
- (ბ) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ;
- (გ) ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;
- (დ) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და „ემიტენტის“ საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ;

„ემიტენტი“ რეგულირებადი ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებთან მიმართებით, გეგმავს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების გამოყენებას, რომლის ცვლილებების შემთხვევაში შესაბამისად უზრუნველყოფს „ობლიგაციონერთა“ ინფორმირებას:

(ა) პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: <https://reportal.ge/>;

(ბ) კრებებთან/გადაწყვეტილებებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული პორტალი ან „ემიტენტის“ ვებ-გვერდის მეშვეობით ან მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა გზით;

(გ) ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან მიმდინარე ანგარიშები, რომლებიც მოთხოვნილია საქართველოს საფონდო ბირჟის წესებით, „გამჭვირვალობის წესითა“ და „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით“; „ემიტენტის“ ან საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდი ან მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა გზით.

(დ) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და „ემიტენტის“ პარტნიორთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ.

#### 14. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ ტერმინებს (თუკი კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს) გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობები:

**„არსებითად უარყოფითი გავლენა“** ნიშნავს არსებითად უარყოფით ცვლილებას ან არსებითად უარყოფით გავლენას: (ა) „ემიტენტის“ ან „მნიშვნელოვანი შვილობილების“ (ერთად აღებული) ბიზნესზე, ოპერაციათა შედეგებზე, ქონებაზე, აქტივებზე, (ფინანსურ თუ სხვაგვარ) მდგომარეობაზე ან პერსპექტივებზე; (ბ) „ემიტენტის“ უნარზე, შეასრულოს ან განახორციელოს თავისი ვალდებულებები „ობლიგაციების“ შესაბამისად; ან (გ) „ობლიგაციების“ ნამდვილობაზე ან აღსრულებადობაზე.

**„არსებული საკრედიტო ხელშეკრულებები“** ნიშნავს ობლიგაციების „გამომწვევის თარიღზე“ „ემიტენტს“ და „პირველი რიგის კრედიტორებს“ შორის გაფორმებულ შემდეგი სესხის/საკრედიტო ხელშეკრულებებს ერთობლივად:

(ა) სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება N0011.8076934.001;

(ბ) სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულება N5920897-12904309;

(გ) სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულება N5920897-12904311;

(დ) სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული სასესხო პროდუქტების მომსახურების ხელშეკრულება #0011.8076934.001, შესაბამისი ცვლილებები და დანართი N1;

(ე) სს „საქართველოს ბანკთან“ გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ დამატებითი პირობები N2 GCL000594731-11058189;

(ვ) სს „საქართველოს ბანკთან“ გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულება NGCLCA000732919-9772084 და NGCLCA000732909-9750581.

**„აკრძალული გადახდ(ებ)ი“** აქვს „პირობების“ მე- 5 (თ) ქვეპუნქტით („აკრძალული გადახდები“) გათვალისწინებული მნიშვნელობა.

**„TIBR6M“** ნიშნავს უახლეს განაკვეთს, რომელიც გამოსახულია როგორც „TIBR6M“ „სებ-ის (იგივე „საქართველოს ეროვნული ბანკის“) ვებ-გვერდის ეკრანზე“ სათაურით „თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთი – TIBR ინდექსი“ „საპროცენტო პერიოდთან“ მიმართებით „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“, თბილისის დროით დილის 11:00 საათისთვის.

**„ანგარიშსწორების თარიღი“** ნიშნავს დღეს, როცა „ობლიგაციის“ თითოეული მფლობელი ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას „ობლიგაციების“ მიღების სანაცვლოდ.

**„აფილირებული პირი“** ნებისმიერ კონკრეტულ „პირთან“ მიმართებით ნიშნავს (ა) ნებისმიერ სხვა „პირს“, რომელიც პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს ამგვარ კონკრეტულ „პირს“, ან კონტროლდება მის მიერ, ან მასთან ერთად იმყოფება საერთო პირდაპირი ან ირიბი კონტროლის ქვეშ, ან (ბ) ნებისმიერ სხვა „პირს“, რომელიც არის ამგვარი კონკრეტული „პირის“ ან ამგვარი კონკრეტული „პირის“ ნებისმიერი „შვილობილის“ ან ზემო (ა) პუნქტში აღწერილი ნებისმიერი სხვა „პირის“ დირექტორი ან მმართველობის ორგანოს წევრი.

**„გადასახადი“** ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, ბაჟს, მოსაკრებელს ან მსგავსი ტიპის სხვა გადასახადს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომლის ოდენობა და გადახდის წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

**„გადავადებული განთავსების თარიღი“** - აქვს „პირობების დოკუმენტით“ გათვალისწინებული მნიშვნელობა.

**„გადავადებული განთავსების ფასი“** - აქვს „პირობების დოკუმენტით“ გათვალისწინებული მნიშვნელობა.

**„გამომშვების თარიღი“** ნიშნავს თარიღს, როდესაც ხდება „ობლიგაციების“ გამომშვება, როგორც ეს მითითებულია „პირობების დოკუმენტში“.

**„გამჭვირვალობის წესი“** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება #181/04 „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“, მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

**„განმეორებითი კრება“** ნიშნავს „ობლიგაციონერების“ კრებას, რომლითაც გრძელდება წინამორბედი კრება, სადაც ვერ შედგა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი კვორუმი.

**„გირავნობის ხელშეკრულება“** ნიშნავს „ემიტენტს“ და „ობლიგაციონერებს“ შორის გაფორმებულ გირავნობის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე მეორე რიგის გირავნობის უფლებით იტვირთება „ემიტენტის“ საკუთრებაში არსებული ან სამომავლო ნებისმიერი და ყველა ქონება/აქტივი (დეტალურად გირავნობის საგნის ჩამონათვალი/აღწერილობა მოცემულია „გირავნობის ხელშეკრულებაში“) „ობლიგაციონერების“ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად „ემიტენტის“ წინაშე. „გირავნობის ხელშეკრულება“ დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე „პროსპექტს“.

**„წილების გირავნობის ხელშეკრულება“** ნიშნავს შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზს“, შპს „ინვესტიკო ალიანსეს“ და „ობლიგაციონერებს“ შორის გაფორმებულ გირავნობის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე მეორე რიგის გირავნობის უფლებით იტვირთება „ემიტენტის“ კაპიტალში შპს „ვოთერთრაილ ინდასტრიზის“ კუთვნილი 71%-იანი წილი და შპს „ინვესტიკო ალიანსეს“ 29%-იანი წილი.

**„დამოუკიდებელი შემფასებელი“** არის აუდიტორული კომპანია ან მესამე მხარე – ექსპერტი, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეირჩევა ემიტენტის მიერ და დამტკიცებულ იქნება „ობლიგაციონერების“ მიერ იმ პირობით, რომ ეს ფირმა ან მესამე მხარე არ უნდა იყოს ემიტენტთან „აფილირებული პირი“.

**„დაფარვის თარიღი“** ნიშნავს თარიღს, როცა „ემიტენტმა“ უნდა გაანადღოს „ობლიგაციები“ მათი ძირითად თანხასა და მათზე დარიცხულ და გადაუხდელ სარგებელთან“ ერთად და რომელიც განისაზღვრება „პირობების დოკუმენტით“.

**„დავალიანება“** ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ დაკავშირებით, განსაზღვრის ნებისმიერ თარიღზე (დუბლირების გარეშე):

(ა) ამგვარი „პირის“ მიერ ფულის სესხების შედეგად წარმოქმნილ ყველა დავალიანებას;

(ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ფინანსურ ვალდებულებას, რაც დასტურდება ობლიგაციებით, სადებეტო ოპერაციებით, თამასუქებით ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებით;

(გ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს აკრედიტივებიდან, გარანტიებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან (რაც მოიცავს მათთან დაკავშირებულ ანაზღაურების ვალდებულებებს), ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში გაცემული ნებისმიერი აკრედიტივის, გარანტიის ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტის გარდა;

(დ) ამგვარი „პირის“ ყველა დავალიანებას, რომელიც უზრუნველყოფილია ამ „პირის“ მიერ თავის ნებისმიერ აქტივზე (რომლის ღირებულება მოცემული მიზნებისათვის განისაზღვრება ამგვარი აქტივის საბალანსო ღირებულებით „უზრუნველყოფის საშუალების“ მიმცემი „პირის“ ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგების (რომლებიც მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად) მიხედვით მინიჭებული „უზრუნველყოფის საშუალებით“ მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა ამგვარი „პირი“ ამგვარ დავალიანებას;

(ე) ამგვარი „პირის“ ყველა დავალიანებას, რომელიც გარანტირებულია ან დაზღვეულია ამ „პირის“ მიერ, არა უმეტეს ამ „პირის“ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის მოცულობით;

(ვ) იმ ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მოზიდულ ნებისმიერ თანხას, რომლებიც ექვემდებარება გამოსყიდვას;

(ზ) წმინდა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ნებისმიერი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების ხელშეკრულებიდან; და

(თ) ნებისმიერი სხვა ტრანზაქციიდან გამომდინარე მოზიდული ნებისმიერი თანხა, რომელსაც სესხის ტოლფასი ეკონომიკური ან კომერციული ეფექტი გააჩნია, გარდა „ემიტენტის“ ან/და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი ვალდებულებისა/დავალიანებისა, რომელიც აღებულია ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ქონების ან მომსახურების, მათ შორის და არა მხოლოდ, მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადავადებული ან გადახდის განვადებით ნასყიდობის ან/და გადაუხდელი ნასყიდობის/მომსახურების ფასის გადახდასთან.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „დავალიანება“ არ მოიცავს და „დავალიანებაში“ არ გაითვალისწინება შემდეგი: (i) „ემიტენტის“ ან/და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი ნებისმიერი და ყველა დავალიანება; (ii) „ემიტენტის“ ან/და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი და ყველა დავალიანება საქონლის ან მომსახურების მიმწოდებლების მიმართ, რომელიც წარმოიშობა „ემიტენტის“ ან/და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საქონლის ან მომსახურების ნასყიდობის შემთხვევაში; (iii) „ემიტენტის“ ან/და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი და ყველა დავალიანება „ძირითადი

საშუალებების“ მიმწოდებლების მიმართ, რომელიც წარმოიშობა ამგვარი „ძირითადი საშუალებების“ განვადებით ნასყიდობის შედეგად; (iv) „ემიტენტის“ ან/და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი არსებული და სამომავლო სესხი, რომელიც სუბორდინირებულია „ობლიგაციების“ მიმართ; (v) IFRS16-ით განმარტებული და გათვალისწინებული ფინანსური საიჯარო ვალდებულებები.

**„ემიტენტი“ ან „კომპანია“** ნიშნავს შპს „სელფი მობაილს“, რომელიც დაფუძნებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204450584).

**„თბილისის საფონდო ბირჟა“ (TSE)** ნიშნავს სს „თბილისის საფონდო ბირჟას“

**„იპოთეკის ხელშეკრულება“** ნიშნავს „ემიტენტს“ და „ობლიგაციონერებს“ შორის გაფორმებულ იპოთეკის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე მეორე რიგის იპოთეკის უფლებით იტვირთება „ემიტენტის“ საკუთრებაში არსებული ან სამომავლო ნებისმიერი და ყველა ქონება/აქტივი (დეტალურად იპოთეკის საგნის ჩამონათვალი/აღწერილობა მოცემულია „იპოთეკის ხელშეკრულებაში“) „ობლიგაციონერების“ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად „ემიტენტის“ წინაშე. „იპოთეკის ხელშეკრულება“ დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე „პროსპექტს“.

**„კონტროლი“** წინამდებარე განსაზღვრების შესაბამისად (დაკავშირებული მნიშვნელობებით ტერმინებისათვის „მაკონტროლებელი“, „კონტროლირებადი“ ან „საერთო კონტროლის ქვეშ“), ნიშნავს კაპიტალის ფლობის მეშვეობით, ხელშეკრულების საფუძველზე ან სხვაგვარად პირის ხელმძღვანელობის და პოლიტიკის წარმართვის უფლებამოსილებას.

**„მნიშვნელოვანი შვილობილი“** არის „ემიტენტის“ ნებისმიერი „შვილობილი“, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე პირობას:

ა) რომელიც უკანასკნელი 12 თვის დასრულებისას ფლობდა „ემიტენტის“ ან/და მისი სხვა „შვილობილების“ „კონსოლიდირებული მთლიანი აქტივების“ 10%-ზე (ათ პროცენტზე) მეტს („ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების მიხედვით, კომპანიათაშორისი ელიმინაციების შემდეგ);

ბ) რომლის „კონსოლიდირებული EBITDA-ც“ უკანასკნელი 12 თვის პერიოდში შეადგენდა „ემიტენტის“ ან/და მისი სხვა „შვილობილების“ „კონსოლიდირებული EBITDA-ს“ 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტს („ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ და „შვილობილების“ კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების მიხედვით, კომპანიათაშორისი ელიმინაციების შემდეგ);

გ) წარმოადგენს „შვილობილს“, რომელსაც გადაეცემა პრაქტიკულად ყველა აქტივი და ვალდებულება „ემიტენტის“ იმ „შვილობილისაგან“, რომელიც ამგვარი გადაცემის მომენტამდე წარმოადგენდა „მნიშვნელოვან შვილობილს“ (ვრცელდება ამ ტრანზაქციის თარიღის შემდგომ)

**„ნებადართული უზრუნველყოფები“** არის:

(ა) „გამოშვების თარიღზე“ „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ აქტივებზე/ქონებაზე არსებული ნებისმიერი და ყველა „უზრუნველყოფის საშუალება“;



(ბ) ნებისმიერი „შვილობილის“ მიერ „ემიტენტის“ ან „ემიტენტის“ იმ „შვილობილის“ სასარგებლოდ გაცემული „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელშიც „ემიტენტი“ ფლობს აქციების/წილის 100 (ასი) პროცენტს;

(გ) „პირის“ „დავალიანების“ „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც არსებობდა იმ დროს, როდესაც მოხდა ამგვარი „პირის“ შერწყმა ან კონსოლიდაცია „ემიტენტთან“ ან „ემიტენტის“ „შვილობილთან“, ან როდესაც ამგვარი „პირი“ გახდა „ემიტენტის“ „შვილობილი“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ (i) არ შექმნილა ამგვარი შერწყმის ან კონსოლიდაციის მიზნებისათვის; და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან „ემიტენტის“ ნებისმიერი „შვილობილის“ რაიმე აქტივზე ან ქონებაზე (გარდა შექმნილი „პირისა“ და მისი „შვილობილების“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტივების ან ქონებისა);

(დ) „ემიტენტის“ ან „ემიტენტის“ „შვილობილის“ მიერ შექმნილ ან შესაძენ აქტივებზე ან ქონებაზე უკვე არსებული „უზრუნველყოფის საშუალება“ იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ არ წარმოქმნილა ამგვარი შექმნის მიზნებისათვის და იგი არ ვრცელდება ნებისმიერ სხვა აქტივზე ან ქონებაზე (გარდა ამგვარი შექმნილი აქტივებიდან ან ქონებიდან მიღებული შემოსავლისა);

(ე) „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც გაიცა „ჯგუფის“ რომელიმე წევრის მიერ რაიმე ქონების შექმნისას ან შექმნასთან დაკავშირებით ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის ან იმ „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად, რომელიც აღებულია მხოლოდ ამ ქონების შექმნისა და შექმნასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“ უზრუნველყოფილი „დავალიანების“ მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ქონების ნასყიდობის ფასს, შექმნასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან/და მხოლოდ ქონების შექმნის დასაფინანსებლად წარმოქმნილი „დავალიანების“ ოდენობას;

(ვ) ნებისმიერი გაქვითვის მექანიზმი, რომლის მხარესაც წარმოადგენს „ჯგუფის“ რომელიმე წევრი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში კრედიტისა და დებეტის ბალანსის ურთიერთგაქვითვის მიზნით;

(ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“ ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე ან მათ ნაწილზე, რომელიც წარმოიქმნა მისაღები ფულადი სახსრების (receivables) სექიურითიზაციასთან (securitisation) ან აქტივებით გამყარებულ დაფინანსებასთან (asset-backed financing) ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსებასთან დაკავშირებით, სადაც ყველა გადახდის ვალდებულება უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან;

(თ) „უზრუნველყოფის საშუალება“ არსებულ ან სამომავლო აქტივებზე ან შემოსავლებზე ან მათ ნაწილზე, რაც შექმნილია რეპო ოპერაციის შესაბამისად;

(ი) ნებისმიერი იმ შეთანხმებიდან (ან სხვა შესაბამისი პირობიდან) წარმომობილი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სტანდარტულია ან ჩვეულია შესაბამის ბაზარზე და უკავშირდება საპროცენტო განაკვეთისა და უცხოური ვალუტის ჰეჯირების ოპერაციებს;

(კ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც წარმოიქმნება კანონის ძალით და „კომპანიის“ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის - საგადასახადო და სხვა არანებაყოფლობითი „უზრუნველყოფის საშუალება“;

(ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სხვაგვარად არ არის ნებადართული ზემო ქვეპუნქტებში (ა)-დან (კ)-ს ჩათვლით იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“ უზრუნველყოფილი „დავალიანების“ ჯამური ძირითადი თანხა ნებისმიერ დროს არ აღემატება ბოლო „ფისკალური პერიოდის“ კონსოლიდირებული

ბალანსის (რომელიც მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად) მიხედვით დაანგარიშებული „ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების [10%] პროცენტს;

(მ) „ემიტენტის“ და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ არსებულ ან სამომავლო ნებისმიერ ქონებაზე ობლიგაციების „გამომშვების თარიღზე“ არსებული ნებისმიერი პირველი რიგის გირავნობა და იპოთეკა, რომელიც უკავშირდება და უზრუნველყოფს ობლიგაციების „გამომშვების თარიღზე“ „არსებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე „პირველი რიგის კრედიტორების“ წინაშე „ემიტენტის“ ვალდებულებებს. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუ „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებული ობლიგაციების განთავსებიდან მიღებული თანხით მოხდება „ემიტენტის“ მიერ „პირველი რიგის კრედიტორების“ მიმართ არსებული ფულადი ვალდებულებების შემცირება 20 (ოცი) მილიონ ლარამდე, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე „პროსპექტის“ მე-3 მუხლის („შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები“) 3.3 პუნქტში, აღნიშნული პირველი რიგის გირავნობის და იპოთეკის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უზრუნველყოფილი მოთხოვნების მაქსიმალური ჯამური მოცულობა, რომლის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილდეს პირველი რიგის კრედიტორთა მიმართ არსებული ვალდებულებები შემცირდება და განისაზღვრება არაუმეტეს 30 (ოცდაათი) მილიონი ლარით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებული ობლიგაციების განთავსებიდან მიღებული თანხით „ემიტენტის“ მიერ ფულადი ვალდებულებებიდან გამომდინარე დავალიანების დაფარვის შემდეგ „პირველი რიგის კრედიტორების“ მიმართ „არსებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე დარჩენილი ფაქტობრივი დავალიანების (ნარჩენი ვალდებულება) მოცულობა იქნება 20 (ოცი) მილიონი ლარზე მეტი, აღნიშნული პირველი რიგის გირავნობით და იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნების ჯამური მაქსიმალური მოცულობა იქნება „პირველი რიგის კრედიტორების“ მიმართ ასეთი დაფარვის მომენტისთვის დარჩენილი დავალიანების (ნარჩენი ვალდებულება) ოდენობას დამატებული 10 (ათი) მილიონი ლარის ტოლი თანხა, როგორც ეს აღწერილია „პროსპექტის“ მე-3 მუხლის („შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები“) 3.3 პუნქტში.

(ნ) „ემიტენტის“ და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ არსებულ ან სამომავლო ნებისმიერ ქონებაზე წარმოშობილი ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც უკავშირდება და უზრუნველყოფს „ემიტენტის“ ვალდებულებებს „ობლიგაციონერების“ წინაშე, წინამდებარე „პროსპექტის“, „გირავნობის ხელშეკრულების“ და „იპოთეკის ხელშეკრულების“ საფუძველზე.

„ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელს „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით“ განსაზღვრული მნიშვნელობით.

„ობლიგაციონერი“ (მრავლობით რიცხვში „ობლიგაციონერები“) ნიშნავს ობლიგაციის რეგისტრირებულ მესაკუთრეს, როგორც ეს განსაზღვრულია „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობაში“.

„პირი“ არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, კორპორაცია, ფირმა, ამხანაგობა, ერთობლივი საქმიანობის საწარმო, ასოციაცია, სატრასტო გაერთიანება, დაწესებულება, ორგანიზაცია, სახელმწიფო ან ნებისმიერი სხვა ორგანო, მიუხედავად იმისა, გააჩნია თუ არა მას ცალკე იურიდიული პირის სტატუსი.

„პირველი რიგის კრედიტორები“ ნიშნავს ერთობლივად შემდეგ პირებს: (i) სს „საქართველოს ბანკი“; (ii) სს „თიბისი ბანკი“, რომელთა სასარგებლოდ პირველი რიგის იპოთეკის და გირავნობის უფლებით დატვირთულია „ემიტენტის“ საკუთრებაში არსებული ან სამომავლო ნებისმიერი და ყველა ქონება/აქტივი აღნიშნულ ბანკებს და „ემიტენტს“ შორის გაფორმებული „არსებული საკრედიტო ხელშეკრულებებით“ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ამასთან, აღნიშნული პირველი რიგის გირავნობით და იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნების არსებული მაქსიმალური ჯამური მოცულობის შესაძლო შემცირების შემთხვევები/პრინციპები, რომლის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილდეს

პირველი რიგის კრედიტორთა მიმართ არსებული ვალდებულებები, განსაზღვრულია წინამდებარე მე-14 პუნქტში (ტერმინთა განმარტებები) „ნებადართული უზრუნველყოფების“ დეფინიციის „მ“ ქვეპუნქტში.

**„პროცენტის განსაზღვრის თარიღს“** აქვს „პირობების“ მე-6 პუნქტით („საპროცენტო სარგებელი“) გათვალისწინებული მნიშვნელობა.

**„რეზო ოპერაცია“** ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ან გადაყიდვის შეთანხმებას, ასევე უკუ-გამოსყიდვის ან უკუ-გადაყიდვის შეთანხმებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან სესხების შეთანხმებას, ასევე ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ფასიან ქაღალდებს და გააჩნია ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ხასიათი.

**„რეგისტრატორი“** ნიშნავს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორს“.

**„საჯარო რეესტრი“** ნიშნავს სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მისი ტერიტორიული სამსახურებით და სტრუქტურული ერთეულებით.

**„სამართლიანი საბაზრო ღირებულება“** გარიგებასთან მიმართებით ნიშნავს ღირებულებას, რომელიც მიღებული იქნებოდა არადაკავშირებულ პირებს შორის განხორციელებული კომერციული გარიგებისას ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველსა (რომელზეც არ ხორციელდება რაიმე არასათანადო იძულება ან ზეწოლა გასხვისებაზე) და ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (რომელზეც არ ხორციელდება რაიმე არასათანადო იძულება ან ზეწოლა ყიდვაზე) შორის. „ობლიგაციონერები“ უფლებამოსილნი არიან, დაეყრდნონ გარიგების „სამართლიანი საბაზრო ღირებულების“ შესახებ „დამოუკიდებელი შემფასებლის“ ანგარიშს დამატებითი მოკვლევის ან მტკიცებულებების გარეშე.

**„სამუშაო დღე“** ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათის, კვირის და უქმე დღეების გარდა), როდესაც კომერციული ბანკები ახორციელებენ გადახდებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციებს) თბილისში.

**„სამუშაო დღის კონვენცია“** ნიშნავს კორექტირებულ შემდგომ დღეს (“Modified Following”), რომლის მიხედვითაც „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „გამოსყიდვის თარიღი“ (გარემოებების გათვალისწინებით), გადაინაცვლებს მომდევნო სამუშაო დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომდევნო „სამუშაო დღე“ გადანაცვლებას ახდენს შემდეგ კალენდარულ თვეში, რა შემთხვევაშიც ასეთი „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ (შესაბამისად) გადაინაცვლებს წინა „სამუშაო დღეს“

**„საპროცენტო პერიოდი“** - აქვს „პირობების“ მე-6 პუნქტით („საპროცენტო სარგებელი“) გათვალისწინებული მნიშვნელობა.

**„საქართველოს საფონდო ბირჟა“ (“GSE”)** ნიშნავს სს „საქართველოს საფონდო ბირჟას“.

**„სებ-ის (იგივე „საქართველოს ეროვნული ბანკის“) ვებ-გვერდის ეკრანი“** ნიშნავს შემდეგ მისამართზე არსებულ გვერდს: <https://nbg.gov.ge/en/monetary-policy/tibr> ან (i) ნებისმიერი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, ინფორმაციის ვენდორი ან პროვაიდერი, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული ადმინისტრატორად ეროვნული ბანკის მიერ; ან (ii) თუ ასეთ ადმინისტრატორს ოფიციალურად არ აქვს დადგენილი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისის პროვაიდერი (გარემოებების მიხედვით), ჩამნაცვლებელი საჩვენებელი გვერდი, სხვა

გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დანიშნული შესაბამისი ინფორმაციის ვენდორის ან პროვაიდერის მიერ (თუ განსხვავებულია ადმინისტრატორისგან), როგორც ეს 173 განსაზღვრულია „ADB-ს კალკულაციისა და გადახდის აგენტის მიერ“, რომელიც დაუყოვნებლივ აცნობებს „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“, რომელიც თავის მხრივ დაუყოვნებლივ აცნობებს „რეგისტრატორს“, „ემიტენტს“, ინვესტორებსა და საქართველოს საფონდო ბირჟას წერილობით, სათაურის, გვერდის, ჩამნაცვლებელი ვებგვერდის-ან/და ადმინისტრატორის მითითებით.

**„სპრედი“** - ნიშნავს “პირობების დოკუმენტში” მითითებულ საბაზისო პუნქტს.

**„უზრუნველყოფის საშუალება“** ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, იპოთეკას, უფლებრივად დატვირთვას, ყადაღას ან სხვა სახის უზრუნველყოფის საშუალებას (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობის შესაბამისად ნებისმიერი ზემოაღნიშნულის ანალოგიურ უზრუნველყოფის საშუალებას).

**„ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა“** - აქვს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

**„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ (IFRS)** ნიშნავს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს“ (ყოფილი „ბუღალტერიის საერთაშორისო სტანდარტები), რომლებიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) (შემდგომში „საბჭო“) მიერ და „საბჭოს“ ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციები (დროდადრო მასში შესული ცვლილებებით, დამატებებით ან ახალი გამოცემებით).

**„ფისკალური პერიოდი“** არის ნებისმიერი საანგარიშო პერიოდი, რომელთან მიმართებაშიც „ემიტენტს“ მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ან ინდივიდუალური ფინანსური უწყისები „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად, რომელიც აუდიტირებულია ან ნანახია აუდიტორების მიერ.

**„ნახევარწლიური ფისკალური პერიოდი“** არის ნებისმიერი ნახევარწლიური „ფისკალური პერიოდი“, რომელთან მიმართებაშიც „ემიტენტს“ მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ან ინდივიდუალური ფინანსური უწყისები „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად.

**„შვილობილი“** ნებისმიერ „პირთან“ (შემდგომში „პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ სხვა „პირს“ (შემდგომში „მეორე პირი“), (ა) რომლის საქმიანობასა და პოლიტიკას პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს „პირველი პირი“ ან (ბ) რომელშიც „პირველი პირი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს კაპიტალის, ხმის უფლების მქონე აქციების/წილის ან საკუთრების სხვა უფლების 50 პროცენტზე მეტს.

**„წარმომადგენელი“** მნიშვნელობა განსაზღვრულია „პროსპექტის“ 11 ე) ქვეპუნქტში.

**„პირითადი საშუალებები“** - მატერიალური და არამატერიალური აქტივები, რომლებსაც „ემიტენტი“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილი“ იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, იჯარით (მათ შორის, ლიზინგით) გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

**„ჯგუფი“** ნიშნავს „ემიტენტს“ და მის „მნიშვნელოვან შვილობილს“ ერთობლიობაში.

„EBITDA“ ნიშნავს კომპანიის საოპერაციო მოგებას (როგორც ეს მოცემულია „ემიტენტის“ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში) დამატებული შესაბამისი პერიოდის ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი.

„კორექტირებული EBITDA“ დაიანგარიშება როგორც “EBITDA”-ს დაკლებული იჯარის ვალდებულებებზე გადახდილი თანხა (გადახდილი ძირისა და პროცენტის ჯამი, რომელიც ფიქსირდება „ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგების საიჯარო ვალდებულების შენიშვნაში).

„პროსპექტს“, „წინასწარ პროსპექტს“, „საბოლოო პროსპექტს“, „შეთავაზების პირობების დოკუმენტს“, „შეთავაზების საბოლოო პირობების დოკუმენტს“, „შეთავაზებას“ (იგივე, რაც საჯარო შეთავაზება) და ნებისმიერ და ყველა სხვა ტერმინს, რომელიც არ არის განმარტებული წინამდებარე „პირობებში“, აქვს „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის“ შესაბამისად განსაზღვრული მნიშვნელობები.

## 15. ბათილობა

წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი დებულების ბათილობა ან ძალის დაკარგვა არ მოახდენს გავლენას „პირობების“ სხვა დებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „პირობების“ რომელიმე დებულების ფარგლები ფართოა, რის შედეგადაც დაუშვებელია მისი აღსრულება, ეს დებულება იქნება აღსრულებული იმ მაქსიმალური ხარისხით და ფარგლებით, რამდენადაც ეს დასაშვებია კანონით.

## 16. მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია

(ა) **მარეგულირებელი კანონმდებლობა:** „პროსპექტი“ და „ობლიგაციები“ და მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) **იურისდიქცია:** საქართველოს სასამართლოებს აქვთ ექსკლუზიური იურისდიქცია ნებისმიერ დავაზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას „პროსპექტიდან“ ან „ობლიგაციებიდან“ ან მათთან დაკავშირებით (რაც მოიცავს ნებისმიერ სარჩელს, დავას ან უთანხმოებას „პროსპექტის“ ან „ობლიგაციების“ გამოშვებასთან, არსებობასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან, ან „პროსპექტიდან“ ან „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებასთან დაკავშირებით).

## ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. „ობლიგაციების“ პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩეველებთან ობლიგაციების შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე ობლიგაციებიდან პროცენტის, ძირითადი თანხის და/ან სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. წინამდებარე შეჯამება არ აღწერს ყველა საგადასახადო რეგულაციას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციონერებისთვის“, განსაკუთრებით იმ ობლიგაციონერებისთვის“, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური საგადასახადო წესები. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. რეკომენდებულია „ობლიგაციონერებმა“ კონსულტაციები გაიარონ მათ პროფესიონალ მრჩეველებთან „ობლიგაციების“ შეძენის შედეგებთან დაკავშირებით, იმ ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლის რეზიდენტებიც არიან.

წინამდებარე ანალიზი წარმოადგენს საგადასახადო საკითხების ზოგად მიმოხილვას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რომელიც მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით. როგორც საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროები, საქართველოს საგადასახადო სამართალი და პრაქტიკა არ არის ისე მკაფიო და ნათელი, როგორც სხვა უფრო განვითარებულ სახელმწიფოებში. შესაბამისად, შესაძლებელია მასში შევიდეს ცვლილებები, როგორც კანონში, ასევე მის ამჟამინდელ ინტერპრეტაციაში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია „ობლიგაციების“ მფლობელების მიერ გადასახდელი თანხები დაექვემდებაროს საგადასახადო დაბეგვრას ან ამჟამად არსებული საგადასახადო განაკვეთები გაიზარდოს, რაც შეუძლებელია ნავარაუდები იქნას წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ თარიღისათვის. „ობლიგაციების“ თითოეულმა პოტენციურმა შემძენმა უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო პრობლემატიკა იმ ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც გავრცელდება მის მიერ „ობლიგაციების“ შეძენაზე, ფლობასა და გაყიდვაზე.

### (ა) პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის (რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირები, არარეზიდენტი საწარმოები და რეზიდენტი ან არარეზიდენტი ორგანიზაციები) გადახდილი პროცენტი იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით. გადახდის წყაროსთან დაბეგრილი პროცენტი მიმღები ფიზიკური პირის მიერ არ უნდა იქნას ჩართული მის ერთობლივ შემოსავალში. საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების მუდმივი დაწესებულებები შემოსავალში რთავენ ობლიგაციის ფლობისგან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ობლიგაციებიდან მისაღები პროცენტი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და ამგვარი პროცენტი არ უნდა იქნას ჩართული ობლიგაციების მფლობელების საქართველოში დასადეკლარირებელ შემოსავალში (როგორც ფიზიკური, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების შემთხვევაში), თუ ობლიგაციები იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით არის გამოშვებული და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე („აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“).

არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული შემოსავალი არ უნდა მიეკუთვნებოდეს საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას. ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული გათავისუფლება მოქმედია 2026 წლის 1 იანვრამდე.

რეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მისაღები/მიღებული პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგრას არ ექვემდებარება. თუ პროცენტის მიმღები გადასულია მოგების გადასახადის ახალ, ე.წ. „ესტონურ მოდელზე“, ობლიგაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, ისევე როგორც სხვა სტანდარტული შემოსავალი გათვალისწინებულ უნდა იქნას გასანაწილებელი მოგების გაანგარიშებაში და მოგების დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, უნდა დაბეგროს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. თუ პროცენტის მიმღები ჯერ არ გადასულა ე.წ. მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე (ფინანსური ინსტიტუტები), დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისას მან ობლიგაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი უნდა ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

„ობლიგაციების“ იმ მფლობელებისთვის გადასახდელი პროცენტი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის მიერ ოფშორულ ზონებად აღიარებულ და შეღავათიანი დაბეგრის სისტემის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებს, იბეგრება 15%-იანი განაკვეთით.

პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგრაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ორმაგი დაბეგრის თაობაზე საქართველოს და იმ ქვეყანას შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის „ობლიგაციების“ მფლობელი, რის საფუძველზეც ობლიგაციის მფლობელმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით (გათავისუფლდეს გადახდის წყაროსთან დაბეგრისგან).

### **(ბ) „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგრა**

რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი გათავისუფლებულია დაბეგრისაგან საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის.

თუ ზემოხსენებული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება, ობლიგაციის გასხვისებისას შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულები:

### **ობლიგაციების მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების გაყიდვის დაბეგრა**

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი იურიდიული პირები 15%-იან მოგების გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი საწარმო (რის საფუძველზეც გამყიდველმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით და გათავისუფლდეს გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან საქართველოში).

### **„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგრა**

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი ფიზიკური პირები 20%-იან საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

#### **ობლიგაციების მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების გაყიდვის დაბეგვრა**

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი იურიდიული პირები ვალდებული არიან შემოსავალში ჩართონ „ობლიგაციების“ გასხვისებით მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომლის დაანგარიშება ხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, მოგების გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდების განაწილება მოხდა იურიდიული პირის პარტნიორებს შორის. შესაბამისად, რეზიდენტ იურიდიულ პირს შესაძლებელია დაუყოვნებლივ არ წარმოემვას მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

#### **ობლიგაციების მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების გაყიდვის დაბეგვრა**

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი ფიზიკური პირები ვალდებული არიან გადაიხადონ 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი „ობლიგაციების“ გასხვისების შემდეგ. საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშება მოხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

#### **(ე) გადასახადი ძირი თანხის გადახდაზე**

ობლიგაციის მფლობელების მიერ ობლიგაციების გამოსყიდვისას მიღებული ძირი თანხა არ ითვლება დასაბეგრ შემოსავლად და, შესაბამისად, არ ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოში, იმ პირობით, რომ გამოსასყიდი ფასი არ აღემატება ობლიგაციის თავდაპირველი გამოშვების ფასს.

#### **(ვ) დამატებული ღირებულების გადასახადი**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ობლიგაციების გაყიდვას განიხილავს იმგვარ ფინანსურ ოპერაციადა, რომელიც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

#### **(ზ) სხვა საკითხები**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საგადასახადო ორგანოს აძლევს უფლებას გადაამოწმოს მხარეების მიერ მითითებული ტრანზაქციის ფასი, შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით.



